ლარისა თაკალანძე
Larisa Takalandze

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ევროკავშირში

CORPORATE SOCIAL RESPONSIBILITY IN THE EUROPEAN UNION

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

With the support of the Erasmus+ Programme of the European Union

ლარისა თაკალანძე

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ევროკავშირში

თბილისი 2024

წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ევროკავშირის ERASMUS+ პროგრამის ჟან მონეს მოდულის "კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ევროკავშირში: გამოცდილება საქართველოსთვის" (101083295-CSREU-ERASMUS-JMO-2022-HEI-TCH-RSCH) ფარგლებში.

სახელმძღვანელოში კომპლექსურადაა გადმოცემული კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) ძირითადი თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები, განზოგადებული და გაანალიზებულია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ევროკავშირის გამოცდილება; განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ევროკავშირის პოლიტიკას CSR-ის სფეროში, სოციალური პასუხისმგებლობის თავისებურებებს ევროკავშირის ქვეყნებში და საუკეთესო პრაქტიკის ქართულ კომპანიებში ადაპტირებას ჩვენი ქვეყნის რეალობის გათვალისწინებით.

სახელმძღვანელო გამიზნულია უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის, პედაგოგებისა და მეცნიერ-მკვლევარებისათვის. იგი საინტერესო იქნება სამეწარმეო სტრუქტურების წარმომადგენლებისთვის (CSR მენეჯერებისთვის) და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: გიორგი ბერულავა, პროფესორი, ეკონომიკის მეცნ. დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეცენზენტები:

მარინე ხუბუა, ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელისო ლანჩავა, ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

© ლ.თაკალანძე, 2024
პოლიგრაფიული ცენტრი „ბარტონი“, 2024
ISBN 978-9941-9841-8-1

სახელმძღვანელოს ზოგიერთი პარაგრაფის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის ჟან მონეს მოდულის “კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ევროკავშირში: გამოცდილება საქართველოსთვის“ (101083295-CSREU-ERASMUS-JMO-2022-HEI-TCH-RSCH) ფარგლებში გათვალისწინებული საზაფხულო სკოლის მოწვეულმა პროფესორებმა და ექსპერტებმა: 3.1 - ნინა დიდენკო (პროფესორი, შუპიკის ჯანდაცვის ნაციონალური უნივერსიტეტი, უკრაინა), 1.2, 5.1, 5.2 (მდგრადი განვითარება, მწვანე ეკონომიკა), თავი VI - ლელა ხოფერია (CSR ექსპერტი, საქ. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი CSRDG, https://csrgeorgia.com) 8.3 - ხათუნა ჩიკვილაძე (ექსპერტი, საქ. მყარი ნარჩენების მართვის კომპანია) 8.4 - ხატია ბასილაშვილი (ექსპერტი, საბუკო-ბუნების კონსერვაციის საზოგადოება), 9.3 - ჟანეტა სიმანავიჩაინე (პროფესორი, მიკოლას რომერის უნივერსიტეტი, ლიეტუვა), 13.1- გვანცა ფაცაცია (CSR ექსპერტი, CSRDG)

პროექტი თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ.
წინამდებარე სახელმძღვანელო ასახავს მხოლოდ ავტორის მოსაზრებებს და ევროკავშირი არაა პასუხისმგებელი წარმოდგენილ ინფორმაციაზე.

სარჩევი

შესავალი 15

თავი I. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის ევოლუცია 17

1.1. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) განვითარება 17

1.2. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის გლობალური ტენდენციები 25

თავი II. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა: შინაარსი, მნიშვნელობა, მოდელები 40

2.1 კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა: არსი და ფორმები 40

2.2 დისკუსიები სოციალურ პასუხისმგებლობაზე და ძირითადი მიდგომები 47

2.3 კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მოდელები - ამერიკული და ევროპული მოდელი 61

თავი III. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ევროკავშირში 69

3.1 ევროკავშირის ისტორია. ევროკავშირის ინსტიტუტები 69

3.2 CSR-ის კონცეფციის ევოლუცია ევროკავშირში. ევროკავშირის CSR-ის სტრატეგია 71

3.3 კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება ევროკავშირის ქვეყნებში 82

3.4 CSR-ის საჯარო პოლიტიკის დახასიათება ევროკავშირში: CSR და მდგრადი განვითარება 87

3.5 ევროკავშირის CSR ორგანიზაციები 91

თავი IV. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობათა კონტექსტში 95
4.1 ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობათა დინამიკა. ევროკავშირთან საქართველოს ინტეგრაცია 95
4.2 საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება. ასოცირების შესახებ შეთანხმების სტრუქტურა, პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური და სექტორალური ნაწილები 108
4.3 კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება საქართველოში 112
4.4 კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება 122
თავი V. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და სახელმწიფო 133
5.1 სახელმწიფოს როლი კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაში. CSR -ის პოლიტიკის ინსტრუმენტები..... 133
5.2 კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სახელმწიფო პოლიტიკა 139
თავი VI. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მცირე და საშუალო ბიზნესში 152
6.1 კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ინტეგრაცია მცირე და საშუალო ბიზნესში: სტრატეგიული პრიორიტეტი ევროკავშირისთვის 152
6.2 მცირე ბიზნესის უპირატესობები. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ეფექტი მცირე ბიზნესის კონკურენტუნარიანობაზე 154

თავი VII. მსხვილი ბიზნესი როგორც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სუბიექტი 159
7.1 ტრანსნაციონალური კორპორაციები როგორც ბიზნესის ელიტა და სოციალური პასუხისმგებლობის სუბიექტი 159
7.2 გაეროს გლობალური შეთანხმება (UN Global Compact) 163
7.3 CSR: ტრანსნაციონალური კორპორაციები და განვითარებადი ქვეყნები. ტრანსნაციონალური კორპორაციების CSR-ის კონცეფციის საწინააღმდეგო არგუმენტები 168
თავი VIII. კორპორაციული გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა ევროკავშირში 173
8.1 გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა ევროკავშირში 173
8.2 კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა ევროკავშირის უსაფრთხოებაზე 176
8.3 გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის კონცეფციის რეალიზაციის პერსპექტივები: ევროკავშირის გამოცდილება საქართველოსთვის 178
8.4 ბუნების კონსერვაცია 186
თავი IX. სოციალური მეწარმეობა ევროკავშირში 193
9.1 სოციალური საწარმოს არსი და მოდელები 193
9.2 სოციალური საწარმო და საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება 195
9.3 სოციალური საწარმოების განვითარება ევროკავშირის ქვეყნებში 197
9.4. სოციალური მეწარმეობა საქართველოში 201
თავი X. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა შშმ პირთა მიმართ: ევროკავშირის პოლიტიკა 208
10.1 ევროპის საბჭოს შეზღუდული შესაძლებლობების სტრატეგია 208

10.2 კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა
შშმ პირთა მიმართ საქართველოში 212
თავი XI. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ევროკავშირში COVID-19 ვირუსული ინფექციის პირობებში 218
11.1 კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის
მნიშვნელობა COVID-19 ვირუსთან ბრძოლის პირობებში 218
11.2 Covid-19-ის პანდემიის გავლენა კორპორაციულ
სოციალურ პასუხისმგებლობაზე 221
11.3 ევროკავშირი საქართველოსთვის: საქართველოსთვის
გაწეული მხარდაჭერა ანტი-COVID-19 წინააღმდეგ
ბრძოლაში 226
თავი XII. ბიზნესის ეთიკა ევროკავშირში 229
12.1. ბიზნესის ეთიკის არსი. ეთიკის როლი ევროკავშირის
ბიზნესში 229
12.2. ბიზნესის კულტურის ტიპოლოგია 233
12.3. ორგანიზაცია და მორალური სტანდარტები 238
12.4. ორგანიზაციის ეთიკური დონის ამაღლების
ღონისძიებები 241
თავი XIII. არასამთავრობო ორგანიზაციების და სამოქალაქო საზოგადოების როლი კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაში ევროკავშირში 244
13.1 საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი CSR
აქტივობებში 244
13.2 გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები 251
თავი XIV. ევროკავშირი საქართველოში 255
14.1 ევროკავშირის ორგანიზაციები საქართველოში 255
14.2 საქართველოს ევროპული პერსპექტივა 259

გამოყენებული ლიტერატურის სია 263
სემინარული მეცადინეობები 270
ტესტები 272
მეთოდოლოგიური რეკომენდაციები 276
დავალებები დამოუკიდებელი სამუშაოებისთვის 277

Sokhumi State University

With the support of the Erasmus+ Programme of the European Union

Larisa Takalandze

CORPORATE SOCIAL RESPONSIBILITY IN THE EUROPEAN UNION

Tbilisi 2024

Larisa Takalandze, Corporate Social Responsibility in the European Union, Text-book, Tbilisi, 2024

The text-book was developed at the Sokhumi State University within the framework of the Jean Monnet Module of the Erasmus+ Program (101083295-CSREU-ERASMUS-JMO-2022-HEI-TCH-RSCH) (Acronym: CSREU, Project period: 2022 - 2025).

The textbook comprehensively discusses the main theoretical and methodological issues of Corporate Social Responsibility (CSR), generalizes and analyzes the European Union experience; special emphasis is made on the European Union's Policy in the field of CSR, peculiarities of social responsibility in the EU countries and adaptation of the best practices in Georgian companies.

The book is intended for the students, teachers and researchers of Higher Educational institutions. It will be interesting for a business practitioners (CSR managers) and wide range of readers interested in these issues.

Larisa Takalandze, Professor, PhD in Economics, Sokhumi State University Professor,

Scientific Editor:

George Berulava, Professor, D.Sc (Economics), Sokhumi State University

Reviewers:

Marine Khubua, Asossiate Professor, Chief Specialist at Quality Assurance Service**,** Sokhumi State University

Eliso Lanchava, Asossiate Professor, PhD in Economics, Sokhumi State University

© L. Takalandze, 2024

Center of poligraphy “Bartoni”, 2024

ISBN 978-9941-9841-8-1

The invited professors and experts of the Summer School within the framework of Jean Monnet Module (Project No. 101083295-CSREU-ERASMUS-JMO-2022-HEI-TCH-RSCH) took part in the elaboration of some paragraphs of the text-book: 3.1 – Nina Didenko (Professor, Shupyk National Healthcare University (Ukraine), 1.2, 5.1, 5.2 (Sustainable Development, Green Economic), Topic VI - Lela Khoperia (CSR Expert, Center for Strategic Research and Development of Georgia (CSRDG), https://csrgeorgia.com), 8.3 - Khatuna Chikviladze (Expert, Advisor to the Director of the Solid Waste Management Company) 8.4 - Khatia Basilashvili (Expert, Sabuko – Society for Nature Conservation, Georgia), 9.3 - Zaneta Simanaviciene (Professor, Mykolas Romeris University, Lithuania), 13.1- Gvantsa Patsatsia (CSR Expert, CSRDG, Georgia).

The European Commission supports the production of this publication, does not constitute an endorsement of the contents which reflects the views only of the authors, and the Commission cannot be held responsible for any use which may be made of the information contained therein.

Content:

Introduction 15
Topic I. Evolution of the Concept of Corporate Social Responsibility 17
1.1. Development of Corporate Social Responsibility 17
1.2. Global Trends in Corporate Social Responsibility 25
Topic II. Corporate Social Responsibility: Meaning, Importance, Models 40
2.1 Corporate Social Responsibility: Meaning and Forms 40
2.2 Discussions on Social Responsibility and Key Approaches 47
2.3 Corporate Social Responsibility Models - American and European model 61
Topic III. Corporate Social Responsibility in European Union 69
3.1 History of European Union. Institutions of the European Union 69
3.2 Evolution of the Concept of CSR in EU. EU Strategy on CSR 71
3.3 Development of Corporate Social Responsibility in EU Countries 82
3.4 Public Policies on CSR in European Union: CSR and Sustainable Development 87
3.5 CSR Organizations in European Union 91
Topic IV. CSR in the Context of Relations between the European Union and Georgia 95
4.1 European Union - Georgia Relations. Georgia – EU Integration 95
4.2 Association Agreement between the EU and Georgia. The Structure of the Association Agreement 108
4.3 Development of Corporate Social Responsibility in Georgia 112

Topic V. Corporate Social Responsibility and Government 133
5.1 The Role of Government in Promoting CSR. CSR Policy Instruments 133
5.2 The State Policy on Corporate Social Responsibility 139
Topic VI. CSR in Small and Medium-sized Enterprises 152
6.1 Integrating CSR into Small and Medium Businesses: Strategic Priority for European Union 152
6.2 Small Business Benefits. CSR Effect on Small Business Competitiveness 154
Topic VII. Transnational Corporations as a Subjects of CSR 159
7.1 Transnational Corporations as Elite Business and a Subject of Social Responsibility 159
7.2 UN Global Compact 163
7.3 CSR: Transnational Corporations and Developing Countries. Arguments Against Corporate Social Responsibility of Transnational Corporations 168
Topic VIII. Corporate Environmental Responsibility (CER) in the European Union 173
8.1 Environmental Responsibility in EU. Environmental Policy of the EU 173
8.2 Climate Change and its Impact on the EU's Security Environment 176
8.3 Prospects for Implementation of CER Concept: the EU Experience for Georgia 178
8.4 Nature Conservation Georgia 186
Topic IX. Social Entrepreneurship in the European Union 193
9.1 Models of Social Entrepreneurship 193
9.2 Social Entrepreneurship and Association Agreement between the EU and Georgia 195
9.3 Development of Social Entrepreneurship in EU Countries 197
9.4. Social Entrepreneurship in Georgia 201
Topic X. CSR for People with Disabilities: EU Policy 208
10.1 European Union Strategy on the Rights of Persons with Disabilities 208
10.2 Corporate Social Responsibility and Disability in Georgia 212

Topic XI. Corporate Social Responsibility in the European Union under COVID-19 Corona Virus Pandemic 218
11.1 The Importance of CSR Efforts During COVID-19 Restrictions 218
11.2 The impact of Covid-19 Pandemic on CSR 221
11.3 EU for Georgia: Support to Government anti-COVID-19 Efforts 226
Topic XII. Business Ethics in European Union 229
12.1. The Essence of Business Ethics, The Role Ethics in European Union Business 229
12.2. Typology of Business Culture 233
12.3. Organization and Moral Standards 238
12.4. Measures for Raising the Ethical Level of the Organization 241
Topic XIII. Role NGOs and Civil Society in CSR in the European Union 244
13.1 Role of NGO in CSR Activities 244
13.2 Environmental Non-Governmental Organizations 251
Topic XIV. European Union in Georgia 255
14.1 European Union Organizations in Georgia 255
14.2 The European Perspective for Georgia 259
List of Used literature 263
Plan of Seminars 270
Tests 272
Methodological Recommendations 276
Tasks for Individual Work 277

შესავალი

განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის სოციალური დაცვის მძლავრი მექანიზმი არსებობს. მიუხედავად ამისა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბიზნესის სოციალური როლის, სოციალური პასუხისმგებლობისა და ბიზნესის მიერ დაფინანსებული სოციალური ინვესტიციების ზრდას. ეს მრავალი ფაქტორითაა განპირობებული. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ადამიანური კაპიტალის შევსების, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჰარმონიზაციის პროცესების, საზოგადოების ფართო წრის მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილების ხელშეწყობას, როგორც ეკონომიკური ზრდისა და საკუთრივ, ეკონომიკური კაპიტალის წარმატებული კვლავწარმოებისათვის, ისე, სოციალური წინააღმდეგობების (რომელიც აუცილებლად მოსდევს ეკონომიკურ პროგრესს) დაძლევის და საზოგადოების სოციალური მდგომარეობის შენარჩუნება-განმტკიცებისათვის. არანაკლებ მნიშვნელოვანია მოსახლეობის სოციალურ მოთხოვნილებათა წინმსწრები ზრდა სახელმწიფოს ფინანსური შესაძლებლობების ზრდასთან შედარებით და მასთან დაკავშირებული სირთულეები სოციალური შემწეობისა და მომსახურების სახელმწიფოებრივი სისტემის საქმიანობაში, სოციალურად დაუცველი ფენების მხარდაჭერა. გარდა ამისა, ამ ფაქტორებს პრაგმატული მოტივებიც ემატება. კერძოდ, ის, რომ ბიზნესს საქმიანობა გარკვეულ სოციალურ და პოლიტიკურ გარემოში უწევს; ამდენად, მას არ შეუძლია საზოგადოების ინტერესების უგულებელყოფა. მეტიც, ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებელ პირობას საზოგადოების სტაბილურობა წარმოადგენს. ამდენად, ისინი იძულებულნი არიან შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებები, რომლებიც ამ სტაბილურობას უზრუნველყოფენ. როგორც უცხოელი მეცნიერები მიიჩნევენ, თუ მსხვილმა ბიზნესმა

თავის თავზე არ აიღო სოციალურ პრობლემათა გადაჭრის პასუხისმგებლობა, თავად გახდება მისი მსხვერპლი.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) პრობლემატიკა სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, მიუხედავად იმისა, რომ ცივილიზებული ბიზნესის ფორმირებას ჯერ კიდევ დიდი დრო სჭირდება.

უცხოელი კლასიკოსების ნაშრომებზე, ასევე 2021 წელს გამოცემულ დამხმარე სახელმძღვანელოზე „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და ეთიკა. ევროკავშირის გამოცდილება“ (ავტორი ლ. თაკალანძე) დაყრდნობით, საზღვარგარეთის და განსაკუთრებით, ევროკავშირის ქვეყნების მდიდარი გამოცდილების გათვალისწინებით წინამდებარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილია საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის, აგრეთვე, საქმიანი ცხოვრების ეთიკური პრობლემები და კულტურის საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამ სფეროში ევროკავშირის პოლიტიკის შესწავლას და ქართულ კომპანიებში ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის ადაპტირებას.

თავი I. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის ევოლუცია

1.1. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება

ბიზნესი საერთოდ, და კერძოდ, კორპორაციების საქმიანობა გარკვეულ სოციალურ და პოლიტიკურ-კულტურულ გარემოში წარიმართება, და ბუნებრივია, მას არ შეუძლია საზოგადოების ინტერესების უგულებელყოფა, საზოგადოებისა, რომელთანაც საკუთარი ინტერესები უნდა შეათანხმოს. მეტიც, კორპორაციების ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებელ პირობას საზოგადოების სტაბილურობა წარმოადგენს. ამდენად, ისინი იძულებულნი არიან შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებები, რომლებიც ამ სტაბილურობას უზრუნველყოფენ. სოციალური გარემოს განვითარება და გაუმჯობესება ბიზნესისა და კორპორაციების გრძელვადიან ინტერესებს პასუხობს. სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების გათვალისწინება სამეწარმეო გარემოს სიცოცხლისუნარიანობას და ეფექტიანობას ამაღლებს; გრძელვადიან ასპექტში კი სოციალური პასუხისმგებლობა იწვევს როგორც აღნიშნული კორპორაციის მიერ წარმოებული პროდუქციისადმი მომხმარებელთა ნდობის, ისე მისი აქციათა კურსის ამაღლებას.

შემთხვევითი არ არის, რომ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის (ბსპ-ს) კონცეფციას XIX საუკუნის ბოლოს – XX საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი. თავდაპირველად მან ამერიკელ ინჟინრებს შორის ჰპოვა განვითარება, რომლებიც, როგორც ამერიკელმა ისტორიკოსმა ე. ლეიტონ-უმცროსმა აღნიშნა, „სოციალური პასუხისმგებლობის“ დემონსტრირებაში თავიანთი პროფესიის სოციალური პრესტიჟის ამაღლების საშუალებას ხედავდნენ. დროთა განმავლობაში ეს იდეა ბსპ-ს კონცეფციის შემადგენელი ნაწილი გახდა.

ამ კონცეფციის მომხრეებს და აქტიურ პროპაგანდისტებს შორის იყვნენ იმ დროის ისეთი ცნობილი ბიზნესმენები, როგორიცაა „გენერალ ელექტრიკის“ კომპანიის პრეზიდენტი ჯ. სვოუპი, ამავე კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ო. იანგი, „ამერიკენ ტელეფონ ენდ ტელეგრაფ“ კომპანიის პრეზიდენტი უ. ჯიფორდი და სხვ.

საბოლოოდ ბსპ-ს კონცეფცია 30-იან წლებში ჩამოყალიბდა. აღნიშნული კონცეფციის მომხრეები იყვნენ კომპანია „ჯონ მენვილის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის ლ. ბრაუნი და ფირმა „სირს“-ის ხელმძღვანელი რობერტ ვუდი. 1936 წელს ვუდი წლიურ ანგარიშში ახსენებს ფართო სოციალურ ვალდებულებებს, რომელთა მათემატიკური გამოსახვა შეუძლებელია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ. ვუდს მხედველობაში ჰქონდა საზოგადოების ძლიერი არაპირდა-პირი გავლენა ორგანიზაციაზე, რომელიც ფუნქციონირებს ამ საზოგადოებაში.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის შემუ-შავებასა და პოპულარიზაციაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ პერიოდში ცნობილი ეკონომისტების ფ. ბერტი და გ. მინზის ნაშრომმა „თანამედროვე კორპორაცია და კერძო საკუთრება“. მაგრამ ბსპ-ს შეხედულებებმა მომდევნო წლებში მხარდაჭერა ვერ მიიღო. ეს არც არის გასაკვირი, თუ გავიხსენებთ იმ პერიოდში არსებულ მდგომარეობას. 30-იან წლებში (დიდი დეპრესიის პერიოდი) ამერიკული საწარმოების ძირითადი საზრუნავი-ელემენტარულად თვითგადარჩენა იყო.

პროფესორ ლი პრესტონის მიხედვით, ბიზნესის სოციალური როლის კონცეფცია თანდათანობით იცვლება 50-იან წლებში. ნაწილობრივ ეს განაპირობა ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის განვითარებამ II მსოფლიო ომისა და მის შემდგომ, „ცივი ომის“ პერიოდში. ამ პერიოდში შეიქმნა ეკონო-მიკური განვითარების კომიტეტი, რომელშიც გაერთიანდნენ

მსოფლიოში ყველაზე გამოჩენილი ადამიანები. მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტის მიზანი იყო მთავრობის კონსულტირება ეკონომიკურ და კომერციულ საკითხებში, იგი გაცილებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რამდენადაც ამ გზით გაფართოვდა საქმიანი სამყაროს მონაწილეობა სოციალური და სახელმწიფო-ებრივი პოლიტიკის გადაწყვეტაში.

ბსპ-ს კონცეფციამ შედარებით ინტენსიური განვითარება ომის შემდგომ პერიოდში ჰპოვა. 1953 წელს გამოქვეყნდა ამერიკელი ეკონომისტი გ. ბოუენის წიგნი „ბიზნესის სოციალური პასუხის-მგებლობა“; მასში ავტორმა ჩამოაყალიბა სოციალური პასუხის-მგებლობის დოქტრინა როგორც ბიზნესმენების ვალდებულება მიიღოს ის გადაწყვეტილებები და აირჩიოს საქმიანობის ის მიმართულებები, რომლებიც სასურველია საზოგადოების მიზნე-ბისა და ფასეულობების თვალსაზრისით.

ბიზნესის სოციალური როლის შესახებ დისკუსიამ 60-იან და 70-იან წლებში გარკვეულ მოვლენებს მისცა ბიძგი. საზოგადოების სხვადასხვა ფენაში ჩნდება აქტიური ინტერესი ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორიცაა სამოქალაქო სამართალი, ვიეტნამის ომი, მრეწველობის დაბინძურება ნარჩენებით და გარემოს მდგო-მარეობა, აგრეთვე კონსიუმერიზმი – მომხმარებელთა მოძრაობა. 70-80-იან წლებში წინა პლანზე იწევს განიარაღება, ატომური ენერგეტიკა, მესამე სამყაროს ქვეყნების შიმშილისაგან ხსნა, ფლორისა და ფაუნის დაცვა და სხვ.

სოციალური პასუხისმგებლობის გამტარებელი ძირითადად მსხვილი ბიზნესია, სწორედ ამიტომ დამკვიდრდა ტერმინი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (Corporate Social Responsibility (CSR)). CSR კონცეფცია ეფუძნება კორპორაციების და საზოგადოების მჭიდრო ურთიერთკავშირის არსებობის აღიარე-ბას.

არიზონის უნივერსიტეტის პროფესორი კ. დევისი აყალიბებს ერთგვარ „პასუხისმგებლობის რკინის კანონს“, რომლის არსს

შემდეგი თეზისი გამოხატავს - საბოლოო ჯამში ის, ვინც ძალაუფლებას არ იყენებს ისე, როგორც ამას საზოგადოება მიიჩნევს საჭიროდ, კარგავს მას.

სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, თუ როგორი დაჟინებით ცდილობენ მოწინააღმდეგები მისი ძირითადი დებულებების დისკრედიტირებას. ასე, ჩიკაგოს სკოლის ერთ-ერთმა ცნობილმა წარმომადგენელმა მ. ფრიდმენმა სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია დაახასიათა როგორც ფუნდამენტალურად ძირგამოთხრილი დოქტრინა, რომლის ფართო გამოყენება ანგრევს თავისუფალ საზოგადოებას. თუ თავისუფალ ეკონომიკაში, ამტკიცებდა იგი, არსებობს ერთი და მხოლოდ ერთი ბსპ „რესურსების გამოყენება და მოგების გაზრდაზე მიმართული საქმიანობის განხორციელება მანამ, სანამ იგი რჩება თამაშის წესებს იცავს, ე.ი. მონაწილეობს თავისუფალ ღია კონკურენციაში ყოველგვარი სიცრუისა და თაღლითობის გარეშე“ ამ მოსაზრებას მ. ფრიდმენი განსაკუთრებით თანმიმდევრობით ატარებდა სტატიაში სახელწოდებით –„ბსპ მდგომარეობს მოგების ზრდაში“. სოციალური პასუხისმგებლობის უბრალოდ აღიარებაც კი, მისი აზრით, „განამტკიცებს ისედაც არსებულ მოსაზრებას იმაში, რომ მოგებისადმი ლტოლვა ცუდი და ამორალურია და იგი უნდა გაკონტროლდეს გარკვეული ძალებით“. როგორც კი ეს მოსაზრება აღიარებული იქნება, განაგრძობს ფრიდმენი, ბაზრის ალაგმვას დაიწყებს არა მმართველთა „სოციალური სინდისი“, როგორი მაღალგანვითარებულიც არ უნდა იყოს იგი, არამედ „მმართველი ბიუროკრატების რკინის მუშტი“.

შეუძლებელია არ დავეთანხმოთ იმ მკვლევარებს, რომელთა მოსაზრებით ბიზნესის მიერ მთლიანობაში ფართო შეხედულების აღიარება კორპორაციების სოციალურ როლზე განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა კორპორაციებსა და საზოგადოებას შორის უწყვეტი კავშირის არსებობის გაცნობიერება, საკუთ-

რების გამოყოფა მართვისაგან, თავისუფალი მეწარმეობის იდეოლოგიისა და პრაქტიკის კრიზისი, ბაზრის „უხილავი ხელის“ როგორც სოციალურ და ეკონომიკურ ურთიერთობათა მთავარი და ერთადერთი რეგულატორის კლასიკური წარმოდგენის კრიზისი. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ კერძო მეწარმეობის სისტემა სრულებითაც არ არის საყოველთაო კეთილდღეობის გარანტი. საქმიან წრეებში გაბატონებულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ კერძო მეწარმეობის სისტემა საზოგადოების ყველა წევრისათვის მაქსიმალური კეთილდღეობის მიღწევის შესაძლებლობას იძლევა, სულ უფრო მეტი ადამიანი აყენებს ეჭვქვეშ.

ცხადია, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზაციის დანახარჯები შესაძლებელია წინააღმდეგობაში მოვიდეს კორპორაციების ფუძემდებლურ პრინციპებთან, სახელდობრ, მოგების მაქსიმიზაციასთან წარმოების დანახარჯების ზრდის შედეგად. მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ეს დანახარჯები ანაზღაურდება იმით, რომ იზრდება კორპორაციის პრესტიჟი და შესაბამისად ლეგიტიმურობა საზოგადოების თვალში, რამაც არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს მის მდგომარეობაზე და საქმიანობის ეფექტიანობაზე.

გრძელვადიან პერსპექტივაში კორპორაციების მონაწილეობა სოციალურ საქმიანობაში მოგების მაქსიმიზაციის შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნულთან დაკავშირებით სპეციალისტები ასეთი საქმიანობიდან სარგებელს შორის აღნიშნავენ დანახარჯების შემცირებას, რომელიც აუცილებელია ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების წინაშე დასაცავად, ძვირადღირებული სახელმწიფო ჩარევის შედეგების, სოციალური უწესრიგობების შედეგად წარმოქმნილი საწარმოს ქონების ზიანით გამოწვეული დანაკარგების შემცირება და ა.შ. არანაკლებ მნიშვნელოვანია ბიზნესის სოციალური საქმიანობის სტიმულირებისათვის სახელმწიფოს მიერ აუცილებელი საკანონმდებლო

ზღვარის და „სოციალური ინვესტიციების“ მომგებიანობის პირობების უზრუნველყოფა.

სახელმწიფოს მასტიმულირებელ ფუნქციათა რიცხვს მიეკუთვნება ბიზნესისათვის სახელმწიფოებრივი კონტრაქტების და სტიმულების შემოთავაზება, ყველა საწარმოსათვის მოქმედების ერთიანი სავალდებულო ნორმების დადგენა, დასჯის მექანიზმის დანერგვა იმ ფირმებისთვის, რომლებიც არ იცავენ თამაშის დადგენილ წესებს და ა.შ.

დიდი მნიშვნელობა აქვს კორპორაციებს და საზოგადოებას შორის კომუნიკაციების გაუმჯობესებას, კორპორაციების მიერ საზოგადოების მოთხოვნილებების გამოვლენის და მათზე ოპერატიულად რეაგირების უნარს. როგორც ზოგიერთი ავტორი მიუთითებს, ხშირად პრობლემა მდგომარეობს არა იმდენად კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის ფუნქციების განაწილებაში, რამდენადაც ეფექტიანი მექანიზმის შექმნაში, რომელიც უზრუნველყოფს მათ პასუხისმგებლობას თავიანთი მოვალეობის შესრულებაზე.

მთლიანობაში სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია გულისხმობს საზოგადოების ყველა სფეროს, მ.შ. საზოგადოებისა და კორპორაციების მჭიდრო უთრიერთკავშირის აღიარებას, და აქედან გამომდინარე, ითვალისწინებს ფართო სოციალური ვალდებულებების კორპორაციებზე დაკისრების აუცილებლობას. მათი აზრით, ხელმძღვანელობს რა სოციალური პრიორიტეტების სისტემით, რომელიც განისაზღვრება მთავრობის მიერ და მოქმედებს რა მომგებიანობის კრიტერიუმის საფუძველზე, კორპორაციები ხელს უწყობენ სოციალური სისტემის სრულყოფას, რომლის მიზნები გამოხატავს მოსახლეობის ფართო ფენების მოთხოვნილებებს.

მაგრამ ამასთან, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ არ შეიძლება კორპორაციების წარმოდგენა ერთიან მონოლიტად, რომელიც მთელი საზოგადოების ინტერესების გამომხატველი

მიზნებისა და ამოცანათა კომპლექსის რეალიზაციისათვის მოქმედებს. როგორც მართებულად აღნიშნავდა კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი ნ. ჩემბერლენი, კორპორაციები მძლავრ დომინირებულ ძალას წარმოადგენს თანამედროვე ინდუსტრიულად განვითარებულ საზოგადოებაში, მაგრამ მათი ერთობლივი სიმძლავრე არ არის გაერთიანებული, კოლექტიური, არ არის ორგანიზებული, რათა მან შეძლოს საზოგადოების საჭირბოროტო პრობლემების გადაწყვეტაზე ორიენტირება. ერთიანი ორგანოს არარსებობის გამო, რომელსაც შესწევს უნარი უზრუნველყოს შეთანხმებული მოქმედება, კორპორაციები ხშირად მთავრობის პოლიტიკური კურსის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ, თვლიან რა, რომ სახელმწიფო ჩარევის მექანიზმების განმტკიცება შეიძლება მათ პოზიციებს დაემუქროს. ამიტომ შეიძლება ჩემბერლენი მართალიცაა, როდესაც ამბობს, რომ ბიზნესმენებს ფართომასშტაბიან ინსტიტუციონალურ რეფორმას ურჩევნიათ მცირე, თანდათანობითი ცვლილებები, რომლებიც უწინარეს ყოვლისა კორპორაციული სისტემის ინტერესებიდან გამომდინარეობს, ე.ი. ისინი მზად არიან იკისრონ შეზღუდული პასუხისმგებლობა.

თუმცა ასეთი შეზღუდული პასუხისმგებლობის რეალიზაციაც კი მთელი რიგი ფაქტორით იზღუდება, მ.შ. უწ. ყოვლისა, მოგების მიღების მოსაზრებით სხვა კორპორაციებთან კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად, და მოცულობისა და ზრდის ტემპების შენარჩუნებისკენ სწრაფვით, ნიჭიერი მუშაკების მოსაზიდად ან ძველი გამოცდილი კადრების შესანარჩუნებლად. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია აღინიშნოს, რომ კორპორაციების სოციალური პასუხისმგებლობის პრობლემა არ წამოიჭრებოდა, თუკი ნებისმიერი სასარგებლო, როგორც საზოგადოების მიზნებიდან, ისე ბიზნესის ინტერესებიდან გამომდინარე, რესურსების გამოყენება მომგებიანი იქნებოდა. სოციალური მიზნების რეალიზაციაზე გაწეული ხარჯები ფირმების მოგებას

აკლდება. ესაა, მაგალითად, დანახარჯები განათლებაზე და კერძოდ, სამუშაო ძალის მომზადებაზე.

მაგრამ, ასე თუ ისე, კორპორაციას უკვე არ შეუძლია უარყოს თავისი პასუხისმგებლობა როგორც საზოგადოების, ისე თავიანთი მუშაკების წინაშე. ეს ფაქტი მით უფრო ანგარიშგასაწევია, თუ ვაღიარებთ, რომ თანამედროვე კორპორაცია თავისი მოცულობით და საქმიანობის მასშტაბებით წარმოადგენს უფრო საზოგადოებრივ, ვიდრე კერძო ინსტიტუტს. სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფების პრეტენზიებისა და დაპირისპირების დარეგულირებაში მონაწილეობით, წმინდა ეკონომიკურ ფუნქციებთან ერთად, იგი პოლიტიკურ ფუნქციებსაც ასრულებს. იმ შემთხვევაშიც კი, როცა კორპორაციების მოქმედების თავისუფლება იზღუდება სახელმწიფოს მიერ ან რაიმე სხვა ფაქტორით, კორპორაცია მოქმედებს ისეთ საზოგადოებრივ გარემოში, სადაც მას ეფექტიანი ფუნქციონირება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საზოგადოებას დაარწმუნებს თავისი მოქმედების სისწორეში.

ამავე დროს საზოგადოებას, თავის მხრივ, უფლებამოსილია ელოდოს ბიზნესისაგან სოციალური პასუხისმგებლობის ამა თუ იმ დონეს ისეთ საკითხებში, როგორიცაა გარემოს დაცვა, ტრანსპორტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების მატერიალური უზრუნველყოფა და ა.შ. მაგრამ ბიზნესის ტექნიკური, ფინანსური და სხვა შესაძლებლობები ამ მხრივ შეუზღუდავი არ არის. ამა თუ იმ კორპორაციის ან მთლიანობაში ბიზნესის შესაძლებლობების შეფასებისას არ შეიძლება იმ ფაქტის დავიწყება, რომ ნებისმიერი საქმიანი საწარმოს სიცოცხლისუნარიანობის და არსებობის მთავარი პირობაა მისი ეკონომიკური რენტაბელობაა. კორპორაციების სოციალური როლის შეფასებაში მთავარი სირთულე მდგომარეობს ასეთი შეფასების რაიმე მკაფიოდ შემუშავებული კრიტერიუმების არარსებობაში.

უნდა აღნიშნოს, რომ ევროპაშიც რეგულარულად ტარდება

ანალიტიკური გამოკვლევები CSR-ს სფეროში.

2000 წელს უმაღლესი დონის მსოფლიო შეხვედრაზე "სოციალური განვითარების უზრუნველყოფა ყველასათვის" გაეროს მაშინდელი სახელმწიფო მდივნის კ. ანანის მიერ წარმოდგენილ იქნა მოხსენება "კერძო სექტორის სოციალური პასუხისმგებლობის როლის შესახებ ხელმძღვანელი პრინციპების შემუშავება". გაეროს აღნიშნულ დოკუმენტში: მოცემულია ცნებები და განმარტებები, რომლებიც ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ელემენტების ფორმირების, მისი ფორმების განვითარების დონის შეფასების საშუალებას იძლევიან; მოცემულია მიღებული ინიციატივების ზოგადი მიმოხილვა (პირველ რიგში, ქცევის კოდექსის შემუშავების); ჩამოყალიბებულია სამთავრობათაშორისო მიდგომები ბსპ-ს მიმართ; განსაზღვრულია CSR-ს საერთაშორისო სტანდარტის მექანიზმები; მოცემულია დასკვნები და რეკომენდაციები.

1.2. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის გლობალური ტენდენციები[1]

კორპორაციული პასუხისმგებლობის ფორმები ათწლეულების მანძილზე ვითარდებოდა და ზუსტდებოდა. ეს ფორმები ასახავენ საზოგადოების მოთხოვნებს და მოლოდინებს კონკრეტულ ეპოქაში და, შესაბამისად, ჩნდებიან საზოგადოების ინტერესების და მოთხოვნის ცვლილების კვალობაზე.

თანამშრომლებთან ურთიერთობა/შრომითი სტანდარტები და კეთილსინდისიერი ბიზნეს საქმიანობა, დაახლოებით ერთი საუკუნის წინ გახდა განსაკუთრებით აქტუალური. სხვა საკითხები, როგორიცაა ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა, კორუფციასთან ბრძოლა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა,

[1] მასალა გადმოტანილია ვებგვერდიდან CSR ჰაბი (https://csrgeorgia.com), ნაშრომის ავტორია ლელა ხოფერია

თანდათანობით დამკვიდრდა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, ამ საკითხების აქტუალიზაციის შედეგად. მომავალში შესაძლებელია კორპორაციული პასუხის-მგებლობის სფეროს ახალი ფორმები აღმოცენდეს და გახდეს აქტუალური და მნიშვნელოვანი.

ადამიანის უფლებათა დაცვა კორპორაციული პასუხისმგებლობის კონტექსტში

ადამიანის უფლებათა დაცვა და პატივისცემა ნებისმიერი საწარმოს სოციალური პასუხისმგებლობის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევა და თანაბრად მოეთხოვება ყველა ორგანიზაციას.

პასუხისმგებელმა ორგანიზაციამ პატივი უნდა სცეს ადამია-ნის უფლებებს და აღიაროს ამ უფლებათა მნიშვნელობა. ერთი მხრივ, თავად ორგანიზაციამ არ უნდა დაარღვიოს ეს უფლებები, ხოლო მეორე მხრივ, როდესაც ეს უფლებები ირღვევა სხვათა მიერ, არ უნდა იყოს უმოქმედოდ, ანუ თავისი პასიურობით არ უნდა აღმოჩნდეს ადამიანის უფლებათა დარღვევის თანამონაწილე.

კერძოდ, პასუხისმგებელმა ორგანიზაციამ უნდა:

- პატივი სცეს და დაიცვას ადამიანის საერთაშორისოდ აღიარებული უფლებები და აღიაროს ამ უფლებათა საყოველთაო ხასიათი
- დაიცვას ადამიანის უფლებებთან მიმართებით იმ ქვეყა-ნათა ნაციონალური კანონმდებლობა და საერთაშორისო ვალდებულებები, რომლებშიც იგი საქმიანობს
- გამონახოს გზები ადამიანის უფლებათა დარღვევის პრევენციისა და თავიდან აცილების მიზნით, თუ დარღვე-ვები უშუალოდ უკავშირდება მის ბიზნეს საქმიანობას, პროდუქციას ან სერვისებს მაშინაც კი, როდესაც კომპანია უშუალოდ არ არის ამგვარი დარღვევების მიზეზი
- ჩაატაროს სათანადო შემოწმება ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, კომპანიის ზომის, საქმიანობისა

და ადამიანის უფლებების დარღვევის რისკების სერიოზულობის გათვალისწინებით

- იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის საქმიანობა რაიმე სახის უარყოფით ზეგავლენას ახდენს ადამიანის უფლებათა დაცვაზე, ითანამშრომლოს სამთავრობო და სხვა უწყებებთან ამ ზიანის გამოსწორების მიზნით
- ისეთ სიტუაციებში, სადაც ადამიანის უფლებები არ არის დაცული, გადადგას ნაბიჯები მათ დასაცავად და არ გამოიყენოს ეს სიტუაციები თავის სასარგებლოდ
- როდესაც ქვეყნის კანონმდებლობა ან მისი განხორციელების ხარისხი არ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა სათანადო დაცვას, იხელმძღვანელოს საერთაშორისო შეთანხმებებითა და სტანდარტებით ამ სფეროში
- შეიარაღებული კონფლიქტის სიტუაციაში პატივი სცეს ჰუმანურობის საერთაშორისო სტანდარტებს.

ზოგადად, კომპანიის საქმიანობა შეიძლება გავლენას ახდენდეს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ მრავალ საკითხზე. თუმცა ყოველი კომპანიისათვის, მისი საქმიანობის სპეციფიკის, ზომის, ადგილმდებარეობის და მრავალი სხვა ფაქტორის გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა სხვადასხვა ასპექტი იქნება ყველაზე აქტუალური, შესაბამისად, განსხვავებული იქნება ადამიანის უფლებათა შელახვის რისკის სფეროები და მასშტაბი. ამიტომ, არსებითია, რომ ორგანიზაციამ გააანალიზოს საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა დარღვევის შესაძლო საფრთხეები და ამის საფუძველზე შეიმუშაოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკუთარი პოლიტიკა.

გარკვეული გარემოებების, სიტუაციებისა და საქმიანობების ფარგლებში უფრო მაღალია ალბათობა იმისა, რომ ორგანიზაცია დადგება ადამიანის უფლებათა დარღვევის რისკის წინაშე. სოციალური პასუხისმგებლობის საერთაშორისო სტანდარტის, ISO26000-ის თანახმად, ესენია:

- საქმიანობა კონფლიქტის და პოლიტიკურად არასტაბილურ ზონებში, საქმიანობა არადემოკრატიულ სახელმწიფოებში, სადაც არ არის დაცული პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები
- საქმიანობა ისეთ კულტურულ სისტემებში, სადაც მაღალია კორუფციის დონე და სადაც კორუფცია დასაშვებად მიიჩნევა
- სიღარიბის მაღალი დონე, გვალვა, ბუნებრივი კატასტროფები და ჯანმრთელობის სერიოზული საფრთხეები
- წიაღისეულის მოპოვება ან სხვა მსგავსი საქმიანობა, რომელმაც სერიოზული ზიანი შეიძლება მიაყენოს ბუნებრივ რესურსებს, როგორიცაა წყალი ან ტყე, დააბინძუროს ატმოსფერო ან დაშალოს თემები
- ორგანიზაციის საქმიანობის და ობიექტების სიახლოვე ძირძველი ხალხების დასახლებებთან
- საქმიანობები, რომლებშიც შეიძლება ჩართული იყონ ბავშვები;
- მიწოდებისა და წარმოების კომპლექსური ჯაჭვები, სადაც მაღალია ალბათობა არალეგალური სამუშაოს გამოყენებისა, რომელიც არ არის დაცული კანონით
- საქმიანობა ისეთ სიტუაციებში, როდესაც საჭიროა ორგანიზაციის მიწების და ობიექტების, აგრეთვე სხვა ქონების გაძლიერებული დაცვა.

ასეთ სიტუაციებში ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ადამიანის უფლებათა საკითხებს.

დღეისათვის შემუშავებულია მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, რომლებიც სახელმწიფოთა მთავრობების და საზოგადოების სხვადასხვა სუბიექტის, მათ შორის ბიზნეს კომპანიების, ქცევის სტანდარტებს აყალიბებს ადამიანის უფლებათა სფეროში.

CSR-ის საერთაშორისოდ აღიარებულ ინიციატივათა და სტანდარტთა უმრავლესობა ადამიანის უფლებათა კომპონენტებს შეიცავს, რაც პასუხობს საზოგადოების მზარდ მოთხოვნას, რომ ბიზნესი ჩართული იყოს ადამიანის უფლებათა დაცვაში.

გარემოს დაცვა

ყოველი ორგანიზაცია - დიდი თუ მცირე, ქარხანა, მაღაზია თუ უნივერსიტეტი, გარკვეულ ზეგავლენას ახდენს ბუნებრივ გარემოზე საკუთარი საქმიანობით. ზეგავლენის ხასიათი და მასშტაბი განსხვავდება კომპანიის ზომის, მდებარეობის, სექტორის მიხედვით, თუმცა არ არსებობს ორგანიზაცია, რომელიც არანაირ ზეგავლენას არ ახდენს გარემოზე. შესაბამისად, გარემოს დაცვა CSR-ის მნიშვნელოვანი და არსებითი თემაა ნებისმიერი კომპანიისათვის. ის მჭიდროდ უკავშირდება CSR-ის სხვა ასპექტებსა და კომპონენტებს.

მე-20 საუკუნეში ტექნოლოგების სწრაფ განვითარებას, საწარმოო რევოლუციას და გლობალიზაციას, მრავალ დადებით შედეგთან ერთად, მოჰყვა ახალი გამოწვევები და სირთულეები, მათ შორის სერიოზული გარემოსდაცვითი გამოწვევები, რომელთა შორისაა: გლობალური დათბობა და ეკოლოგიური კატასტროფები, სახეობათა გადაშენება

სასმელი წყლის ნაკლებობა, ნარჩენების ჭარბი რაოდენობა, რესურსების ნაკლებობა

მოსახლეობის ზრდისა და, შესაბამისად, წარმოების და მოხმარების მოცულობის ზრდასთან ერთად, აღნიშნული პრობლემები სულ უფრო სერიოზულ საფრთხეს უქმნის კაცობრიობას. ამიტომ, ვერც ერთი ორგანიზაცია გვერდს ვერ აუვლის გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას, რაც ადამიანების გადარჩენისა და კეთილდღეობის წინაპირობაა.

ორგანიზაციის საქმიანობის ზეგავლენა გარემოზე

ორგანიზაციის საქმიანობით, პროდუქციითა თუ სერვისებით ბუნებრივ გარემოზე მოხდენილი ზეგავლენა, ძირითადად უკავშირდება შემდეგ ფაქტორებს:

ორგანიზაციის მიერ ბუნებრივი რესურსების გამოყენება (მასალის/ნედლეულის, სუფთა წყლის, ენერგომატარებლების მოხმარება);

ნარჩენების წარმოქმნა (როგორც მყარი, ისე თხევადი ნარჩენებისა);

ჰაერის და წყლის დაბინძურება;

გლობალურ დათბობაში ორგანიზაციის საქმიანობით შეტანილი წვლილი;

ორგანიზაციის საქმიანობის ზეგავლენას ბუნებრივ ეკოსისტემებსა და ბიომრავალფეროვნებაზე;

ნებისმიერი ორგანიზაციისთვის ეს ზეგავლენები და მათი მასშტაბი განსხვავებული იქნება. ამდენად, ყოველი კომპანია საკუთარ გარემოსდაცვით სტრატეგიას და აქტივობებს გეგმავს მისი საქმიანობით გარემოზე მოხდენილი ზეგავლენების და პოტენციური რისკების შესაბამისად.

გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის მიმართულებები

გარემოზე კომპანიის საქმიანობით მოხდენილი ზეგავლენების მიხედვით, კომპანიათა გარემოსდაცვითი პროგრამების და ინიციატივების ძირითადი მიმართულებები შემდეგია:

გარემოს დაბინძურების პრევენცია და შემცირება

ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული დაბინძურების წყაროები შეიძლება იყოს: გაფრქვევები ჰაერში, წყალჩაშვებები, ნარჩენები. ტოქსიკური და სახიფათო ქიმიური ნივთიერებების გამოყენება და ტოქსიკური ნარჩენების წარმოქმნა, სხვა ტიპის დაბინძურება (ხმაურით და გამოსხივებით, ვიზუალური, თერმული, რადიოაქტიური დაბინძურება).

ორგანიზაციის ინიციატივები ამ სფეროში მიზნად ისახავს ყოველგვარი დაბინძურების პრევენციას, შემცირებას და მართვას სხვადასხვა მეთოდებით, მაგ. ნარჩენების წარმოქმნის შემცირებას, წარმოქმნილი ნარჩენების რეციკლირებასა და ხელმეორე გამოყენებას, ბიოდეგრადირებადი მასალის და შეფუთვების გამოყენებას, ფილტრებისა და უსაფრთხოების სისტემების დამონტაჟებას, თხევადი ნარჩენების შედგენილობისა და ტოქსიკურობის კონტროლს, გაფრქვევების, ქიმიური და სახიფათო ნარჩენების კონტროლს და ა. შ.

რესურსების მდგრადი გამოყენება

ორგანიზაციას შეუძლია მიაღწიოს რესურსების მდგრად გამოყენებას, თუ ეფექტიანად მოიხმარს ელექტროენერგიას, საწვავს, მასალას, ნიადაგსა და წყალს, შეათავსებს ენერგიის განახლებად და არაგანახლებად წყაროებს. რესურსების ეფექტიანი მოხმარების ძირითადი მიმართულებებია:

ეფექტიანი ენერგომოხმარება (ენერგოდამზოგი ღონისძიებების გატარებით, ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებითა და ენერგოდანაკარგების შემცირების გზით, ენერგიის განახლებადი წყაროების გამოყენებით)

წყლის კონსერვაცია და მოხმარების შემცირება (წყლის რეციკლირებითა და/ან მეორადი გამოყენების, მოხმარების შემცირებისა და სხვა ღონისძიებების მეშვეობით)

მასალის და ნედლეულის მოხმარების შემცირება (რეციკლირებისა და ხელმეორე გამოყენების და სხვა ღონისძიებების მეშვეობით)

გლობალურ დათბობაზე ზემოქმედების შემცირება

ყოველ ორგანიზაციას თავისი საქმიანობით წვლილი შეაქვს გლობალურ დათბობაში, რაც უკავშირდება მისი საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ სათბურის აირებს (GHG emissions). ნებისმიერი ორგანიზაცია პასუხისმგებელია, რომ შეამციროს საკუთარი საქმიანობით, საწარმოო პროცესებით, ტრანსპორტი-

რებით, ენერგიის მოხმარებით და ა.შ. გამოწვეული სათბურის აირების პირდაპირი თუ არაპირდაპირი გაფრქვევები, რაც შესაძლებელია არაგანახლებადი საწვავის მოხმარების შემცირებისა და განახლებადი ენერგორესურსებით მისი ჩანაცვლების, ტრანსპორტირების შემცირების გზით, ნახშირორჟანგის გაფრქვევების კომპენსირების ინიციატივებით და სხვა.

ბიომრავალფეროვნების დაცვა და ეკოსისტემების აღდგენა

ბუნებრივი რესურსების მოხმარების მზარდი ტემპი იწვევს ეკოსისტემების რღვევას და ბიომრავალფეროვნების დაკარგვას. ყოველი ორგანიზაციის პასუხისმგებლობაა გამოავლინოს და შეაფასოს საკუთარი საქმიანობის ზეგავლენა ეკოსისტემებსა და ბიომრავალფეროვნებაზე და განახორციელოს ინიციატვები ამ ზეგავლენის შესამცირებლად, აგრეთვე ეკოსისტემების აღდგენის მიზნით.

ამ მიმართულებით ძირითადი საკითხებია:

ეკოსისტემების მიმართ ფრთხილი დამოკიდებულება, მათი დაცვა და აღდგენა

ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და აღდგენა

მიწის/ნიადაგისა და ბუნებრივი რესურსების პასუხისმგებლობით გამოყენება

გარემოს დამზოგველი ურბანული და სოფლის განვითარების ხელშეწყობა.

ცხადია, სხვადასხვა კომპანიათა საქმიანობის ზეგავლენა ბუნებრივ გარემოზე განსხვავებული იქნება, მათი ზომის და საქმიანობისა სპეციფიკის შესაბამისად, ამიტომ განსხვავებული იქნება კომპანიათა გარემოსდაცვითი პროგრამების ძირითადი მიმართულებებიც. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული კომპანიის გარემოსდაცვითი პროგრამა მასზე იყოს მორგებული, რათა უპასუხოს ამ კონკრეტული კომპანიის წინაშე არსებულ გარემოსდაცვით რისკებს და მის მიერ გარემოზე მოხდენილ ზეგავლენებთან იყოს შესაბამისობაში.

მწვანე ოფისი

კომპანიები, რომელთაც არა აქვთ საწარმოები ან გასაღების ობიექტები და რომელთა საქმიანობა ძირითადად ოფისებში მიმდინარეობს (მაგ. საკონსულტაციო კომპანიები, საადვოკატო და არქიტექტურული ფირმები, სარეკლამო კომპანიები, ბანკები და სადაზღვევო კომპანიები, სასწავლო დაწესებულებები და ა.შ.) ხშირად მიიჩნევენ, რომ ისინი არ ახდენენ გარემოზე ზეგავლენას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა მათთვის არ არის რელევანტური, რაც მცდარია. ნებისმიერი ზომის, ნებისმიერ სექტორში მოქმედი ორგანიზაცია გარკვეულ ზეგავლენას ახდენს გარემოზე.

ოფისის საქმიანობის ზეგავლენა გარემოზე განისაზღვრება:

მასალის და პროდუქციის - მაგალითად საოფისე ქაღალდის, კარტრიჯების, საწერი კალმების მოხმარებით;

ელექტროენერგიის მოხმარებით გათბობის, გაგრილებისა და განათებისათვის, ასევე პრინტერების, პროექტორების და კომპიუტერების და სხვა ტექნიკის ფუნქციონირებისათვის;

სუფთა წყლის მოხმარებით და ნარჩენი წყლების წარმოქმნით ტუალეტების, კაფეს ფუნქციონირებისას;

სხვადასხვა ტიპის ნარჩენების წარმოქმნით, როგორიცაა - მოხმარებული ქაღალდი, საკვები და შეფუთვა, ერთჯერადი ჭიქები, პლასტიკის ბოთლები, პრინტერების კარტრიჯები.

არაპირდაპირ ზეგავლენებს გარემოზე (რომლებიც ასევე კომპანიის პასუხისმგებლობის სფეროს მიეკუთვნება) უკავშირდება თანამშრომელთა და კლიენტთა ოფისში მგზავრობით გამოწვეული ზეგავლენები (გამონაბოლქვი, სათბურის აირები, საწვავის მოხმარება), მიმწოდებელთა საქმიანობის ზეგავლენა გარემოზე და ა.შ.

ამ ზეგავლენების შემცირებისა და მართვის საუკეთესო და საკმაოდ გავრცელებულ გზას „მწვანე ოფისი“ წარმოადგენს.

გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ძირითადი პრინციპები და მიდგომები.

სხვადასხვა კომპანიის გარემოსდაცვითი პროგრამები განსხვავებულია: თითოეული კომპანია კონცენტრირდება მისი საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის სფეროებზე, მათი ფარდობითი მნიშვნელობისა და მასშტაბის გათვალისწინებით.

თუმცა, საერთაშორისო და საექსპერტო ორგანიზაციებს ჩამოყალიბებული აქვთ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის პრინციპები და საქმიანობის მიდგომები, რომლებიც თანაბრად რელევანტური და გასათვალისწინებელია ნებისმიერი კომპანიისათვის. ესენია:

კანონმდებლობასთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა. ქვეყნის გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესრულების გარდა, ორგანიზაციამ თავის თავზე უნდა აიღოს მეტი პასუხისმგებლობა, რათა მართოს და შეამციროს საკუთარი საქმიანობითა და პროდუქციით გარემოზე მოხდენილი უარყოფითი ზეგავლენა, უპასუხოს საერთაშორისო გარემოსდაცვითი სტანდარტების მოთხოვნებს, რომლებიც ბევრი ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაზე უფრო მაღალ მოთხოვნებს აწესებს.

გარემოსდაცვითი რისკების მართვა. ორგანიზაციამ უნდა დანერგოს და განახორციელოს პროგრამები საკუთარ საქმიანობასთან, პროდუქციასა და სერვისებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი რისკების გამოვლენის, შეფასების და თავიდან აცილების მიზნით; ასევე უნდა შეიმუშაოს პროცედურები კრიტიკულ სიტუაციაში (ავარიები, გაჟონვები და ა.შ.) მოსალოდნელი შედეგების განეიტრალების, მთავრობისა თუ საზოგადოებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდების და საკომპენსაციო ღონისძიებების განსახორციელებლად.

პროდუქციის და სერვისების გარემოზე ზემოქმედების მართვა სასიცოცხლო ციკლის მანძილზე. ორგანიზაცია ცდილობს პროდუქტების და მომსახურების გარემოზე ზემოქმედების

შემცირებას და მართვას მათი სრული სასიცოცხლო ციკლის მანძილზე, ანუ ნედლეულის მოპოვებიდან წარმოების მთელი ჯაჭვის და ნარჩენების განთავსების ჩათვლით (უფრო გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენს უშუალოდ წარმოების პროცესის ოპტიმიზაცია, თუმცა, ზოგიერთი პროდუქტი შეიძლება ბევრად უფრო მავნე ზეგავლენას ახდენდეს გარემოზე მისი მოხმარების ან ნარჩენების განთავსების ეტაპებზე, ვიდრე წარმოების ეტაპზე).

პრევენციული პრინციპის გათვალისწინება საქმიანობაში. პრევენციული პრინციპი ეფუძნება „რიოს დეკლარაციას გარემოსა და განვითარებაზე“ და გულისხმობს, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს ბუნებრივ გარემოსა თუ ადამიანების ჯანმრთელობისათვის სერიოზული ზიანის მიყენების საფრთხე, ორგანიზაციებმა წინსწრებით უნდა გადადგან ქმედითი ნაბიჯები და განახორციელონ ინიციატივები გარემოსთვის ზიანის მიყენების პრევენციის მიზნით, მაშინაც კი, როდესაც რისკის არსებობა მაღალია, მაგრამ არ არის უდავოდ დასაბუთებული მეცნიერულად, „ხოლო სრულყოფილი სამეცნიერო მტკიცებულებების არარსებობა არ უნდა გახდეს ამ ღონისძიებათა გადავადების საბაბი“.

პრინციპი "ვინც აბინძურებს, ის იხდის". ორგანიზაციამ უნდა დაფაროს მისი საქმიანობით ან პროდუქციითა და სერვისებით გამოწვეული გარემოს დაბინძურების/გარემოსათვის მიყენებული ზიანის გამოსასწორებლად საჭირო ხარჯები (მიყენებული ზიანის მასშტაბისა და გამოსასწორებელი ღონისძიებების ღირებულების გათვალისწინებით).

გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემების დანერგვა. გარემოზე ზემოქმედების შედეგების მართვა, რისკების შემცირება და საბოლოო უპირატესობების მიღწევა შეუძლებელია სათანადო მენეჯმენტის სისტემებისა და პროცესების გარეშე. ორგანიზაციებმა სათანადო გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემები (მაგ. ISO 14000 გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემა და სხვა) უნდა

დანერგონ საკუთარ საქმიანობაში, რაც გარემოსდაცვითი საკითხებისადმი კომპლექსურ და თანმიმდევრულ მიდგომას უზრუნველყოფს.

გარემოზე ზემოქმედების შეფასება. გარემოზე ზემოქმედების შეფასება არის ფორმალიზებული პროცესი, რომელიც გულისხმობს კონკრეტული პროგრამის, საქმიანობის, საწარმოო პროცესის შესაძლო ზეგავლენის შეფასებას გარემოზე და ადამიანთა ჯანმრთელობაზე. ამგვარი შეფასება უზრუნველყოფს, რომ პროექტის თუ საქმიანობის ზეგავლენა გარემოზე გათვალისწინებულია დაგეგმვისა და დაფინანსების ეტაპებიდანვე. ახალი პროექტის/საქმიანობის დაწყების წინ ორგანიზაციამ უნდა შეაფასოს მისი შესაძლო ზეგავლენა გარემოზე და ამ შეფასების შედეგებზე დაყრდნობით მიიღოს გადაწყვეტილებები.

ეკოეფექტურობა და გარემოს დამზოგავი ტექნოლოგიების და პროცესების შემუშავება.

ეკოეფექტურობა არის მიდგომა, რომლის მიზანია უკეთესი შედეგების მიღწევა ნაკლები რესურსების გამოყენებით, ნაკლები ნარჩენების წარმოქმნით და გარემოს ნაკლებად დაბინძურებით. ორგანიზაცია ცდილობს მიაღწიოს ეკოეფექტურობას რესურსების ეფექტიანი/ეკონომიური გამოყენებით, განახლებადი რესურსების გამოყენებით, ენერგიის მოხმარების შემცირებით, ნარჩენების მართვით და რეციკლირებით. პასუხისმგებელმა ორგანიზაციამ საკუთარ საქმიანობაში უნდა დანერგოს გარემოს დამზოგავი პროცესები და ტექნოლოგიები. ამასთან, ორგანიზაციამ, როდესაც ეს რელევანტურია, სხვადასხვა გზით ხელი უნდა შეუწყოს გარემოს დამზოგავი ახალი ტექნოლოგიების შემუშავებას (მაგ., კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობით, კვლევითი პროექტების თანადაფინანსებით და ა. შ.).

მდგრადი/მწვანე შესყიდვები. ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს მის მიერ შესასყიდი პროდუქციის, მასალის, სერვისების არა მხოლოდ ფასი და ხარისხი, არამედ აგრეთვე მათი

ზეგავლენა ბუნებრივ გარემოზე და ისე მიიღოს შესყიდვის გადაწყვეტილება. ორგანიზაციამ, შესაძლებლობის ფარგლებში, უპირატესობა უნდა მიანიჭოს გარემოს დამზოგავ პროდუქციას და სერვისებს, რომლებიც ნაკლებ ზემოქმედებას ახდენს გარემოზე.

გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება. ორგანიზაციამ სხვადასხვა ინიციატივების მეშვეობით ხელი უნდა შეუწყოს კომპანიის მომხმარებლების, თანამშრომლების, მიმწოდებლების და საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებასა და გარემოს დამზოგავი ქცევის (გარემოსადმი ფრთხილი დამოკიდებულების) ჩამოყალიბებას.

CSR და დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია

დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია და თანამშრომლობა (ანუ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა), მათი მოსაზრებებისა და საჭიროებების გათვალისწინება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის არსებითი კომპონენტია.

პასუხისმგებელი კომპანია: დიალოგში უნდა იყოს საკუთარ დაინტერესებულ მხარეებთან, რათა გაარკვიოს, რა ზეგავლენას ახდენს ამ ჯგუფებზე კომპანიის საქმიანობა, გამოავლინოს მათი მოლოდინები და ინტერესები და გაითვალისწინოს ისინი საკუთარი სტრატეგიისა და

საქმიანობათა დაგეგმვისას; ღიად და გამჭვირვალედ უნდა წარადგინოს ანგარიში დაინტერესებული მხარეებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე; განახორციელოს მდგრადი და ინოვაციური მიდგომები და ინიციატივები, რათა უპასუხოს დაინტერესებულ მხარეთა მოთხოვნებს და საჭიროებებს.

დაინტერესებულ მხარეთა მოსმენა და მათი აზრის გათვალისწინება ეფექტური გზაა ორგანიზაციის გაძლიერებისა და მისი მიზნების მისაღწევად. ეს ეხმარება კომპანიას

გაიაზროს საკუთარ გადაწყვეტილებათა შესაძლო შედეგები და ზეგავლენა სხვადასხვა ჯგუფზე და უკეთ მოახდინოს რისკების პრევენცია; სხვისი თვალით შეხედოს საკუთარ საქმიანობას და

გამოავლინოს ახალი შესაძლებლობები; გაიუმჯობესოს იმიჯი და მოიპოვოს ნდობა.

დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგი აგრეთვე წარმატებული CSR სტრატეგიის შემუშავების და განხორციელების წინაპირობაა და მდგრადი განვითარების ანგარიშგების პროცესის ნაწილია.

კორპორაციული ციფრული პასუხისმგებლობა

უკანასკნელ პერიოდში ციფრულ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული ტექნოლოგიები, რომლის მძლავრი კატალიზატორი 2020 წლის პანდემია გახდა, ბიზნეს კომპანიებს აიძულებს ეძებოს განვითარებისა და ზრდის ახალი შესაძლებლობები უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით. ციფრულმა ტრანსფორმაციამ შეცვალა შრომის ბაზარი და შექმნა ახალი უნარების განვითარების საჭიროება. შესაბამისად, ახალგაზრდების შესაბამისი კომპატენციით, ცოდნითა და უნარ-ჩვევებით უზრუნველყოფა თანამედროვეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა

პანდემიამ ბევრად დააჩქარა ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც ბევრად ცვლის სამეწარმეო საქმიანობას, ბიზნესის წარმართვის წესებს. ბიზნეს სტრუქტურებში (ისევე, როგორც მთლიანად შრომის ბაზარზე) იზრდება მოთხოვნა სპეციალისტებზე, რომლებიც პროფესიონალიზმთან ერთად, ფლობენ ციფრულ კომპეტენციებს და მუდმივად ცვალებად, ზოგჯერ არაპროგნოზირებად ვითარებაში სამუშაო პირობებთან ადაპტირების უნარს. ბიზნესის კვალდაკვალ განათლებას ახალ მოთხოვნებს უყენებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა - ციფრულმა ტრანსფორმაციამ წარმოქმნა ახალი მიმართულება, რომელიც ცვლის მუშაკის დამოკიდებულებას ტექნოლოგიების მიმართ, აგრეთვე აყალიბებს ახალი ტექნოლოგიების ეთიკური გამოყენების აუცილებლობას - კორპორაციული ციფრული პასუხისმგებლობა (Corporate Digital Responsibility (CDR)). თანამედროვეობის კიდევ ერთი გლობალური გამოწვევა -

კლიმატის ცვლილება და გარემოს დაბინძურება (Climate change and environmental degradation), საფრთხეს უქმნის არა მარტო ევროპას, არამედ მთლიანად მსოფლიოს. ევროკავშირის სტრატეგია - ევროკავშირის მწვანე შეთანხმება (EU Green Deal) მიზნად ისახავს რესურსეფექტურ, ეკოლოგიურ და კონკურენტუნარიან ეკონომიკას. საქმე ეხება ეკოლოგიური კულტურის ფორმირების აუცილებლობას, Green Skills და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების დონეს. მნიშვნელოვანი როლი ამ პრობლემების გადაჭრაში ენიჭება CSR-ის კარგად გათვლილ სტრატეგიას.

საკონტროლო კითხვები:

1. რა ფაქტორებმა განაპირობეს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის შემუშავება და პოპულარიზაცია?
2. რას ეფუძნება CSR-ის კონცეფცია?
3. დაახასიათეთ CSR-ის განვითარების ეტაპები;
4. ჩამოთვალეთ და განმარტეთ CSR-ის გლობალური გამოწვევები.

თავი II. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა: შინაარსი, მნიშვნელობა, მოდელები

2.1 კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა: არსი და ფორმები

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის უამრავი განმარტება არსებობს. ყველაზე ზოგადი სახით, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის არის ბიზნესის ზემოქმედება საზოგადოებაზე.

ორგანიზაციები, რომლებიც ოპერირებენ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში, სხვადასხვანაირად განმარტავენ ამ ცნებას; ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანს მოვიყვანთ.

საერთაშორისო ორგანიზაცია *„ბიზნესი სოციალური პასუხისმგებლობისათვის“* ამ ტერმინს განმარტავს, როგორც „კომერციული წარმატების მიღწევას ისეთი საშუალებებით, რომელიც იცავს ეთიკურ პრინციპებს და პატივისცემით ეპყრობა ადამიანებს, საზოგადოებას და გარემოს“.

„ბიზნეს-ლიდერების საერთაშორისო ფორუმი“ - ბსპ-ში იგულისხმება ბიზნესის ისეთი წარმართვა, რომელსაც საზოგადოებისათვის სარგებლობა მოაქვს და ხელს უწყობს სოციალურად, ეკონომიკურად და ეკოლოგიურად მდგრად განვითარებას ბიზნესის საზოგადოებაზე პოზიტიური გავლენის მაქსიმიზაციისა და ნეგატიური გავლენის მინიმიზაციის გზით.

„ბიზნესის მსოფლიო საბჭო მდგრადი განვითარებისათვის“ განსაზღვრავს ბსპ-ს როგორც ბიზნესის ვალდებულებას თავისი წვლილი შეიტანოს მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში, შრომით ურთიერთობებში მუშაკებთან, მათ ოჯახებთან, ადგილობრივ საზოგადოებრივ დაჯგუფებებთან და მთლიანად საზოგადოებასთან მათი ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

„სისტემური ბიზნეს-ტექნოლოგიების ცენტრი „SATIO“:„ბსპ-არის ბიზნესის ნებაყოფლობითი წვლილი საზოგადოების განვი-

თარებისათვის სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ სფეროში, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული კომპანიის ძირითად საქმიანობასთან და სცილდება კანონით დადგენილ მინიმუმს“.

ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას ძირითადად მსხვილი კომპანიები ახორციელებენ, ამიტომაც უკანასკნელ პერიოდში ეკონომიკურ ლიტერატურაში დამკვიდრდა ტერმინი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR).

ევროკომისია თავის დოკუმენტებში ამ ცნების ფართო გააზრებას გვთავაზობს, რომელიც ხაზს უსვამს CSR-ის კავშირს მდგრად განვითარებასთან. ის CSR -ს განსაზღვრავს, როგორც კომპანიათა ნებაყოფლობით გადაწყვეტილებას, გაითვალისწინონ სოციალური და გარემოსდაცვითი ამოცანები საკუთარ ბიზნეს საქმიანობასა და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობაში.

მსოფლიო ბანკის შეხედულებით, CSR მეწარმეების განზრახვაა, ხელი შეუწყონ მდგრად ეკონომიკურ განვითარებას მუშაკებთან, მათ ოჯახებთან, ადგილობრივ საზოგადოებასთან და საზოგადოებასთან, მთლიანობაში, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ბიზნესისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი გზით.

OECD–ის ექსპერტების აზრით, კორპორაციული პასუხისმგებლობა მოიცავს კომერციულ საწარმოთა და საზოგადოებას შორის ურთიერთობების სიგლუვის ხარისხის ეფექტურობას. კორპორაციული პასუხისმგებლობის მთავარი ელემენტია თავად მეწარმეობა.

აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ იურიდიული და სოციალური პასუხისმგებლობა. იურიდიული პასუხისმგებლობის ქვეშ იგულისხმება კონკრეტული კანონების და სახელმწიფოებრივი რეგულირების ნორმების დაცვა, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რა შეუძლია, და რა არ შეუძლია გააკეთოს ორგანიზაციამ. თითოეულ საკითხთან მიმართებით დადგენილია ასობით

და ათასობით ნორმები და ნორმატივები. მაგ., თუ რამდენ ტოქსიკურ ნივთიერებას შეიცავს სამრეწველო ნარჩენები; როგორ გამოირიცხოს დისკრიმინაცია სამსახურში დაქირავებისას; როგორია მინიმალური მოთხოვნები პროდუქციის უსაფრთხოებისადმი; რა ტიპის საქონელი შეიძლება გაიყიდოს სხვა ქვეყნებში და ა.შ. ორგანიზაცია, რომელიც იცავს იმ კანონებსა და ნორმატივებს, იურიდიულად პასუხისმგებელია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი სოციალურად პასუხისმგებელია. სოციალური პასუხისმგებლობა, იურიდიულისაგან განსხვავებით, გულისხმობს ორგანიზაციის მხრიდან სოციალურ პრობლემებზე ნებაყოფლობით გამოხმაურებას.

CSR-ს მრავალსაფეხურიანობა ახასიათებს:

–*საგაზისო დონე* ითვალისწინებს შემდეგი ვალდებულებების შესრულებას: გადასახადების, შრომის ანაზღაურების დროული გადახდა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;

–*მეორე დონე* ითვალისწინებს მუშაკების არა მხოლოდ მუშაობის, არამედ ცხოვრების ადეკვატური პირობებით უზრუნველყოფას: მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება, საცხოვრებელი ბინების მშენებლობა, სოციალური სფეროს განვითარება. პასუხისმგებლობის ასეთ ტიპს პირობითად „კორპორაციულ პასუხისმგებლობას“ უწოდებენ.

–*უმაღლესი დონე* გულისხმობს საქველმოქმედო საქმიანობას.

CSR-ის შიდა და გარე მიმართულებებს განასხვავებენ.

ბიზნესის სოციალურ შიდა პასუხისმგებლობას მიეკუთვნება:

– შრომის უსაფრთხოება;

– შრომის ანაზღაურების სტიმულირება;

– თანამშრომელთა დამატებითი სამედიცინო და სოციალური დაზღვევა;

– ადამიანური რესურსების განვითარება სასწავლო და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების მიხედვით;

– კრიტიკული სიტუაციებში მუშაკებისათვის დახმარების გაწევა.

ბიზნესის სოციალურ გარე პასუხისმგებლობას მიეკუთვნება:

– სპონსორობა და ქველმოქმედება;

– ზრუნვა გარემოს დაცვაზე;

– ურთიერთქმედება ადგილობრივ საზოგადოებრივ დაჯგუფებებთან და ხელისუფლებასთან;

– მზადყოფნა კრიზისულ სიტუაციებში მონაწილეობის მისაღებად;

– საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებს შორის პასუხისმგებლობა (ხარისხიანი საქონლის გამოშვება).

განასხვავებენ აგრეთვე ღია და ფარულ CSR -ს.

CSR-ს ღია ფორმა ნიშნავს კომპანიის ნებაყოფლობით მონაწილეობას ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, რომელშიც დაინტერესებულია საზოგადოება. კომპანია ჩვეულებრივ დამოუკიდებლად განსაზღვრავს პროგრამებსა და სტრატეგიებს, რომლებიც თვით ამ კომპანიის და მის სტეიკჰოლდერების (დაინტერესებული პირების) მიერ აღიქმება როგორც პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე.

CSR-ს ფარული ფორმა გულისხმობს ქვეყნის ოფიციალურ და არაოფიციალურ ინსტიტუტებს, რომელთა მეშვეობით კომპანიების პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი ინსტიტუტების წინაშე შეთანხმებულია კომპანიებთან ან უშუალოდ ეკისრება მათ. ბსპ-ს ფარული ფორმა, ჩვეულებრივ, მოიცავს იმ ფასეულობებს, ნორმებსა და წესებს, რომლებიც ხშირად განაპირობებენ სავალდებულო მოთხოვნებს კორპორაციებთან მიმართებით ისეთ საკითხებში, რომლებსაც ქვეყნის საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები განიხილავს როგორც იურიდიული პირების მოვალეობებს.

აშშ-ს CSR ღია მოდელის, ხოლო დ/ბრიტანეთის – ფარული მოდელის ნიმუშს წარმოადგენს. მათ ჩვენ მოგვიანებით განვიხილავთ. კორპორაციის სოციალური აქტიურობა გამოიხატება

სოციალური პროგრამების[2] განხორციელებაში. სოციალური აქტიურობის პროგრამების განმასხვავებელ თავისებურებებს წარმოადგენს მათი განხორციელების ნებაყოფლობითობა, სისტემური ხასიათი და კორპორაციის განვითარების მისიასთან და სტრატეგიასთან კავშირი.

კორპორაციები შემდეგი ტიპის პროგრამებს განახორციელებენ:

– საკუთარ პროგრამებს;

– სახელმწიფოებრივი მართვის ადგილობრივ, რეგიონალურ და ფედერალურ ორგანოებთან პარტნიორობის პროგრამებს;

– არაკომერციულ ორგანიზაციებთან პარტნიორობის პროგრამებს;

– საზოგადოებრივ ორგანოებთან და პროფესიონალურ გაერთიანებებთან თანამშრომლობის პროგრამებს;

რაც შეეხება კორპორაციული სოციალურ პროგრამების მართვას, იგი შემდეგი ეტაპებისაგან შედგება:

– კორპორაციის სოციალური პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრა;

– სოციალური პროგრამების მართვის სპეციალური სტრუქტურის შექმნა;

– სასწავლო პროგრამების ჩატარება სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში;

– კორპორაციის სოციალური პროგრამების რეალიზაცია;

– კორპორაციის სოციალური პროგრამების შედეგების შეფასება და დაინტერესებულ პირებზე დაყვანა.

---

[2]სოციალური პროგრამები – კორპორაციის მიერ ნებაყოფლობით განხორციელებული საქმიანობაა გარემოს დაცვის, პერსონალის განვითარების, შრომის ხელსაყრელი პირობების შექმნის, ადგილობრივი საზოგადოებრივი დაჯგუფებების ხელშეწყობის მიმართულებით, საქველმოქმედო საქმიანობა და კეთილსინდისიერი საქმიანი პრაქტიკა. ამასთან მთავარ კრიტერიუმს წარმოადგნს პროგრამების შესაბამისობა ბიზნესის განვითარების მიზნებსა და სტრატეგიასთან.

სოციალური პროგრამების ძირითადი მიმართულებებია:

კეთილსინდისიერი საქმიანი პრაქტიკა – არის კორპორაციის სოციალური პროგრამების მიმართულება, რომლის მიზანია მიმწოდებლებს, ბიზნეს-პარტნიორებს და კორპორაციის კლიენტებს შორის კეთილსინდისიერი საქმიანი პრაქტიკის მიღებისა და გავრცელების ხელშეწყობა.

გარემოსდაცვითი საქმიანობა და რესურსდაზოგვა– არის კორპორაციის სოციალური პროგრამების მიმართულება, რომლებიც ხორციელდება კორპორაციის ინიციატივით გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირების მიზნით (ბუნებრივი რესურსების ეკონომიური მოხმარების, ნარჩენების განმეორებითი მოხმარებისა და უტილიზაციის, გარემოს დაბინძურების აღმოფხვრის, ეკოლოგიურად უსაფრთხო საწარმოო პროცესის ორგანიზაციის, ეკოლოგიურად უსაფრთხო სატრანსპორტო გადაზიდვების ორგანიზაციის პროგრამები).

ადგილობრივი საზოგადოების განვითარება– არის კორპორაციის სოციალური პროგრამების მიმართულება, რომელიც ნებაყოფლობით საწყისზე ხორციელდება და მოწოდებულია წვლილი შეიტანოს ადგილობრივი საზოგადოების განვითარებაში (სოციალური პროგრამები და მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების ხელშეწყობის აქციები, ბავშვებისათვის დახმარების გაწევა, საბინაო-კომუნალური მეურნეობის და კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ობიექტების შენარჩუნების და განვითარების ხელშეწყობა, ადგილობრივი კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული ორგანიზაციების და ღონისძიებების სპონსორობა, სოციალურად მნიშვნელოვან გამოკვლევათა ხელშეწყობა, საქველმოქმედო აქციებში მონაწილეობა).

პერსონალის განვითარება – კორპორაციების სოციალური პროგრამების მიმართულებაა, რომელიც ტარდება პერსონალის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში ნიჭიერი თანამშრომლების მოზიდვისა და შენარჩუნების მიზნით (სწავლება და

პროფესიონალური განათლება, შრომის ანაზღაურების მოტივაციური სქემების გამოყენება, დასვენების პირობების შექმნა, ორგანიზაციაში შიდა კომუნიკაციების შენარჩუნება, მუშაკთა მონაწილეობა მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაში.

სოციალურად პასუხისმგებელი რესტრუქტურიზაცია– არის კორპორაციის სოციალური პროგრამების მიმართულება, რომელიც უზრუნველყოფს რესტრუქტურიზაციის ჩატარებას სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე, უწ. ყოვლისა, კორპორაციის პერსონალის ინტერესებში.

სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტირება– ინვესტირება, რომელიც მდგომარეობს არა მარტო ფინანსური შემოსავლების გაზრდაში, არამედ სოციალური მიზნების რეალიზაციაში, ჩვეულებრივ, ეთიკური ნორმების დაცვით მოქმედ კორპორაციებში ინვესტირების გზით.

სოციალური პროგრამების რეალიზაციის ინსტრუმენტებია:

1. *საქველმოქმედო შემოწირულობები და სპონსორის დახმარება*-დახმარების ფორმაა, რომელიც გაიწევა კორპორაციის მიერ სოციალური პროგრამების გასატარებლად როგორც ფულადი, ისე ნატურალური ფორმით (პროდუქცია, ადმინისტრაციული სათავსოები, ტრანსპორტი, საპრიზო ფონდები და სხვ.).

2. *კორპორაციის თანამშრომელთა დელეგირება*– კორპორაციის თანამშრომელთა ნებაყოფლობითი ჩართვა დახმარების მიმღებზე დროის, ცოდნის, ჩვევების, ინფორმაციის, კონტაქტების უსასყიდლო გადაცემის გზით.

3. *ფულადი გრანტები*– საფინანსო დახმარების ფორმა, რომელიც გამოიყოფა განათლების სფეროში სოციალური პროგრამების სარეალიზაციოდ და გამოყენებითი კვლევების ჩასატარებლად. გრანტები – სოციალური პროგრამების რეალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე ხელმისაწვდომი და ტრადიციული ინსტრუმენტია. როგორც წესი, გრანტები ამა თუ იმ ხარისხით დაკავშირებულია კორპორაციის ძირითად საქმიანობასთან და ბიზნესის სტრატე-

გიულ მიზანთან.

4. *კორპორაციული სპონსორობა*– კორპორაციის მიერ სხვადასხვა რესურსების მიწოდება ობიექტებისა და ნაგებობების შესაქმნელად, ორგანიზაციების და ღონისძიებათა მხარდასაჭერად, რომელიც, როგორც წესი, საზოგადოებრივ ხასიათს ატარებს, თავიანთი საქმიანობის რეკლამის მიზნით.

5. *კორპორაციული ფონდი*– ფონდი, რომელიც იქმნება კორპორაციის მიერ მისი სოციალური საქმიანობის რეალიზაციის მიზნით.

6. *სოციალური ინვესტიციები*– ფინანსური დახმარების ფორმა, რომელიც გამოიყოფა კორპორაციის მიერ გრძელვადიანი და როგორც წესი, ერთობლივი პარტნიორული სოციალური პროგრამების სარეალიზაციოდ, რომელიც გამიზნულია სოციალური დაძაბულობის შესამცირებლად და საზოგადოების სხვადასხვა ფენის ცხოვრების დონის ასამაღლებლად.

7. *სოციალურად მნიშვნელოვანი მარკეტინგი*– საფინანსო დახმარების ფორმა, რომელიც მდგომარეობს კონკრეტული საქონლის გაყიდვიდან გარკვეული პროცენტის გაცემაში კორპორაციის სოციალური პრობლემების გასატარებლად.

8. *სპონსორობა*– იურიდიული ან ფიზიკური პირის (სპონსორის) მიერ წვლილის შეტანა (ქონების გადაცემა, ინტელექტუალური საქმიანობის შედეგების, მომსახურების გაწევა, სამუშაოების ჩატარება) სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირის საქმიანობაში, იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი რეკლამას გაუწევს მის საქონელს, სპონსორობას.

2.2. დისკუსიები სოციალურ პასუხისმგებლობაზე და ძირითადი მიდგომები

საზოგადოებაში ბიზნესის როლის შესახებ დისკუსიამ კორპორაციების სოციალურად პასუხისმგებელი მოქმედების თაობაზე

უამრავი არგუმენტი წარმოქმნა როგორც მის სასარგებლოდ, ისე წინააღმდეგ.

არგუმენტები სოციალური პასუხისმგებლობის სასარგებლოდ.

1. *ბიზნესისათვის ხელსაყრელი გრძელვადიანი პერსპექტივების შექმნა.* ფირმების სოციალური ქმედებები აუმჯობესებს საზოგადოების ცხოვრებას, ან თავიდან იცილებს სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობას. საზოგადოება რაც უფრო უზრუნველყოფილია სოციალური თვალსაზრისით, მით უფრო ხელსაყრელი პირობები იქმნება ბიზნესისათვის. გარდა ამისა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სოციალურ ქმედებებთან დაკავშირებული დანახარჯები მაღალია, გრძელვადიან პერსპექტივაში ისინი მოგების სტიმულირებას ახდენენ, რამდენადაც მომხმარებლებში, მიმწოდებლებში და საზოგადოებაში კომპანიის მიმზიდველი იმიჯი ყალიბდება.

2. *ფართო პუბლიკის მოთხოვნილებების და მოლოდინის ცვლილება.* ბიზნესთან დაკავშირებული სოციალური მოლოდინი XX საუკუნის 60-იანი წლებიდან იცვლება. საზოგადოების მხრიდან ახალ მოთხოვნილებებსა და კომპანიების რეალურ გამოხმაურებას შორის სხვაობის მინიმუმამდე დასაყვანად, მათი ჩართვა და მონაწილეობა სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში სასურველი და აუცილებელიც კი ხდება.

3. *რესურსების არსებობა სოციალური პრობლემების გადაჭრაში დახმარების გასაწევად.* რამდენადაც ბიზნესი მნიშვნელოვან ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს ფლობს, მას შეუძლია მისი ნაწილი გაიღოს სოციალური საჭიროებისათვის.

4. *მორალური ვალდებულება სოციალურად პასუხისმგებელი ქმედებისათვის.* კომპანია საზოგადოების წევრია, ამდენად თავის საქმიანობაში იგი მორალური ნორმებით უნდა ხელმძღვანელობდეს. საზოგადოების ინდივიდუალური წევრების მსგავსად, კომპანია უნდა მოქმედებდეს სოციალური პასუხისმგებლობის მიხედვით და ხელს უწყობდეს საზოგადოების მორალური

საწყისების განმტკიცებას. მეტიც, რამდენადაც კანონებით შეუ-ძლებელია ცხოვრების ყველა მხარის მოცვა, კომპანიებმა პასუ-ხისმგებელი ქმედებებით მხარი უნდა დაუჭირონ საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია წესრიგისა და კანონიერებაზე.

შეიძლება ითქვას, რომ კომპანიის სოციალურად პასუხის-მგებლური პოლიტიკის უპირატესობებს განეკუთვნება შემდეგი სამი უმნიშვნელოვანესი ნიშან-თვისება:

კომპანიის რეპუტაციისა და იმიჯის განმტკიცება. კომპანიის საქმიანობაში სოციალური მიმართულება, კორპორაციული ქცევის კოდექსისა და საქმიანი ეთიკის დაცვა განაპირობებენ მისი რეპუტაციისა და იმიჯის განმტკიცებას საზოგადოებასა და სახელმწიფოში. კომპანიის სოციალურად პასუხისმგებლური პრაქტიკა შიდა და გარე სოციალური პროექტების რეალიზაციაში მის საქმიანობას საზოგადოებისათვის უფრო გამჭვირვალეს და ღიას ხდის, ამყარებს პარტნიორულ კავშირებს სახელისუფლო სტრუქტურებთან, ამცირებს რა ამით წარმომადგენლობით და სარეკლამო დანახარჯებს, და ამაგრებს კვალიფიციურ კადრებს კომპანიაში.

ბიზნესის მართვის ხარისხის ამაღლება. ბიზნესის სოცია-ლურად პასუხისმგებლური წარმართვა უშუალო ასახვას პოუ-ლობს კომპანიის მართვის ხარისხის ამაღლებაში. კომპანიებს, რომლებიც მისდევენ ბიზნესის წარმართვის სოციალურად პასუხისმგებლურ პრაქტიკას, ისეთი უპირატესობები ენიჭებათ, როგორიცაა პერსონალის შრომის ნაყოფიერების ამაღლება, ოპერაციული ხარჯების შემცირება, აგრეთვე გაყიდვების გაზრდა და კლიენტების ლოიალურობის ამაღლება.

ინვესტიციური მიმზიდველობის ამაღლება. კომპანიის ჩარ-თვა საერთაშორისო ანგარიშგების სისტემაში (მათ შორის სოციალური) აფართოებს საერთაშორისო ბიზნესში მონაწილე-ობის, ინვესტორების მოზიდვის შესაძლებლობებს, რაც იწვევს კაპიტალიზაციის გაზრდას.

ამრიგად, საკუთარი პროგრამების განხორციელებას ან ადგილობრივ ხელისუფლებასა და არაკომერციულ ორგანიზაციებთან ერთობლივ პროექტებში მონაწილეობას, კომპანიასთვის მოაქვს როგორც შიდა, ისე გარე ხასიათის სარგებლობა, კერძოდ:

- იზრდება თანამშრომელთა ლოიალურობა და ინიციატივიანობა;
- მყარდება რეპუტაცია და იმიჯი;
- ხორციელდება სამუშაო ძალის ბაზარზე შეღწევა;
- ვითარდება თანამშრომელთა უნარ-ჩვევები, რაც იწვევს კარიერულ წინსვლასა და კადრების ადგილზე დამაგრებას;
- მყარდება ურთიერთობები კლიენტებთან;
- მოიზიდება ახალი პარტნიორები;
- ინერგება ინოვაციური მოდელები;
- უმჯობესდება პროდუქტის ან მომსახურების ხარისხი;
- მცირდება რისკი და იზრდება მდგრადობა კრიზისის დროს;
- მყარდება კავშირები ადგილობრივ საზოგადოებასთან და ხელისუფლებასთან;
- ფართოვდება ახალ ბაზრებზე შეღწევა;
- უმჯობესდება ფინანსური მაჩვენებლები.

არგუმენტები სოციალური პასუხისმგებლობის წინააღმდეგ.

1. *მოგების მაქსიმიზაციის პრინციპის დარღვევა.* რესურსების ნაწილის გამოყოფა სოციალურ საჭიროებაზე მოგების მაქსიმიზაციის პრინციპის მოქმედებას ამცირებს. კომპანია სოციალურად პასუხისმგებელია, თუ მხოლოდ ეკონომიკურ ინტერესებზეა ორიენტირებული და სოციალურ პრობლემებს უტოვებს სახელმწიფო ორგანოებს, საქველმოქმედო ინსტიტუტებს და საგანმანათლებლო ორგანიზაციებს.

2. *დანახარჯები სოციალურ პასუხისმგებლობაზე* სოციალურ საჭიროებაზე გამოყოფილი სახსრები ფირმებისათვის დანახარჯე-

ბია. საბოლოო ჯამში ეს დანახარჯები მომხმარებლებზე გადადის ფასების მომატების სახით. გარდა ამისა ის ფირმები, რომლებიც საერთაშორისო ბაზარზე საქმიანობენ სხვა ქვეყნის ფირმებთან შედარებით, რომლებიც არ აწარმოებენ სოციალურ დანახარჯებს, არასასურველ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, შედეგად, მცირდება მათი გასაღება საერთაშორისო ბაზარზე.

3. *საზოგადოების წინაშე ანგარიშების არასაკმარისი დონე.* რამდენადაც მმართველებს არ ირჩევენ, ისინი არ არიან უშუალოდ ანგარიშვალდებულნი საზოგადოების წინაშე. საბაზრო სისტემა კარგად აკონტროლებს ფირმების ეკონომიკურ მაჩვენებლებს და ცუდად – მათ სოციალურ აქტიურობას. ვიდრე საზოგადოება არ შეიმუშავებს საწარმოების პირდაპირი ანგარიშგების წესს, უკანასკნელი არ მიიღებს მონაწილეობას სოციალურ ქმედებებში, რომლებზეც ის არ თვლის თავს პასუხისმგებლად.

4. *სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის ცოდნის უკმარისობა.* ნებისმიერი კომპანიის პერსონალი ყველაზე კარგადაა მომზადებული ეკონომიკის, ბაზრის და ტექნიკის სფეროში. მას აკლია გამოცდილება, რომელიც მნიშვნელოვანი წვლილის გაკეთების საშუალებას მისცემდა სოციალური ხასიათის პრობლემების გადაჭრაში. სახელმწიფო დაწესებულებებში და საქველმოქმედო ორგანიზაციებში მომუშავე სპეციალისტებმა ხელი უნდა შეუწყონ საზოგადოების სრულყოფას.

CSR-ის მიმართ ოთხი ძირითადი მიდგომა არსებობს: 1) საბაზრო; 2) მიდგომა სახელმწიფოებრივი რეგულირების პოზიციიდან; 3) მიდგომა „კორპორაციული სინდისის“ პოზიციიდან; 4) მიდგომა „დაინტერესებული პირის“ პოზიციებიდან.

საბაზრო მიდგომა. იგი კორპორაციების საქმიანობის რეგულირების მზა ფორმას უზრუნველყოფს, თავიდან იცილებს სახელმწიფოს ბიუროკრატიული ჩარევის აუცილებლობას. საბაზრო მიდგომის თანახმად, მომხმარებელი ყოველთვის უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაშია ისეთ საზოგადოებაში, სადაც

კორპორაციები თავისუფალი კონკურენციის პირობებში მხოლოდ მოგების ზრდის პრინციპით ხელმძღვანელობენ. ეს მიდგომა მნიშვნელოვან მხარდაჭერას პოულობს ზოგად ეკონომიკური თეორიაში.

ამ მიდგომის სუსტი მხარე იმაშია, რომ იგი არ მოიცავს სოციალურ პრობლემებს, რომლებიც წარმოადგენენ ე.წ. ბაზრის „ჩავარდნების“ გამოხატულებას (მაგ., მეტალურგიული ქარხანა მდინარეს აბინძუნებს შხამიანი ნარჩენებით და ზრდის კიბოთი დაავადებულთა რაოდენობას). ამგვარი თანმდევი ეფექტების სულ უფრო მზარდი რაოდენობა თანამედროვე ინდუსტრიულ ქვეყნებში იწვევს იმ მოსაზრებას, რომ თავისუფალი ბაზრის „უხილავ ხელს“ შეიძლება დახმარება დასჭირდეს. მაგრამ ვინ გაუწევს მას? სახელმწიფო? მსხვილი სამრეწველო გაერთიანებები? კორპორაციების სპეციალური ქვედანაყოფები?

საბაზრო მიდგომის თანახმად, როგორც კი ბაზრის გარდა სხვა ვინმეს ვანდობთ კორპორაციის საქმიანობას რეგულირებას, იხ-სნება პანდორას ყუთი ბიუროკრატიული მართვით და ეკონო-მიკური არაეფექტიანობით. ამრიგად, ერთი პრობლემის გადა-წყვეტით, უამრავი სხვა იჩენს თავს. თუმცა „ჩავარდნის“, ან თანმდევი ეფექტების პრობლემა, რასაკვირველია, არცთუ უმნიშვნელოა და საბაზრო მიდგომა კიდევ უფრო ნაკლებად მიმზიდველია თუ უარს ვიტყვით ბაზრის თავისუფალ კონკურენციაზე და ვაღიარებთ ოლიგარქების და მონოპოლიების მხრიდან ბაზარზე ზეწოლის უამრავი ფორმის არსებობას. მიუხედავად ამისა, **ბსპ**-ს მიმართ ასეთ მიდგომას უამრავი მიმდევარი გაუჩნდა აშშ-სა და სხვა ქვეყნებში.

მიდგომა სახელმწიფო რეგულირების პოზიციებიდან. ამ მიდგომის უამრავი „მომხრე“ და „საპირისპირო“ არგუმენტი დამოკიდებულია თითოეული ადამიანის წარმოდგენაზე მთავრო-ბასა და ადამიანის ბუნებაზე. ამ მიდგომის მომხრეთა უმრავლე-სობა სახელმწიფო სტრუქტურებს განიხილავს როგორც საქმიან

ცხოვრებაზე უფლებამოსილ დამკვირვებლებს, თუმცა სახელ-მწიფო რეგულირება არასოდეს არ არის სრულყოფილი. მეტიც, როგორც წესი, ისინი თვლიან, რომ ადამიანები, თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე, დაშინებას საჭიროებენ, რათა ცოდვა არ ჩაიდინონ (სხვადასხვა იურიდიული საშუალებებით).

ამ მიდგომის სასარგებლოდ მოჰყავთ არგუმენტი, რომ კანონი ხშირად ეთიკური გადაწყვეტილებების საფუძვლად გამოიყენება, მიუხედავად იმისა, რომ იგი ცუდადაა მორგებული ამ მიზნებს. ამის მიზეზი კი, სავარაუდოდ, მოქალაქეთა უმრავლესობის დაბალი ზნეობრივი დონეა. როგორც კვლევებიდან ჩანს, ბევრი ადამიანისათვის, განსხვავება სწორ და არასწორ საქციელს შორის განისაზღვრება მათი კანონიერების ხარისხით. ასეთ შემთხვევაში კანონი შეიძლება ეთიკური საქციელის დონის ამაღლების ინსტრუმენტად მოგვევლინოს. თუმცა არის ერთი „მაგრამ“. თუ კანონს მივანიჭებთ საზოგადოების ზნეობრივი აღმზრდელის როლს, ის უნდა იყოს „კარგი“ კანონი; კარგი იმ გაგებით, რომ უნდა იყოს კარგად მოფიქრებული მკაფიოდ ჩამოყალიბებული და თანმიმდევრულად გატარდეს ცხოვრებაში. სამწუხაროდ, კანონთა უმრავლესობა იშვიათად აკმაყოფილებს თუნდაც ერთ-ერთს ამ მოთხოვნილებებიდან. ეს ფაქტორი მნიშვნელოვნად აკნინებს სახელმწიფოებრივი კანონის ზნეობრივ აღმზრდელობით როლს.

საზოგადოებრივი რეგულირების პოზიციებიდან მიდგომის ნაკლოვანებები უკავშირდება თანამედროვე ინდუსტრიულ სახელმწიფოში ბიზნესის მართვის დიდ სირთულეებს. მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში სამოქალაქო კანონმდებლობას სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან შედარებით ნაკლები სიცხადე და თანმიმდევრულობა ახასიათებს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სისხლის სამართლის კანონები არათანმიმდევრულო-ბით გამოირჩევიან, მაშინ გასაგებია თუ რატომ აშფოთებთ ბიზნესმენებსა და სპეციალისტებს სამოქალაქო კანონმდებლობის გამოყენება ბიზნესის საქმიანობის რეგულირებისათვის. მეტიც,

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ სახელმწიფო უწყებას ეკისრება მრეწველობის რომელიმე დარგის საქმიანობის რეგულირება, ხშირად იგი თვითონ ხდება დამოკიდებული სხვა დარგზე. ამის მიზეზი რამდენიმე ფაქტორია:

– ჯერ ერთი, ნებისმიერი დარგი მოითხოვს სპეციფიკურ მიდგომას მართვაში და სახელმწიფო სტრუქტურებს დახმარებისათვის ამავე დარგში მომუშავე ექსპერტებთან უწევთ მიმართვა. ეს იწვევს სათანადო კრიტიკის არარსებობას, მართვაში „თვითმომსახურებას“. შედეგად დარგი თვითონ ადგენს რეგულირების წესს და უძღვება საკუთარ საქმიანობას სახელმწიფოებრივი სტრუქტურების არცთუ მკაცრი კონტროლის ქვეშ.

მეორეც, ძალიან ხშირად სახელმწიფო სამმართველო სტრუქტურების მუშაკები შესაბამისი დარგიდან არიან მოსული და სახელმწიფო სამსახურის დასრულებისას ისევ დარგში ბრუნდებიან. ასეთ მუშაკებს შინაგანი კონფლიქტი აწუხებთ: ერთი მხრივ, მათ უნდა ღირსეულად შესრულონ თავისი სამმართველო მოვალეობები, მეორე მხრივ, არ უნდათ ურთიერთობის გამწვავება თავიანთ მომავალ დამქირავებელთან დარგის მმართველების სახით.

ამ სიძნელეების მიუხედავად, მიდგომა სახელმწიფო რეგულირების პოზიციებიდან ეფექტიანი აღმოჩნდა ბიზნესის მართვის ზოგიერთ დარგში (განსაკუთრებით მომხმარებელთა დაცვაში). მეტიც, უცნობია, რამდენად გართულდება საქმე, თუკი სახელმწიფოს მხრიდან არ მოხდება ბიზნესის რეგულირება. ცხადია, რომ არ შეგვიძლია ამ მიდგომის არც მთლიანად უარყოფა, და არც ენთუზიაზმით მიღება.

მიდგომა კორპორაციული სინდისის პოზიციებიდან. ამ პოზიციის ძლიერი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ მისი კრიტერიუმია მორალური პასუხისმგებლობა, რომელიც წარმოიქმნება კორპორაციის შიგნით, და არა როგორც გარე ფაქტორი, ე.ი. აქ არსებობს თვითრეგულირების შესაძლებლობა, და არა მოთხოვნა-

მიწოდების ურთიერთობთა რეგულირება სახელმწიფო სტრუქტურების მიერ. ბაზრის და სახელმწიფოს მაღალეთიკური ქცევის სტიმულირების აშკარა უუნარობის ფონზე (ვინაიდან მათი ფუნქციები, მიმართულია მავნე ქმედებების აღმოფხვრაზე), კორპორაციული სინდისის პოზიციებიდან მიდგომა წარმოადგენს გარე რეგულირების მრავლისმომცემ ხერხს.

ამ მიდგომის მამოძრავებელია ჯანსაღი, ეთიკურად გამოწრთობილი კორპორაციული კულტურა. ამ კულტურის ფასეულობები შეიძლება თავმოყრილი იქნას კორპორაციის ეთიკურ კოდექსში ან უბრალოდ აისახოს მის რეპუტაციაზე. ნებისმიერ შემთხვევაში კორპორაციული სინდისის პოზიციებიდან მიდგომა ეყრდნობა ძირითადად ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს, რომელსაც უფრთხილდება როგორც ხელმძღვანელობა, ისე ხელქვეითები.

მიდგომა „დაინტერესებულ პირთა“ პოზიციებიდან. ბიზნესში კლასიკური მოსაზრება მდგომარეობს იმაში, რომ კორპორაციებს გააჩნია ვალდებულებები აქციონერების წინაშე, რომელიც წმინდა და ურყევია. კორპორაციების მოქმედება ან უმოქმედობა ნაკარნახევი უნდა იყოს აქციონერებზე ზრუნვით, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ისეთ მაჩვენებლებით, როგორიცაა აქციების საბირჟო კურსი, შემოსავალი აქციაზე ან ნებისმიერი სხვა საფინანსო მაჩვენებელი. ითვლება რომ, აქციონერთა ინტერესებზე ზრუნვა ხელმძღვანელობის ერთ-ერთი მოვალეობა უნდა იყოს. ამრიგად, ნებისმიერი ქმედება, მიღებული ხელმძღვანელობის მიერ, საბოლოო ჯამში უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, ემსახურება თუ არა იგი კორპორაციებისა და მისი აქციონერების ინტერესებს.

მაგრამ სულ ახლახან გაჩნდა ახალი მიდგომა კორპორაციების მართვისადმი, მისი როგორც საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ნაწილის გაგებით, რომლის წინაშეც იგი პასუხისმგებელია. ეს მიდგომა დაკავშირებულია ცნებასთან „დაინტერესებული

პირები“. კორპორაციებს მკვეთრად განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ სოციალურ პასუხისმგებლობასთან მიმართებით. მაგ., პასტეი მ., და გრიფინი რ. “საერთაშორისო ბიზნესში” ამ საკითხთან დაკავშირებით ოთხ პოზიციას განასხვავებენ: **ობსტრუქციონისტულს, თავდაცვის, შემგუებლობის, აქტიურს.** კომპანიები, რომლებსაც **ობსტრუქციონისტული პოზიცია (obstructionist stance)** უკავიათ სოციალურ პასუხისმგებლობასთან მიმართებით, უმეტეს შემთხვევაში მინიმალურ ძალისხმევას იჩენენ სოციალური პრობლემების ან გარემოს დაბინძურების პრობლემის გადაწყვეტის მხრივ. ამგვარი კომპანიები უგულებელყოფენ ეთიკურ ან სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც სცილდებიან დაშვებულ ნორმებს; როგორც წესი, მათი ტიპიური რეაქციაა ამ ქმედებების უარყოფა ან პასუხისმგებლობის აცილება. მაგ., რამდენიმე წლის წინ შვედური კომპანიის უცხოურ საწარმოთა უმაღლესი ხელმძღვანელობის ზოგიერთ წარმომადგენელს წარედგინა ბრალდება, რომელიც ამხელდა მათ პროფესიული ეთიკის დარღვევაში. მენეჯერებს ადანაშაულებდნენ სხვადასხვა სამართალდარღვევებში, სამუშაო ადგილზე სექსუალური ძალადობიდან დაწყებული, კომპანიის ნივთების პირადი სარგებლობისათვის გამოყენებით დამთავრებული. როდესაც არსებულ პრობლემებზე ინფორმაციამ პირველად გაჟონა, შვედური კომპანიის ტოპ მენეჯერებმა შექმნილ ვითარებაში გარკვევის ყოველგვარი მცდელობის გარეშე გამორიცხეს ნებისმიერი სამართალდარღვევის ფაქტი ხელქვეითების მხრიდან. ზუსტად ამგვარი იყო კომპანიების NESTLE-სა და DANONE-ისხელმძღვანელთა რეაქცია, რომელთაც 1981 წელს ბრალი დაედოთ ხელმოწერილ საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევაში და რომლებსაც უნდა უზრუნველყოთ კონტროლი დედის რძის შემცვლელი რძის ფხვნილის გაყიდვაზე. ამ შეთანხმებებში განსაკუთრებით ხაზგასმულია ჩვილ ბავშვთა დედის რძით კვების მნიშვნელობა. მიუხედავად ამისა, კომპანიები NESTLE და DANONE ავრცელებდნენ თავიანთი პროდუქციის

უფასო ნიმუშებს დასავლეთ აფრიკის ქვეყნებში, აგრეთვე არღვევ-დნენ ბავშვთა კვების ფხვნილის შეფუთვის სტანდარტებს ტოგოსა და ბურკინა-ფასოში. ამასთან, კომპანიები უარყოფდნენ ყოველ-გვარი დარღვევის ფაქტს და ცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ მათი ქმედებები სრულად შეესაბამებოდა შეთანხმების პირობებს. მეტიც, ამჟამად ორივე კომპანიის ხელმძღვანელობა გამოთქვამს რწმენას, რომ ეს შეთანხმებები მოძველებულია შიდსით დაავადებულთა და ამ ვირუსით ინფიცირებულთა რაოდენობის მკვეთრი ზრდის გამო. ძირითადი მიზეზი ამ შეხედულების სასარგებლოდ მდგომარეობს იმაში, რომ ბავშვთა კვების ამ ფხვნილის გამოყენებამ შეიძლება შეამციროს ვირუსის გადაცემა ინფიცირებული დედისგან ბავშვზე ძუძუთი კვების მეშვეობით.

ობსტრუქციონისტულ პოზიციასთან შედარებით **თავდა-ცვითი პოზიცია (defensive stanse)** ერთი ნაბიჯით წინაა სოციალურ პასუხისმგებლობასთან მიმართებით. კომპანიის თავდაცვის პოზიცია საზოგადოების წინაშე ვალდებულებების თვალსა-ზრისით მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია ყველაფერს აკეთებს, რაც მას კანონით მოეთხოვება, მაგრამ არ მიმართავს არავითარ დამატებით ქმედებებს. კომპანიების ხელმძღვანელობა, რომლებიც საზოგადოების წინაშე ამგვარი დამოკიდებულებით გამოირჩევა, აცხადებს, რომ მათი საქმიანობა – მოგების გენერირებაა. მაგ., ასეთი კომპანია, კანონის თანახმად, მზადაა თავისი საწარმო უზრუნველყოს გარემოს დაბინძურებასთან ბრძოლის მოწყობი-ლობით, მაგრამ შეუძლია უარი თქვას უფრო მაღალი ხარისხის გამწმენდ მოწყობილობაზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ის უფრო მეტად შეამცირებდა დაბინძურების დონეს. სწორედ ასეთი პოზიცია უკავია მაგ., თამბაქოს ნაწარმის გამომშვებ კომპანიებს, როგორიცაა Philip Morris. აშშ-ში კანონი ასეთ კომპანიებს ავალ-დებულებს გააკეთოს გამაფრთხილებელი წარწერები სიგარეტის შეფუთვებზე მოწევის მავნებლობის შესახებ, აგრეთვე შეზღუდოს სარეკლამო განცხადებები მასობრივი ინფორმაციის საშუალებების

მიერ. საკუთარ ქვეყანაში ეს კომპანიები კანონმორჩილნი არიან, მაგრამ თავიანთი პროდუქციის მარკეტინგის გაცილებით უფრო მძლავრ მეთოდებს იყენებენ იმ ქვეყნებში, სადაც კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რაიმე შეზღუდვებს. მაგ., მრავალი აფრიკული ქვეყნის ბაზარზე აქტიურად იყიდება სიგარეტი, რომელიც უფრო მეტ კუპრს და ნიკოტინს შეიცავს, ვიდრე აშშ-ის ბაზარზე რეალიზებადი სიგარეტი; ამ ქვეყანაში გაყიდული სიგარეტის შეფუთვაზე პრაქტიკულად არ არის გაფრთხილებელი წარწერა მოწევის მავნებლობაზე. კომპანიები, რომლებსაც უკავიათ ასეთი პოზიცია, ნაკლებად მიდრეკილნი არიან სამართალდარღვევათა დაფარვისკენ, ვიდრე კომპანიები, რომლებსაც უკავიათ ობსტრუქ-ციონისტული პოზიცია. ეს კომპანიები უმეტეს შემთხვევაში აღიარებენ თავიანთ შეცდომებს და იღებენ აუცილებელ ზომებს სიტუაციის გამოსასწორებლად.

კომპანიები, რომლებსაც უკავიათ **შემგუებლური პოზიცია (accommodative stance)** სოციალურ პასუხისმგებლობასთან მიმარ-თებით, მისდევენ ეთიკურ და სამართლებრივ მოთხოვნებს, მაგრამ ამასთან, რიგ შემთხვევაში, დამატებით ქმედებებსაც მიმართავენ. ასეთი კომპანიები ნებაყოფლობით თანხმდებიანსოციალურ პროგრამებში მონაწილეობაზე, თუმცა მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდებიან, რომ ესა თუ ის პროგრამა ნამდვილად იმსახურებს კომპანიის ყურადღებას. კომპანიები, რომლებსაც უკავიათ ასეთი პოზიცია, საქველმოქმედო თანხებს მიზნობრივად გამოყოფენ. ამას გარდა, ეს კომპანიები ხალისით თანხმდებიან შემოწირულობებზე, მაგალითად, მცირე ბეისბოლის ლიგის, მოზარდთა ფეხბურთის სასარგებლოდ. მაგალითად, VodaPhone, აფრიკული სატელეკომუნიკაციო კომპანია, არის კრიკეტის ახალგაზრდული ლიგის სპონსორი პრეტორიაში, სამხრეთ აფრიკაში. მაგრამ, საქმეც იმაშია, რომ ვიღაცამ უნდა “მიაწვდინოს ხმა“ ამ კომპანიებს და მიმართოს დახმარების შესახებ, – თვით

კომპანიები არ იჩენენ განსაკუთრებულ აქტიურობას საქველმოქმედებო ობიექტის საძიებლად.

სოციალური პასუხისმგებლობის ყველაზე მაღალ ხარისხს ავლენენ ის კომპანიები, რომლებსაც უკავიათ **აქტიური პოზიცია (proactive stance)** საზოგადოების მოთხოვნილებების მიმართ. ეს კომპანიები მეტად სერიოზულად ეკიდებიან სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებს. ისინი საზოგადოების განუყოფელ ნაწილად მიიჩნევენ საკუთარ თავს და აქტიურად ეძებენ საზოგადოებრივ კეთილდღეობაში წვლილის შეტანის საშუალებებს. სოციალურ პასუხისმგებლობასთან მიმართებით აქტიური პოზიციის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს პროგრამა "რონალდ მაკდონალდსის სახლი" (Ronald McDonald House), რომელსაც ახორციელებს კორპორაცია McDonald's. ძირითადი სამედიცინო ცენტრების შორიახლოს განლაგებულ რონალდ მაკდონალდსის სახლებში მინიმალურ ფასად შეუძლიათ იცხოვრონ ავადმყოფ ბავშვთა ოჯახის წევრებს, რომლებიც გადიან მკურნალობის კურსს უახლოეს სამედიცინო დაწესებულებებში. ასეთივე აქტიური პოზიცია სოციალური პასუხისმგებლობის მხრივ უკავია გაბრიელა მელჩიონდას (Gabriela Melchiona), შტატმენის კოსმეტიკური კომპანიის Med Gab's მფლობელს. არცთუ ისე დიდი ხნის წინ მას შესთავაზეს 2 მლნ. დოლარის ღირებულების კონტრაქტი კომპანიის პროდუქციის თურქეთში ექსპორტთან დაკავშირებით. გაბრიელამ უარი თქვა ამ მეტად სარფიან გარიგებაზე, როდესაც გაიგო, რომ მისი პროდუქციის მომავალი ექსპორტიორი იარაღით ვაჭრობაშია გარეული – სხვანაირად, ისეთ საქმიანობაში, რომელიც გაბრიელას მიუღებლად მიაჩნია. ასეთი და სხვა ქმედებები, აგრეთვე ამგვარი სახის სხვა პროგრამები სცილდება აკომოდაციურ პოზიციას – ისინი მეტყველებენ გულწრფელ და ქმედით მზრუნველობაზე მთლიანად საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლების მიზნით.

კიდევ ორი მაგალითი კომპანიების აქტიური პოზიციისა– Body Shop და Ben@Jerry's კომპანიების საქმიანობა;

ამ კომპანიების დამოკიდებულება სოციალური პასუხისმგებლობის საკითხისადმი საყოველთაო აღფრთოვანების საგანია.

აღსანიშნავია, კომპანიების ზემოაღნიშნული კატეგორიები არ წარმოადგენენ დისკრეტულს, არამედ მხოლოდ ასახავენ სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ დამოკიდებულების განსხვავებული ტიპების კონტინუუმის გარკვეულ ფრაგმენტს. კომპანიები ყოველთვის არ ხვდებიან ამა თუ იმ კატეგორიის ფარგლებში. მაგალითად, საქველმოქმედო კომპანიამ "რონალდ მაკდონალდსის სახლი" საზოგადოების ფართო აღიარება მიიღო. მეორე მხრივ, რამდენიმე წლის უკან კომპანია McDonald's სერიოზული ბრალი დასდეს იმაში, რომ მას შეცდომაში შეჰყავს მომხმარებლები კვების პროდუქტების საკვები ღირებულებების თაობაზე, რომლებიც გამოიყენება კომპანიის სწრაფი მომსახურების რესტორნების ქსელში კერძების მოსამზადებლად. ზემოთ მოყვანილ მაგალითში კომპანია ASTRA-მ ობსტრუქციონისტული პოზიცია დაიკავა. მიუხედავად ამისა, ამ კომპანიის ბევრმა თანამშრომელმა და ხელმძღვანელობის წარმომადგენელმა მრავალი საშუალება გამონახეს საზოგადოების განვითარებაში თავიანთი წვლილის შესატანად.

დღეისათვის სოციალურმა პასუხისმგებლობამ ქველმოქმედების აყვავების, სოციალური უსამართლობის მიზეზების აღმოფხვრაზე გამიზნული პერიოდი და ბოლოს, კომერციულ, არაკომერციულ და სახელმწიფო სექტორებთან კონსტრუქციული თანამშრომლობის ხანა განვლო.

2.3. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მოდელები - ამერიკული და ევროპული მოდელი

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ამერიკული მოდელი. ამჟამად ტერმინ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) ორი გაგება ჩამოყალიბდა: ამერიკული (სოციალური ფუნქციების უმეტესობას კორპორაციები საკუთარ თავზე იღებენ) და ევროპული (სახელმწიფოს დომინირებული როლით) შესაბამისად, კსპ-ს ამერიკულ და ევროპულ მოდელებს განასხვავებენ.

CSR დიდი ხნის განმავლობაში წმინდა ამერიკულ მოვლენად ითვლებოდა. მართლაც, აშშ-ში ფილანტროპიისა და საზოგადოების სხვა ფენებისათვის ბიზნესის ნებაყოფლობითი დახმარების ტრადიციები ფართოდ იყო გავრცელებული ჯერ კიდევ XIX ს-ში (როკფელერის საჯარო ბიბლიოთეკები, კარნეგის „ინიციატივები“ და ა.შ.).

ამერიკული მეწარმეობის ბუნებიდან გამომდინარე, რომელიც სუბიექტთა მაქსიმალურ თავისუფლებას ემყარება, საზოგადოების მრავალი სფერო დღესაც თვითრეგულირებადია. ასე, შრომითი ურთიერთობები –„დაქირავებული – დამქირავებელი“ მხარეთა ორმხრივი ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს. ჯანდაცვაზე ამერიკელების უფლება მეტწილად სწორედ მოქალაქის არჩევანის უფლებას წარმოადგენს ამა თუ იმ სამედიცინო დაწესებულების მომსახურებით სარგებლობაზე (აქედანაა სამედიცინო დაზღვევის ნებაყოფლობითობა). სახელმწიფო რეგულირება ამ სფეროებში საზოგადოების წევრთა მხოლოდ საბაზისო, განუყოფელ უფლებებს შეეხება. შესაბამისად, კორპორაციების ყველა ინიციატივა კსპ-ს სფეროში ნებაყოფლობითია.

აშშ-მ საზოგადოების მხარდასაჭერად ბიზნესის მონაწილეობის უამრავი მექანიზმი შეიმუშავა, როგორიცაა: მრავალრიცხოვანი კორპორაციული ფონდი, რომელიც ბიზნესის ხარჯზე

უამრავი სხვადასხვა სოციალური პრობლემის გადასაჭრელად არის გამიზნული. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამერიკულ პროფესიულ განათლებას, ისე როგორც მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში, კერძო სექტორი ასპონსორებს (ცხადია, გამოვრიცხავთ იმ ქვეყნებს, სადაც განათლება, ჯანდაცვა და სოციალურად მნიშვნელოვან სფეროს სახელმწიფო აფინანსებს). ეს უკანასკნელი ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ ბიზნესი დაინტერესებულია განათლების, საპენსიო და სადაზღვევო სფეროს და სხვა სოციალურად მნიშვნელოვანი პროგრამების ნებაყოფლობით დაფინანსებაში. კორპორაციების პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე წახალისებულია სახელმწიფოს მხრიდან გადასახადებზე შეღავათების დაწესებით.

აშშ-სთვის დამახასიათებელია სახელმწიფოს მინიმალური ჩარევა კერძო სექტორში. ამის მიუხედავად, ქვეყანა ცნობილია ბიზნესის სისტემატიური მონაწილეობით მრავალრიცხოვან არაკომერციულ პროექტში. ამის კლასიკური მაგალითია ბილი და მელინდა გეიტსის ფონდი /თითქმის 27 მლრდ დოლარი/, რომელიც მთლიანად ფინანსდება ამ ოჯახის პირადი ქონებიდან, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განათლებისა და ჯანდაცვის სისტემის გასაუმჯობესებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ს ბიზნესს დიდი და მდიდარი ტრადიციები გააჩნია სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში. აქ ქველმოქმედება და ბიზნეს-რესურსების საზოგადოების საკეთილდღეოდ გამოყენება ჯერ კიდევ XIX ს-ში იყო ფართოდ გავრცელებული. ფილიალის მწარმოებელმა, ენდრიუ კარნეგიმ, მაგ., 350 მლნ. დოლარზე მეტი ჩადო სოციალურ პროგრამებში და 2000-ზე მეტი საჯარო ბიბლიოთეკა ააშენა. ჯონ როკფელერმა 550 მლნ. დოლარი გაიღო და როკფელერის ფონდი დააარსა.

დროთა განმავლობაში სოციალური პასუხისმგებლობის ფორმები იცვლება, ფართოვდება და იხვეწება. კომპანიები მსგავს აქციებში ხშირად პირად და თავისი მუშაკების მონაწილეობას

ანიჭებენ უპირატესობას. XX საუკუნის 80-იან წლებში 500-ზე მეტმა ფირმამ შეიმუშავა სოციალური პროგრამები, რომლებიც მათ თანამშრომლებს საზოგადოებისათვის სასარგებლო პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობას აძლევდა. კომპანიების მიდგომა ამ საქმის მიმართ არსებითად განსხვავებული იყო.

1984 წლის 18 ივლისს მექსიკის ქალაქ სან-ისიდროში „Mc Donald's"-ის ერთ-ერთ რესტორანში შეიარაღებული ადამიანი შეიჭრა. მან ცეცხლი გაუხსნა იქ მყოფ ადამიანებს, პერსონალს და შემთხვევით გამვლელებს. განიარაღებამდე მან 21 ადამიანის დაცხრილვა მოასწრო. კორპორაცია „Mc Donald's"-სმა მომხდარზე დაუყოვნებლივ მოახდინა რეაგირება: რამდენიმე დღით ყველგან შეწყვიტა სარეკლამო კომპანია, ტრაგედიის მსხვერპლთა ფონდში შეიტანა 1 მლნ. დოლარი. ხელმძღვანელობა უშუალოდ დაესწრო დაღუპულთა დაკრძალვას; რესტორანი დაიხურა და კომპანიის კუთვნილი მიმდებარე ტერიტორიები უსასყიდლოდ გადაეცა ქალაქს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ამ ადგილზე პარკი გაიხსნა. სოციალურად პასუხისმგებელმა ქმედებებმა ამ კორპორაციის იმიჯი აამაღლა. მისი სახელი უკვე აღარ უკავშირდებოდა მექსიკაში მომხდარ ტრაგედიას, ხოლო კომპანიამ რთულ სიტუა-ციაში ეთიკური ქმედებებით გამოიჩინა თავი.

ფირმა „Johnson and Johnson"-მა მყისვე მოახდინა რეაგირება ერთ-ერთი თავისი სამედიცინო პრეპარატის „ტაილენოლით" ჩიკაგოში მოწამვლის ფაქტზე და მისი გამოყენება მთელი ქვეყნის მასშტაბით აკრძალა. ამან ხელი შეუწყო პასუხისმგებლობის უფრო მაღალი დონის დაწესებას სხვა ფარმაცევტულ კომპანიებში.

კოლუმბიის უნივერსიტეტმა (აშშ) დააწესა პრემია ფირმების საუკეთესო სოციალურად პასუხისმგებელი ქმედების გამოვ-ლენაზე. 1984 წელს ამ პრემიით ფირმა „Levy Strauss", ტანსაცმლის უმსხვილესი მწარმოებელი მსოფლიოში, დაჯილდოვდა 140 საწარმოში დაახლოებით 44 ათასი ადამიანი საქმიანობს. ფირმამ

თავისი შემოსავლის 2,4 პროცენტი საქველმოქმედო საქმიანობაზე გამოყო. ამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიხარჯა სოციალურ პროგრამებზე იმ ადგილებში სადაც ფირმა თავის ოპერაციებს აწარმოებს. ამ უკანასკნელს განეკუთვნება მაგ., ორგანიზაციების შექმნა, რომლებიც ესპანურენოვან ამერიკელებს ეხმარება ნიუ-მექსიკოში; ობოლთა თავშესაფრის შექმნა არგენტინაში; ფილიპი-ნების მეთევზეთა სოფლებში სასმელი წყლის მიწოდება; ზოგიერთ ქალაქში სამედიცინო დახმარების ნებაყოფლობითი ბრიგადების შექმნა და სხვ.

<u>ევროპულმა სისტემამ</u> განვითარების ყველაზე მძლავრი იმპულსი უკანასკნელი 20-25 წლის მანძილზე მიიღო. ამერიკულ დოქტრინას კი, ევროპულისაგან განსხვავებით, უკანასკნელი 100 წლის მანძილზე რამდენადმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია.

აშშ-გან განსხვავებით, სადაც CSR თვით კორპორაციების მიერაა ინიცირებული, ევროპული კორპორაციების პასუხისმგე-ბლობა საზოგადოების წინაშე გაცილებით შეზღუდულია. ის კორპორაციული ქმედება, რომელიც აშშ-ში ტრადიციულად განიხილება, როგორც ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა (ე.ი. რომელიც ბიზნეს-სტრუქტურების ინიციატივით ტარდება), ევროპაში, როგორც წესი, შესაბამისი სახელმწიფოებრივი ნორ-მებით, სტანდარტებით და კანონებით რეგულირდება.

CSR მოდელის მიხედვით, რომელიც კომპანიების ეკონო-მიკურ, იურიდიულ, ეთიკურ პასუხისმგებლობას და მათ საქველ-მოქმედო საქმიანობას განიხილავს, შესაძლებელია ევროპული მოდელის ამერიკულისაგან შემდეგი განმასხვავებელი ნიშნების გამოყოფა:

– ეკონომიკური პასუხისმგებლობა ძირითადად ბიზნესის მომგებიანობის ასპექტზე და აქციონერების წინაშე კომპანიების პასუხისმგებლობაზეა აქცენტირებული (ტიპიური ამერიკული მიდგომა) ევროპელები ურთიერთობათა აღნიშნულ ჯგუფს

აგრეთვე საწარმოთა მუშაკებსა და ადგილობრივი საზოგადოებრივი დაჯგუფებების წინაშე პასუხისმგებლობას მიაკუთვნებენ.

– იურიდიული პასუხსიმგებლობა ევროპაში ნებისმიერი ფორმის სოციალური პასუხისმგებლობის ბაზას წარმოადგენს. ევროპული ბიზნესს სახელმწიფო მოიაზრებს როგორც ინსტიტუტს, რომელსაც სისრულეში მოჰყავს მოქმედების მიღებული წესები, მაშინ, როდესაც აშშ-ში მსგავსი სახელმწიფოებრივი რეგულირება აღიქმება როგორც პირადი თავისუფლების ხელყოფა.

– სოციალურ პრობლემათა უმეტესობა ევროპული კომპანიების მიერ ეთიკური პასუხისმგებლობის სფეროს განეკუთვნება. ევროპელები კერძო სექტორის მიმართ უნდობლობით გამოირჩევიან და სწორედ ამით აიხსნება ბიზნესის მიმართ საზოგადოების მხრიდან გაცილებით მეტი ყურადღება, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანაში, მაგალითად, ევროპელების დღის წესრიგშია ისეთი აქტუალური პრობლემები, როგორიცაა ატომური ენერგეტიკის, ცხოველებზე სამედიცინო პრეპარატების გამოყენების, გენური ინჟინერიის საკითხები და ა.შ.

– ქველმოქმედება არცთუ ისე პოპულარულია ევროპაში, როგორც აშშ-ში. ეს უკანასკნელი საგადასახადო ტვირთის სიმძიმით აიხსნება, რომელიც ამერიკულ ანალოგებს ბევრად აღემატება. შედეგად, ევროპული კომპანიების ფილანტროპიულ აქციებში მონაწილეობა ძირითადად იურიდიულად განმტკიცებული მექანიზმებითაა განპირობებული.

უკანასკნელ პერიოდში CSR-ის ევროპული ვარიანტის აღსანიშნავად ახალი ტერმინიც კი გაჩნდა – სოციალური რეაგირების კორპორაციული უნარი.

CSR-ის ევროპული მოდელის ერთ-ერთ ძირითად თავისებურებას მისი სახელმწიფოებრივი რეგულირება წარმოადგენს. ასე, ევროპის მრავალ ქვეყანაში სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა, მუშაკთა ჯანდაცვა, საპენსიო რეგულირება და მთელი რიგი სოციალურად მნიშვნელოვანი საკითხი კანონმდებლობითაა

განმტკიცებული. გარდა ამისა, სამართალ-ურთიერთობები „დაქირავებული – დამქირავებელი“ ევროპაში უფრო დეტალურადაა დარეგულირებული, ვიდრე აშშ-ში. მთლიანობაში CSR-ს მრავალი ასპექტის სახელმწიფოებრივი რეგულირება მნიშვნელოვნად აღემატება ჩრდილოამერიკულ სისტემას.

ევროპის ქვეყნებში CSR-ის კონცეფციის გამოყენებაში არსებული განსხვავებების მიუხედავად, მათ შორის გაცილებით მეტი მსგავსებაა ეს უწ. ყოვლისა, იმაში ვლინდება, რომ ევროპული პოლიტიკოსები დიდ მნიშვნელობას CSR-ს სხვადასხვა ინიციატივების ხელშეწყობას ანიჭებენ. რამდენიმე წლის უკან CSR ევროპული კომისიის მიერ განმარტებულ იქნა როგორც „კონცეფცია, რომლის ფარგლებში კომპანიები ნებაყოფლობით საწყისებზე ერთიანდებიან სტეიკჰოლდერებთან[3] სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად და გარემოსდაცვითი ღონისძიებების რეალიზაციისათვის“.

CSR-ის ევროპულ მოდელში ბრიტანულ მოდელს გამოყოფენ, რომელიც როგორც ამერიკული, ისე ევროპული მოდელის ელემენტებს მოიცავს. ევროპულთან მას, უწ. ყოვლისა, სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის აქტიური ხელშეწყობა აერთიანებს. ბრიტანეთი განთქმულია კარგად შემუშავებული სოცუზრუნველყოფისა და ჯანდაცვის სახელმწიფო სისტემით. იმავდროულად, ადგილი აქვს CSR-ის ამერიკულ ელემენტებს, რომელიც განსაკუთრებით მ. ტეტჩერის რეფორმის შემდეგ გამოვლინდა.

მთლიანობაში ბრიტანულ მოდელს შემდეგი ნიშნები ახასიათებს:

– CSR-ის სფეროში დამოუკიდებელი კონსალტინგის

[3]ტერმინი „სტეიკჰოლდერი“ (stakeholder) ანუ „დაინტერესებული პირები“ პირველად გაჩნდა 1963 წელს სტენფორდის კვლევითი ინსტიტუტის მემორანდუმში. იგულისხმება ის ჯგუფები, რომელთა ხელშეწყობის გარეშე ორგანიზაცია არსებობას წყვეტს (აქციონერები, მუშები, მყიდველები, მომწოდებლები, კრედიტორები, საზოგადოება და ა.შ.).

სექტორის ფართო განვითარება;

– საფინანსო სექტორის გამახვილებული ყურადღება CSR-ის სფეროში პროექტების მიმართ (სოციალურად პასუხისმგებელი საინვესტიციო ფონდების რაოდენობის ზრდის ტენდენცია);

– დ/ბრიტანეთის ბიზნეს-განათლების სისტემა ევროპასთან შედარებით უპირატესობით სარგებლობს CSR-ის სფეროში სასწავლო კურსების რაოდენობისა და მრავალფეროვნების მიხედვით;

– ხელისუფლების მონაწილეობა CSR-ის განვითარებაში. ეს ვლინდება საგანმანათლებლო სექტორში კერძო საწარმოებთან პარტნიორობის შექმნაში, CSR-ის სფეროში პროექტების თანადაფინანსების გზით ინიციატივების ხელშეწყობაში, საგადასახადო შეღავათებში და ა.შ. სახელმწიფოსათვის CSR-ის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ამჟამად პრემიერის თანამდებობასთან შემოღებულია CSR-ის მინისტრის თანამდებობა.

პრინციპული მომენტია საკუთრივ ბიზნესის მკაფიოდ გამოხატული ინიციატივიანობა CSR-ის სფეროში პროექტების შექმნაში, რაც არსებითად, მთლიანად ეთანხმება ნებაყოფლობითობის პრინციპს. მთლიანობაში ბრიტანული მოდელის განვითარების პროცესი ნელ-ნელა მიმდინარეობს.

XIX ს-ში და XX ს-ნის 80-იან წლებამდე CSR-ის განვითარება ძირითადად ფილანტროპიის ფორმით მიმდინარეობდა (ცალკეულ ბიზნესმენთა ინიციატივები ადგილობრივი საზოგადოებრივი დაჯგუფებების, თანამშრომლების, მათი ოჯახების და ა.შ. ხელშეწყობის მიზნით).

გასული საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი ქვეყანაში სერიოზული ეკონომიკური პრობლემებით, უმუშევრობით და საზოგადოებრივი უწესრიგობებითაც კი აღინიშნა. მსხვილმა ბიზნესმა გააცნობიერა, რომ ხელისუფლებას არც ფიზიკურად, არც ფინანსურად არ ძალუძს შექმნილი ვითარებასთან გამკლავება. საგადასახადო ტვირთის და შრომითი ურთიერთობების რეგულირების შესაძლო გამკაცრების შესახებ სამთავრობო გადაწყვეტილებების

პასიური ლოდინის ნაცვლად, მსხვილი ბიზნესი CSR-ის დანერგვის აქტიურ ინიციატორად გვევლინება, რას CSR-ის პირველი ტალღის მაუწყებელი იყო. თავდაპირველად იგი ეროვნულ დონეზე სპეციალურ პროგრამათა ჯგუფის შექმნაში გამოიხატებოდა, რომლის აქტიური მონაწილეობით კორპორაციები ახალგაზრდების პროფესიული სწავლების შესაძლებლობებს ქმნიდნენ. სპეციალურ პროგრამათა ჯგუფები ატარებდნენ თემატურ კონფერენციებს, ურთიერთქმედებდნენ ცალკეულ კომპანიებთან, შუამავლად გამოდიოდნენ კონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნისას.

90-იანი წლები CSR-ის ორი მომდევნო ტალღით-საქონლის სოციალურად პასუხისმგებელი წარმოებით (მეორე ტალღა) და პერსონალის მიმართ პასუხისმგებელი დამოკიდებულებით (მესამე ტალღა) – აღინიშნა.

ამჟამად ბრიტანულ კომპანიათა უმრავლესობას თავიანთ სტრუქტურებში ბსპ-ს სპეციალური ქვედანაყოფები გააჩნია საკუთარი ბიუჯეტებით და წარმომადგენლობებით დირექტორთა საბჭოს დონეზე. უმსხვილესი ნაციონალური კომპანიების 89%-ის ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშს თან ერთვის სოციალური ანგარიშები.

საკონტროლო კითხვები:

1. განმარტეთ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა;
2. რას გულისხმობს CSR-ის ღია და ფარული ფორმა?
3. ჩამოთვალეთ სოციალური პროგრამების ძირითადი მიმართულებები;
4. რა ძირითადი მიდგომები არსებობს CSR -ის მიმართ?
5. რა განსხვავებაა CSR-ის ამერიკულ და ევროპულ მოდელებს შორის?

თავი III. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ევროკავშირში

3.1 ევროკავშირის ისტორია[4]. ევროკავშირის ინსტიტუტები

ევროპული ინტეგრაციის იდეა პირველად დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, უინსტონ ჩერჩილმა წამოაყენა, რომელმაც 1946 წლის 19 სექტემბერს ციურიხში (შვეიცარია) სიტყვით გამოსვლისას, ევროპის შეერთებული შტატების შექმნის აუცილებლობაზე ისაუბრა, თუმცა, აღნიშნულ იდეას მაშინ განვითარება არ მოჰყოლია. ევროპული ინტეგრაციის საწყისად შეიძლება ჩაითვალოს 1950 წელი, როდესაც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერტ შუმანმა, გაახმოვანა ფრანგი პოლიტიკოსის, ჟან მონეს ინიციატივა - გაერთიანებულიყო დასავლეთ ევროპის ნახშირის და ფოლადის საბადოები.

შედეგად, 1951 წელს შეიქმნა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება (Europeam Coal and Steel Community), რომელშიც შევიდა ექვსი სახელმწიფო - ბელგია, დასავლეთ გერმანია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, იტალია და ნიდერლანდები. გადაწყდა, რომ შექმნილიყო დამოუკიდებელი სუპრაეროვნული (ზეეროვნული) ორგანო, ე.წ. ,,უმაღლესი ხელისუფლება" (High Authority), რომელიც განაგებდა ამ ქვეყნებში ნახშირისა და ფოლადის წარმოებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. უმაღლესი ხელისუფლების პირველ პრეზიდენტად დაინიშნა ჟან მონე. 1953 წელს შეიქმნა რკინის, ნახშირის, მადნეულის და ჯართის საერთო ბაზარი; იმავე წელს, ცოტა მოგვიანებით, შეიქმნა ფოლადის საერთო ბაზარიც.

ორი წლის შემდეგ, იტალიის ქალაქ მესინაში ექვსი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი შეთანხმდა, რომ განეგრძოთ ინტეგრაციის პროცესი (ცნობილია მესინის ინიციატივის სახე-

[4] https://old.infocenter.gov.ge/euinfo-history/#1

ლით). შეიქმნა სამთავრობათაშორისო კომიტეტი, რომელმაც მოამზადა საფუძველი რომის ხელშეკრულებისათვის, რის შედეგადაც საფუძველი დაედო „ევროპის ეკონომიკური გაერთიანებას“. რომის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი ასპექტი იყო შეთანხმება საერთო ბაზრის შექმნის თაობაზე, რასაც მომავალში საბაჟო კავშირის ჩამოყალიბება უნდა მოჰყოლოდა. საერთო ბაზარი ითვალისწინებდა ევროგაერთიანების წევრ ქვეყნებს შორის ბარიერების გაუქმებას საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ადამიანების გადაადგილების კუთხით. რომის ხელშეკრულებამ საფუძველი ჩაუყარა, აგრეთვე, საერთო სოფლის მეურნეობისა და საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის ჩამოყალიბებას.

რომში ცალკე ხელშეკრულებით დაარსდა ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანება, ე.წ. „ევრატომი“, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ევროპაში ატომური ენერგიის საერთო ბაზრის შექმნა, კერძოდ: ატომური ენერგიის ინდუსტრიის განვითარება, ენერგიის გადანაწილება გაერთიანების წევრ სახელმწიფოებზე და დარჩენილი რესურსის მიყიდვა არაწევრი ქვეყნებისთვის.

1967 წელს ბრიუსელის ხელშეკრულებით მოხდა ზემოხსენებული სამი ორგანიზაციის: ევროპის ნახშირისა და ფოლადის გაერთიანების, ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა (შემდგომში ევროგაერთიანება) და „ევრატომის“ აღმასრულებელი ორგანოების - კომისიისა (შემდგომში ევროპული კომისიის) და საბჭოს გაერთიანება ერთ ინსტიტუციურ სისტემაში, რომელსაც „ევროპული გაერთიანებები“, ხოლო 1992 წელის მაასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე - "ევროკავშირი" ეწოდა.

ევროკავშირი დღეისათვის 28 დემოკრატიული სახელმწიფოს უნიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობის, კეთილდღეობისა და თავისუფლების უზრუნველყოფას თავისი 500 მილიონზე მეტი მოქალაქისთვის.

ევროკავშირის ინსტიტუტები. ევროკავშირი 28 დემოკრატი-

ული სახელმწიფოს უნიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობის, კეთილდღეობისა და თავისუფლების უზრუნველყოფას მისი 500 მლნ-ზე მეტი მოქალაქისთვის, უფრო სამართლიან და უსაფრთხო სამყაროში.

ევროკავშირის ძირითადი ინსტიტუტებია: ევროპის პარლამენტი, ევროკავშირის საბჭო, ევროპული საბჭო, ევროკომისია, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო, აუდიტორთა სასამართლო და ევროპის ცენტრალური ბანკი (ვრცლად იხილეთ ბმულზე https://ka.wikipedia.org/wiki/ევროკავშირის_ინსტიტუტები)

3.2 CSR-ის კონცეფციის ევოლუცია ევროკავშირში. ევროკავშირის CSR-ის სტრატეგია

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებაში სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობა მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია ევროპული კულტურის თავისებურებებთან, რომელიც აღძრავს მდგრადი განვითარების ისეთ გლობალურ და ადგილობრივ გამოწვევებზე აქტიურად რეაგირების სურვილს, როგორიცაა კორპორაციათა გამჭვირვალობა, ადამიანის უფლებათა დაცვა, ენერგოეფეტურობა, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და ა.შ. ამის შედეგად შეინიშნება მრავალრიცხოვანი სტეიკჰოლდერების, არაკომერციული ორგანიზაციების, პროფკავშირების, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობებისა და სხვ. ეფექტიანი მუშაობა ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების პროპაგანდის მიმართულებით. ისინი, თავიანთი საქმიანობის ფარგლებში, გავლენას ახდენენ ადგილობრივი მოსახლეობის შეხედულებებზე, ასევე სახელმწიფოს კანონშემოქმედებით საქმიანობაზე. შესაბამისად, ხდება ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ინტეგრაცია სახელმწიფო პოლიტიკის სფეროში.

საფრანგეთში არასაფინანსო ანგარიშები გათვალისწინებულია კანონმდებლობით, ამიტომაც კომპანიათა პრაქტიკულ საქმიანობაში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების ინტეგრაციის სიჩქარე ბევრად მაღალია, ვიდრე ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა, მაგალითად, უნგრეთი ან პორტუგალია.[5] ხოლო იმის გამო, რომ ევროკავშირის ზეეროვნული ორგანოები დაინტერესეული არიან კავშირის თანაბარი განვითარებითა და განმტკიცებით, შესაბამისად, მიიღება აქტიური პრაქტიკული ზომები ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების გავრცელებისთვის. ევროკომისიის პრეზიდენტმა მთავარი აქცენტი გააკეთა სწორედ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადი განვითარების პრობლემებზე, როგორც ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებებზე.[6]

შესაბამისად, ევროპული კომპანიები განიცდიან სამმაგ წნეხს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების რეალიზაციისას - სამოქალაქო საზოგადოების, ევროკავშირის ორგანოებისა და ეროვნული მთავრობების მხრიდან. ნებისმიერს ამ ჯგუფიდან შეუძლია CSR-ის სტიმულირება როგორც პირდაპირ, ასევე ირიბად. ამასთანავე, ბიზნესს ასევე შეუძლია შებრუნებული გავლენის მოხდენა როგორც ევროკავშირის ინსტიტუტებზე, ასევე ეროვნულ მთავრობებზე დარგობრივი ლობირების ფორმით, რაც შესაძლებელს ხდის ბალანსის დაცვას კომპანიებისა და საზოგადოების ინტერესებს შორის.

რაც შეეხება CSR-ის სტიმულირების სახელმწიფო პოლიტიკის ინსტიტუციონალურ გაფორმებას, იგი ეფუძნება ფართო, საერთაშორისო იდეას, რომელიც ჩამოყალიბდა შრომის საერთა-

---

[5] Europa-European commission-
http://ec.europa.eu/employment_social/emplweb/csrmatrix/csr_matrix_en.cfrn

[6] European Commission. Corporate Social Responsibility - National public policies in the European Union. Luxembourg: Office for Official Publications of the European Communities, Directorate-General for Employment, Social Affairs and Equal Opportunities Unit D. 2. - Luxembourg. - 2007.

შორისო ორგანიზაციის (შსო) დებულებების, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო), მსოფლიო სამიტების და ა.შ. გავლენით. თავის მხრივ, ევროკავშირის დონეზე მიღებული დოკუმენტები ეროვნულ დონეზე განსაზღვრავენ პოლიტიკას CSR-ის სფეროში.

CSR ხორციელდება პრაქტიკულად ყველა შესაძლო მეთოდით: საჯარო განხილვებით თუ დისკუსიებით დაწყებული და საერთო ევროპულ თუ ეროვნულ დონეებზე კომპანიათა სოციალურად პასუხისმგებლიანი ქცევის ცალკეული ასპექტების პირდაპირი რეგულირებით დამთავრებული.

სახელმწიფოს საქმიანობა, სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების დასამკვიდრებლად, მოიცავს ორ მიმართულებას: ა) სამართლებრივი ველის სრულყოფას ბ) სხვადასხვა დამატებითი არასაკანონმდებლო ინიციატივების შექმნასა და პროპაგანდას, რომელთაც შეუძლიათ უბიძგონ ბიზნესს სოციალურად პასუხისმგებლიანი ქცევის პრაქტიკის დანერგვისა და გაფართოებისკენ.

დამატებითი მასტიმულირებელი ღონისძიებების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი: ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება გამოიყო ცალკე მიმართულებად ევროკავშირის მუშაობაში 2000 წლის მარტში, როცა ლისაბონში გამართული სხდომის ფარგლებში ევროსაბჭომ პირველად, საჯაროდ, მოუწოდა კომპანიებს პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებისკენ.

2001 წელს ევროკომისიამ გამოაქვეყნა „მწვანე წიგნი“, რომელიც ამკვიდრებს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ევროპულ იდეოლოგიას.[7] 2002 წელს, გამოქვეყნდა აღნიშნული წიგნის გაგრძელება - დოკუმენტი, რომელიც მიეძღვნა CSR-ისა და

[7] European Commission. Green Paper on corporate social responsibility, 2001. http://ec.europa.eu/enterprise/policies/sustainable-business/corporate-socialresponsibility/index_en.htm

მდგრადი განვითარების ურთიერთკავშირს.[8] ამის შემდეგ ევრო-პარლამენტმა ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა CSR-ის საფუძვლების დაზუსტებაში, რაც აისახა მის 2002 და 2003 წლების რამდენიმე ათეულ რეზოლუციაში.

2002 წელს ჩატარდა ევროპის CSR-ის ფორუმი, რომელშიც მონაწილეობდა დაახლოებით 50 ავტორიტეტული ბიზნესის, არაკომერციული ორგანიზაციების, მომხმარებელთა და დამკვეთ-თა სექტორის სტეიკჰოლდერი.[9] აღნიშნულმა ფორუმმა ორწლიანი მუშაობის შედეგად შეიმუშავა შეთანხმება CSR-ის იდეოლოგიის პროპაგანდისა და მისი ტექნოლოგიების სრულყოფის საკითხებზე. ფორუმის რეკომენდაციებიდან გამოვყოფთ *ყველაზე მნიშვნე-ლოვან ორ რეკომენდაციას:* ევროკავშირში განხორციელებული ბიზნეს-საქმიანობის გამჭვირვალობის ამაღლების აუცილებლობი-სა და CSR-ის განვითარებაში ეროვნული ხელისუფლებების მონაწილეობის შესახებ.[10] თუმცა, ანგარიშგებისა და ერთიანი ევროპული სტანდარტების საკითხები იმ მომენტისთვის ღიად რჩებოდა.

CSR-ისადმი ყურადღების აქცენტირების მეორე ტალღა ევროკავშირში დაიწყო 2005 წელს, რაც განპირობებული იყო ლისაბონის სტრატეგიის განახლებით. მაგალითად, დოკუმენტში, რომელშიც ასახული იყო ეკონომიკისა და დასაქმების პერსპექ-ტივები, ევროსაბჭო ურჩევდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ყოველმხრივ წაეხალისებინათ კომპანიათა სოციალური პასუხის-

---

[8] European Commission. Corporate social responsibility: A business contribution to sustainable development, 2002.-http://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2002:0347:FlN:en:PDF

[9] European Commission. EU Multi-Stakeholder Forum on Corporate Social Responsibility. - http://ec.europa.eu/employment_social/soc-dial/csr/Iast_forum_complete2.pdf

[10] Hoskins T. Corporate Social Responsibility Handbook. - London: The ICSA, 2007. - P. 37.

მგებლობის განვითარება.[11] ამავე წელს ასევე განახლდა ევროკავშირის მდგრადი განვითარების სტრატეგია, რომელშიც უკვე იყო გაკეთებული აქცენტი ბიზნესის სოციალური პასუხის-მგებლობის განვითარებაზე საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში.[12]

2006 წელს გამოვიდა ევროკომისიის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო დოკუმენტი, რომელიც მიეძღვნა CSR-ს, რომელშიც იგი მოუწოდებდა პროფკავშირებს, მომხმარებლებს, ინვესტორებს, არაკომერციულ ორგანიზაციებს, სტეიკჰოლდერებს და ა.შ. არ შეჩერდნენ მიღწეულზე და „გააძლიერონ CSR-ის ვერტიკალი“, გამოიჩინონ მეტი აქტიურობა და წაახალისონ საუკეთესო პრაქტიკები.[13] პრაქტიკულ ღონისძიებებს შორის გამოყოფენ „CSR-ის ალიანსს“, რომლის წევრობა უფასოა ნებისმიერი სიდიდის კომპანიისთვის. იგი ახდენს CSR- ის ყველაზე სანიმუშო გამოცდილების დემონსტრირებას.[14]

რაც შეეხება CSR-ის საკანონმდებლო სტიმულირებას, ევრო-კავშირში არ არსებობს ერთიანი სამართლებრივი ბაზა, რომელიც აწესებს კომპანიათა სოციალური პასუხისმგებლობის მინიმალურ ნიშას, თუმცა მას ცვლის მრავალრიცხოვანი დირექტივები და რეგლამენტები, რომლებიც ეხება ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და კულტურის სფეროს კონკრეტული მიმართუ-ლებების მარეგულირებელი ნორმების ჯგუფს. უნდა აღინიშნოს,

---

[11] European Commission. Integrated Guidelines for Growth and Jobs (2005-2008), 2005.

[12] European Commission. Strategy for sustainable development, 2005. http://eurIex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2005:0658:FIN:EN:PDF

[13] European Commission. Implementing the partnership for growth and jobs: making Europe a pole of excellence on corporate social responsibility, 2006. http://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2006:0136:FlN:en:PDF

[14] Europa - European commission - http://ec.europa.eii/enterprise/policies/sustainablebusiness/corporate-social-responsibility/european-alliance/index_en.htm

რომ მრავალი დირექტივა და რეგლამენტი იქმნება არა იმდენად CSR-ის მნიშვნელობიდან გამომდინარე, არამედ უფრო ზოგად მოსაზრებებზე დაყრდნობით, თუმცა, საბოლოოდ ისინი მიმართულია სწორედ კომპანიათა სოციალური პასუხისმგებლობის სფეროსკენ.

დღეისთვის საკანონმდებლო დონეზე ყველაზე მეტად დამუშავებულია CSR-ის ორი მიმართულება - სოციალური და გარემოს დაცვის. უკანასკნელ წლებში სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ადგილობრივ თემებთან ურთიერთქმედების წესებს, პასუხისმგებლიან საბაზრო ქცევებს და მომხმარებელთა უფლებების დაცვას, პასუხისმგებლიან კორპორაციულ მართვას და ა.შ. პარალელურად მუშავდება სხვადასხვა დარგებისათვის, გათვალისწინებული მდგრადი საქმისწარმოების „ვერტიკალური“ წესები.

ევროკავშირის კანონმდებლობა გარემოს დაცვის სფეროში დღეისათვის მოიცავს ასეულობით დირექტივასა და რეგლამენტს, რომლებიც აწესებენ კონკრეტულ ნიშას ბიზნესის ეკოლოგიური პასუხისმგებლობისთვის[15]. ისინი ეძღვნება ბიზნესის ქცევას კლიმატის ცვლილებებთან, ნარჩენების მართვის აუცილებლობასთან, ჰაერის დაბინძურებასთან, ქიმიური პროდუქტებით ნიადაგის დაცვასთან, მოქალაქეთა საერთო დაცვასთან და ხმაურისგან დაცვასთან მიმართებით.

საინტერესოა ევროპარლამენტის მიერ 2004 წელს მიღებული დირექტივა, რომელიც ადგენს ეკოლოგიური პასუხისმგებლობის სისტემას გარემოს ტრანსსასაზღვრო დაბინძურების აღკვეთისა და აღმოფხვრისათვის. პრინციპის - „დამბინძურებელი იხდის“ - თანახმად, კომპანია, რომლის საქმიანობამ ზიანი მიაყენა ან შესაძლოა ზიანი მიაყენოს გარემოს, ამისათვის მატერიალურ პასუხისმგებლობას იღებს. აღნიშნული დირექტივა ფართო უფლებამოსილებებს ანიჭებს არაკომერციულ ორგანიზაციებს - მათ შეუძლიათ თხოვნით მიმართონ კომპეტენტურ ორგანოებს

[15] Europa - European commission - http://europa.eu/scadplus/leg/en/sl5000.htm

დამბინძურებლის წინააღმდეგ საქმის აღძვრასთან დაკავშირებით, ან თუნდაც, მიმართონ სასამართლოს კომპეტენტური ორგანოების მოქმედებებისა თუ უმოქმედების კანონიერების შემოწმების მოთხოვნით.[16] CSR- ის პრაქტიკის განვითარებისთვის გამოიყენება ინსტიტუციური საჯარო პოლიტიკა (IPP), ეკოლოგიური მენეჯ-მენტისა და აუდიტის სქემა (EMAS), გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ) და ა.შ.[17] ასევე, ბუნებისდაცვითი კანონმდებლობის განვითარებულობაზე მიანიშნებს, კიოტოს ოქმის მოქმედების თანახმად, სერტიფიკატების გაცემა ნახშირორჟანგის გამონაფრქვე-ვის გაყიდვაზე.

სოციალური სფეროსთვის ასევე დამახასიათებელია რეგული-რების მაღალი ხარისხი. მას საფუძვლად უდევს სოციალური თავი, რომელიც გამოიყო 1992 წელს მაასტრიხტის ხელშეკრულებაში და მიღებულ იქნა ევროკავშირის წევრების მიერ ამსტერდამის ხელშეკრულებით. იგი ძალაში შევიდა 1999 წელს და აღწერს მომუშავეთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, კომუნიკაციის, მათი უფლებებისა და შრომის პირობების საკითხებს - ბიზნესის შიდა სოციალური პასუხისმგებლობის პრაქტიკულად ყველა საკვანძო საკითხს. მაგალითად, თანამშრომლებთან კომუნიკაციას განსაზღვრავს შესაბამისი დირექტივა ინფორმირებისა და კონ-სულტირების შესახებ, რომელიც უფლებას ანიჭებს მომუშავეებს იყვნენ ინფორმირებულები კომპანიაში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით, მიმდინარე და შემდგომ მუშაობაზე რჩევებისა და მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ მონაცემების ჩათვლით. მომუშავეთა უფლებებისა და კომუნიკაციის სხვა საკითხები ასევე პრიორიტეტულია და დისკრიმინაციასთან, შრომისუნარიანობასა

---

[16] Яровой А.И. Влияние институтов власти на развитие корпоративной социальной ответственности в России и Европейском Союзе // Бизнес. Общество. Власть. 2010, № 3. С. 92-112.

[17] Eggert M. Экологическое правовое законодательство ЕС и международная стандартизация в области экологического менеджмента // Семинар IBF International Consulting. Апрель 2006.

და სხვა საკითხებთან დაკავშირებით მრავალრიცხოვანი დირექ-ტივების ობიექტი ხდება. ეს ეხება შრომის პირობებსაც.[18]

ამრიგად, ევროკავშირის ქვეყნებში წარმოებს კომპლექსური პოლიტიკა ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპე-ბის სტიმულირებასთან მიმართებით, რაც მოწმობს სახელმწიფოს განმსაზღვრელ როლს კომპანიათა სოციალური პასუხისმგებლო-ბის რეგულირებაში.

ზემოთ აღწერილი მაგალითები მოწმობენ ევროკავშირის ხელმძღვანელი ორგანოების სერიოზულ ყურადღებას და ქმნიან მძლავრ იმპულსს CSR-ის იდეოლოგიის განვითარებისთვის, განსაზღვრავენ ევროკავშირის წევრი ქვეყნების შესაბამის სახელ-მწიფო პოლიტიკას.

განვიხილოთ ევროკავშირის წევრი (და ყოფილი წევრი - დიდი ბრიტანეთის) ქვეყნების სახელმწიფო პოლიტიკა CSR-ის სფეროში. საზოგადოებაში ბიზნესის სოციალური პასუხისმგე-ბლობის როლის, მისი ინსტიტუციონალიზაციისა და ამ პროცესში სახელმწიფოს მონაწილეობის ერთ-ერთი მაჩვენებელია ინსტიტუ-ციონალური გაფორმება.

შვედეთში არსებობს CSR-ის ელჩის თანამდებობა და ა.შ. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სახელმწიფოს მონაწილეობა CSR-ის განვითარებაში არსებითად განსხვავებულია. ყველაზე ნიშანდო-ბლივი მაგალითები შეიძლება მოვიძიოთ საფრანგეთში.

საფრანგეთში CSR-ის განვითარება და რეგულირება ასევე გამოყოფილია სახელმწიფოს მუშაობის ცალკე მიმართულებად. მას ბევრი საერთო აქვს ბრიტანულ მოდელთან, თუმცა აქვს გან-სხვავებებიც. მაგალითად, თუ დიდ ბრიტანეთში ინიცირებულია ბევრი მრავალმხრივი პროექტი, როგორც სამოქალაქო საზოგადო-ების აქტიურობის გამოვლინება და გაგრძელება, საფრანგეთში საზოგადოების დაინტერესება ბიზნესის სოციალური პასუხისმგე-

[18] Яровой А.И. Влияние институтов власти на развитие корпоративной социальной ответственности в России и Европейском Союзе // Бизнес. Общество. Власть. 2010, № 3. С. 92-112.

ბლობით არც ისე მაღალია, რაც უფრო შეესაბამება ზოგადევ-როპულ სპეციფიკას.

ამიტომ საფრანგეთში, ისევე როგორც ევროკავშირის ბევრ სხვა ქვეყანაში, CSR-ის განვითარება და რეგულირება ხდება „მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგიის“ ფარგლებში. იგი საფრან-გეთის მთავრობამ მიიღო 2003 წელს 5 წლის ვადით და შემდგომ განაახლა 2006 წელს.[19] მის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მსხვილი ბიზნესის ვალდებულებების ნებაყოფლობით ჩამოყალი-ბება, დამსაქმებელთა დარგობრივ გაერთიანებებთან სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში თანამშრომლობის გზით.[20] ასევე,

კომპანიათა სოციალურად პასუხისმგებლიანი ქცევის სტიმუ-ლირების საშუალებად გამოიყენება სახელმწიფოს პირველი პირების მიმართვები, როგორც მდგრადი განვითარებისა და ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის იდეების პროპაგანდის საშუალება.

მაგალითად, 2003 წელს, ქვეყნის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა პირადად მოუწოდა გაეროს გლობალურ ხელშეკრულებასთან აფილირებულ კომპანიებს, ორგანიზება გაეკეთებინათ საკოორდი-ნაციო ქსელისთვის საერთაშორისო არენაზე ქვეყნის წარსადგენად, გამოცდილების გასაზიარებლად და CSR-ის პრინციპების გასავრ-ცელებლად. ქვეყნის შიგნით კი, საჯარო პოლიტიკის დონეზე, „პასუხისმგებლიანი საქმიანი ქცევის გავრცელებაზე პასუხისმგე-ბელია პრემიერ-მინისტრი, ეკოლოგიისა და მდგრადი განვი-თარების მინისტრი, მდგრადი განვითარების უწყებათაშორისი დელეგატი და ხელისუფლების სხვა ორგანოები, მ.შ. ადგილებზე.[21]

---

[19] European Commission. Corporate Social Responsibility - National public policies in the European Union. Luxembourg: Office for Official Publications of the European Communities, Directorate-General for Employment, Social Affairs and Equal Opportunities Unit D. 2. Luxembourg. 2007. P. 35.

[20] ი ქ ვ ე , ბ ვ . 35

[21] Brodhag C, Sophie Talire S. National sustainable development strategies: experience of France. Natural Resources Forum 30, 2006. - http://www.norden.org/baeredygtig_udvikling/sk/nsds%20brodhag.pdf

საფრანგეთისთვის, დიდ ბრიტანეთზე მეტად, დამახასიათებელი აქტიური კანონშემოქმედება ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის საკითხში. მაგალითად, ამას მოწმობს 2001 წლის კანონი „ახალი ეკონომიკური რეგულირების შესახებ“, რომელიც წარმოადგენს პირველ კანონს ევროკავშირში კორპორაციული მართვის სფეროში. იგი აწესებს სავალდებულო და დაწვრილებით კორპორაციულ არასაფინანსო ანგარიშგებას. თუმცა, მოცემულ კანონში არ არის გათვალისწინებული სანქციები მსგავსი ინფორმაციის არწარდგენაზე. სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებისთვის ბიზნესის მასტიმულირებელ მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს სოციალური პროექტები. მაგ., მთავრობის მიერ 2004 წელს შემოთავაზებული **„თანასწორობის ემბლემა“**.[22] იგი გახლავთ სახელმწიფოსა და სტეიკჰოლდერების მიერ ერთობლივად შემუშავებული განმასხვავებელი ნიშანი.

აღნიშნული ემბლემა გვიჩვენებს, რომ თანამშრომლებთან, დამკვეთებთან და აქციონერებთან მიმართებით კომპანიები იცავენ თანასწორობისა და მრავალფეროვნების უმაღლეს პრინციპებს. მისი მინიჭების უფლებას გასცემს სპეციალური დამოუკიდებელი ორგანო AFAQ-AFNOR სპეციალურ კომიტეტთან კონსულტაციის შედეგად, რომლის შემადგენლობაში შედის მთავრობის, დამსაქმებელთა ორგანიზაციებისა და მომუშავეთა გაერთიანებების 5-5 წარმომადგენელი. ემბლემა გაიცემა 3 წლის ვადით და დღემდე მისი მფლობელია დაახლოებით 20 კომპანია.

საფრანგეთისა და ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნისათვის დამახასიათებელ საერთო მეთოდებს განეკუთვნება CSR-ის ჩართვა სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში და სოციალურად პასუხისმგებლიანი ინვესტირების სტიმულირება. განვიხილოთ აღნიშნული მეთოდები საფრანგეთის მაგალითზე. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ჩართვა ქვეყანაში სახელმწიფო შესყიდვების წარმოების კრიტერიუმად მოხდა 2007 წელს,

[22] AFNOR Certification - http://www.afnor.org/

მთავრობის მიერ საქონლისა და მომსახურებების შესყიდვების განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანიზაციების საქმიანობის რეგლამენტირებისა და უფლებამოსილებების გაფართოებებისთვის დოკუმენტის მიღების შემდეგ.[23] ამ ორგანიზაციებს არ შეუძლიათ ჩარევა ორგანიზაციის საქმიანობაში, თუმცა შეუძლიათ მასზე გავლენის მოხდენა და სოციალური თუ ეკოლოგიური ხასიათის მოთხოვნების წაყენება. მაგალითად, კონტრაქტის გაფორმების პირობა შეიძლება გახდეს მასში ისეთი პირობების ჩართვა, როგორიცაა უმუშევართა და ბაზარზე არამოთხოვნადი სპეციალისტების განსაზღვრული რაოდენობის დაქირავება. რაც შეეხება სოციალური ინვესტიციების სტიმულირებას, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და მმართველი ფონდების მიერ მათი გამოყენების დაჩქარების მიზნით, საფრანგეთში მიიღეს კანონი, რომელიც ორგანიზებას უწევს სარეზერვო საპენსიო ფონდის მუშაობას აქტუალური სოციალური, ეკოლოგიური და ეთიკური საკითხების აღსარიცხად. ამის შედეგად, საფრანგეთში სოციალურად პასუხისმგებლიანი ინვესტირების მოცულობა გაიზარდა 3,5 მლრდ ევროდან 8,8 მლრდ ევრომდე.[24]

ამრიგად, CSR-ის ევროპული მოდელის თავისებურებას წარმოადგენს სახელმწიფოს უდიდესი როლი მის ორგანიზაციაში. ეს კი, უდავოდ, ადასტურებს ამ უკანასკნელის აქტიურ მონაწილეობას კომპანიათა სოციალურად პასუხისმგებლიანი ქცევის სტიმულირებაში.

---

[23] European Commission. Corporate Social Responsibility - National public policies in the European Union. Luxembourg: Office for Official Publications of the European Communities, Directorate-General for Employment, Social Affairs and Equal Opportunities Unit D. 2. Luxembourg. 2007. P. 38.

[24] ი ქ ვ ე , გ ვ . 37.

3.3. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება ევროკავშირის ქვეყნებში[25]

ევროპაში რეგულარულად ტარდება ანალიტიკური გამოკვლევები CSR სფეროში. ევროპული მოდელის განხილვისას ხშირ შემთხვევაში ცალკე კვლევის საგანია ევროკავშირის CSR, რომლის ისტორია იწყება 1995 წლიდან, როდესაც ევროგაერთიანების პრეზიდენტმა მოუწოდა საწარმოებს სოციალური აქტიურობისა და მეტი სამუშაო ადგილის შექმნისკენ. შედეგად ამავე წელს ოცმა ბიზნეს ლიდერმა მიიღო ევროპული ბიზნეს დეკლარაცია სოციალური იზოლაციის წინააღმდეგ (მეტი ჩართულობა სოციალურ პროცესებში). თუმცა ამას წინ უძღოდა ინდუსტრიული რევოლუცია, სადაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა იყო უმუშევრობა და სამუშაო პირობები. ევროკავშირი შეეცადა ცალკეული ქვეყნების სოციალური პრობლემები განეხილა ერთ მთლიან კონტექსტში და 1993 წელს აამოქმედა 4 თავისუფლება. იგი გულისხმობს კაპიტალის, მუშახელის, მომსახურების და პროდუქციის თავისუფალ გადაადგილებას ევროპის ქვეყნების ბაზრებზე. აღნიშნულ კონტექსტში მუშახელის თავისუფალი გადაადგილება გულისხმობს თითოეული წევრი სახელმწიფოს მოქალაქის უფლებას იცხოვროს ან ეკონომიკური საქმიანობა აწარმოოს მეორე წევრ სახელმწიფოში. თუკი საწყის ეტაპზე ევროკავშირის ძირითადი მიზანი იყო უსაფრთხოება და შემდგომ უკვე ეკონომიკური პროცესები (ვაჭრობა, უმუშევრობა), დროთა განმავლობაში იგი ჩაანაცვლა გარემოს დაცვითმა ღონისძიებებმა,

[25] გამოყენებულია მასალები საქართველოს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) საინფორმაციო ჰაბის, CSR-ის ბლოგის www.forbes.ge/blogs/csr და „ყველაფერი მდგრადი განვითარების შესახებ“, ასევე http://eugeorgia.info/ka/article/579/qartuli-kompaniebi-agrdzeleben-csr-is-evropul-tradiciebs-saqartveloshi/ ვებ-გვერდებიდან

რომელიც დღესდღეობით ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ევროკავშირისთვის.

1996 წელს ევროკომისიის ძალისხმევით შეიქმნა „CSR ევროპა“.- ევროპის წამყვანი ბიზნეს ქსელების გაერთიანება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის გასავითარებლად. ამჟამად იგი მოიცავს 45 კორპორაციულ წევრს და 41 ეროვნულ CSR ორგანიზაციებს. მისი მიზანია ისეთი ბიზნეს სივრცის შექმნა, სადაც კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის გაუმჯობესების მსურველთათვის შესაძლებელი იქნება გამოცდილების გაზიარება, პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავება და ევროკავშირთან პოლიტიკური დიალოგის წარმართვა. თუმცა CSR-ს საკითხებზე აქტიური მუშაობა ევროკავშირის მხრიდან მხოლოდ 2000 წელს დაიწყო, როდესაც ევროკავშირის სახელმწიფო მეთაურებმა CSR-ს საკითხი ლისაბონის სამიტზე განიხილეს. 2002 წელს შემუშავდა პირველი CSR სტრატეგია. ხოლო 2005 წელს „CSR ევროპა“-მ დაიწყო აქტიური კამპანია, რათა ხელი შეეწყო ბიზნესისთვის თავიანთი ეკონომიკური აქტივობის დაგეგმარების პროცესში გაეთვალისწინებინათ CSR -ს ფაქტორი.

2005 წელს 400 ბიზნესმენისა და დაინტერესებული მხარის ინიციატივით შემუშავდა ევროპული ბიზნეს გზამკვლევი „კონკურენტუნარიანი და მდგრადი საწარმოს შესაქმენლად“, რომელშიც გამოკვეთილი იყო CSR ევროპის სამომავლო მიზნები. აღნიშნული გზამკვლევის საფუძველზე შეიქმნა CSR-ს ყოვლისმომცველი გეგმა, რომელიც შემდგომ ევროკომისიის CSR სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი გახდა.

2010 წელს „CSR ევროპის“ ინიციატივით შეიქმნა „საწარმო 2020“, რომლის მიზანი იყო ბიზნესის CSR-ის სტრატეგიების ევროკავშირის CSR-ის სტრატეგიასთან შესაბამისობაში მოყვანა. საწარმო 2020-ის საშუალებით დღის წესრიგში დადგა ისეთი საკითხები, როგორიცაა არსებული ცხოვრების წესი, სამუშაო, კომუნიკაცია, განათლება, მოხმარება და რესურსების გაზიარება.

სულ მალე საწარმო 2020 გარდაიქმნა ევროპულ მოძრაობად იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ავითარებდნენ ბიზნეს ინოვაციებს პრაქტიკაში და დაინტერესებულ მხარეებთან ერთად მუშაობდნენ არსებულ სოციალური პრობლემებზე.

2015 წელს უმუშევრობის, კლიმატური ცვლილებებისა და დემოგრაფიული პრობლემების გადასაჭრელად შეიქმნა საწარმო 2020-ის მანიფესტი. იგი მოიცავს 3 ძირითად მიმართულებას

1. მუშაობის შესაძლებლობა და ჩართულობა მენეჯმენტის და მიწოდების ჯაჭვის ყველა დონეზე (დამსაქმებელმა უნდა იზრუნოს დასაქმებულის უნარ-ჩვევების განვითარებაზე, საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს თანამშრომლების გადამზადება, ყველა დასაქმებულს უნდა ჰქონდეს ერთნაირი შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში, აქტივობებში)

2. წევრი კომპანიებს წახალისება, რათა განახორციელონ პროდუქციის წარმოების პროცესისა და მოხმარების განვითარება ქალაქთან, თემთან და რეგიონთან ერთობლივი მუშაობის შედეგად (ინოვაციური პროდუქტის, მომსახურების, ბიზნეს მოდელის შექმნა და ადგილობრივ მთავრობასა და საზოგადოებასთან მუდმივი თანამშრომლობა. ამასთანავე, წარმოების პროცესში გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირება და ბუნებრივი რესურსების შეზღუდული გამოყენება, პარალელურად ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ეკონომიკის გაძლიერება)

3. გამჭირვალობა და ადამიანის უფლებათა დაცვა ბიზნესის წარმოების პროცესში (დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და გაუმჯობესებული მართვის სისტემები მიწოდების ჯაჭვის პროცესში).

მიუხედავად მოკლე დროისა, ევროკავშირმა ძალიან დიდი ღონისძიებები განახორციელა CSR-ის მიმართულებით. დღესდღეობით ევროპაში CSR არის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მიმართულება ბიზნესის წარმოების პროცესში. ევროკავშირმა შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნით ხელი შეუწყო ბიზნესების

ეფექტურ/ ნაყოფიერ მუშაობასა და მათ დადებით გავლენას საზოგადოებაზე.

სამართლებრივი ბაზის შექმნის ნათელი მაგალითია, 2011 წელს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში შემუშავებული სახელმძღვანელო (კომპენდიუმი) „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა - ეროვნული საჯარო პოლიტიკა ევროკავშირში“, სადაც CSR-ს მიმართულებით 8 ყველაზე მწვავე საკითხი იქნა მოკვლეული. დოკუმენტის მიზანია, ამ მიმართულებით ევროპის ქვეყნების აქტიური მუშაობა. წარმოგიდგენთ ევროკავშირის CSR-ს საკითხებსა და პრიორიტეტებს:

- CSR-ს მხარდამჭერი პოლიტიკა (ევროპის ქვეყნები სურვილის შეთხვევაში ქმნიან CSR-ს მიმართულებით სტრატეგიებს, სამოქმედო გეგმებს და სხვა პოლიტიკურ დოკუმენტებს, როგორიცაა კანონები, ანგარიშგებები და ა.შ);
- მიწოდების ჯაჭვის ყველა ეტაპზე სოციალური პასუხისმგებლობის დაცვა განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით;
- CSR -ს ანგარიშები და მათი გაცნობა საზოგადოებისთვის (ანგარიშები მდგრადობასა და CSR-ზე);
- CSR კლიმატური ცვლილებების წინააღმდეგ (ბიზნესის ზემოქმედება კლიმატური ცვლილებების შესაცვლელად);
- CSR მცირე და საშუალო ბიზნესში (SME) (CSR -ს გაძლიერება მცირე და საშუალო ბიზნესში);
- სოციალური პასუხისმგებლობის ინვესტიცია (SRI) (ცნობიერების ამაღლება);
- CSR და განათლება (CSR საკითხების ინტეგრირება განათლების ყველა დონეზე);
- სახელმწიფო შესყიდვები (მთავრობებმა აქტიურად შეიძინონ ისეთი პროდუქცია/ მომსახურება რომლის წარმოების პროცესმა უარყოფითად არ იმოქმედა გარემოზე).

ევროპაში CSR-ის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ

კომპანია "ნესტლე"- ს საქმიანობა ინდოეთში. 1962 წელს კომპანია "ნესტლე"-მ გადაწყვიტა თავისი ეკონომიკური საქმიანობა განეხორციელებინა ინდოეთის ერთ-ერთ უკიდურესად ღარიბ რაიონში - მოგაში. გამომდინარე იქიდან რომ "ნესტლე"-ს საწარმოო ჯაჭვი მთლიანად ადგილობრივ რესურსებზე იყო დამოკიდებული, კომპანიამ მოგას რაიონში ააშენა რძის შემკრები პუნქტები, რძის ტრანსპორტირებისთვის ადგილობრივი საწარმო უზრუნველყო საკუთარი ავტომანქანებით. რძის ხარისხის გასაუმჯობესებლად "ნესტლე" მუდმივად აგზავნიდა ვეტერი-ნარებს, დიეტოლოგებს და ხარისხის ექსპერტებს. პარალელურად ადგილობრივ გლეხებს მუდმივად უტარდებოდა ტრენინგები, საჭიროების შემთხვევაში იგზავნებოდა მედიკამენტები და საკვები დანამატები დაავადებული ცხოველებისთვის. ცხოველების კვების ხარისხის გასაუმჯობესებლად "ნესტლე"-ს ინვესტირებით გაუმჯობესდა ირიგაცია. თუკი "ნესტლე"- ს რძის ქარხნის გახსნის დროს საწარმოს ჰყავდა 180 ფერმერი, დღეისათვის რძის მომწო-დებელთა რიცხვი 75 ათასს აღწევს. ამასთანავე რძის წარმოება გაიზარდა 50-ჯერ ხოლო ხბოების სიკვდილიანობა შემცირდა 75%-ით. პროდუქტის ხარისხის ზრდასთან ერთად გაიზარდა რძის შესყიდვის ფასიც, ხოლო რეგულარული შემოსავლების წყალობით ადგილობრივი გლეხების ფინანსური მდგომარეობა გაუმჯო-ბესდა. ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური შესაძლებლო-ბების ზრდასთან ერთად მათ მიერ "ნესტლე"-ს პროდუქტების შესყიდვამაც იმატა, რაც ისევ კომპანიას ეხმარება ეკონომიკური წარმატების მიღწევაში.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის ყველაზე მდგრად კომპანიებს შორის სამი ევროკავშირის წევრი ქვეყნისაა:

- Ørsted. 2020 Global 100-ის სათავეშია დანიური ენერგოკომპანია Ørsted. მას შემდეგ, რაც კომპანიამ წიაღისეულ საწვავზე უარი თქვა და დაიწყო ქარის ელექტროსადგურების აგება, მის მიერ ნახშირბადის გამოყოფა 83%-ით შემცირდა. გარდა

ამისა, კომპანიის მდგრადობის მაღალი მაჩვენებელი განაპირობა შემოსავლებმა, რომელსაც გამოიმუშავებს გარემოსა და საზოგადოებისთვის სასარგებლო პროდუქციისა და მომსახურების უზრუნველყოფით.

- Chr.Hansen მეორე ადგილზეა დანიური ბიომეცნიერული კომპანია Chr.Hansen, რომელიც კვების, სასმელის, ფარმაცევტულ და აგრარულ ინდუსტრიებში ნატურალური მეთოდებით წარმოებას ავითარებს – იყენებს „კარგ“ ბაქტერიას პესტიციდების ნაცვლად,რათა საკვებმა პროდუქტმა შეინარჩუნოს სიჯანსაღე, ასევე, იყენებს ანტიბიოტიკების ალტერნატივებს ცხოველებისთვის. სწორედ ამ გზით წარმოებული პროდუქტების რეალიზაციისგან იღებს კომპანია შემოსავლების 80%-ს.

- Neste Oyj. მსოფლიოს მდგრად კომპანიებს შორის მესამე ადგილს იკავებს ნავთობგადამამუშავებელი ფინური კომპანია Neste Oyj. მისი შემოსავლების 25% ბიოსაწვავის ბიზნესიდან მოდის და კომპანია განახლებადი რეაქტიული საწვავის უმთავრესი მომწოდებელია ევროპაში. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ კომპანიის მმართველი საბჭოს შემადგენლობის 38% ქალია.

ამრიგად, მწვანე ეკონომიკის მიმდევარი მწვანე მეწარმეები ქმნიან ბიზნეს მოდელებს არა მხოლოდ ეკონომიკური სარგებლის მისაღებად, არამედ სოციალური და გარემოსდაცვითი ღირებულებების დასანერგად.

3.4. CSR-ის საჯარო პოლიტიკის დახასიათება ევროკავშირში: CSR და მდგრადი განვითარება

ტერმინი „მდგრადობა“ გულისხმობს განგრძობადობას, მუდმივობას, უწყვეტობას, მუდმივ აღდგენას. ტერმინის შემქმნელად ითვლება მე-18 საუკუნის მაღაროების ინსპექტორი საქსონიაში, ჰანს კარლ ფონ კარლოვიცი, [Hans Carl von Carlowitz] რომელმაც 1713 წელს პირველად იხმარა ეს ტერმინი თავის წიგნში

"Sylvicultura Oeconomica" (ტყეების გონივრული მართვის ხელოვ-ნება და ეკონომიკა). იმ პერიოდში, საქსონია (გერმანია) და ზოგადად, ევროპა ტყეების მწვავე დეფიციტის პრობლემის წინაშე იდგა, რაც სერიოზულ პრობლემას უქმნიდა ვერცხლის მოპოვებისა და მეტალურგიის ინდუსტრიას. თავის წიგნში ფონ კარლოვიცი საუბრობს ტყეების მდგრად და გონივრულ გამოყე-ნებაზე, ანუ ტყის გეგმიურ გაჩეხვაზე, როდესაც გაჩეხვის ტემპი ტყის აღდგენის შესაბამისია, რის შედეგადაც ტყე უწყვეტად განახლდება და ნარჩუნდება. მე-18 და მე-19 საუკუნეების გერმანული მეტყევეობა სწორედ მდგრადობის კონცეფციას ეფუძ-ნება და ავითარებს.

დღესდღეობით მდგრადი განვითარება ბევრად უფრო ფართო და კომპლექსური ცნებაა და მრავალ საკითხს და თემას მოიცავს. მდგრადი განვითარების კონცეფციის დეფინიცია დღევანდელი გაგებით 1987 წელს ჩამოყალიბდა გარემოსა და განვითარების მსოფლიო კომისიის (World Commission on Environment and Development) ანგარიშში „ჩვენი ერთიანი მომავალი“ (Our Common Future), რომელიც ცნობილია აგრეთვე “ Brundtland Report ”-ის სახელით, კომისიის თავმჯდომარის, ქ-ნ Gro Harlem Brundtland-ის სახელის მიხედვით. კომისიის განმარტებით, მდგრადობა არ მოიცავს მხოლოდ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, არამედ აგრეთვე ღარიბების საჭიროებათა დაკმაყოფილებას და იმის გაცნობიერებას, რომ დედამიწის ფიზიკური რესურსები შეზღუდულია და ამოწურვადი. ის ეფუძნება სამყაროს, როგორც ერთიანი სისტემის აღქმას, რომელშიც ყველაფერი ურთიერთ-დაკავშირებულია. ეს დეფინიცია, რომელიც საერთაშორისოდ არის აღიარებული, ასე ჟღერს: “მდგრადი განვითარების მიზანია დაკმაყოფილოს დღევანდელობის მოთხოვნები იმგვარად, რომ მომავალმა თაობებმაც შეძლონ საკუთარი საჭიროებების დაკმა-ყოფილება” (World Commission on Environment and Development. Our Common Future, 1987, გვ. 41).

მდგრად განვითარებას აქვს სამი ძირითადი განზომილება - ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური, რომელთა ერთობლიობაც ქმნის მდგრად განვითარებას და რომლებიც ურთიერთდამოკიდებულია (მაგალითად, სიღარიბის აღმოფხვრისათვის საჭიროა სოციალური სამართლიანობის ხელშეწყობა და ეკონომიკური განვითარება, ასევე, გარემოს დაცვა).

მრავალრიცხოვანმა საერთაშორისო ფორუმებმა, რომლებიც 1987 წლის შემდეგ ჩატარდა, არაერთხელ, ხელახლა დაამტკიცეს და გაამყარეს მდგრადი განვითარების კონცეფციის მნიშვნელობა.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მჭიდროდ უკავშირდება მდგრადი განვითარების კონცეფციას. ყოველი ორგანიზაცია - დიდი მულტინაციონალური კომპანია, თუ მცირე ბიზნესი, სამთავრობო უწყება, თუ არასამთავრობო ორგანიზაცია - ზეგავლენას ახდენს ბუნებრივ თუ სოციალურ გარემოზე მის გარშემო. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ თითოეული ორგანიზაცია ითვალისწინებდეს არა მხოლოდ თავის უშუალო მიზნებს, არამედ იმასაც, თუ როგორ ზეგავლენას მოახდენს მისი საქმიანობა ბუნებრივ გარემოსა და სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებზე. რადგან მდგრადი განვითარება მოიცავს მთელი კაცობრიობის მიერ აღიარებულ და გაზიარებულ ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით მიზნებს, მისი კონცეფცია ასახავს საზოგადოების მოლოდინს და მოთხოვნას, რომელიც პასუხისმგებელმა კომპანიებმა უნდა გაითვალისწინონ. შესაბამისად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საბოლოო მიზანი მდგრადი განვითარების ხელშეწყობა და მისი მიზნების შესრულებაში წვლილის შეტანაა.

„თანამედროვე ‘ბრტყელ’ გლობალიზებულ სამყაროში გლობალური მოწოდების ჯაჭვებით, ძალთა თანაფარდობა მულტინაციონალურ კომპანიებსა და ცალკეულ ქვეყნებს შორის, რომლებშიც ისინი საქმიანობენ, სულ უფრო მეტად იხრება კომპანიათა სასარგებლოდ.... ეს კომპანიები ფლობენ უფრო მეტ

ძალაუფლებას, ვიდრე ნებისმიერი სხვა ინსტიტუცია პლანეტაზე, არა მხოლოდ დოვლათის შესაქმნელად, არამედ ღირებულებათა და იდეათა გადასაცემადაც“ (თომას ლ. ფრიდმანი, ‘სამყარო ბრტყელია’, 2005)“.

<u>მდგრადი განვითარების მიზნები: MDGs & SDGs</u>

ათასწლეულის განვითარების მიზნები. 2000 წელს გაეროს ათასწლეულის სამიტზე შეკრებილმა სახელმწიფოთა ლიდერებმა მიიღეს ე.წ. „ათასწლეულის დეკლარაცია“ და 2015 წლისთვის დასახეს 8 გლობალური მიზანი, რომლებიც „ათასწლეულის განვითარების მიზნების“ (MDGs) სახელით გახდა ცნობილი. აღნიშნული რვა მიზანი მოიცავდა მრავალფეროვან საკითხებს უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრიდან დაავადებებთან ბრძოლისა და ჯანდაცვის უზრუნველყოფის (მაგ.აივ/შიდსთან ბრძოლა, ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება და დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება), აგრეთვე, ეკოლოგიური მდგრადობის, განათლების უზრუნველყოფისა და გენდერული თანასწორობის ჩათვლით.

მდგრადი განვითარების მიზნები. 2015 წელს, ათასწლეულის განვითარების მიზნებისთვის დასახული თხუთმეტწლიანი ვადის გასვლის შემდეგ, გაერომ შეიმუშავა კიდევ უფრო ამბიციური და მასშტაბური მიზნები შემდეგი 15 წლისათვის - „მდგრადი განვითარების მიზნები“ (SDGs), რომლებიც ასევე „გლობალური მიზნების“ სახელით არის ცნობილი. 193 ქვეყნის ლიდერებმა გაეროს სამიტზე, ნიუ-იორკში, 2015 წლის სექტემბერში, ერთხმად მიიღეს მდგრადი განვითარების დღის წესრიგი 2030-სათვის (2030 Agenda for Sustainable Development), რომელიც განსაზღვრავს 17 გლობალურ მიზანს, რომელთა ძირითადი ფოკუსია - „ადამიანები, პლანეტა და კეთილდღეობა“.

მდგრადი განვითარების მიზნები 17 მიზნისა და 169 ინდიკატორის ნაკრებია, რომლებზეც თანხმდება გაეროს ყველა წევრი ქვეყანა უკეთესი და უფრო მდგრადი მომავლის მისაღწევად.

ეს მიზნები ჩვენ წინაშე არსებულ თანამედროვე გლობალურ გამოწვევებს ეხება: სიღარიბის, უთანასწორობის, კეთილდღეობის, მშვიდობისა და სამართლიანობის საკითხებს, ასევე კლიმატურ და ეკოლოგიურ გამოწვევებს. ეს მიზნები მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს და იმისთვის, რომ არავინ დარჩეს მათ მიღმა, მნიშვნელოვანია, თითოეული ეს მიზანი და ინდიკატორი 2030 წლამდე შესრულდეს (1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა, 2 - შიმშილის აღმოფხვრა, 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა, 4 - ხარისხიანი განათლება, 5 - გენდერული თანასწორობა, 6 - სუფთა წყალი და სანიტარია, 7 - ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერგია, 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა, 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა, 10 - შემცირებული უთანასწორობა, 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები, 12 - მდგრადი მოხმარება და წარმოება, 13 - კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები, 14 - ოკეანისა და ზღვის რესურსი, 15 - დედამიწის ეკოსისტემები, 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები, 17 - პარტნიორობა მიზნების მისაღწევად.

3.5 ევროკავშირის CSR ორგანიზაციები

ამჟამად ევროპაში მრავალი ორგანიზაცია არსებობს, რომელიც პასუხისმგებელი ბიზნესის კონცეფციის და პრაქტიკის გავრცელებას და დანერგვას უწყობს ხელს. ესენიასამოქალაქო ორგანიზაციები, საკონსულტაციო ფირმები, მთავრობათაშორისი უწყებები, ბიზნეს ქსელები, საბჭოები, ფორუმები. ქვემოთ წარმოდგენილია ზოგიერთი ასეთი ორგანიზაციის ჩამონათვალი.

„CSR ევროპა“ ეს არის ევროპის წამყვანი ბიზნეს გაერთიანება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში. ორგანიზაცია მოიცავს 48 კორპორაციულ წევრსა და 42 ნაციონალურ CSR ორგანიზაციას, რომლებიც საერთო ჯამში 10,000 კომპანიას ფარავენ. ეს არის მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული

ბიზნეს კომპანიების პლატფორმა, რომელთა მიზანია საზოგადოებასა და გარემოზე დადებითი ზეგავლენის გაზრდა.

„CSR ევროპა“ თანამშრომლობს არა მარტო ევროპის, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყნის დაინტერესებულ პირებთან, რათა გაამლიეროს კორპორაციული პასუხისმგებლობისა და მდგრადი განვითარების კონცეფცია.

2010 წელს „CSR ევროპის“ ინიციატივით შეიქმნა „საწარმო 2020“, რომლის მიზანი იყო კომპანიათა CSR-ის სტრატეგიების ევროკავშირის CSR-ის სტრატეგიასთან შესაბამისობაში მოყვანა. „საწარმო 2020“-ის საშუალებით დღის წესრიგში დადგა ისეთი საკითხები, როგორებიცაა: არსებული ცხოვრების წესი, სამუშაო, კომუნიკაცია, განათლება, მოხმარება და რესურსების გაზიარება. სულ მალე „საწარმო 2020“ გარდაიქმნა ევროპულ მოძრაობად იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ამკვიდრებენ ბიზნეს ინოვაციებს პრაქტიკაში და დაინტერესებულ მხარეებთან ერთად მუშაობენ არსებულ სოციალური პრობლემებზე. https://www.csreurope.org

„აკადემია: ბიზნესი საზოგადოებაში“ (ABIS) წარმოადგენს კომპანიების, ბიზნეს სკოლებისა და აკადემიური ინსტიტუტების ალიანსს, რომელიც ევროკომისიის მხარდაჭერით ცდილობს ხელი შეუწყოს პასუხისმგებლობის პრინციპების ჩართვას ბიზნეს მენეჯმენტის თეორიასა და პრაქტიკაში მსოფლიოს მასშტაბით. ორგანიზაცია 2002 წელს დაარსდა, როდესაც ევროპის წამყვანი კომპანიების ლიდერები და უნივერსიტეტებისა და ბიზნეს სკოლების რექტორები შეთანხმდნენ CSR-ის საკითხების შესახებ თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაზრდის საჭიროებაზე. დღეს ის მთელი მსოფლიოს მასშტაბით 100-ზე მეტ კომპანიას აერთიანებს.

ორგანიზაცია ცდილობს გლობალურად ხელი შეუწყოს ბიზნესის როლის შესახებ დისკუსიებს საზოგადოებაში და დაეხმაროს ბიზნეს ლიდერებს, რომ ეს მიდგომა საკუთარი კომპანიების ფუნქციონირებისა და მართვის ერთ-ერთ წარმმართველ პრინციპად დაამკვიდრონ; აფინანსებს სხვადასხვა თანამშრომლობით

კვლევით პროექტებს ევროპაში; აწყობს ყოველწლიურ კონფერენციებს და შედარებით მცირემასშტაბიან სემინარებს CSR-ის საკითხებზე, სადაც თავს იყრიან მკვლევრები, ბიზნეს კომპანიებისა და ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეები. https://www.abis-global.org

ორგანიზაცია „ამფორი“ - ადრე ცნობილი „სოციალურ სტანდარტებთან ბიზნესის შესაბამისობის ინიციატივის“ (Business Social Compliance Initiative /BSCI) სახელით, დაარსდა 2003 წელს. ეს არის არაკომერციული ორგანიზაცია სათაო ოფისით ბრიუსელში. ორგანიზაციაში გაწევრიანებულია 2.400-ამდე კომპანია 40 ქვეყნიდან. ორგანიზაციის მისიაა კომპანიებში ხელი შეუწყოს ადამიანთა კეთილდღეობის, ბუნებრივი რესურსების პასუხისმგებლობით გამოყენებისა და თავისუფალი ვაჭრობის ინიციატივებს. ორგანიზაციას შემუშავებული აქვს ორი სტანდარტი: „სოციალურ სტანდარტებთან ბიზნესის შესაბამისობის ინიციატივა“ და „ბიზნესის გარემოზე ზემოქმედების ინიციატივა“. ორივე სტანდარტი კომპანიებს ეხმარება საკუთარ მიწოდების ქსელებში შესაბამისი სოციალური და გარემოსდაცვითი სტანდარტების დანარგვაში. https://www.amfori.org/en

„ნიდერლანდების ინვესტორთა ასოციაცია მდგრადი განვითრებისთვის“ (VBDO), რომელიც დაარსდა 1995 წელს, ორიენტირებულია მდგრადი კაპიტალის ბაზრის შექმნაზე, რაც გულისხმობს ბაზარს, რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ ფინანსურ მახასიათებლებს, არამედ სოციალურ და ეკოლოგიურ კრიტერიუმებსაც. VBDO მიზნად ისახავს მდგრადი განვითარების შესახებ ინვესტორებისა და კომპანიების წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლებას. https://www.vbdo.nl/en/

იემჯ ჯგუფი არის CSR-ისა და სტრატეგიული მდგრადობის საკონსულტაციო ორგანიზაცია, რომელიც 2004 წელს დაფუძნდა ნიდერლანდებში. იემჯ ჯგუფს მოპოვებული აქვს პრიზი, როგორც საუკეთესო საკონსულტაციო ფირმას, რომელსაც მიმართავენ

ბიზნესის, მთავრობისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენ-ლები.

წლების განმავლობაში, EMG Group გახდა აღიარებული ავტორიტეტი თავის სფეროში. მრავალრიცხოვანი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი, EMG Group-ის წარმომადგენლებს რეგულა-რულად იწვევენ სხვადასვა საერთაშორისო ღონისძიებაზე, როგორც მომხსენებლებს და საერთაშორისო ექსპერტებს, რათა მათ საზოგადოებას გააცნონ თავიანთი შეხედულებები და მოსაზრებები CSR-ისა და მდგრადი განვითარების ყველაზე მნიშვნელოვან ტენდენციებზე. https://www.emg-csr.com/about-emg/

საკონტროლო კითხვები:

1. რა თავისებურებები ახასიათებს ევროკავშირის CSR-ის სტრატეგიას?
2. როგორია CSR-ის განვითარების ეტაპები ევროკავშირის ქვეყნებში?
3. რა კვლევითი პროექტები და ინიციატივებია ევროკავშირის CSR-ში?
4. განიხილეთ CSR-ის საჯარო პოლიტიკა ევროკავშირში;
5. დაახასიათეთ მდგრადი განვითარების მიზნები

თავი IV. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობათა კონტექსტში

4.1 ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობათა დინამიკა. ევროკავშირთან საქართველოს ინტეგრაცია

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობებს საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან, 1992 წლიდან დაედო დასაბამი, როდესაც ევროგაერთიანებამ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა, ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარებებით; მომდევნო წლებში კი თანამშრომლობა სულ უფრო მეტად ღრმავდებოდა. ორმხრივი ურთიერთობები 2003 წლიდან უფრო ინტენსიური ხდება, როცა საქართველო აქტიურად იწყებს პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარებას.

1996 წლის 22 აპრილს ლუქსემბურგში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, ევროკომისიისა და საქართველოს პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას, რომელიც 1999 წელს შევიდა ძალაში. შეთანხმება დაიდო 10 წლის ვადით, ვადის ამოწურვის შემდეგ კი ავტომატურად გაგრძელდებოდა ყოველ წელს, თუ რომელიმე მხარე საწინააღმდეგო პოზიციას არ დააფიქსირებდა.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება მოიცავდა მრავალ სფეროს, სადაც მხარეები იღებდნენ ვალდებულებას, ერთობლივად ემუშავათ გარკვეული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მიზნების მისაღწევად. მართალია, შეთანხმება არ განსაზღვრავდა კრიტერიუმებს თანამშრომლობის შუალედური ან საბოლოო მიზნებისთვის (მაგალითად, ევროკავშირში გაწევრიანების აუცილებელ კრიტერიუმებს), მაგრამ იგი

ითვალისწინებდა ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებისა და ჰარმონიზაციის უწყვეტ პროცესს.

შეთანხმების 43-ე მუხლის თანახმად, საქართველომ ვალდებულება აიღო, ეტაპობრივად მიეახლოებინა თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამავე მუხლში ჩამოთვლილია სფეროები, რომლებიც უნდა მოეცვა საკანონმდებლო ჰარმონიზაციას, ესენია: ინვესტიციები, საბაჟო სამართალი, სამეწარმეო სამართალი, საბანკო სამართალი, კომპანიათა ანგარიშები და გადასახადები, ინტელექტუალური საკუთრება, დასაქმებულთა დაცვა სამუშაო ადგილებზე, ფინანსური მომსახურება, კონკურენციის წესები, სახელმწიფო შესყიდვები, გარემოს დაცვა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, არაპირდაპირი დაბეგვრა, ტექნიკური წესები და სტანდარტები, ბირთვული კანონმდებლობა და ტრანსპორტი და სხვა. ამასთანავე, შეთანხმების 44-ე მუხლი საგანგებოდ საუბრობს კანონმდებლობის დაახლოებაზე კონკურენციის სფეროში.

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. შეთანხმების შემდგომ საქართველომ მთელი რიგი ნაბიჯები გადადგა ამ მიმართულებით. 1997 წლის 2 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც, 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტში მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს.

2000 წლიდან შეიქმნა საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშემწყობი სამთავრობო კომისია, რომელსაც სხვა ფუნქციებთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ხელშეწყობა დაევალა. კომისიის მიერ შესაბამისი სამინის-

ტროებისა და უწყებების მონაწილეობით შემუშავდა საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სტრატეგია, რომელიც დამტკიცდა საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 14 ივნისის #613 განკარგულებით. შემდგომ ეტაპს წარმოადგენდა საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამის შემუშავება. პროგრამაზე მუშაობა 2001-2003 წლებში მიმდინარეობდა. 2004 წლის 8 მაისის განკარგულებით, საქართველოს მთავრობამ მოიწონა საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამა და მთავრობის წევრებს დაევალათ ეროვნული პროგრამის შესასრულებლად ინდივიდუალური (სექტორული) სამოქმედო გეგმების შემუშავება.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელებისა და მონიტორინგის მიზნით ჩამოყალიბდა შემდეგი ერთობლივი ინსტიტუტები:

<u>თანამშრომლობის საბჭო</u> *წელიწადში ერთხელ იკრიბებოდა და მის ფუნქცია პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელებაზე ზედამხედველობა წარმოადგენდა. ის, ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლების, ხოლო მეორე მხრივ, ევროკავშირის საბჭოსა და ევროკომისიის წევრებისგან შედგებოდა. თანამშრომლობის საბჭოზე მხარეები განიხილავდნენ პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ფარგლებში წამოჭრილ საკითხებს, აგრეთვე, ორმხრივი თუ საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში წამოჭრილ ნებისმიერ სხვა საკითხებს, რომლებიც საერთო ინტერესის საგანს წარმოადგენდა და პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მიზნებს ემსახურებოდა.*

<u>თანამშრომლობის კომიტეტი</u> *წელიწადში ერთხელ იკრიბებოდა მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების დონეზე. ის ამზადებდა თანამშრომლობის საბჭოს სხდომებს და უზრუნ-*

ველყოფდა, რომ შეხვედრებს შორის უწყვეტი პროცესი ყოფილიყო. თანამშრომლობის კომიტეტი შემდეგ ქვეკომიტეტებს მოიცავდა:

ტრანსპორტის, გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის;

დასაქმებისა და სოციალური საკითხების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ტრენიგის, განათლებისა და ახალგაზრდობის, კულტურის, საინფორმაციო საზოგადოების და აუდიოვიზუალური პოლიტიკისა და მეცნიერების და ტექნოლოგიების;ვაჭრობის, ეკონომიკისა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების; სამართლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების.

<u>საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი</u> *შედგებოდა საქართველოს პარლამენტისა და ევროპარლამენტის წევრებისგან. ეს იყო პლატფორმა პოლიტიკური დიალოგისთვის ევროკავშირისა და საქართველოს პარლამენტარებს შორის.*

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამა - TACIS

1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მის ყოფილ ტერიტორიაზე უზარმაზარი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვაკუუმი შეიქმნა, რასაც ყოველმხრივი დახმარება ესაჭიროებოდა. ამ მოვლენათა სწრაფი ტემპისა და დახმარების საჭიროების გათვალისწინებით, ევროკავშირმა წამოიწყო თავისი პროგრამა ***TACIS*** *– ტექნიკური დახმარების პროგრამა დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობისთვის (Technical Assistance to the Commonwealth of Independent States). იგი ვრცელდებოდა შემდეგ ქვეყნებზე: აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, სომხეთი, მოლდოვა, მონღოლეთი, რუსეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა, უზბეკეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი. 2007 წელს* ***TACIS*** *-ის პროგრამა ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტმა (ENPI) ჩაანაცვლა. აღნიშნული პროგრამა იმ ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენდა, რომლის საშუალებითაც ევროკავშირი*

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების განხორციელებას უზრუნველყოფდა.

მოგვიანებით, ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ურთიერთობა უფრო ფორმალური და პოლიტიკურად აქტიური გახდა. პროგრამა **TACIS** *-ის დაწყებისას ტექნიკური დახმარება ცალკე ხორციელდებოდა, მოგვიანებით კი, ეს პროგრამა პარტნიორ ქვეყნებთან, საქართველოს ჩათვლით, რთული და სწრაფად მზარდი ურთიერთობის ნაწილი გახდა. პროგრამის მიზანი იყო უფრო ღრმა პოლიტიკური ურთიერთოების პრიორიტეტების დაკმაყოფილება.* **TACIS** *-ის დახმარების ძირითადი ელემენტი იყო ევროკავშირში არსებული ორგანიზაციების ნოუჰაუს და გამოცდილების გაზიარება პარტნიორი ქვეყნებისთვის. ზოგადად, პარტნიორი კომპანია (კონტრაქტორი) ევროკავშირიდან მუშაობდა პარტნიორ ორგანიზაციასთან (სამთავრობო ან არასამთავრობო)* **TACIS***-ის ქვეყანაში კონკრეტულ პროექტზე. საქართველოში* **TACIS***-ის საქმიანობა ეხმარებოდა ევროკავშირის ზოგად სტრატეგიას, გაეძლიერებინა ამ ქვეყნის დამოუკიდებლობა და მისი სვლა საბაზრო ეკონომიკისა და კარგად განვითარებული დემოკრატიისკენ.*

მრავალი პროგრამის განხორციელების შედეგად **TACIS***-მა წვლილი შეიტანა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში, ესენია: ახლად დანიშნულ მოსამართლეთა მომზადება; სტრუქტურული რეფორმები ენერგეტიკულ სექტორში; პარლამენტის ინსტიტუციური მშენებლობა; საჯარო მოხელეთა მომზადება; ქუთაისსა და თბილისში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება; საბაჟოს მოხელეთა მომზადება; ახალი საბუღალტრო სტანდარტების დამკვიდრება კომერციულ განკებში; ტურიზმის სტრატეგიის განვითარება; საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაციისთვის დახმარების გაწევა; პორტებში საზღვაო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში დახმარება; TRACECA-ს ხიდის მშენებლობა; ფოთი-ილიჩოვსკის სარკი-*

ნიგზო ბორნის მშენებლობა; რკინიგზაზე კომუნიკაციისა და სასიგნალო სისტემის შექმნის მიზნით, ოპტიკურ-ბოჭკოვანი სისტემის დამონტაჟება; ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარება; გაზის განაწილების ქსელის განვითარება; სტატისტიკის დეპარტამენტისთვის დახმარების გაწევა; ტემპუსი – უმაღლესი განათლების განვითარება და რესტრუქტურიზება; ქართულ-ევროპული პოლიტიკის და სამართლებრივი საკონსულტაციო ცენტრისა და კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის შექმნა და ა.შ. 1992–2006 წლებში ევროკომისიამ ტასისის ფარგლებში საქართველოში ასობით პროექტის განსახორციელებლად 131 მილიონამდე დახმარება გამოყო.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა (European Neighborhood Policy/ENP)

2002 წლის 18 ნოემბერს ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭომ და 2002 წლის 12-13 დეკემბერს ევროკავშირის საბჭოს კოპენჰაგენის სამიტმა გამოხატა ევროკავშირის ურთიერთობების გაღრმავების სურვილი რუსეთთან, უკრაინასთან, მოლდავეთთან, ბელორუსიასა და ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ სანაპიროს ქვეყნებთან. ასევე, მიესალმა ევროკომისიისა და ევროკავშირის საბჭოს გენერალური მდივნის, ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის წინადადებებს აღნიშნული მიმართულებით. სამეზობლო პოლიტიკა მიზნად ისახავდა ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთ- დაახლოების პროცესის მხარდაჭერას. სამეზობლო პოლიტიკის საშუალებით ევროკავ შირი თავისი საზღვრების გარშემო დემოკრატიის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის გავრცელებას უწყობდა ხელს.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა საქართველოზე, სომხეთსა და აზერბაიჯანზე 2004 წლის ივნისიდან გავრცელდა და

მიზნად ისახავდა პროგრესის მიღწევას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა:

სტანდარტებისა და წესების ჰარმონიზაცია;

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში მონაწილე ქვეყნებისათვის პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების მინიჭება, ევროკავშირის ბაზარზე შეღწევის გაიოლების მიზნით;

ადამიანური რესურსის თავისუფალი გადაადგილებისა და კანონიერი მიგრაციის საფუძვლების შექმნა;

თანამშრომლობის გაძლიერება უსაფრთხოების საკითხებში, კერძოდ, ტერორიზმის, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების, ნარკოტიკების ტრანზიტის, ტრეფიკინგის, ფულის გათეთრებისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში;

ევროკავშირის უფრო აქტიური მონაწილეობა კონფლიქტის დარეგულირების (Conflict Resolution) და კრიზისულ სიტუაციათა მართვის (Crisis Manage- ment) საკითხებში;

მეტი ძალისხმევის მიმართვა ადამიანის უფლებათა დაცვისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებისაკენ;

ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში მონაწილე ქვეყანათა ინტეგრაცია ევროპულ სატრანსპორტო, ენერგეტიკულ და სატელეკომუნიკაციო ქსელებში, ასევე - სამეცნიერო კვლევათა ევროპულ სივრცეში (European Research Area;

ინვესტიციების ხელშეწყობისა და მათი დაცვის ახალი ინსტრუმენტების შექმნა;

ევროკავშირის `სამეზობლო პოლიტიკაში მონაწილე ქვეყნების მოთხოვნილებებზე უკეთ ორიენტირებული დახმარების უზრუნველყოფა;

დაფინანსების ახალი წყაროების მოძიება ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) სესხების ხელმისაწვდომობის ჩათვლით. 2006 წლის ნოემბერში საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის დასრულდა საქართველო-ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შეთანხმება, რომელიც

თანამშრომლობის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების განხორციელებას უწყობდა ხელს. სამოქმედო გეგმა 2006 წლის 14 ნოემბერს მიიღეს.

ევროპულმა სამეზობლო პოლიტიკამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მხრივ და ხელი შეუწყო ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების გატარებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბების პროცესს.

***ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი* (European Neigborhood Policy Instrumanet/ENPI)**

ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი (ENPI) იყო ის ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გულისხმობდა სამეზობლო პოლიტიკის კონკრეტული ფინანსური აქტივობებით მხარდაჭერას და 2007 წლის პირველი იანვრიდან მოქმედებდა. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტმა ჩაანაცვლა თანამშრომლობის ისეთი პროგრამები, როგორებიცაა: TACIS (აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის) და MEDA (ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებისთვის). ამ თვალსაზრით, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტი უზრუნველყოფდა ამ პროგრამებში არსებული სტრატეგიული ხაზის გაგრძელებას. მის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საერთო ღირებულებების გაზიარება, სტაბილურობისა და კეთილდღეობის არეალის შექმნა, ინტენსიური თანამშრომლობა და უფრო ღრმა ეკონომიკური და რეგიონული ინტეგრირება თანამშრომლობის სფეროების მთელი სპექტრის გათვალისწინებით. 2007-2013 წლებში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ფარგლებში გამოყოფილმა ფინანსურმა დახმარებამ 16 სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნისა და რუსეთისათვის 11 მილიარდი ევრო შეადგინა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ევროკავშირის დახმარება მისი სამეზობლოსათვის.

2007 წელს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ფარგლებში საქართველოსთვის 24 მილიონი ევრო გამოიყო, რაც სამოქმედო გეგმის პრიორიტეტული სფეროების რეფორმირებას მოხმარდა. სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ფარგლებში 2007-2010 წლების საერთო ბიუჯეტმა 120 მლნ ევრო შეადგინა.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის კონფლიქტებთან დაკავშირებული პაკეტიდან ევროკომისიამ საქართველოსთვის დამატებით გამოყო 500 მლნ ევრო, რომლის ძირითადი ნაწილი იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერას მოხმარდა.

ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტი 2014-2020 წლებისთვის (ENI- European Neigborhood Instrument)

2011 წლის დეკემბერში ევროკომისიამ წინადადებით მიმართა ევროპულ პარლამენტს 2014-2020 წლებისთვის ახალი საგარეო დახმარების ინსტრუმენტების, მათ შორის, ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის დამტკიცების თაობაზე. 2011 წლის 25 მაისის ერთობლივი კომუნიკაციის თანახმად, ახალი ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტი (ENI _ European Neigborhood Instrument) ევროკავშირის საზღვრებიდან აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე 16 პარტნიორ ქვეყანას აღმოუჩენდა დახმარებას, 2014 წლიდან 2020 წლამდე პერიოდში. აღნიშნული ინსტრუმენტი საქართველოში 2015 წლიდან ამოქმედდა. ENI-ის საერთო ბიუჯეტი 2014-2020 წლებში შეადგენს 15 მილიარდ ევროს 16 სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნის მხარდასაჭერად, შემდეგი მიმართულებით: 1) ორმხრივი პროგრამები, რომლებიც ცალკეული პარტნიორი ქვეყნისთვის მხარდაჭერას ითვალისწინებს; 2) მრავალმხრივი პროგრამები, რომლებიც ყველა ან რამდენიმე პარტნიორი ქვეყნის წინაშე არსებულ საერთო გამოწვევებს პასუხობს და ასევე მოიცავს რეგიონულ და ქვერეგიონულ თანამშრომლობას ორ ან მეტ პარტნიორ ქვეყანას შორის; 3) საზღვრისპირა თანამშრომლობა (CBC).

პარტნიორი ქვეყნების წახალისების მიზნით, ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტი დიფერენცირების მეთოდს და მეტი მეტისთვის პრინციპს გამოიყენებს: რეგულაციის თანახმად, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა იმ ქვეყნებს, რომლებიც რეალურად მონაწილეობენ კანონის უზენაესობაზე დაყრდნობით ძლიერი და მდგრადი დემოკრატიის მშენებლობაში და ფინანსური დახმარების გამოყოფის კრიტერიუმები დიფერენცირების პრინციპს დაეყრდნობა. ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტი უნდა ასახავდეს ქვეყნის ამბიციის დონეს ევროკავშირთან პარტნიორობის თვალსაზრისით, მის პროგრესს ღრმა და მდგრადი დემოკრატიის მშენებლობასა და რეფორმების განხორციელების მხრივ შეთანხმებული მიზნების შესრულებაში. ENI-ს მთავარი მიზნებია: ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფ ლებათა ხელშეწყობა; ევროკავშირის შიდა ბაზარზე პროგრესული ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდაჭერა; ნდობის აღდგენა უსაფრთხოების ხელშეწყობის მიზნით და კონფლიქტების აღკვეთა და მოგვარება; ასევე გამახვილდება ყურადღება ხალხთა შორის კონტაქტების ზრდაზე, დარგობრივ თანამშრომლობასა (მაგ. ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების სფეროებში) და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარებაზე. ENI-ს რეგულაცია უზრუნველყოფს უფრო გაზრდილ კავშირებს ევროკავშირის შიდა ინსტრუმენტებსა და პოლიტიკასთან, რათა გაძლიერდეს ევროკავშირის პოლიტიკით განსაზღვრული დახმარება, რაც ევროკავშირის ბიუჯეტის შიდა და გარე ინსტრუმენტების შესაბამისობას უზრუნველყოფს. შედეგად, პარტნიორ ქვეყნებსა და მათ მოქალაქეებს მიეცემათ საშუალება, მონაწილეობა მიიღონ ევროკავშირის წარმატებულ შიდა პროგრამებში, ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: სტუდენტების მობილობა, ახალგაზრდული პროგრამები ან სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა. რაც შეეხება დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობას, ENI-ს რეგულაცია აძლიერებს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას და სამოქალაქო საზოგადო-

ებრივი ორგანიზაციები მიიჩნევიან არა უბრალოდ ENI-ს დაფინანსების ბენეფიციარებად, არამედ იძენენ უფრო მნიშვნელოვან როლს ENI-ს საქმიანობების დაგეგმვაში, ასევე მათ განხორციელებასა და მონიტორინგში.

აღმოსავლეთ პარტნიორობის (Eastern Partnership - EaP)

აღმოსავლეთ პარტნიორობის (Eastern Partnership - EaP) ინიციატივა, როგორც ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობელ ქვეყნებთან (აზერბაიჯანთან, ბელორუსიასთან, მოლდავეთთან, საქართველოსთან, სომხეთთან, უკრაინასთან) თანამშრომლობის ახალი ფორმატი, თავდაპირველად შვედეთმა და პოლონეთმა შეიმუშავეს.

2008 წლის აგვისტოში საქართველოში რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ გამოიწვია აღნიშნული პროცესის დაჩქარება და გარკვეულწილად განაპირობა კიდეც ამ ინიციატივისადმი ევროკავშირის დადებითი გამოხმაურება. შესაბამისად, 2008 წლის დეკემბერში ევროკომისიას დაევალა ამ ინიციატივასთან დაკავშირებული წინადადებების წარდგენა.

ევროკომისიამ 2008 წლის 3 დეკემბერს გამოაქვეყნა აღმოსავლეთ პარტნიორობის შესახებ კომუნიკაცია, რომელიც 2009 წლის 19 მარტს ევროპული საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა. აღმოსავლეთ პარტნიორობა არ არის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივის ალტერნატივა, არამედ ის ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გზით ხელს უწყობს პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავებას, საერთო ფასეულობების გავრცელებას, რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებასა და ეკონომიკურ განვითარებას. აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში თანამშრომლობა ვითარდება ორი მიმართულებით: ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატებში. ორმხრივი თანამშრომლობა ევროკავშირსა და თითოეულ პარტნიორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის შემდგომ გაღრმა-

ვებას ითვალისწინებს, რაც მოიცავს: ასოცირების შესახებ შეთანხმებების (Association Agreements) გაფორმების გზით ახალი, უფრო ფართო საკონტრაქტო ურთიერთობების ჩამოყალიბებას. მრავალმხრივი თანამშრომლობის მიზანი კი უზრუნველყოფს ახალ ფორმატს, რომელიც საერთო ინტერესთა სფეროში თანამშრომლობისა და გამოწვევებთან გამკლავების შესაძლებლობას იძლევა. ასეთი ფორმატი უსაფრთხოების, მიგრაციის, ვაჭრობის, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, გარემოს დაცვისა და სხვა სფეროებში ერთობლივი პროექტების განხორციელების გზით რეგიონში თანამშრომლობის პროცესების განვითარებას ისახავს მიზნად.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში შექმნილი თანამშრომლობის ინსტიტუტები:

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში მოხდა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუციონალიზაცია ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის აქტიური თანამშრომლობის ხელშეწყობისათვის. ამ მიზნით, 2009 წლის 17 ნოემბერს, ქ. ბრიუსელში სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი (EaP Civil Society Forum - CSF) დაფუძნდა. სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ფარგლებში ამჟამად ხუთი სამუშაო ჯგუფი მოქმედებს. მათგან 4 შინაარსობრივად აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი თანამშრომლობის თემატური პლატფორმების ანალოგიურია, ხოლო მე-5 თემატური ჯგუფის (სოციალური პარტნიორობა და სოლიდარობა) დაარსების შესახებ გადაწყვეტილება 2011 წლის 28-30 ნოემბერს პოლონეთში, ქ. პოზნანში, CSF-ის მესამე შეხვედრაზე მიიღეს. CSF-ის მუშაობას 18 წევრისგან შემდგარი მმართველი კომიტეტი ხელმძღვანელობს. მისი წევრები არიან თითოეული სამუშაო ჯგუფის კოორდინატორები, პარტნიორი ქვეყნებიდან ეროვნული კოორდინატორები (National Facilitators), ასევე,

ევროკავშირისა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მმართველი კომიტეტის სამდივნო ქ. ბრიუსელში ჩამოყალიბდა. სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის სხდომები ყოველწლიურად იმართება. ფორუმის სხდომებზე ხდება ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნებისთვის რეკომენდაციების შემუშავება. CSF-ის მუშაობის წარმართვის მიზნით, თითოეულ პარტნიორ ქვეყანაში შექმნილია ეროვნული პლატფორმები. ამ დროისათვის საქართველოს ეროვნულ პლატფორმაში 126 ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაა გაერთიანებული. დაარსებიდან ექვს წელიწადში, პლატფორმა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების შეხვედრიდან გარდაიქმნა ინსტიტუციონალიზებული პოლიტიკის ფორუმად, რომელიც ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს (სომხეთს, აზერბაიჯანს, ბელარუსიას, საქართველოს, მოლდავეთსა და უკრაინას) თავიანთი იდეებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მეშვეობით აერთიანებს და ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში ევროინტეგრაციის პროცესის გავრცელებას ისახავს მიზნად.

ევრონესტი აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში მოქმედებს ევრონესტი (Euronest) *-თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეა, რომელიც 2011 წლის 2-3 მაისს ბრიუსელში ევროპარლამენტის წევრებისა და პარტნიორი ქვეყნების პარლამენტების თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით შეიქმნა. 2013 წლის 13-15 თებერვალს ქ. თბილისში გაიმართა ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკურ საკითხთა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და დემოკრატიის კომიტეტის სხდომა.*

ასამბლეა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის 6 ქვეყნის (საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, ბელორუსიისა და მოლდავეთის) 10-10 პარლამენტარსა და ევროპარლამენტის 60 დეპუტატს აერთიანებს.

4.2 საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება[26]. ასოცირების შესახებ შეთანხმების სტრუქტურა, პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური და სექტორალური ნაწილები

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობებში სრულიად ახალი ეტაპი 2014 წლის 27 ივნისიდან იწყება, როდესაც ასოცირების შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი. „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ინოვაციური, ე.წ. „ახალი თაობის” შეთანხმებაა, რამდენადაც, მანამდე გაფორმებული მსგავსი შეთანხმებებისგან განსხვავებით, მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (Deep and Comprehensive Free Trade Area - DC FTA) და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოვების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს.

შეთანხმება ითვალისწინებს თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობებს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- საერთო ევროპული ფასეულობების განმტკიცება და დაცვა. დემოკრატიის და კანონის უზენაესობის, კარგი მმართველობის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ერთგულება და გავრცელება; საერთაშორისო სამართლის პრინციპების, მათ შორის სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა; კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების ხელშეწყობა.

- საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა. პოლიტიკური დიალოგისა და თანამშრომლობის გაღრმავება შესაბამის სფეროებში, მათ შორის შიდასახელმწიფოებრივი რეფორმა, საერთაშორისო მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა, რეგიონალური სტაბილურობა და სხვა.

---

[26] მასალები აღებულია საქართველოს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საინფორმაციო ჰაბის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ევროკავშირის და სხვა ვებ-გვერდებიდან

- მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება, მათ შორის, საზღვრის მართვის საკითხებზე თანამშრომლობის გაღრმავება, ფულის გათეთრების, ტერორიზმის, ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის, ორგანიზებული დანაშაულისა და ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა; პერსონალურ მონაცემთა დაცვა და სხვა.

- დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფეროს მოდერნიზება და ევროპული სტანდარტების დანერგვა, მაგ., ისეთ სფეროებში, როგორიც არის ტრანსპორტი, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, კვლევა და ტექნოლოგიები, დასაქმება და სოციალური პოლიტიკა, ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, სამოქალაქო საზოგადოება, რეგიონალური განვითარება და სხვა.

- ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (Deep and Comprehensive Free Trade Area – DC FTA) ჩამოყალიბებას. „ასოცირების შესახებ შეთანხმებაში“ ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების განხორციელება ქმნის ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის რეალურ მექანიზმს.

რაც შეეხება **ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცეს (DCFTA**),

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებისგან (free trade agreement) განსხვავებით, ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის სივრცე გულისხმობს როგორც სატარიფო, ასევე არასატარიფო ბარიერების აღმოფხვრას და არეგულირებს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (მაგ., სურსათის უვნებლობა, პროდუქციის უსაფრთხოება, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, საბაჟო საკითხები, სახელმწიფო შესყიდვები და სხვა). ვაჭრობის შესახებ სხვა შეთანხმებებისგან განსხვავებით, DC FTA გულისხმობს ვაჭრობის სფეროს მარე-

გულირებელი კანონმდებლობისა და ინსტიტუტების ეტაპობრივ დაახლოვებას ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან და ადმინისტრირების მექანიზმებთან.

საქართველო-ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს:

- ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი სავაჭრო სისტემის ფორმირებას;

- გამჭვირვალე, სტაბილური ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებას;

- საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობისა და შესაბამისად, უცხოური ინვესტიციების ზრდას;

- ქვეყნის მდგრად განვითარებასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებას;

- ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის შექმნას;

- ადგილობრივი წარმოების მასშტაბების ზრდის კვალობაზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნას;

- ქართული პროდუქციის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებასა და გაფართოებას;

- ქართველი ექსპორტიორებისთვის ექსპორტთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას;

- ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას;

- ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას;

- სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოების განვითარებას ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად;

- ზოგადად, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას: მოკლევადიან პერსპექტივაში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდას 1,7%-ით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში - 4,3%-ით. მოკლევადიან პერსპექტივაში ექსპორტის 9%-ით, ხოლო იმპორტის 4,4%-ით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში ექსპორტის 12%-ით, ხოლო იმპორტის 7,5%-ით ზრდას.

მიუხედავად იმისა, რომ „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ არ ითვალისწინებს ევროკავშირში გაწევრიანებას, შეთანხმება ევროკავშირთან და მის კანონმდებლობასთან (acquis) დაახლოვების იმდენად მაღალ დონეს მოიცავს, რომ მისი ეფექტიანი განხორციელება, ფაქტობრივად, შეუქცევადს ხდის ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს. „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ მიზნად ისახავს ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებასა და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას. შეთანხმება საქართველო-ევროკავშირის მომავალი ურთიერთობისთვის გრძელვადიან საფუძველს ქმნის, თუმცა, არ გამორიცხავს ურთიერთობის სამომავლო განვითარებას ევროკავშირის ხელშეკრულების (Treaty on European Union), შესაბამისად. „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ პრეამბულაში ნათქვამია, რომ მხარეთა საერთო სურვილია, შემდგომში განავითარონ, გააძლიერონ და გააღრმავონ ურთიერთობები ამბიციური და ინოვაციური გზით; „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ არ შეზღუდავს და ღიას დატოვებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების სამომავლო პროგრესული განვითარების გზას.

შეთანხმებაში აღიარებულია საქართველოს ევროპული მისწრაფებები და ევროპული არჩევანი და აღნიშნულია, რომ ის საერთო ღირებულებები, რომლებსაც ეფუძნება ევროკავშირი – დემოკრატია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და კანონის უზენაესობა – ასევე წარმოადგენს პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ქვაკუთხედს. ამასთან, ნათქვამია, რომ საქართველო, როგორც აღმოსავლეთ ევროპული ქვეყანა, ვალდებულია იხელმძღვანელოს ამ ღირებულებებით და ხელი შეუწყოს მათ დამკვიდრებას.

შეთანხმებაში ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს გააჩნიათ ისტორიული კავშირები და საერთო ღირებულებები.

4.3 კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება საქართველოში

ქართველ მეწარმეთათვის სოციალური პასუხისმგებლობის ცნება უცხო არასდროს არ ყოფილა. XIX საუკუნის დამლევს, როდესაც აშშ-ში ზოგიერთი მსხვილი მეწარმე გამოთქვამდა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ფირმები უნდა გამოეხმაურონ საზოგადოების პრობლემებს და თავიანთი წვლილი შეიტანონ მათ გადაჭრაში, საქართველოში მოღვაწე მეწარმეთა საქმიანობა ფაქტიურად სოციალური პასუხისმგებლობის ნიმუშს წარმოადგენდა. საკმარისია გავიხსენოთ იმ პერიოდის მეწარმეები: დ. სარაჯიშვილი, ძმები ზუბალაშვილები, თ. ნიკოლაძე, გ. ბოლქვაძე და სხვ., რომლებმაც ქველმოქმედებით გაითქვეს სახელი. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ. ცნობილი ქართველი მეწარმე დავით სარაჯიშვილი 1884 წლიდან სათავეში ედგა ფირმას, რომელიც აერთიანებდა რამდენიმე ლიქიორ-არყისა და კონიაკის ქარხნებსა და საწყობებს რუსეთის იმპერიაში. სტეფანე ზუბალაშვილი მეწარმეობასთან ერთად საშინაო და საგარეო ვაჭრობას ეწეოდა ირანთან, თურქეთან, ინდოეთან, რუსეთთან და სხვ. აღსანიშნავია, რომ ზუბალაშვილები თბილისის კომერციული ბანკის უმსხვილესი აქციონერებიც იყვნენ. მაგრამ უმთავრესი, რითაც ისინი შემორჩნენ საქართველოს ისტორიას, ქველმოქმედება იყო.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, CSR საქართველოში საწყის ეტაპზე ვლინდებოდა თავისებური ფორმით, რომელიც დამოკიდებული იყო ქვეყანაში არსებული ვითარების სპეციფიკაზე. თუმცა ბევრი რამ მეტყველებდა იმაზე, რომ ბიზნესის საქმიანობა საქართველოში ვითარდება სრულიად ბუნებრივი გზით, მსოფლიო გამოცდილების შესაბამისად, სახელმწიფომ აუცილებლად ჩათვალა (შესაძლოა მართებულადაც) ამ პროცესის დაჩქარება, ოღონდ არა წახალისებითა და შეთანხმებით, არამედ

ადმინისტრაციული ზეწოლის მუქარით, დიქტატის ფორმით, სადაც ზოგჯერ ძნელია სახელმწიფოს ქმედებებში გაარჩიო საზოგადოების ზრუნვის მოტივები და სახელმწიფო ბიუროკრატიის თავკერძა ინტერესები – პოლიტიკური, იდეოლოგიური და ეკონომიკური. ამ პერიოდში გაკეთდა არაერთი საჯარო განცხადება ბიზნესზე არსებულ სახელმწიფოებრივ ზეწოლაზე. როგორც ჩანს, აქ უკანასკნელ როლს არ ასრულებდა ის ფაქტი რომ, სახელმწიფოს არ ჰქონდა სურვილი (ზოგჯერ შესაძლებლობაც) დაეფინანსებინა სოციალური სფერო ისეთი მასშტაბით, რომელიც მის შესაფერის განვითარებას ითვალისწინებდა და პრიორიტეტს ანიჭებდა ძალოვანი და ბიუროკრატიული სტრუქტურების დაფინანსებას; სოციალური დანახარჯების ეკონომიკური ტვირთის და სოციალური მაჩვენებლების დინამიკაზე მორალურ-პოლიტიკური პასუხისმგებლობის ბიზნესზე დაკისრებას.

საქართველოში CSR უპირატესად ქველმოქმედების სახით გვევლინება ანუ იგი ლოკალურ ფარულ ხასიათს ატარებს (ცალკეულ მეწარმეთა ინიციატივები სოციალური პროექტების დაფინანსებისა). შეიძლება ითქვას, რომ ბსპ თავის განვითარების საწყის ეტაპზეა.

რაც შეეხება თანამედროვე ქართველ მეწარმეთა ქმედებებს, 90-იანი წლების დასაწყისში, მეწარმეობის ფორმირების საწყის ეტაპზე, ამ საკითხისადმი მიძღვნილი პუბლიკაციებიდან, ქართველი მეწარმეების მეტად არასახარბიელო თვისებები იკვეთება: განუვითარებელი სამეწარმეო ეთიკა, სუსტი ინფორმირებულობა, სახელმწიფო ორგანოების მიმართ უნდობლობა, გადასახადების დამალვა, სამართლებრივი ორგანოების იგნორირება.

ბიზნეს-საქმიანობის შედეგები, არცთუ მაღალი ხარისხის პროდუქციაა (ცხადია, იშვიათი გამონაკლისის გარდა). რესურსების შეზღუდულობამ და მოგებისადმი მისწრაფებამ გამოიწვია ის, რომ ჩვენი ბაზარი გაჯერებულია ფალსიფიცირებული პროდუქციით (ალკოჰოლური სასმელები, კვების პროდუქტები,

რომლებიც იწარმოება ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე კონსერვანტების, საღებავების, სტაბილიზატორების გამოყენებით); სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში ორგანული სასუქის, შხამ-ქიმიკატის უკონტროლო გამოყენება (რომელთა უდიდესი ნაწილი ჩაედინება მდინარეებსა და ზღვებში) წამლავს ჰაერს და მთლიანად ბუნებას; განვითარებულ ქვეყნებში აკრძალული სიგარეტების შემოტანა, რომელიც განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას.

აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ წლების განმავლობაში სახელმწიფო დაწესებულებებიც მეტწილად სოციალური უპასუხისმგებლობის ნიმუშს წარმოადგენდნენ, თუმცა ეს საკმაოდ რბილი გამონათქვამია. სამსახურებრივი დანიშნულების ნივთების დატაცება და პირადი სარგებლობისათვის გამოყენება, კერძო საერთაშორისო სატელეფონო საუბრები საქმიანი ურთიერთობებისათვის გამიზნული, ხშირ-ხშირი მივლინება ბიუჯეტის ხარჯზე და ა.შ. – ეს ყველაფერი ცხოვრების ნორმად იქცა.

თუ გავითვალისწინებთ ჩვენს საზოგადოებაში ქცევის დამკვიდრებულ ნორმებს და ფასეულობებს, არც არის გასაკვირი თუ მეწარმეობის ფორმირების საწყის ეტაპზე ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის საკითხიც კი არ იდგა.

ამრიგად, სავსებით ლოგიკურია, რომ 90-იანი წლების დასასრულს გრძელდება ქართველ მეწარმეთა მორალური სახის კრიტიკა. მოგება ნებისმიერი საშუალებით – აი, მთავარი მოტივი მეწარმეთა საქმიანობაში და მათი წარმატების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი. არ უარვყოფთ, რომ ეს მოვლენები დამახასიათებელია ჩვენი რეალობისათვის, მაგრამ გარკვეულწილად ეს განპირობებულია სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან კერძო ბიზნესზე ზეწოლით, თუმცა ამ საკითხზე ბევრი დაიწერა და აქ ამაზე ყურადღებას არ შევაჩერებთ. ამასთან, თვით მეწარმეებში საკმაოდ გავრცელებულია დადებითი იდეალები. ქართველი მეწარმეები, არახელსაყრელი გარემოს მიუხედავად, მზად არიან

თავიანთი მოგების ნაწილი გაიღონ საზოგადოების საკეთილ-დღეოდ.

აღსანიშნავია ისიც, რომ კორუფციის გზით გამდიდრებული ადამიანების ქცევაში იკვეთება ამ სახელის „კორუმპირებულის“ გამოსწორების მცდელობა. ისინი ეკლესიებს, გზებს აშენებენ, ახდენენ კულტურის, ხელოვნების, სპორტის მუშაკთა დასპონსორებას, მოხუცთა და უპატრონო ბავშვთა თავშესაფრების დაფინანსებას და ა.შ. ამ პროცესს ლ. პაპავა „სახელის გარეცხვას“ ან „სახელის გათეთრებას“ უწოდებს.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ბიზნესის წარმართვა განვითარებულ ქვეყნებსა და საქართველოში სრულად განსხვავებულ პირობებში უწევთ. თუ განვითარებულ ქვეყნებში ბიზნესმენს აწუხებს წმინდა მეწარმეობრივი პრობლემები: მოგების მიღება, ბიზნესის მართვა, შენარჩუნება და ზრდა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და ა.შ., ქართველ მეწარმეებს საქმიანობა უწევს მაღალი ეკონომიკური რისკის განსაკუთრებით არასასურველ პირობებში, რომელიც წარმოიქმნება როგორც პოლიტიკური და სამართლებრივი არასტაბილურობის შედეგი, კრიმინოგენული ვითარების, ადმინისტრაციული აპარატის მასობრივი კორუფციის, სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესისადმი უპირატესად ფისკალური ინტერესის პირობებში.

მიუხედავად ამისა, ქართველი მეწარმეები, ყოველთვის ეხმაურებოდნენ საზოგადოების პრობლემებს, რასაც პრაქტიკა ადასტურებს. ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველოში არა მარტო მეწარმეები მონაწილეობენ საქველმოქმედო აქციებში, არამედ სხვა საზოგადო მოღვაწეებმაც გაითქვეს სახელი საზოგადოების ამა თუ იმ საჭირბოროტო პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობით.

საქართველოში პირველად 2006 წელს გამოქვეყნდა 13 ქართველ მილიონერთა სია, რომელთა კაპიტალი 50 მლნ-დან 700 მლნ. დოლარის ფარგლებშია. ამ პერიოდში საქართველოში უამრავი მსხვილი წარმატებული ბიზნეს-სტრუქტურა მოღვაწე-

ობას: „კოკა-კოლა ბოთლერზ ჯორჯია“, „ყაზბეგი“, „ნიკორა“, „მინისა და მინერალური წყლების კომპანია“, ჯგუფი „ქართუ“, „ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია „მაგთი“, „სანდო“ და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ცივილიზებული ბიზნესის ფორმირებას ჯერ კიდევ დიდი დრო სჭირდება, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრობლემატიკა სულ უფრო აქტუალური ხდება.

2021 წელს Forbes-ის სიაში პირველად ქართველი მილიარდერი მოხვდა - 45 წლის მიხეილ ლომთაძე, რომელიც ყაზახური *ფინტექ*კომპანია Kaspi-ისწილის მფლობელი და აღმასრულებელი დირექტორია. ის $3.8 მლრდ-ით CEO Forbes-ის სიაში 804-ეპოზიციას იკავებს. ლომთაძე Forbes-ის უმდიდრესი ადამიანების სიაში მეორე ქართველია, პირველზე კი საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ბიძინა ივანიშვილი $4.8 მლრდ-ით 589-ე ადგილზეა.

ამრიგად, უკანასკნელ პერიოდში საქართველოში CSR-ის, ბიზნესის მიერ დაფინანსებული სოციალური ინვესტიციების გაზრდის პრობლემას სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ეს მრავალი მიზეზითა განპირობებული, მაგრამ უმთავრესად მათ შორის საბიუჯეტო რესურსების უკმარისობა გვესახება სრულყოფილი სოციალური პოლიტიკის გასატარებლად. აქედან გამომდინარე,

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული კომპანიები ნებაყოფლობით ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს და ცდილობენ თავიანთი წვლილი შეიტანონ გარემოს და სოციალური გარემოს გასავითარებლად. მაგალითად მოვიყვანთ საქართველოს ბანკის მიერ უკანასკნელ წლებში განხორციელებულ ზოგიერთ ღონისძიებებს:

- მწვანე ანაბრის“ ფარგლებში ყველა პიროვნების სახელით, ვინც "საქართველოს ბანკში" გახსნა ვადიანი ან საბავშვო ანაბარი, ბანკმა დარგო ხე წაღვერის რაიონში. „მწვანე ანაბრის“ აქციის

შედეგად ბანკმა გააშენა 45,000 ნერგი და უზრუნველყო ნერგების საჭირო მოვლა. 2009 წლიდან 2011 წლამდე „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდმა“ 150,000 აშშ დოლარის მოცულობის დაფინანსება გამოყო ბორჯომ–ხარაგაულის ეროვნული პარკის მოვლისა და მიმდინარე ხარჯების დაფინანსებისთვის; საქართველოს ბანკის ინიციატივით ქვეყნის რამდენიმე სკოლაში შეიქმნა მულტიფუნქციური ბიბლიოთეკები - იდეათეკები; 2021 წელს საქართველოს ბანკისა და ქართული წიგნის ინსტიტუტის მხარდაჭერით პანკისის ხეობის ყველაზე დიდი სოფლის, დუისის, საჯარო სკოლაში, რიგით მე-8 იდეათეკა გაიხსნა, სადაც თითოეულ მოსწავლეს შეუძლია აღმოაჩინოს საყვარელი წიგნები, დაუმეგობრდეს ლიტერატურულ გმირებს და კომფორტულ, ფერად მულტიფუნქციურ საგანმანათლებლო სივრცეში, გაატაროს თავისუფალი დრო. ასევე საქართველოს ბანკისა და Tbilisi - World Book Capital-ის პარტნიორობის ფარგლებში კიდევ ერთი პროექტი – „ინტერაქტიული წიგნები“ მიმდინარეობს - ინტერაქტიული წიგნების პროექტის მონაწილე სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები თანამედროვე კომპიუტერულ ტექნოლოგიებს შეისწავლიან. პროექტის მიზანია მონაწილეების მიერ 10-ზე მეტი საბავშვო ქართული ინტერაქტიული წიგნის შექმნა; 2021 წლის ჩათვლით საქართველოს ბანკის მხარდაჭერითა და დაფინანსებით, ჩივნინგის პროგრამით, დიდ ბრიტანეთში სასწავლებლად 20 საუკეთესო სტუდენტი გაემგზავრა.

აღსანიშნავია აგრეთვე სხვა ბიზნეს-სტრუქტურების მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამები:

- „ელიტ ელექტრონიქსში" ყველა თანამშრომელი სარგებლობს ჯანმრთელობის დაზღვევით, რისთვისაც კომპანიას ყოველწლიურად საშუალოდ 48 000 ლარი აქვს გამოყოფილი. თანამშრომლების გარკვეული ნაწილის საწვავის ლიმიტით სარგებლობს, რომლისთვისაც 2012 წელს გამოყოფილ იქნა 30 000 ლარი;

- ლიბერთის სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამის მუდმივ პრიორიტეტს ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისება, განსაკუთრებით კი უფროს თაობაზე ზრუნვა წარმოადგენს. შესაბამისად, ვირუსული ინფექციის COVID-ის პანდემიის დასაწყისშივე, ლიბერთი ბანკმა შექმნა სპეციალური პროექტები, რომელიც 60 წელს გადაცილებული ადამიანებისთვის იყო განკუთვნილი ონლაინ სივრცეში. ეს პროექტები მოიცავდა სრულიად უფასო კომპიუტერის შესწავლის კურსებს, გამაჯანსაღებელ სპორტულ, კულინარიულ, გასართობ და გასახალისებელ აქტივობებს. მათი გრაფიკი წინასწარ იყო განსაზღვრული ყოველი კვირის განმავლობაში. ლიბერთის ეს კურსები ერთგვარი მხარდამჭერი გახდა ქვეყანაში დაწყებული კამპანიისა – ,,დარჩი სახლში“. პირველი ვიდეო ონლაინ ფეისბუქ გვერდზე ‘ჩემი ლიბერთი”-ზე გაეშვა – რომელიც სწორედ ლიბერთი ბანკის სოციალური პასუხისმგებლობის პროექტებისთვის შეიქმნა. პროექტმა, რომელშიც ჩართული იყვნენ როგორც ბანკის თანამშრომლები, ასევე მოწვეული ლექტორები, სტუმრები და მეგობრები, ფეისბუქ გვერდის მომხმარებელს შეუმსუბუქა სახლში თვითიზოლაციის პირობები. ვიდეოები დღემდე განთავსებულია სოციალურ ქსელში და ნებისმიერ დროს შეუძლიათ დაბრუნდნენ და გაიმეორონ გაკვეთილები.

- ,,საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფსა“ და თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებში თეუსუ-ს სტუდენტები გადიან სამუშაო პრაქტიკას საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის სხვადასხვა შვილობილ კომპანიებში, საქართველოს მასშტაბით

- “საშინაო სკოლის“ ფარგლებში Silk TV-ის ყველა მომხმარებელს საშუალება აქვს უფასოდ უყუროს სრული სასკოლო პროგრამის ვიდეო-გაკვეთილებს. საშინაო სკოლა – სოციალურ შემეცნებითი პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს სასწავლო პროცესი

უფრო მიმზიდველი და ხელმისაწვდომი გახდეს ყველასთვის - Silk TV-ის საშუალებით და ა.შ

ეს მხოლოდ მცირედი ჩამონათვალია იმ აქტივობებისა, რომელსაც ქართული კომპანიები ახორციელებენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში CSR-ის ფარგლებში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საქართველოში 2021 წლის ოქტომბერში გლობალური შეთანხმების ქსელის ორგანიზებით გამართული პირველი SDG Digital Fair 2021 - ციფრული გამოფენა ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიების მონაწილეობით ვირტუალურ სივრცეში. გამოფენის მიზანი იყო კერძო სექტორის მხრიდან მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის წახალისება. SDG Digital Fair 2021-ის ონლაინ ფორმატი კერძო სექტორს საშუალებას აძლევს პანდემიურ და პოსტ პანდემიურ ეპოქაში ერთმანეთს დაუკავშირდნენ მარტივად და ეფექტურად. წაშლილი გეოგრაფიული საზღვრები, სრულად ინტერაქციული ავატარის მეშვეობით რეალურ დროში ურთიერთობა, კომუნიკაციის მრავლფეროვანი ფორმატები - პრეზენტაციები, პანელური დისკუსიები, 3D აუდიო და ვიზუალური გამოსახულება, სივრცე გაცნობისა და ურთიერთობისთვის, გამოფენაში მონაწილე კომპანიების ვებგვერდებსა და ღია რესურსებზე მომენტალური წვდომა, ელექტრონული ფოსტით კომუნიკაცია და კომპანიების სერვისების ონლაინ გამოწერის შესაძლებლობა, მთელი დღის განმავლობაში გაწერილი აქტივობები - ეს შესაძლებლობები შესთავაზა SDG Digital Fair 2021-მა მონაწილეებსა და დამსწრე აუდიტორიას.

გამოფენამ შესაძლებლობა მისცა კომპანიებს წარმოედგინათ ბრენდირებული სტენდები და დაინტერესებული პირებისთვის გაეცნოთ საკუთარი საქმიანობა. გამოფენაზე დამსწრე ნებისმიერი ადამიანი უმარტივესი ინსტრუქციის გამოყენებით ქმნიდა მასთან ყველაზე მიახლოებულ ვიზუალურ ავატარს და პროფილს, რომლის მეშვეობითაც რეალურ დროში მისთვის საინტერესო ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს ესაუბრებოდა ბუნებრივი ხმით.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყვნენ კომპანიები საქართველოდან, უკრაინიდან და შვედეთიდან. მონაწილეობის მიღება შეეძლოთ ბიზნესებს, რომელთაც განხორციელებული აქვთ პარტნიორული პროექტები მდგრადი განვითარების მიზნების მხარდასაჭერად.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოში ტრადიციად იქცა სოციალურად პასუხისმგელი კომპანიის გამოვლენისა და დაჯილდოების პრაქტიკა. გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ინიციატივითა და შვედეთის მთავრობის Embassy of Sweden in Tbilisi მხარდაჭერით, ასევე აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID) USAID/Georgia და ევროკავშირთან European Union in Georgia თანამშრომლობით, კორპორაციული პასუხისმგებლობის ჯილდო „ბიზნესი მდგრადი განვითარებისთვის“ წელს მეოთხედ გაიმართა. კონკურსი მიზნად ისახავს ქვეყანაში კორპორაციული პასუხისმგებლობის კულტურის განვითარებას და მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელების პროცესში ბიზნესის ჩართულობის წახალისებას. მაგ., 2021 წლის ოქტომბერში გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ორგანიზებით კორპორაციული პასუხისმგებლობის ჯილდო 2021-ის „ბიზნესი მდგრადი განვითარებისთვის“ მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაში შეტანილი გამორჩეული წვლილისთვის, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის სპეციალური ჯილდო გადაეცა თიბისი ბანკს. ასევე საფუძველი ჩაეყარა ახალ ინიციატივას - 2021 წელს მეორედ გაიმართა მედიის წარმომადგენლების დაჯილდოება – მედია პასუხისმგებლიანი ბიზნესისთვის საქართველოში. კონკურსის შედეგად გამარჯვებულები გამოვლინდა ორ ნომინაციაში: კორპორაციული პასუხისმგებლობის თემაზე შექმნილი საუკეთესო სატელევიზიო სიუჟეტი (ტვ ბორჯომის ჟურნალისტი) და საუკეთესო სტატია (ციფრული), რადიო ჰოლდინგ „ფორტუნას“ ჟურნალისტი. კორპორაციული პასუხისმგებლობის დაჯილდოება გაიმართა გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის

მიერ შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID) და ევროკავშირთან თანამშრომლობით. ასევე, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ინიციატივით, შვედეთის მთავრობისა და USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მხარდაჭერით, საქართველოში კორპორაციული მდგრადობის ჯილდოს კონკურსი 2023 წელს მეექვსედ ჩატარდა. დეტალური ინფორმაცია კონკურსის წესებისა და პირობების შესახებ იხილეთ ჯილდოს ვებ-გვერდზე bit.ly/CSA-2023GE

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ორგანიზებით შექმნილია CSR ბლოგი პროექტის "სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა" ფარგლებში, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ფინანსური მხარდაჭერით. CSR ბლოგი სისტემატურად აწვდის ფართო საზოგადოებას და დაინტერესებულ პირებს ქართული ბიზნეს კომპანიების მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამების/პროექტების შესახებ ინფორმაციას, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მხარდაჭერით, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG) წელს უკვე მეოთხედ ატარებს საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსს ‘Meliora’. 2023 წელს კატეგორიაში 'მწვანე ინიციატივა' მცირე და საშუალო ზომის კომპანია "Biodiesel Georgia • ბიოდიზელი ჯორჯიამ" გაიმარჯვა, პროექტით ‘ბიოსაწვავი ნარჩენებისაგან - სუფთა გარემო და ენერგოდამოუკიდებლობა’. კომპანიამ პირველად ქვეყნის ისტორიაში დაიწყო ნარჩენი ბიორესურსებისაგან ეკოლოგიურად სუფთა ბიოსაწვავის წარმოება, რითიც საგრძნობლად აღმოიფხვრა მეორადი ზეთის ადამიანის საკვებში მოხვედრის პრაქტიკა, შეიქმნა სამუშაო ადგილები, შემცირდა ნავთობპროდუქტების იმპორტი და იმპულსი მიეცა სოფლის მეურნეობის განვითარებას (იხილეთ - https://www.youtube.com/watch?v=VxI8PAsWD-A…)

ნიშანდობლივია, რომ 2021 წლის დეკემბერში ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით შეიქმნა CSR-ის საინფორმაციო ჰაბი https://csrgeorgia.com; CSRDC შექმნილი ონლაინ პლატფორმაა, სადაც თავმოყრილია მრავალფეროვანი, სრული, უახლესი ინფორმაცია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის, მდგრადი განვითარების და პასუხისმგებელი ბიზნესის როგორც გლობალურად, ისე საქართველოში, რომლის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი.

4.4. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება

ასოცირების შესახებ შეთანხმება და მასში შემავალი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA) ითვალისწინებს ევროკავშირთან პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის შესაძლებლობას, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვნად გაღრმავებას, საქართველოს ჩართულობის ზრდას ევროკავშირის სტრატეგიებში, პროგრამებსა და ორგანიზაციებში. აღნიშნული ახალ ვალდებულებებს აკისრებს საქართველოს მთავრობას და ამასთანავე, მთელ რიგ შესაძლებლობებს უხსნის ქვეყანას და მათ შორის, ბიზნეს სექტორს. ბევრ შემთხვევაში, ახალი შესაძლებლობები და გამოწვევები კომპანიებისათვის დაუკავშირდება მათ მიერ პასუხისმგებელი ბიზნეს ქცევის საერთაშორისო სტანდარტების და მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვას საკუთარ საქმიანობაში.

ამჟამად, „ასოცირების ხელშეკრულების“ 352-ე მუხლის მიხედვით საქართველო ვალდებულია ხელი შეუწყოს „კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობასა და ანგარიშვალდებულებას“ და „ბიზნეს პასუხისმგებლობის პრაქტიკას, როგორიცაა მთელი რიგი საერთაშორისო CSR-ის სახელმძღვანელო რეკომენდაციების შედე-

გად დამკვიდრებული პრაქტიკა და განსაკუთრებით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სახელმძღვანელო რეკომენდაციები მრავალეროვანი კომპანიებისთვის“, ასევე „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში ცნობიერების ამაღლება და დიალოგის ხელშეწყობა“ (მუხლი 349, i პუნქტი). აღსანიშნავია, რომ ასოცირების შეთანხმების 2016 წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული არ იყო CSR-სთან დაკავშირებით სამუშაოები, შესაბამისად ამ მიმართულებით აქტიური ღონისძიებები არ განხორციელებულა. საინტერესოა ამ მხრივ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG-ის) წარმომადგენლის ლ. ხოფერიას მოსაზრება: „...ჩვენ ვაპირებთ პროცესში ჩართვას და CSR-ის მიმართულებით რეკომენდაციების მიწოდებას, თუ როგორ უნდა მოხდეს სახელმწიფო სტრატეგიებში CSR-ის ინტეგრირება და კონკრეტული ქმედებების განხორციელება“.

<u>პასუხისმგებელი ბიზნესის ხელშეწყობის და წახალისების ვალდებულება ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების რამდენიმე მუხლში არის ჩამოყალიბებული,</u> კერძოდ: მე-13 თავის (ვაჭრობა და მდგრადი განვითარება) მუხლები 231e, 239g; მე-14 თავის (დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები) მუხლები 348, 349i, 352.

გარდა ამისა, ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული მრავალი სხვა ვალდებულების - მაგ. მე-VI კარის მე-3 თავის (გარემოს დაცვა), მე-4 თავის (კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები) და მე-13 თავის (მომხმარებელთა პოლიტიკა) და მრავალი სხვა თავის მიხედვით აღებული ვალდებულებები, აგრეთვე, მოიაზრებს კერძო სექტორის აქტიურ ჩართვას მათ შესრულებაში.

მთლიანობაში კი, „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ გაფორმება ხელს შეუწყობს როგორც ეროვნული ეკონომიკის განვი-

თარებას, ისე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას:

- ეკონომიკური რეფორმების პროცესს და ქმედითი, ფუნქციონირებადი და ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის განვითარებას. მხარეები ვალდებულებას იღებენ ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება, ექსპერტული მოსაზრებები და დანერგონ საუკეთესო პრაქტიკა ისეთ სფეროებში, როგორიცაა საჯარო ფინანსები, ფინანსური, მონეტარული და სავალუტო სექტორის პოლიტიკა და ეკონომიკური სტატისტიკა.

- სახელმწიფო სექტორის შიდა ფინანსური კონტროლისა და გარე აუდიტის განვითარებას. კერძოდ, ერთობლივი პროგრამების შექმნის, ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლის, ასევე, პერსონალის გაცვლისა და ტრეინინგის გზით მოხდება ფუნქციონალურად დამოუკიდებელი შიდა აუდიტის მექანიზმის შემუშავება და განვითარება.

- საგადასახადო სფეროში ეფექტიანი მმართველობის გაძლიერებას, ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების, ვაჭრობის განვითარებისა და დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის მიზნით.

- ეროვნული სტატისტიკის სისტემის შესაძლებლობების განვითარებას დროული, საერთაშორისო დონეზე შედარებადი და საიმედო სტატისტიკური მონაცემების უზრუნველყოფის გზით.

- ევროკავშირთან სატრანსპორტო სფეროში თანამშრომლობის განვითარებას, ევროკავშირის სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ქსელებში ჩართვას, საგზაო, სარკინიგზო, საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტში ევროკავშირის ნორმებისა და სტანდარტების დანერგვას.

- საქართველოს ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებას, მათ შორის ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოვებას და თანამშრომლობის განვითარებას ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა ელექტროენერგეტიკა, ბუნებრივი აირისა და ნავთობის

მოძიება, მოპოვება და ტრანზიტი, განახლებადი ენერგია და ენერგოეფექტიანობა. ასევე, შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების შესაძლებლობას.

- გარემოს დაცვის სფეროში ევროპული სტანდარტების ეტაპობრივ დანერგვას, რაც მიზნად ისახავს უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებას, დაცვას, გაუმჯობესებასა და რეაბილიტაციას. მხარეები ვალდებულებას იღებენ, შეიმუშაონ ბუნების დაცვის ერთობლივი პროგრამები, უზრუნველყონ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და დაიცვან გარემო საწარმოო დაბინძურებისაგან. საკანონმდებლო დაახლოვება განხორციელდება გარემოს დაცვის ისეთ სექტორებში, როგორიცაა: ჰაერისა და წყლის ხარისხი, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვა, გარემოზე ზემოქმედების შეფასება და გარემოს სტრატეგიული შეფასება.

- კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით თანამშრომლობის გაღრმავებას. ამ მხრივ, საქართველო და ევროკავშირი განავითარებენ ნახშირბადის დაბალი შემცველობის ტექნოლოგიებს და ხელს შეუწყობენ მათ გამოყენებასა და გავრცელებას.

- მრეწველობის სფეროში ევროპული სტანდარტებისა და ნორმების ეტაპობრივ დანერგვას, რაც გულისხმობს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, ასევე, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. შესაბამისად, ევროკავშირის ბაზარზე სამრეწველო პროდუქციის ექსპორტის ზრდას და ამ ბაზარზე ქართული სამრეწველო პროდუქციის დამკვიდრებას;

- კორპორაციული სამართალის, საბუღალტრო აღრიცხვის, აუდიტის და კორპორაციული მმართველობის სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავებას, რაც მიზნად ისახავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავაჭრო ბრუნვისა და ეკონომიკური თანამშრომლობის ზრდას.

- ფინანსური მომსახურების, საბანკო და სადაზღვევო სფეროებში თანამშრომლობის განვითარებას, რაც გულისხმობს ღია საბაზრო ეკონომიკისათვის საჭირო ფინანსური მომსახურების რეგულაციის შემუშავებას, ინვესტორების ეფექტიან და ადექვატურ დაცვას და დამოუკიდებელი და ეფექტიანი ზედამხედველობის მექანიზმის შექმნას.

- ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას, ეროვნული მარეგულირებლის დამოუკიდებლობისა და ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერების უზრუნველსაყოფად. ამასთან, შეთანხმება ასევე ითვალისწინებს, ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში პროდუქტისა და მომსახურების ბაზრების განსაზღვრას, გადაწყვეტილებების გასაჩივრების ეფექტური მექანიზმის შექმნას და პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და კონფიდენციალურობის უფლების უზრუნველყოფას.

- ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას. დაგეგმილი ღონისძიებები მიზნად ისახავს ქვეყნის ტურისტული პოტენციალის ზრდასა და ტურისტული ნაკადის მატებას.

- სოფლის მეურნეობის სფეროში ევროპული სტანდარტებისა და ნორმების ეტაპობრივ დანერგვას. ასევე, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარებას; სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ევროკავშირის რეგულაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად დაგეგმვას, შეფასებასა და იმპლემენტაციას. ამასთან, მოხდება წარმოების მოდერნიზაცია და სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

- მეთევზეობის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას, არსებული რესურსების კონსერვაციის, სწორი მართვის, კონტროლის, მონაცემთა შეგროვების და უკანონო

თევზჭერის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. ასევე, მხარეები ხელს შეუწყობენ შავი ზღვის რეგიონალურ თანამშრომლობასა და თევზჭერის შესაბამის რეგიონალურ ორგანიზაციებთან ურთიერთობებს.

- თანამშრომლობის განვითარებას სამეცნიერო კვლევებისა და ტექნოლოგიების სფეროში. მხარეები ვალდებულებას იღებენ, განახორციელონ ინტელექტუალური საკუთრების უფლების სათანადო და ეფექტიანი დაცვა, შექმნან ერთობლივი კვლევითი პროგრამები, ჩაატარონ ტრენინგები და გაცვლითი პროგრამები მეცნიერების, მკვლევარებისა და სხვა სამეცნიერო-კვლევითი პერსონალისათვის.

- მომხმარებელთა უფლებების დაცვას, რაც გულისხმობს: შესაბამისი კანონმდებლობის დახვეწასა და ევროკავშირის შესაბამისი სტანდარტების დანერგვას, საქართველოსა და ევროკავშირის მომხმარებელთა უფლებების დამცველ დამოუკიდებელ ასოციაციებს შორის კონტაქტების გაღრმავებას, ინფორმაციისა და გამოცდილების ურთიერთგაცვლას;

- დასაქმების, სოციალური დაცვისა და თანაბარი შესაძლებლობების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას. საქართველო მოახდენს ეტაპობრივ საკანონმდებლო დაახლოვებას ქვეყანაში ღირსეული შრომის პირობების შესაქმნელად. ამ მიზნით, შემუშავდება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი დასაქმების პოლიტიკა, სამუშაო უსაფრთხოების ნორმები და ანტიდისკრიმინაციული და სოციალური დაცვის მექანიზმები. ასევე, უზრუნველყოფილი იქნება სოციალური ჩართულობა და გენდერული თანასწორობა.

- ჯანდაცვის სისტემის მოდერნიზებას და ევროპული სტანდარტების ეტაპობრივ დანერგვას. კერძოდ, ჯანდაცვის სფეროში რეფორმების გაგრძელებას, ერთობლივი პროგრამების შექმნასა და მაღალი ხარისხის ჯანდაცვის უზრუნველყოფას. საკანონმდებლო დაახლოვება მოხდება ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ადამიანური

რესურსების განვითარება, მმართველობისა და დაფინანსების სრულყოფა, ეპიდემიოლოგიური დაკვირვება და გადამდებ დაავადებათა კონტროლი, საგანგებო სიტუაციების მიმართ მზაობა, ხელოვნურ ნივთიერებათა ხარისხი და უსაფრთხოება და არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია და კონტროლი.

- განათლების ხარისხის ამაღლებას და ამ მიზნით, საკანონმდებლო ჰარმონიზაციას, კვალიფიკაციებისა და კომპეტენციების ერთიანი ჩარჩოს შექმნას და საგანმანათლებლო კრედიტების (ქულების) ევროპული სისტემის შემოღებას.

- კულტურის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას, რაც გულისხმობს კულტურის პოლიტიკის შესახებ დიალოგის წარმოებას, კულტურული მრავალფეროვნების დაცვის ხელშეწყობას, ხელოვნებისა და ხელოვანთა მობილურობის მხარდაჭერას, ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების შესაბამისად კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და სათანადოდ დაცვას, ქვეყნის სიცოცხლისუნარიანი განვითარების უზრუნველსაყოფად.

- აუდიოვიზუალურ და მედიის სფეროებში ევროპული სტანდარტების ეტაპობრივ დანერგვას, მედიის დამოუკიდებლობის ზრდას, პროფესიონალთა ტრენინგებს, მხარეებს შორის ინფორმაციის რეგულარულ გაცვლასა და კინოსა და ტელევიზიის სფეროებში თანაწარმოებების წახალისებას.

- სპორტისა და ფიზიკური აქტივობის სფეროში ევროკავშირის გამოცდილების გაზიარებასა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას. ამ მიზნის განსახორციელებლად, მხარეები ხელს შეუწყობენ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, სპორტის სოციალური და საგანმანათლებლო ფასეულობების განვითარებასა და სპორტსმენთა მობილურობას. ასევე, მიიღებენ პრევენციულ ზომებს დოპინგის გამოყენების, სპორტში რასიზმისა და ძალადობის გავრცელების წინააღმდეგ.

- ევროკავშირისა და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებებს შორის დიალოგისა და თანამშრომლობის გაღრმავებას; მხარეები ვალდებულებას იღებენ სახელმწიფო სტრუქტურებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ღია, გამჭირვალე და რეგულარული დიალოგის გზით უზრუნველყონ მნიშვნელოვანი სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების სრულფასოვანი მონაწილეობა.

- ქმედითი და ეფექტიანი რეგიონალური განვითარების პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას რეგიონალური განვითარების პროცესში ჩართულ ყველა მხარეს შორის პარტნიორობის კონსოლიდაციისა და თვითმმართველობების გაძლიერების გზით. ასევე, მხარეები შეიმუშავებენ რეგიონალური განვითარების ერთობლივ პროგრამებს.

- ბუნებრივი და ხელოვნური კატასტროფების მართვის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას. მხარეები ვალდებულებას იღებენ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში უზრუნველყონ კოორდინირებული დახმარება. ასევე, მოახდინონ ინფორმაციის რეგულარული გაცვლა, მათ შორის, საგანგებო სიტუაციების დროს მესამე ქვეყნისათვის გაწეული დახმარებების შესახებ.

- საქართველოს მონაწილეობას ევროკავშირის პროგრამებსა და სააგენტოებში, რაც ევროკავშირთან დარგობრივი თანამშრომლობის გაღრმავების ახალ შესაძლებლობებს ქმნის. ევროკავშირის პროგრამებში მონაწილეობა ხელს შეუწყობს საქართველოს მთავრობის ძალისხმევას რეფორმების განხორციელების პროცესში, ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოვებასა და სხვადასხვა სექტორში საუკეთესო ევროპული გამოცდილების გაზიარებას.

შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს დაახლოვებას ევროკავშირის პოლიტიკასა და პრაქტიკასთან განათლებისა და მეცნიერების სფეროში, განსაკუთრებული აქცენტით უმაღლეს

განათლებაზე. უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება თანხვედრაში უნდა მოვიდეს ევროკავშირის „უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის დღის წესრიგსა“ (Modernisation Agenda for Higher Education) და ბოლონიის პროცესთან.

გაძლიერდება თანამშრომლობა აკადემიურ სფეროში, რაც გულისხმობს, როგორც ინსტიტუციური თანამშრომლობის გაზრდას ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის, ასევე ევროპული გამოცდილების გაზიარებას კურიკულუმების შემუშავების, უნივერსიტეტების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ადმინისტრირების ახალი მეთოდების დანერგვისა და სხვა საკითხებში, ასევე სტუდენტებისა და უნივერსიტეტების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლითი პროგრამების გაზრდასა და პარტნიორი ქვეყნების სტუდენტების მონაწილეობას ერთობლივ სამაგისტრო ხარისხის პროგრამების სრულ ციკლში. შესაბამისად, გაიზრდება ხარისხიანი ევროპული განათლების ხელმისაწვდომობა ქართველი სტუდენტებისთვის ევროპულ სასტიპენდიო და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის გზით, რაც ასევე ხელს შეუწყობს საქართველოს ინტეგრირებას ევროკავშირის საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში. ამასთან, შეთანხმება ხელმისაწვდომს გახდის ქართველი მეცნიერებისთვის პარტნიორი ქვეყნების შესაბამის პროგრამებს, გაზრდის ქართველ მკვლევართა ჩართულობას ევროკავშირის ჩარჩო კვლევით პროგრამაში, ხელს შეუწყობს ერთობლივი პროექტების განხორციელებას, მკვლევარების გაცვლასა და სხვა.

შეთანხმება ითვალისწინებს აგრეთვე მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლა-სწავლების წახალისებასა და თანამშრომლობას პროფესიული განათლებისა და პროფესიული დარგების განვითარების მიზნით, რაც, ხელს შეუწყობს დასაქმებას.

ბარომეტრი ავსებს SDG-ის შესრულების შესახებ ევროკავშირის ყოველწლიურ ანგარიშს, რომელსაც აქვეყნებს ევროკავშირის სტატისტიკის სამსახური Eurostat.

ევროპის ინდუსტრიათა მდგრადობის ბარომეტრი შემუშავდა მდგრადი მრეწველობის ევროპული შეთანხმების ფარგლებში, ის წარმოადგენს რანჟირების ძირითად ინსტრუმენტს, რომლის მიზანია წინსვლის გაზომვა და ბიზნესსექტორების ერთიანი ხედვის გარდაქმნა სამოქმედო გეგმად.

მდგრადი მრეწველობის ევროპული შეთანხმება 2020 წლის ევროპის SDG სამიტზე გაფორმდა. მისი მიზანია გააერთიანოს და გააძლიეროს კომპანიების, ბიზნესფედერაციებისა და ევროკავშირის ლიდერების ინდივიდუალური ძალისხმევა SDG მიზნების მისაღწევად, ხელი შეუწყოს მათ პარტნიორობას, ასევე, ხელი შეუწყოს პოსტ-პანდემიის პერიოდში ეკონომიკის აღდგენას. მოკლედ, „შეთანხმება“ ჩაფიქრებულია როგორც ევროპის მდგრადი მომავლის მიღწევის გეგმა.

მასშტაბური შედეგების მისაღწევად, მდგრადი მრეწველობის ევროპული შეთანხმება სამ განსხვავებულ მიზანს ისახავს სამი სექტორისთვის, კერძოდ:

ინდუსტრიის ფედერაციებისთვის: 2024 წლისთვის თითოეული სექტორის ფედერაციას ჰქონდეს შემუშავებული ინდუსტრიის მდგრადობის სტრატეგია კომპანიებისთვის: 2030 წლისთვის 10 000 კომპანია იყოს ჩართული სექტორულ და სექტორთაშორის თანამშრომლობაში.

ევროკავშირის პოლიტიკური ლიდერებისათვის: გამოიყენონ კომპანიათა ერთობლივი ქმედებები და 2024 წლისთვის ყველასთვის უზრუნველყონ ინკლუზიური თანაბარი პირობები.

საკონტროლო კითხვები:

1. როგორია ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობათა დინამიკა?
2. რა ძირითად მიმართულებებს ითვალისწინებს საქართველო - ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება?
3. დაახასიათეთ CSR-ის განვითარების ეტაპები საქართველოში;
4. როგორაა განმარტებული CSR ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებაში?
5. რომელია CSR-ის ძირითადი ფორმა საქართველოში?

თავი V. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და სახელმწიფო

5.1 სახელმწიფოს როლი კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაში. CSR-ის პოლიტიკის ინსტრუმენტები[27]

კორპორაციული პასუხისმგებლობის განვითარებას არა მხოლოდ მრავალფეროვანი დადებითი შედეგები მოაქვს კომპანიებისთვის, არამედ წვლილი შეაქვს ქვეყნების ნაციონალური ამოცანების შესრულებასა და გლობალური პრობლემების გადაჭრაში.

კერძო სექტორი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მოთამაშეა გლობალიზებულ საბაზრო ეკონომიკაში. კორპორაციული პასუხისმგებლობა და ბიზნესის აქტიური ქმედებები ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებისათვის და გლობალური პრობლემების გადაჭრისათვის, როგორიცაა გლობალური დათბობა, სიღარიბე და დოვლათის არათანაბარი გადანაწილება, მსოფლიო ჯანდაცვის პრობლემები და სხვა. (იხ. CSR და მდგრადი განვითარება)

ეროვნულ დონეზე კორპორაციულ პასუხისმგებლობას წვლილი შეაქვს სახელმწიფო პოლიტიკების მიზნების შესრულებაში, საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებასა და ცალკეული სოციალური თუ ეკოლოგიური პრობლემების ეფექტიან მოგვარებაში. გარდა ამისა, აღიარებულია, რომ პასუხისმგებელ ბიზნესს წვლილი შეაქვს ქვეყნის ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში კომპანიათა საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდით, გლობალური მოწოდების ჯაჭვებში კომპანიათა ჩართვით, ეკონომიკის მდგრადობის უზრუნველყოფით და საერთაშრისო ბაზრებზე გასვლით.

---

[27] მასალა გადმოტანილია ვებგვერდიდან CSR ჰაბი (https://csrgeorgia.com), ნაშრომის ავტორია ლელა ხოფერია

ყოველივე ამის გამო, ქვეყანათა მთავრობები აქტიურად უწყობენ ხელს კორპორაციული პასუხისმგებლობის დანერგვას როგორც საერთაშორისო დონეზე, სხვადასხვა საერთაშორისო სამთავრობო უწყებების: მაგ., გაერო, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OECD), და მათ მიერ შემუშავებული სტანდარტების მეშვეობით, ასევე ეროვნულ დონეზე, ეროვნული სტრატეგიებით და სხვადასხვა ინიციატივით.

CSR-ის ხელშეწყობის ინსტრუმენტები სახელმწიფოს მხრიდან. სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებაში გადამწყვეტი როლი, უდავოდ, თავად კომპანიებს ეკისრება, რადგან CSR ბიზნესის ნებაყოფლობითი არჩევანია და მოიაზრებს კომპანიის საქმიანობით მოხდენილი ზეგავლენის მართვას.

სახელმწიფოს ძირითადი ფუქნცაა შექმნას და განახორციელოს კანონი. კორპორაციული პასუხისმგებლობის, როგორც კომპანიათა თვითრეგულირების მექანიზმის ხელშეწყობა, ვერ ჩაანაცვლებს სახელმწიფოს მხრიდან საბაზისო სოციალური და გარემოსდაცვითი სტანდარტების უზრუნველყოფას კანონმდებლობის გზით.

თუმცაღა, მთავრობებს მნიშვნელოვანი როლი ეკსირებათ კომპანიათა კორპორაციული პასუხისმგებლობის სტიმულირებაში, შედეგად კი კომპანიათა ჩართულობა მდგრადი განვითარების ეროვნული პრიორიტეტებისა და სოციალური და გარემოსდაცვითი ამოცანების შესრულებაში ბევრად უფრო მაღალია.

მთავრობის მიერ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობის მიზნით გამოყენებული მიდგომები პოლიტიკის ინსტრუმენტების ტრადიციული ტიპოლოგიას ასახავს და შემდეგ ძირითად კატეგორიებად შეიძლება დაჯგუფდეს: *<u>რეგულირება, ფასილიტაცია, პარტნიორობა, ოფიციალური მხარდაჭერა, ფინანსური და არაფინანსური სტიმულირება</u>*

CSR და კანონი. კორპორაციული პასუხისმგებლობა კომპანიათა ნებაყოფლობითი ვალდებულებაა, თუმცა არსებული კანონე-

ბის შესრულება მისი საფუძველი და ამოსავალია. *კომპანიის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს სრულ შესაბამისობას არსებულ სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით კანონებთან, და ამის საფუძველზე დამატებითი, ნებაყოფლობითი ვალდებულებების აღებას.*

იმავდროულად, კომპანიების ნებაყოფლობითი ქმედებების წამახალისებელი ცალკეული ინიციატივების შემოღება გარკვეულ საკანონმდებლო რეგულირებას საჭიროებს (მაგ., სახელმწიფო შესყიდვების მოთხოვნებში სოციალური და გარემოსდაცვითი კრიტერიუმების ჩართვა, საგადასახადო შეღავათები და ა.შ.).

CSR-ის ხელშეწყობის კონტექსტში საკანონმდებლო რეგულირების მიდგომა მოიცავს შემდეგს: - მთავრობის მხრიდან ბიზნეს-საქმიანობის მინიმალური სოციალური და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაწესება და მათი შესრულების უზრუნველყოფა, საკანონმდებლო რეგულირების გზით; - CSR-ის ცალკეული ნებაყოფლობითი სტანდარტების სავალდებულო დაწესება კანონით განსაზღვრულ კონკრეტულ შემთხვევებში.

გარკვეულ შემთხვევებში/კომპანიათა ცალკეული ჯგუფებისთვის ნებაყოფლობითი სტანდარტების სავალდებულო დაწესების მაგალითებია: მდგრადი განვითარების ანგარიშგების ვალდებულება მსხვილი კომპანიებისთვის ან საპენსიო ფონდებისთვის; გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის დანერგვის ან გარემოსდაცვითი ანგარიშის გამოქვეყნების სავალდებულო მოთხოვნა გარკვეული საწარმოებისათვის, სადაც განსაკუთრებით მაღალია გარემოს დაბინძურების რისკი; გარკვეული სოციალური და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვის ვალდებულება სახელმწიფო კონტრაქტების ფარგლებში და ა.შ.

ბოლო წლებში, განსაკუთრებით **ევროკავშირის ქვეყნებში იზრდება საკანონმდებლო რეგულირება** ცალკეულ სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებზე, რომლებიც ადრე კომპანიის ნებაყოფლობით არჩევანი იყო (მაგ. მდგრადი განვითარების ანგარიშ-

გება). ევროკომისია CSR-ის ხელშეწყობის სტრატეგიაში საუბრობს ნებაყოფლობითი და რეგულირებული ქმედებების „გონივრულ ნაზავზე“. „სახელმწიფო უწყებები მხარს უჭერენ კომპანიათა პასუხისმგებელ ქცევას ნებაყოფლობითი ქმედებების წამახალისებელი პოლიტიკით და, სადაც საჭიროა, შესაბამისი საკანონმდებლო რეგულირებით“ (Renewed EU strategy 2011-14 on CSR)

ფასილიტაცია. ეს მიდგომა მოიცავს სახელმწიფოს მხრიდან ისეთი საინფორმაციო ინსტრუმენტების გამოყენებას, როგორებიცაა:

CSR საკითხებზე ცნობიერების ამაღლების კამპანიები სხვადასხვა სექტორისთვის

ცოდნის მიწოდება და კომპანიათა უნარების განვითარება ტრენინგების, კონსულტაციების, სემინარებისა და კონფერენციების მეშვეობით;

CSR საკითხებზე კვლევების ინიცირება და დაფინანსება;

სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება CSR-ის ცალკეულ ასპექტებზე;

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ვებ-გვერდების, მონაცემთა ბაზების და რესურს-ცენტრების მეშვეობით;

კომპანიებისთვის ტექნიკური და საექსპერტო დახმარების გაწევა, რომ მათ დააკმაყოფილონ CSR-ის საერთაშორისო სტანდარტები, დანერგონ სოციალური და გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სქემები. ფასილიტაციის მიდგომა მოიცავს აგრეთვე იმ ორგანიზაციათა საქმიანობის ხელშეწყობას, რომლებიც CSR-ის განვითარებაზე მუშაობენ (როგორიცაა არასამთავრობო ორგანიზაციები, საკონსულტაციო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვა).

პარტნიორობა. პარტნიორობის ცნება, ზოგადად, ცენტრალურია CSR-ისათვის. სტრატეგიული პარტნიორობა სახელმწიფო, კერძო და სამოქალაქო სექტორების რესურსებსა და პოტენციალს მიმართავს რთული სოციალური და გარემოსდაცვითი პრობლე-

მების გადაწყვეტისაკენ.პარტნიორული მიდგომა მოიცავს ისეთ საქმიანობებს, როგორიცაა:

სახელმწიფო და კერძო სექტორების ერთობლივი პროექტები;

დაინიტერესებულ მხარეთა მრგვალი მაგიდების, დებატების და ფორუმების ორგანიზება, დიალოგის ხელშეწყობის მიზნით;

CSR ქსელების და პლატფორმების შექმნა;

მთავრობის მიერ ბიზნესის ჩართვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო პოლიტიკურ ღონისძიებებში, საჯარო ფორუმებსა და ერთობლივ საკონსულტაციო საბჭოებში და სხვა.

ოფიციალური მხარდაჭერა. ამ მიდგომამ მრავალგვარი სახე შეიძლება მიიღოს, ასეთებია, მაგალითად:

CSR-ის ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება;

CSR საკითხების დაფიქსირება სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში;

სამთავრობო დეპარტამენტებისა და კომიტეტების შექმნა CSR-ის ხელშეწყობისათვის;

რბილი სამართლებრივი (არა-დამავალდებულებელი) ინსტრუმენტების შემუშავება, როგორებიცაა დირექტივები, დეკრეტები;

პასუხისმგებელი კომპანიების მიმართ დადებითი დამოკიდებულების დემონსტრირება და კონკრეტული კომპანიების ნებაყოფლობითი პასუხისმგებელი ინიციატივების ოფიციალური აღიარება და წახალისება, ასევე საჯარო გამოსვლებში ყურადღების გამახვილება CSR საკითხებზე;

CSR-თან დაკავშირებული მთავრობათაშორისი და საერთაშორისო ინიციატივების მხარდაჭერა;

CSR ასპექტებზე შემუშავებულ მემორანდუმებთან მიერთება, სხვადასხვა მთავრობათა ერთობლივი ინიციატივები CSR-ზე და ა.შ.

ფინანსური და არაფინანსური სტიმულირება.

არაფინანსური სტიმულირების ინსტრუმენტს წარმოადგენს კონკრეტულ პასუხისმგებელ ინიციატივათა და საწარმოთა დაფასება და წახალისება პრესტიჟული კონკურსებისა და ჯილდოების მეშვეობით.

CSR-ის წახალისების მეთოდს წარმოადგენს აგრეთვე მთავრობის მიერ მაგალითის მიცემა კერძო სექტორისათვის. ეს შეიძლება გამოიხატოს სამთავრობო უწყებების საქმიანობაში საერთაშორისო სოციალური და გარემოსდაცვითი სტანდარტების, მენეჯმენტისა და აუდიტის სქემების დანერგვით, ოჯახთან თავსებადი სამუშაოს პრინციპების განხორციელებით, მდგრადი განვითარების ანგარიშების გამოქვეყნებით, რომლებიც ასახავს სამთავრობო უწყებათა საქმიანობის გარემოსდაცვით და სოციალურ მაჩვენებლებს და სხვ.

ფინანსური ან ეკონომიკური სტიმულირების ინსტრუმენტებია:

საგადასახადო შეღავათები, სუბსიდიები, საგრანტო სქემები (რომლებიც, როგორც წესი, კანონმდებლობით რეგულირდება)

CSR-თან დაკავშირებული საკითხების ჩართვა საექსპორტო პოლიტიკაში

CSR-ის სტანდარტების დაკავშირება სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკასთან - მდგრადი/პასუხისმგებელი შესყიდვები (ანუ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ტენდერში მონაწილე კომპანიათა CSR-ის მაჩვენებლების გათვალისწინება და უპირატესობის მინიჭება მდგრადი განვითარების პრინციპებით წარმოებული პროდუქციისა და სერვისებისათვის).

5.2 კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სახელმწიფო პოლიტიკა ევროკავშირსა და საქართველოში[28]

ევროკავშირის ქვეყნებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა CSR-ის ხელშეწყობის პოლიტიკას. ევროკომისიას და ევროპარლამენტს არაერთი სტრატეგიული დოკუმენტი თუ სამოქმედო განაცხადი აქვს მიღებული CSR-ის შესახებ. CSR-ის ხელშეწყობა ინტეგრირებულია ევროკავშირის პოლიტიკებში სხვადასხვა სფეროსთან მიმართებით, კერძოდ, დასაქმებისა და სოციალური საკითხების პოლიტიკაში, მომხმარებელთა საკითხების პოლიტიკაში, საწარმოთა შესახებ პოლიტიკაში, გარემოსდაცვით პოლიტიკაში, მომხმარებელთა საკითხების პოლიტიკაში, საჯარო შესყიდვებისა და საგარეო ურთიერთობათა პოლიტიკებში, ასევე საჯარო ადმინისტრირების პოლიტიკაში. ევროკომისიის სხვადასხვა გენერალური დირექტორატი მუშაობს პასუხისმგებელი ბიზნესის სხვადასხვა ასპექტის განვითარებაზე. პოლიტიკის დონეზე CSR-ის ოფიციალური მხარდაჭერა 2001 წელს დაიწყო ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკის დოკუმენტით - Green Paper: Promoting a European Frameworks for Corporate Social Responsibility. მას შემდეგ მდგრადი განვითარება და CSR ევროკომისიის ყველა პოლიტიკისა თუ სტრატეგიის ხერხემალს წარმოადგენს (იხ. ბმული https://csrgeorgia.com/ka/csr-and-state/csr-eu-policies?)

განვიხილოთ სახელმწიფო პოლიტიკის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები CSR-ის სფეროში, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ქვეყნის ეკონომიკური ტრანფორმაციის პროცესში:

---

[28] „მდგრადი განვითარება“ და „მწვანე ეკონომიკა“ გადმოტანილია ვებგვერდიდან CSR ჰაბი (https://csrgeorgia.com), ნაშრომის ავტორია ლელა ხოფერია

სახელმწიფომ ინფორმაცია უნდა მიაწოდოს საზოგადოებას ქვეყნის განვითარებაში CSR-ის როლისა და სოციალურად პასუხისმგებლიანი ბიზნესის საუკეთესო პრაქტიკებთან დაკავშირებით, რაც სოციალურად პასუხისმგებლიანი კომპანიების მხარდაჭერის ყველაზე პოპულარულ მიმართულებას წარმოადგენს. სახელმწიფოს შეუძლია შექმნას სპეციალური საინფორმაციო ცენტრი, მოუწოდოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს პროპაგანდა გაუწიონ ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას პრობლემების განხილვის და ამ სფეროში საუკეთესო ეროვნული და უცხოური გამოცდილების შესახებ ინფორმირებით.

სახელმწიფომ შეიძლება სტიმული მისცეს და მხარი დაუჭიროს ბიზნესის დამატებით ნებაყოფლობით ინიციატივებს სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში. ბიზნესის ეთიკური ქცევის სტიმულირებისა და პროპაგანდის მიზნით სახელმწიფომ შეიძლება გამოიჩინოს ინიციატივა და აქტიური მონაწილეობა მიიღოს დარგობრივი და კორპორაციული ქცევის კოდექსების შემუშავებასა და დანერგვაში, რომლებშიც გაწერილი იქნება ბიზნესის ეთიკური მართვის ძირითადი პრინციპები. მაგალითად, შეიძლება სპეციალური სახელმწიფო ჯილდოები და პრემიები დაწესდეს სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების განვითარებაში ბიზნესის ნებაყოფლობითი წვლილისთვის, ასევე შეიქმნას სტრუქტურული ქვედანაყოფები, რომლებიც გაუწევდნენ საწარმოთა სოციალურ ინიციატივებს არა მხოლოდ საინფორმაციო და საკონსულტაციო დახმარებას, არამედ აღმოუჩენდნენ ფინანსურ მხარდაჭერასაც.

სახელმწიფომ შეიძლება კვლევითი და მეთოდური მხარდაჭერა გაუწიოს, ასევე ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ადგილობრივი პოტენციალის ფართომასშტაბიან ზრდას ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში. ამ მიზნებისთვის, მრავალ ქვეყანაში, პრაქტიკაში დანერგილია სემინარებისა და ტრენინგების ჩატარება სახელმწიფო მოხელეების, ბიზნესის

წარმომადგენლების, ასოციაციებისა და გაერთიანებებისათვის, რომლებიც შემდგომში შეიძლება მოგვევლინონ CSR-ის პროპაგანდის კატალიზატორებად საკუთარი ორგანიზაციის წევრებსა და კლიენტებს შორის ინფორმაციის გავრცელების გზით. უნივერსიტეტებისა და კოლეჯების სხვადასხვა სპეციალობების და მიმართულებების სასწავლო პროგრამებში შეიძლება შემოღებულ იქნეს კურსი „ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა“.

სახელმწიფომ CSR-ის საკითხებში აქტიურად უნდა ჩართოს სტეიკჰოლდერები. სახელმწიფო პოლიტიკის მოცემული მიმართულების განვითარება დაკავშირებულია ყველა დაინტერესებულ მხარეს (სახელმწიფო, ბიზნეს-თანამეგობრობა, პროფესიული და საზოგადოებრივი გაერთიანებები და ა.შ.) შორის დიალოგისა და პარტნიორობის ორგანიზაციის ხელშეწყობაში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზაციაში რესურსების კონსოლიდაციისა და უფრო მნიშვნელოვანი შედეგების მისაღწევად. ყველაზე პოპულარული ღონისძიებებია „მრგვალი მაგიდები“, სემინარები, ფორუმები, რომელთა დროსაც სტეიკჰოლდერები ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას და პრაქტიკულ გამოცდილებას, განიხილავენ პრობლემებს და განვითარების პერსპექტივებს, ეხმარებიან სახელმწიფოს უფრო მკაფიო და ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში სტიმულირებასთან დაკავშირებით. სტეიკჰოლდერების მოსაზრებები აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის განსავითარებლად კანონმდებლობის შექმნისას.

სახელმწიფომ უნდა განახორციელოს საერთაშორისო თანამშრომლობა CSR-ის საკითხებთან დაკავშირებით. მით უმეტეს, რომ CSR-ის განვითარება დღეისათვის ისეთ იდეას წარმოადგენს, რომელმაც მოიცვა მრავალი ქვეყანა. ძალისხმევის გაერთიანებისა და CSR-ის საერთაშორისო პრინციპების პროპაგანდისთვის სახელმწიფოებმა ყოველმხრივ მხარი უნდა დაუჭირონ საერთაშორისო ორგანიზაციების ინიციატივებს, ხელი მოაწერონ

კონვენციებს, გააფორმონ ხელშეკრულებები და შეთანხმებები, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ფორუმებში. დოკუმენ-ტებით (ადამიანის უფლებების დაცვის; გარემოს დაცვის; კორუფ-ციასთან ბრძოლის; CSR-ის ინიციატივის პროპაგანდის მნიშვნე-ლობის; საერთაშორისო კორპორაციების საქმიანობის; შრომითი ურთიერთობების; ჯანდაცვის და ა.შ. შესახებ) დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებსა და ფასეულობებს სახელმწიფომ რეკომენდაცია უნდა გაუწიოს ეროვნულ კომპანიებში გამოსაყე-ნებლადაც.

სახელმწიფომ უნდა გააერთიანოს სოციალურად პასუხისმგე-ბლიანი კომპანიების ინტერესები და გამჭვირვალე საქმიანობა. ქვეყნების მთავრობები ხელს უწყობენ მსოფლიო თანამეგობრობის ინტერესების გაერთიანებას CSR-ის და გამჭვირვალობის განვი-თარების სფეროში. შედეგების მისაღწევად ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო მართვის სტადარტების; ანგარიშგების მაჩვენე-ბლების; CSR-ის აუდიტის სისტემის განვითარებას; სტიმული მისცეს პროდუქციისა და საწარმოების სერტიფიკაციას საერთა-შორისო სტანდარტების შესაბამისად. თავის მხრივ, ეს უზრუნ-ველყოფს ეროვნული კომპანიების გასვლას საერთაშორისო ბაზრებზე და ხელს შეუწყობს საერთაშორისო სოციალური და ეკოლოგიური მარკირების სისტემის გავრცელებას, ვაჭრობის თანაბარი უფლებების უზრუნველყოფას სხვადასხვა ქვეყნებში.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში სულ უფრო პოპულარული ხდება **სოციალურად პასუხისმგებლიანი ინვესტი-რება,** რომელსაც ინვესტიციური გადაწყვეტილებების მიღებისას საფუძვლად უდევს ინვესტიციების სოციალური და ეკოლოგიური შედეგების აღრიცხვა. სოციალური ინვესტიციები გულისხმობს ასევე ინვესტირებისათვის მისაღები კომპანიების (ობიექტების სახით) შესწავლასა და გამოყოფას, რომლებიც აკმაყოფილებენ **სოციალური პასუხისმგებლობის კრიტერიუმებს.** კრიტერიუმებს შორის უნდა გამოვყოთ ღია და გამჭვირვალე საქმიანი პრაქტიკა:

ეთიკური ფასეულობები; საკუთარი თანამშრომლების, აქციონერებისა და მომხმარებლების პატივისცემა; გარემოზე ზრუნვა და ა.შ.. სოციალურად პასუხისმგებლიანი კომპანიების ფასიანი ქაღალდები უფრო მიმზიდველ ობიექტს წარმოადგენს ინვესტორების უმეტესობისთვის, მათ შორის საპენსიო ფონდებისთვისაც.

სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს საგადასახადო ინსტრუმენტები კომპანიათა სოციალურად პასუხისმგებლიანი ქცევის სტიმულირებისთვის. მაგალითად, კომპანიათა სოციალური ხარჯები, საქველმოქმედო შემოწირულობები, მიზნობრივი ანარიცხები არაკომერციულ ორგანიზაციებში, ფონდები - ევროპის ქვეყნების უმეტესობაში არ იბეგრება მოგების გადასახადით, რაც შეუძლია გამოყენებულ იქნას ჩვენს პრაქტიკაში.

საგადასახადო შეღავათების გაწევის გარდა, სახელმწიფო შეიძლება მონაწილეობდეს ბიზნესის სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტების დაფინანსებაში სუბსიდიებისა და შეღავათიანი კრედიტების შეთავაზების გზით. სოციალურად პასუხისმგებლიანი ბიზნესისთვის უმნიშნელოვანეს არასაგადასახადო პრეფერენციას წარმოადგენს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის გათვალისწინება სახელმწიფო შეკვეთების შესასრულებლად საწარმოთა შერჩევისას.

სახელმწიფოს შეუძლია შეიმუშავოს სოციალური კანონმდებლობა, რომელიც ახდენს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის რეგლამენტაციას. მაგალითად, ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში შექმნილია სპეციალური კანონმდებლობა CSR-ის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს საწარმოთა CSR-ის ზემოთ ჩამოთვლილი სტიმულირებისა და რეგულირების ინსტრუმენტებს.

სოციალური პასუხისმგებლობის შემთხვევაში სუბიექტად გვევლინება ფირმა მისი ხელმძღვანელის, როგორც რესურსების განმკარგავის სახით. ობიექტს კი წარმოადგენენ თანამშრომლები, მომხმარებლები, მომწოდებლები, განსაზღვრული ტერიტორიის მოსახლეობა.

უნდა აღინიშნოს, რომ გარეშე სტიმულები მოწმობენ იმას, რომ ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევები დამოკიდებულია საზოგადოების ეთიკურ ნორმებზე და ხორციელდება შინაგანი მოთხოვნილების შესაბამისად. შეუძლებელია აქ არ იქნეს გათვალისწინებული რაციონალური ქცევის ელემენტი, ვინაიდან ბიზნესი დაინტერესებულია მოგების და წარმოების მოცულობის ზრდით.

შინაგანი სტიმულების სახით უნდა გამოვყოთ თვითშეგნების მაღალი დონე, სამოქალაქო ვალდებულება და, რასაკვირველია, სტრატეგიული ინტერესი, მაგალითად, კონკურენტებთან შედარებით სოციალური ინვესტიციებისგან მიღებული უკუგების ხარჯზე უპირატესობების მიღება.

გარე სტიმულების გავლენა ძლიერდება იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესის გეგმები გრძელვადიანი ხასიათისაა. ანტისტიმულები შეიძლება ამოქმედდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით, რომელიც ქმნის ბიზნესის ნეგატიურ, ანუ „მეწველი ძროხის“ სახეს. ბიზნესმა შესაბამისი სოციალური ხარჯების სასარგებლოდ გადაწყვეტილებები შეიძლება მიიღოს სახელმწიფოს, ბაზრის და საზოგადოებრიი აზრის ზეწოლით. თავად პასუხისმგებლობის ცნება გულისხმობს სიმწიფესა და დამოუკიდებლობას გადაწყვეტილებათა მიღებისას. ერთი მხრივ, ტრადიციული სოციალურად პასუხისმგებლიანი ქცევა მიზნად ისახავს სოციალური კაპიტალის წარმოებას. მეორე მხრივ კი გულისხმობს საბაზრო აქტივის შექმნას რეპუტაციის სახით. შეთანხმებათა კონფიგურაცია აისახება საბაზრო, სამოქალაქო სამყაროსა და საზოგადოებრივ აზრში.

მთლიანობაში, მიუხედავად CSR-ის პრინციპების რეალიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის სრულყოფისა და სახელმწიფოს მხრიდან ქვეყნის ბიზნესის სოციალურად პასუხისმგებლიან ინიციატივებში უფრო აქტიური მონაწილეობის აუცილებლობისა, ქართული კომპანიები ახორციელებენ თავის საქმიანობაში სოციალურად პასუხისმგებლიან ქცევას.

შეჯამების სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ქვეყნის თანამედროვე ეკონომიკის ერთ-ერთი პრობლემაა ბიზნესისა და სახელმწიფოს პროდუქტიული ურთიერთქმედების არასაკმარისობა; ახალ პრინციპებზე დაყრდნობით, ორივე მხარეს შორის თანამშრომლობის ორგანიზაციის აუცილებლობა. საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოსა და ბიზნესის ეფექტიანი პარტნიორობა მსხვილი კორპორაციების ინოვაციურ სტრატეგიებთან ერთობლიობაში წარმოადგენს გამალებული ეკონომიკური ზრდის განუყოფელ ნაწილს.

ცხადია, რომ ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ საკვანძო მიმართულებას წარმოადგენს სოციალური სფერო და მისი განვითარება, ვინაიდან მდგომარეობა აღნიშნულ სფეროში განსაზღვრავს შრომითი რესურსების კვლავწარმოების პროცესებს, მათ რაოდენობასა და ხარისხს, მწარმოებლური ძალების სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების დონეს, საზოგადოების კულტურულ და სულიერ ცხოვრებას. შესაბამისად, ეკონომიკის წარმატებული განვითარებისთვის სახელმწიფოს მოუწევს CSR-ის განვითარება და სტიმულირება.

CSR-ის განვითარებაში სახელმწიფოს მიმდინარე მონაწილეობა არასაკმარისია და ამიტომაც აუცილებელი ხდება მისი გადასვლა კომპლექსურ, სისტემურ მონაწილეობაზე.

მსგავსმა შეთავაზებამ შეიძლება ეჭვები გააჩინოს იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს ისეთ სენსიტიურ სფეროში, როგორიცაა ბიზნესის ნებაყოფლობითი სოციალური პასუხისმგებლობა. იქნებ უმჯობესი იყოს „ბაზრის უხილავ ხელზე“ მინდობა. სინამდვილეში, არასათანადოდ გააზრებული და უხეშად მასტიმულირებელი ღონისძიებები არამცთუ არ შექმნიან სათანადო პირობებს კომპანიათა სოციალური პასუხისმგებლობის განსავითარებლად, არამედ, პირიქით, დააფრთხობენ ბიზნესს და არ გამოიწვევენ ბუნებრივ ინიციატივას სოციალურად პასუხისმგებლიანი ქცევის განვითარებისთვის.

იმავდროულად, ევროპის ქვეყნებში CSR-ის სისტემის ორგანიზაციის განხილული მაგალითები გვიჩვენებენ მის ფორმირებაში სახელმწიფოს წარმატებული მონაწილეობის შესაძლებლობებს. CSR-ის ევროპული მოდელის პრინციპულ განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს სახელმწიფოს უდიდესი როლი მის ორგანიზაციაში. ეს უდავოდ ადასტურებს ამ უკანასკნელის აქტიური მონაწილეობის აუცილებლობას კომპანიათა სოციალურად პასუხისმგებლიანი ქცევის სტიმულირებაში.

შეიძლება დავასკვნათ, რომ CSR-ის სახელმწიფო რეგულირება შინაარსობრივი სტრუქტურიდან გამომდინარე, უნდა დაეყრდნოს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

1.პროგრესული გამოცდილების გაზიარება;

2. ნებაყოფლობითობა ურთიერთობებში;

3. მეცნიერული მიდგომების გამოყენება;

4. სტეიკჰოლდერების მნიშვნელობის წამოწევა წინა პლანზე;

5.საერთაშორისო თანამშრომლობის გააქტიურება;

6. გამჭვირვალობის უზრუნველყოფა ურთიერთობებში;

7. საგადასახადო სტიმულების რაციონალურად გამოყენება;

8. კანომდებლობის სრულყოფა და ეფექტიანობა.

რაც შეეხება საქართველოს, მთავრობა არ ახორციელებს ერთიან კონსოლიდირებულ სტრატეგიას CSR-ის მხარდაჭერის და ხელშეწყობის მიზნით, ჯერ-ჯერობით არ არსებობს CSR-ის ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკა ან სამთავრობო უწყება, რომელიც ამ საკითხების მაკოორდინირებელ ფუნქციას შეასრულებდა. თუმცა, ცალკეული სახელისუფლებო ინიციატივები და პროგრამები პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება და ხელს უწყობს საქართველოში CSR-ის დანერგვას და განვითარებას.

<u>მდგრადი განვითარება.</u> გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2015 წელს მიიღო 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის. რეზოლუციაში გაიწერა მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულია

და სამ განზომილებას მოიცავს – ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით განზომილებებს. 2030 წლის დღის წესრიგი ამ ეტაპზე არსებული ერთადერთი გლობალური დღის წესრიგია, რომლის შესრულებაშიც ყველა ქვეყანა თანაბრად ერთვება.

საქართველოს მთავრობამ მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის პროცესი 2015 წელსვე დაიწყო. გაეროს მდგრადი განვითარების 17-ივე მიზანი და 93 ამოცანა განისაზღვრა ეროვნულ პრიორიტეტად. ნაციონალიზაციის პროცესში ჩართული იყო ყველა შესაბამისი სამთავრობო უწყება, საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სააგენტოები და სამოქალაქო საზოგადოება.

საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების, საერთაშორისო განვითარების სააგენტოების მხარდაჭერით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ მოამზადა მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი - მატრიცა, რომელშიც ასახულია გლობალური და ნაციონალიზებული ამოცანები, მათი მიღწევა საქართველომ 2030 წლამდე უნდა შეძლოს. დოკუმენტში ასევე ასახულია გლობალური და საქართველოსთვის მისადაგებული ეროვნული ინდიკატორები, რომელთა მიხედვითაც გაიზომება თითოეული ამოცანის შესრულება. ყოველი ამოცანის შესასრულებლად განსაზღვრულია შესაბამისი წამყვანი დაწესებულება. მატრიცის თითოეული პუნქტის შესაბამისად უნდა მოხდეს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების მონიტორინგი.

მდგრადი განვითარების მიზნები წარმოადგენს ერთგვარ ჩარჩოს ბიზნესის წარმომადგენლებისთვის, თუ როგორ უნდა დაგეგმონ თავიანთი CSR სტრატეგია და რომელი ინდიკატორების შესრულებაზე აიღონ პასუხისმგებლობა; მდგრადი განვითარების დღის წესრიგის შესრულება საქართველოში თავისთავად ხელს უწყობს კორპორაციული პასუხისმგებლობის განვითარებას და კეთილმყოფელ გარემოს ქმნის მის დასანერგად. ამრიგად, CSR

მჭიდროდ უკავშირდება მდგრადი განვითარების კონცეფციას. CSR-ის საბოლოო მიზანი მდგრადი განვითარების ხელშეწყობა და მისი მიზნების შესრულებაში წვლილის შეტანაა.

მწვანე ეკონომიკა. საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა და ბუნებრივი კატასტროფების რისკების თავიდან აცილება.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად საქართველოს მთავრობა მნიშვნელოვნად მიიჩნევს მწვანე ეკონომიკის წახალისებას, რომელიც ქვეყნის მდგრადი განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

2016 წელს საქართველო შეუერთდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მწვანე ზრდის დეკლარაციას, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობა მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობისათვის. აღნიშნული დეკლარაციის პრინციპებზე დაყრდნობით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მუშაობს მწვანე ეკონომიკის პოლიტიკის დოკუმენტისა და მწვანე ზრდის ეროვნული სტრატეგიის შემუშავების საკითხებზე, რომელთა ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზების ხელშეწყობა, მდგრადი და მწვანე განვითარების საფუძვლის შექმნა.

ამასთანავე, მდგრადი განვითარების პრინციპების უპირატესობები და მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა აღნიშნულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში „საქართველო 2020“ (იხ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძი-

ების თაობაზე http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf)

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება. 2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას („ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის"), რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისს. ასოცირების დღის წესრიგისა და ასოცირების შესახებ შეთანხმების ეფექტიანად განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობა ყოველწლიურად შეიმუშავებს ეროვნულ სამოქმედო გეგმას, რომელიც მტკიცდება მთავრობის დადგენილებით.

საგადასახადო შეღავათი საქველმოქმედო საქმიანობაზე. საქართველოს საგადასახადო კოდექსი შეიცავს რამდენიმე ნორმას, რომლებიც აწესებენ შეღავათსა და წამახალისებელ მექანიზმებს საწარმოების საქველმოქმედო საქმიანობაზე. კერძოდ, საგადასახადო კოდექსის მუხლი 98[3] და მუხლი 117 განსაზღვრავს სამეწარმეო სუბიექტებისათვის დაწესებულ საგადასახადო შეღავათებს საქველმოქმედო საქმიანობაზე - ფულადი შემოწირულობის, საქონლის ან მომსახურების უსასყიდლოდ გადაცემაზე, თუმცა აღნიშნული შეღავათებით საწარმომ შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ისარგებლოს, თუ საქველმოქმედო დახმარების მიმღებია საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მქონე ორგანიზაცია (საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების შესახებ

ბიზნესი და ადამიანის უფლებები - საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა

ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების მიზნით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით, შექმნილია ადამიანის უფლებების უწყებათაშორისი საბჭო, რომლის ფუნქციებში შე-

დის ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქართველოს მთავ-
რობის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის, სამოქმედო გეგმების
შემუშავება, განხორციელების კოორდინაცია და მონიტორინგი.

საბჭოს საქმიანობის ადმინისტრირებას, ორგანიზაციულ და
ანალიტიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს მთა-
ვრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივ-
ნო. 2014 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ადამიანის
უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისა-
თვის https://matsne.gov.ge/ka/document/view/5757268?publication=0.

2017 წელს საქართველოს მთავრობამ 2016-2017 წლების ადა-
მიანის უფლებათა სამოქმედო გეგმაში დაამატა თავი ბიზნესისა
და ადამიანის უფლებების შესახებ (თავი 24); 2018-2020 წლების
სამოქმედო გეგმაში ბიზნესისა და ადამიანის უფლებების საკითხს
აგრეთვე დათმობილი აქვს თავი 25.

აღნიშნულით საქართველოს მთავრობამ მრავალი ვალდებუ-
ლება აიღო ბიზნესის მიერ ადამიანის უფლებების დაცვისა და
კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების
ხელშეწყობაზე, მათ შორის როგორც ინფორმირებისა და
ცნობიერების ამაღლებაზე (მაგ. კორპორაციული სოციალური
პასუხისმგებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, ადამიანის
უფლებათა დაცვის მექანიზმების შესახებ ბიზნეს სექტორის
ინფორმირება და სხვა), ასევე უფრო ქმედითი ნაბიჯებისა და
ღონისძიებების გატარებაზე, როგორებიცაა მაგ.: ბიზნესისა და
ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ ერთიანი პოლიტიკის
შემუშავება და მისი ეფექტიანი განხორციელების უზრუნველ-
ყოფა, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში
ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხების წამახალისებელ და
სავალდებულო დონეზე გათვალისწინების უზრუნველყოფა;
აგრეთვე, ვალდებულებები, რომლებიც შეეხება ადამიანის
უფლებებისა და პასუხისმგებელი ბიზნესის სფეროში წამყვან
საერთაშორისო ინიციატივებთან მიერთებას და მათი პოლიტი-

კაში გატარების უზრუნველყოფას (მაგ. ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების (UN Guiding Principles on Business and Human Rihghts) - მხარდაჭერისა და მათი პოლიტიკაში გატარების უზრუნველყოფა, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მრავალეროვანი საწარმოებისათვის სახელმძღვანელო მითითებებთან მიერთება (OECD Guidelines for Multinational Enetrprises) და მრავალი სხვა.

ევროპის ინდუსტრიათა მდგრადობის ბარომეტრი. ევროპის ინდუსტრიათა მდგრადობის ბარომეტრი (European Sustainable Industry Barometer) შეიმუშავა CSR Europe"-მა „Moody's Vigeo Eiris"-თან თანამშრომლობით. ბარომეტრის პირველი გამოცემა წარადგინეს 2021 წლის 11 ოქტომბერს, ევროპის მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) სამიტზე.

ბარომეტრი შეიცავს მონაცემებს ევროპის ბიზნესსექტორებისა და ინდუსტრიათა ფედერაციების შესახებ, კერძოდ კი მდგრადი განვითარების მიზნებთან მათი საქმიანობის შესაბამისობის შესახებ, წარმოაჩენს და ზომავს ESG-სა და კლიმატის ცვლილების შემცირების მიმართულებით მათ ყოველწლიურ წინსვლას, აგრეთვე გვიჩვენებს, თუ სად არის საჭირო დამატებითი ძალისხმევა.

საკონტროლო კითხვები:

1. როგორია სახელმწიფოს როლი CSR-ის განვითარებაში?
2. დაახასიათეთ ბიზნესისა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ძირითადი მახასიათებლები;
3. CSR-ის სტიმულირების სახელმწიფო პოლიტიკის რა მიმართულებები არსებობს? განმარტეთ.
4. დაასახელეთ სახელმწიფოს მიერ CSR-ის ხელშეწყობის ინსტრუმენტები;
5. ჩამოთვალეთ სახელისუფლებო ინიციატივები და პროგრამები CSR -აში.

თავი VI. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მცირე და საშუალო ბიზნესში[29]

6.1 კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ინტეგრაცია მცირე და საშუალო ბიზნესში: სტრატეგიული პრიორიტეტი ევროკავშირისთვის

მცდარია წარმოდგენა, თითქოს CSR მხოლოდ დიდი კომპანიების საქმეა. დღევანდელი მაღალი კონკურენციის პირობებში, ვერც ერთი კომპანია ვერ შეძლებს ფუნქციონირებას, თუკი ის არის მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული, ან ცდილობს იყოს მარტოსული მოთამაშე ბაზარზე. ჩვენთვის კარგად ცნობილია, რომ ბიზნესზე ზემოქმედებას ახდენს მომხმარებელი, მომმარაგებელი, საზოგადოება და გარემო. გამომდინარე აქედან, CSR-ის დანერგვა თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც დიდი მასშტაბების ბიზნესისათვის, ასევე, მცირე და საშუალო ზომის ბიზნესებისთვის.

სარგებელი, რომელიც ასოცირებულია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებში CSR პრაქტიკის დანერგვასთან არის შემდეგი:

- ინვესტორების დაინტერესების ზრდა;
- ბიზნესის განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივა;
- თანამშრომლების შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობა დაცულია, რაც ამცირებს სამუშაოს ტრამვებისა და დაავადებების რისკს;
- უზრუნველყოფილია გარემოს დაცვის მოთხოვნების შესრულება, რაც ამცირებს ჯარიმებისა და საკანონმდებლო პასუხისმგებლობის რისკს;
- ეთიკური ბიზნესის სახელი და სანდო რეპუტაციის ზრდა;

[29] მასალა გადმოტანილია ვებგვერდიდან CSR ჰაბი (https://csrgeorgia.com), ნაშრომის ავტორია ლელა ხოფერია

- დასაქმებულების მოტივაციის ზრდა;
- ბიზნესი და CSR, გენდერი და გარემოს დაცვა
- ადგილობრივი თემისა და დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერა; მომხმარებლის რიცხვის ზრდა;
- პარტნიორებისა და თანამშრომლების მსურველთა რაოდენობის ზრდა.

CSR პრაქტიკა გულისხმობს დაინტერესებულ მხარეებთან მუდმივ კომუნიკაციას. დაინტერესებული მხარეები არიან ის პირები, რომელთაც აქვთ გარკვეული ტიპის ინტერესი კომპანიის ბიზნესთან. ეს ინტერესი შეიძლება იყოს ინვესტიცია, აქცია, საქმიანობის არეალი და ა.შ. დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ აქციონერები, მომხმარებლები, თანამშრომლები, ადგილობრივი თემის წარმომადგენლები, საზოგადოება, მთავრობა და ა.შ. ბიზნესის წარმატება დამყარებულია დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულებაზე კომპანიის მიმართ. დღეისათვის, კონკურენტუნარიანი, ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო მოითხოვს სამუშაო პირობებისა და ბიზნეს-სტრატეგიის განუწყვეტლივ ადაპტირებას დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებთან.

კომპანიის პასუხისმგებლობა სხვადასხვა ტიპის დაინტერესებულ მხარეებთან არის შემდეგი:

პასუხისმგებლობა აქციონერების წინაშე: ზუსტი ფინანსური ინფორმაციის დროული წარდგენა; მათი კაპიტალის უკუგების შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიწოდება; ეფექტური და მუდმივი კომუნიკაციის ქონა; აუდიტის ანგარიშების წარდგენა; სამუშაო შეხვედრებზე დასწრების შეთავაზება და ა.შ.

პასუხისმგებლობა მომხმარებლების წინაშე: ხარისხიანი პროდუქციისა და მომსახურების მიწოდება მიზანშეწონილ ფასად; პროდუქტისა და მომსახურების შესახებ სრულფასოვანი ინფორმაციის მიწოდება; მომხმარებელთა მოსაზრებების გაზიარების მექანიზმის დანერგვა და ა შ.

პასუხისმგებლობა თანამშრომლების წინაშე: ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო, ჯანსაღი, დისკრიმინაციისაგან თავისუფალი და ჰარმონიული სამუშაო გარემოს შექმნა; მიზანშეწონილი და დროული ანაზღაურება; მოტივაცია და წახალისება; აღიარება და წინსვლის შესაძლებლობა; საჭიროების შემთხვევაში ტრენინგებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლო კურსების დაფინანსება და ა.შ.

პასუხისმგებლობა თემისა და საზოგადოების წინაშე: სამუშაო ადგილების შექმნა; გარემოზე მავნე ზემოქმედების მინიმიზაცია და გარემოსდაცვითი სოციალური პროექტების განხორციელება; განათლების, ჯანდაცვისა და ინფრასტრუქტურის სფეროში კონტრიბუცია და ა.შ.

პასუხისმგებლობა ადგილობრივი მთავრობის მიმართ: საკანონმდებლო მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულება; გადასახადების დროული გადახდა; დროული ანგარიშგების წარმოება.

6.2 მცირე ბიზნესის უპირატესობები. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ეფექტი მცირე ბიზნესის კონკურენტუნარიანობაზე

მცირე და საშუალო ბიზნესს შეუძლია გამოიყენოს სოციალური პასუხისმგებლობა, როგორც საკუთარი კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგიული საშუალება. მცირე და საშუალო კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამები, ჩვეულებრივ, რამდენიმე სფეროს მოიცავს: სამუშაო პირობები და თანამშრომლებთან ურთიერთობა; საზოგადოებასა და ადგილობრივ თემთან ურთიერთობა; საბაზრო სივრცე: მომხმარებლები, მომწოდებლები, პროდუქცია და მომსახურება; გარემოს დაცვა.

არ არის აუცილებელი კომპანიამ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საკითხზე ერთდროულად თანაბარი ძალისხმევა მიმართოს.

პრიორიტეტების დადგენა და კომპანიისათვის ყველაზე უფრო რელევანტურ საკითხებზე კონცენტრირება გაცილებით შედეგიანი იქნება. პირველი წარმატების მიღწევის შემდეგ ყოველთვის შეიძლება ახალი აქტივობების დამატება. კორპორაციული პასუხისმგებლობა გამოიხატება სხვადასხვა პრაქტიკულ ქმედებაში, რომლებიც არ არის აუცილებლად რთულად შესასრულებელი ან ძვირადღირებული. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამა წარმატებული იქნება, როდესაც:

ის შესაბამისობაშია კომპანიის ღირებულებებსა და ძირითად ბიზნესსაქმიანობასთან;

მას მხარს უჭერს და წარმართავს კომპანიის ხელმძღვანელობა;

მასში ჩართული არიან კომპანიის თანამშრომლები საკუთარი იდეებით, კრეატიულობით და უშუალო მონაწილეობით;

ის სისტემური და უწყვეტია, ეფუძნება კომპანიის ძლიერ მხარეებს და მიზნად ისახავს სისუსტეების და ნაკლოვანებების ეტაპობრივ აღმოფხვრას.

მცირე და საშუალო კომპანიებში განასხვავებენ სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების შემდეგ ციკლს:

მომზადება: ყველა იმ ცალკეული CSR ინიციატივის განხილვა, რაც უკვე განხორციელდა კომპანიაში, ასევე კომპანიის ეთიკურ ღირებულებებისა და პრინციპების განსაზღვრა.

დიალოგი დაინტერესებულ მხარეებთან: პირველ რიგში, მთავარია დაინტერესებული მხარეების განსაზღვრა; კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან: რა მოლოდინები აქვთ მათ? რა ტიპის თანამშრომლობაა შესაძლებელი მათთან?

დაგეგმვა და განხორციელება: კომპანიის საქმიანობის შეფასებისა და პასუხისმგებელი ინიციატივებისა და მიდგომების გამოვლენის, ასევე დაინტერესებულ მხარეებთან კონტაქტის დამყარების შემდეგ, უნდა გადაწყდეს, რისი გაკეთებაა საჭირო - ეს მეტწილად იმაზეა დამოკიდებული, თუ რას საქმიანობს კომპანია.

უნდა გამოიკვეთოს ფოკუს სფეროები და დაიგეგმოს კონკრეტული ქმედებები.

შეფასება: გაზომეთ განხორციელებული პასუხისმგებელი ქმედებების შედეგების გაზომვა, მიღწეული შედეგების პერიოდული შეფასება, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას დროულად აღმოაჩინოს ახალი გამოწვევები და შესაძლებლობები და მოახდინოს მათზე სათანადო რეაგირება.

კომუნიკაცია: CSR-ის ინიციატივებისა და მათი შედეგების შესახებ სწორი კომუნიკაცია კომპანიის წარმატების ერთ-ერთი საფუძველია. საჭიროა ინფორმაციის გავრცელება იმაზე, თუ როგორ ვითარდება პასუხისმგებლობა და რა მიღწევები აქვს კომპანიას ამ კუთხით. ეს ხელს შეუწყობს კომპანიის მიმართ ნდობას და გააუმჯობესებს მის რეპუტაციას.

სტიმულირება და აღიარება. ყოველწლიურად CSR-ის კუთხით მიღწეული წარმატებების აღნიშვნა და მიღებული სასარგებლო გამოცდილების გაზიარება კომპანიაში.ეს არა მხოლოდ უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტობას, არამედ იზრდება პერსონალის მოტივაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ EU4Business-ის ინიციატივა მხარს უჭერს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს CSR-ის სტანდარტების მიღწევაში, ძირითადად „მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების და საქართველოში“ პროექტის მეშვეობით, რომლის მიზანია დაეხმაროს სტანდარტების დანერგვაში იმ კომპანიებს, რომლებსაც გავლილი აქვთ საერთაშორისო BSCI (ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივა) აუდიტი.

საქართველოში საშუალო ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის საუკეთესო მაგალითია

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "მიკრო ბიზნეს კაპიტალი" (ემბისი) - თანამედროვე, ინოვაციური და საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე მოქმედი ორგანიზაცია, რომლის მიზანია მიკრო და მცირე მეწარმეებისა და ფერმერებისთვის მათზე

მორგებული და ხელმისაწვდომი ფინანსური სერვისების შეთავაზება, ფინანსური სახსრების და სასესხო პროდუქტების ხელმისაწვდომობის გაზრდა, გრძელვადიანი და გამჭვირვალე ურთიერთობა მომხმარებლებთან. "ემბისი", როგორც სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ფინანსური ინსტიტუტი, ორიენტირებულია საკუთარი წვლილი შეიტანოს ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში. "ემბისი"-სთვის CSR ბიზნესის მოდელთან ინტეგრირებული კორპორაციის თვითრეგულირების ფორმას წარმოადგენს და ასახულია კომპანიის ძირითად ღირებულებებში: გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, პარტნიორობა, ეთიკური კორპორაციული მართვა, ინოვაცია. "ემბისი"-ის CSR სტრატეგია მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: გარემოს დაცვა, ქალთა გაძლიერება, ფინანსური განათლების მხარდაჭერა, შრომითი უფლებები, ახალგაზრდების მხარდაჭერა, გამჭვირვალობა და ბიზნესეთიკა.

კომპანია მიზნად ისახავს მომხმარებლებს გაუწიოს მათ საჭიროებებზე მორგებული, გამჭირვალე და მაღალი ხარისხის მომსახურება, რათა ხელი შეუწყოს სოციალური სარგებლის მაქსიმიზაციას. 2023 წელს "ემბისი" კორპორაციული მდგრადობის ჯილდოს კონკურსის გამარჯვებული გახდა - "ემბისი"-ს პროექტი - ფინანსური განათლების ხელშეწყობა ახალგაზრდებში, მცირე და საშუალო ბიზნესის კატეგორიიდან, ნომინაციაში SDG4 (ხარისხიანი განათლება) გაიმარჯვა.

კონკურსის ორგანიზატორი გახლდა "გაეროს გლობალური შეთანხმების ქსელს საქართველოში" და მხარდამჭერები USAID Georgia-სა და შვედეთი საელჩო.

საკონტროლო კითხვები:

1. რა სარგებელი აქვს მცირე და საშუალო ზომის კომპანიებში CSR-ის პრაქტიკის დანერგვას?
2. დაახასიათეთ კომპანიის პასუხისმგებლობა დაინტერესებულ მხარეებთან (სტეიკჰოლდერებთან);
3. განიხილეთ მცირე და საშუალო კომპანიებში სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების ციკლი.

თავი VII. მსხვილი ბიზნესი როგორც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სუბიექტი

7.1. ტრანსნაციონალური კორპორაციები როგორც ბიზნესის ელიტა და სოციალური პასუხისმგებლობის სუბიექტი

ტრანსნაციონალური კორპორაცია (ტნკ) (Transnational corporation) – მსხვილ ფირმას (ან სხვადასხვა ქვეყნის ფირმების გაერთიანებას) წარმოადგენს, რომელსაც საზვარგარეთული აქტივები (კაპიტალდაბანდებები) გააჩნია და ძლიერ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკის სფეროზე (ან რამდენიმე სფეროზე) საერთაშორისო მასშტაბით.

საერთაშორისო ეკონომიკის შესახებ ინგლისურენოვან ლიტერატურაში ბიზნეს-ორგანიზაციის აღსანიშნავად ხშირად იყენებენ აგრეთვე ტერმინებს „მრავალეროვნული ფირმები“ (Multinational firms) და „მრავალეროვნული კორპორაციები“ (Multinational corporation), რომლებიც სინონიმებად გამოიყენება.

ტნკ-ებს შემდეგი ძირითადი მახასიათებელი ნიშნები გააჩნიათ:

– რეალიზაციის თავისებურებები: ფირმა თავისი პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის რეალიზაციას საზღვარგარეთ ახორციელებს, რითაც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მსოფლიო ბაზარზე;

– წარმოების განლაგების თავისებურებები: საზღვარგარეთის ქვეყნებში განთავსებულია ზოგიერთი მისი ქალიშვილი საწარმო და ფილიალი;

– საკუთრების უფლებათა თავისებურებები: ფირმის მესაკუთრენი სხვადასხვა ქვეყნის რეზიდენტებს (მოქალაქეებს) წარმოადგენენ.

საკმარისია ფირმას თუნდაც ერთი ზემოთჩამოთვლილი ნიშანი აღმოაჩნდეს, რომ ტნკ-ს კატეგორიაში მოხვდეს. ზოგიერთ

მსხვილ კომპანიას ერთდროულად სამივე მახასათებელი ნიშანი გააჩნია. ყველაზე მნიშვნელოვნად პირველ ნიშანს მიიჩნევენ. ამ კრიტერიუმის მიხედვით აბსოლუტურ ლიდერს შვედური ფირმა „ნესტლე“ წარმოადგენს, რომელიც თავისი პროდუქციის 98%-ზე მეტის ექსპორტირებას ახდენს. რაც შეეხება უფლებებისა და საკუთრების ინტერნაციონალიზაციას, ამ ორ მახასიათებელს შეიძლება ადგილი არც ჰქონდეს.

თანამედროვე სამყაროში ტრანსნაციონალურ და ჩვეულებრივ კომპანიებს შორის ზღვარი საკმაოდ პირობითია, ვინაიდან მიმდინარეობს გასაღების ბაზრის, წარმოებისა და საკუთრების ინტერნაციონალიზაცია ეკონომიკის გლობალიზაციის განვითარების კვალობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ მკვლევარები ტნკ-ს გამოყოფის სხვადასხვა რაოდენობრივ კრიტერიუმს იყენებენ, მეცნიერულ ლიტერატურაში მოცემულია ტნკ-ების და მათი საქმიანობის ამსახველი მკვეთრად განსხვავებული მონაცემები (2000 წლის დასაწყისისათვის – 40 ათასიდან 65 ათასამდე).

XX საუკუნის 60-იან წლებში გაერო ტნკ-თა რიცხვს მიაკუთვნებდა ფირმებს 100 მლნ. დოლარის წლიური ბრუნვის ოდენობით და არანაკლებ ექვს ქვეყანაში განთავსებული ფილიალებით. მოგვიანებით ნაკლებად მკაცრი კრიტერიუმების გამოყენება დაიწყეს. ამჟამად გაერო ტრანსნაციონალურს იმ კორპორაციას მიაკუთვნებს, რომელიც შემდეგ ფორმალურ მახასიათებლებს მოიცავს:

– მათ გააჩნიათ საწარმოო რგოლები არანაკლებ ორ ქვეყანაში;

– ტარდება შეთანხმებული ეკონომიკური პოლიტიკა ცენტრალიზებული ხელმძღვანელობით;

– საწარმოო რგოლები ერთმანეთთან აქტიურად ურთიერთქმედებენ: მიმდინარეობს რესურსებისა და პასუხისმგებლობის გაცვლა.

თანამედროვე ტნკ-ების უმეტესობას მკვეთრად გამოხატული ეროვნულობა ახასიათებს. მრავალეროვნული ფირმების რაოდე-

ნობა საკმაოდ მცირეა, ჩვეულებრივ მაგალითად მოჰყავთ 2 ინგლისურ-ჰოლანდიური ფირმა: ნავთობგადამამუშავებელი კონ-ცერნი „როიალ-დატჩ შელი“ (“Royal Dutch Shell”) და ქიმიური კონცერნი „იუნილევერი“ (“Unilever”).

საქმიანობის მასშტაბის მიხედვით ყველა ტნკ მსხვილ და მცირედ იყოფა. პირობით კრიტერიუმს წლიური ბრუნვის სიდიდე წარმოადგენს. ასე, XX საუკუნის 80-იან წლებში მსხვილ ტნკ-ებს მიაკუთვნებდნენ მხოლოდ მათ, რომლებსაც წლიური ბრუნვა 1 მლრდ დოლარი ჰქონდათ. თუ მცირე ტნკ-ს საშუალოდ 3-4 საზღვარგარეთული ფილიალი გააჩნია, მსხვილ ტნკ-ებში მათი რიცხვი ათეულებს და ასეულებსაც კი აღწევს.

ცალკე გამოყოფენ ტრანსნაციონალურ ბანკებს (ტნბ), როგორც ტნკ-ს განსაკუთრებულ სახესხვაობას, რომლებიც საერთაშორისო მასშტაბით ახორციელებენ ბიზნესის დაკრედიტებას და ფულადი ანგარიშების ორგანიზაციას.

ტნკ-ების როლი თანამედროვე მსოფლიო მეურნეობაში შემდეგი მაჩვენებლებით ფასდება:

– ტნკ-ები მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით 2/3-ს აკონტრო-ლებენ;

– მათზე მოდის სამრეწველო წარმოების დაახლოებით 1/2;

– ტნკ-ების საწარმოებში არასასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულთა თითქმის 10% მუშაობს;

– ტნკ-ები მსოფლიოში არსებული პატენტების, ლიცენზიების და ნოუ-ჰაუს დაახლოებით 4/5-ს აკონტროლებენ.

ისევე, როგორც ტნკ-ები ბიზნესის ელიტას წარმოადგენენ, ასევე ტნკ-ებს თავისი ელიტა ჰყავთ - სუპერმსხვილი კომპანიები, რომლებიც მეტოქეობას უწევენ მრავალ სახელმწიფოს წარმოების, ბიუჯეტის, და „ხელქვეითების“ რაოდენობის მიხედვით. მსოფლიოს 100 უმსხვილესი ტნკ (საერთო რაოდენობის 0,2%-ზე ნაკლები) საზღვარგარეთული აქტივების და საზღვარგარეთული

გაყიდვების ერთობლივი მოცულობის შესაბამისად 12%-ს და 16%-ს აკონტროლებს.

არსებობს პლანეტის უმსხვილეს კომპანიათა ორი ყველაზე ცნობილი რეიტინგი: ჟურნალი „Fortune“ ახდენს არასაფინანსო კომპანიების რანჟირებას წლიური მოგების მოცულობის მიხედვით, ხოლო გაზეთი „Financial Times“ – ყველა კომპანიის (მათ შორის საფინანსოს) აქტივების ღირებულების მიხედვით.

თავდაპირველად ტნკ-ების ყველაზე მსხვილ დარგობრივ ჯგუფს ნედლეულის მომპოვებელი დარგები შეადგენდნენ. 1973 წლის სანავთობო კრიზისმა გამოიწვია ნავთობის ტნკ-ების როლის მკვეთრი ზრდა, მაგრამ უკვე 1980-იან წლებში „სანავთობო შიმშილის“ შესუსტებასთან ერთად მათი გავლენა მცირდება და წინა პლანზე ავტოსამშენებლო და ელექტროტექნიკური ტნკ-ები გამოდიან, ხოლო სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის განვითარების კვალობაზე – ფირმები მომსახურების მაღალტექნოლოგიური სფეროდან – ამერიკული კორპორაცია „Microsoft“ (მსოფლიო მონოპოლისტი პროგრამული უზრუნველყოფის წარმოებაში), ამერიკული ელექტრონული სავაჭრო კომპანია „Wall – Mart Stores Inc.“

ტნკ-ების შემადგენლობა დროთა განმავლობაში სულ უფრო ინტერნაციონალური ხდება. მსოფლიოს ათ უმსხვილეს ფირმას შორის აბსოლუტურად ლიდერობენ ამერიკული ფირმები, მაგრამ თუ გადავხედავთ პლანეტის უმსხვილესი ტნკ-ების უფრო მრავალრიცხოვან ჯგუფს, აქ აშშ-ს ლიდერობა გაცილებით სუსტადაა გამოხატული.

ჟურნალი „Fortune“-ს მონაცემების მიხედვით, 1950-იან წლებში ამერიკული ფირმების აბსოლუტური უპირატესობა შეიმჩნევა; 1980-იან წლებში კი დასავლეთევროპული ფირმები დომინირებენ. ეს ტენდენცია ყველა ტნკ-ს შემადგენლობის მიხედვითაც შეიმჩნევა: 1970-იან წლებში ტნკ-ს ნახევარზე მეტი ორი ქვეყნიდან – აშშ და დ/ბრიტანეთიდან იყო; ამჟამად ყველა ტნკ-დან აშშ-ს

იაპონია, გერმანიასა და შვეიცარიაზე – ერთად აღებულზე მხოლოდ ნახევარი მოდის.

იზრდება განვითარებადი ქვეყნების ტნკ-თა რაოდენობა და მნიშვნელობა (განსაკუთრებით – აზიური „დრაკონი“ ქვეყნების, როგორიცაა ტაივანი, სამხრეთ კორეა, ჩინეთი).

მოსალოდნელია, რომ უახლოეს მომავალში გაგრძელდება ტნკ-ების შორის მესამე სამყაროს ახალი ინდუსტრიული და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ფირმების ხვედრითი წილის ზრდა.

7.2 გაეროს გლობალური შეთანხმება (UN Global Compact)

გლობალური პაქტის (Global Compact) დადების შესახებ ინიციატივა პირველად გაჟღერებულ იქნა დავოსის ფორუმზე 1999 წელს გაეროს მაშინდელი სახელმწიფო მდივნის კ. ანანის მიერ ბიზნეს-საზოგადოებასთან. გლობალური პაქტის ინიციატივა შემდეგ მიზეზებს უკავშირდება: სოციალური დაძაბულობის ზრდა გლობალიზაციის მზარდი ტემპების კვალობაზე; 500 უმსხვილესი საერთაშორისო სამრეწველო კორპორაციის მიერ წარმოების მსოფლიო მოცულობის 25%-ის კონტროლი და მათი მნიშვნელოვანი გავლენა მსოფლიო განვითარების პროცესებზე; მსოფლიო ბიზნესი ფლობს უზარმაზარ რესურსებს და ავლენს კეთილ ნებას სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ.

გაეროს გლობალური შეთანხმება (UN Global Compact) არის მსოფლიოში ყველაზე დიდი კორპორაციული მდგრადობის ინიციატივა, რომელიც ხელს უწყობს ხალხისთვის, საზოგადოებისა და ბაზრისთვის მდგრადი და ინკლუზიური გლობალური ეკონომიკის შექმნას. აღნიშნულის მისაღწევად გაეროს გლობალური შეთანხმება მოუწოდებს ბიზნესს, რომ: - პასუხისმგებლობით აწარმოოს თავისი საქმიანობა, რაც გულისხმობს, შეთანხმებით გათვალისწინებული ათი პრინციპის ინტეგრირებას მუშაობის

სტრატეგიასა და ყოველდღიურ ოპერაციებში. გლობალური შეთანხმების ათი პრინციპის მიზანია ბიზნესის ყურადღების ვექტორი შემდეგი მიმართულებით: ადამიანის უფლებები, შრომის უფლებები, გარემოს დაცვა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა; - ხელი შეუწყოს ზოგადი საზოგადოებრივი მიზნების განხორციელებას, როგორიც არის გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები; გაეროს გლობალურ შეთანხმებაში გაწევრიანებულია 13 500-ზე მეტი ბიზნეს კომპანია და 3 000-ზე მეტი არასამეწარმეო პირი, მსოფლიოს 164 ქვეყნიდან. გლობალური პაკეტი მოიცავს 10 პრინციპს ადამიანის უფლებათა, შრომითი ურთიერთობებისა და გარემოს დაცვის სფეროში. ამჟამად მას მიუერთდა ასეულობით უმსხვილესი კომპანია სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის – აშშ, შვედეთი, ნორვეგია და ა. შ.

პრინციპი 1: ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს და პატივი სცეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს.

პრინციპი 2: ბიზნესი არ უნდა გახდეს ადამიანის უფლებების დარღვევის თანამონაწილე.

პრინციპი 3: ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებას და აღიაროს უფლება კოლექტიური მოლაპარაკებების შესახებ.

პრინციპი 4: უნდა აღკვეთოს იძულებითი და სავალდებულო შრომის ყველა ფორმა.

პრინციპი 5: ეფექტურად უნდა აღკვეთოს ბავშვთა შრომა.

პრინციპი 6: უნდა გამორიცხოს დისკრიმინაცია დასაქმების ეტაპზე და თანამშორმლების მიმართ.

პრინციპი 7: ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს პრევენციულ მიდგომას გარემოსდაცვითი გამოწვევებისადმი.

პრინციპი 8: საკუთარ თავზე უნდა აიღოს ინიციატივები და ხელი შეუწყოს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის განვითა-რებას.

პრინციპი 9: უნდა წაახალისოს გარემოსთვის არამავნებელი ტექნოლოგიების განვითარება და გავრცელება.

პრინციპი 10: ბიზნესმა უნდა იმუშაოს კორუფციის ყველა ფორმის წინააღმდეგ, ფულის გამოძალვისა და მექრთამეობის ჩათვლით.

ბიზნესისთვის გაეროს გლობალურ შეთანხმების წევრობა ბევრი დადებითი შედეგის მომტანია:

- ბიზნეს კომპანია ხდება უპრეცედენტო ქსელის წევრი, რაც მას აძლევს საშუალებას შეიძინოს ახალი კონტაქტები თითქმის ყველა ინდუსტრიის, სექტორის თუ ზომის ბიზნეს საწარმოებთან მსოფლიოს 164 ქვეყნიდან;

- გლობალური შეთანხმების ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებები კომპანიას აძლევს შესაძლებლობას გაცვალოს ინფორმაცია კორპორაციული მდგრადობის შესახებ, ქსელის სხვა წევრებთან;

- გლობალური შეთანხმების წევრობით, კომპანიას აქვს წვდომა კორპორაციული მდგრადობის მექანიზმებსა და რესურ-სებზე, ასევე, ამ მიმართულებით ტრენინგებში ჩართვის შესაძლე-ბლობაზე.

გლობალური შეთანხმების წევრ კომპანიას შესაძლებელია გაეწიოს დახმარება გლობალური შეთანხმების ადგილობრივი ქსე-ლების საშუალებით. გლობალური შეთანხმების ადგილობრივი ქსელი 70-ზე მეტ ქვეყანაში არსებობს.

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი 2016 წელს დაარსდა და მისი წევრები კომპანიები, ბიზნეს ასოციაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და საგანმანათლებლო/აკადემი-ური დაწესებულებები არიან. ქსელის მისიაა საქართველოში გლობალური შეთანხმების ათი პრინციპის მხარდაჭერა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში წვლილის შეტანა.

გაერო გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის სამდივნოს წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაცია "სიდა", რომელიც კოორდინირებას უწევს საქართველოში ორ ძირითად, კორპორაციული პასუხისმგებლობის პლატფორმას – კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) კლუბსა და გლობალური შეთანხმების ადგილობრივ ქსელს.

CSR-ის კიდევ ერთ საერთაშორისო მექანიზმს **კორპორაციული ქცევის წესები** წარმოადგენენ. ისინი ჩვეულებრივ მუშავდება ქცევის კოდექსისა და საქმიანი ეთიკის სახით. უნდა აღინიშნოს, რომ 1970-1980-იან წლებში გაეროს დონეზე ადგილი ჰქონდა მცდელობას ტრანსნაციონალური კორპორაციების (ტნკ) ქცევის კოდექსის შემუშავებას, რომელიც მათ საქმიანობას გარკვეულ ჩარჩოში მოათავსებდა. ეს მცდელობა წინააღმდეგობას წააწყდა და 1992 წელს მოლაპარაკებები ტნკ-ების ქცევის კოდექსის შემუშავებაზე შეჩერდა. თუმცა, 2002 წელს 36 უმსხვილესმა ტნკ-მა მაინც ხელი მოაწერა განაცხადს „კორპორაციულ მოქალაქეობაზე", რომელშიც აღიარებულ იქნა ბსპ-ს აუცილებლობა. 2003 წელს კი გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიამ მოიწონა „ტრანსნაციონალური კორპორაციების პასუხისმგებლობის ნორმების" კონვენციის პროექტი, რომელიც მსხვილ ბიზნესს იგივე ვალდებულებებს აკისრებს, რაც სახელმწიფოს. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) მონაცემებით ამჟამად უკვე შემუშავებულია 215 საერთაშორისო კორპორაციული ქცევის კოდექსი, მათ შორის 80% – ტრანსნაციონალური კორპორაციების. ამრიგად, კონკრეტულ კომპანიაზე პროფესიული საზოგადოებაც ზეგავლენას ახდენს კორპორაციული პროცედურების მეშვეობით.

ქცევის კოდექსები CSR-ის უდავოდ მნიშვნელოვანი მექანიზმია, მაგრამ მათ რამდენადმე საგრძნობი შედეგი არ ექნება, თუკი არ იარსებობს მათ დაცვაზე გარე და შიდა კონტროლი. კონტროლის მექანიზმები დაწესებულ სტანდარტებს წარმოადგენენ, რომლებიც მუშავდება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანი-

ზაციების მიერ. ეს აჩვენა კორპორაციების სოციალურ პასუხის-მგებლობაზე და საქმიანობაზე ინფორმაციის წარდგენის წესებმაც.

ქვემოთ ჩამოთვლილია ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ამგვარი სტანდარტების შემუშავებას:

- ანგარიშგების წარდგენის გლობალური ინიციატივა (GRI). დაწესებულია ეკოლოგიურად სუფთა ეკონომიკის კოალიციის (CERES) ინიციატივით 1997 წელს, აერთიანებს კომპანიებს, ბიზნეს-ასოციაციებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, გაეროს სისტემის ორგანიზაციებს, ექსპერტებს. შეიმუშავებს ანგარიშგებას კომპანიის მდგრადობის შესახებ, სოციალური საქმიანობის მაჩვენებლების ჩათვლით;
- ეკონომიკური პრიორიტეტების საბჭოს აკრედიტაციული სააგენტო (SEPAA). დაწესებულია 1997 წელს კერძო და სახელმწიფო სექტორების წარმომადგენლების მიერ. მათ მიერ შემუშავებულია და დანერგილია სოციალური ანგარიშის სტანდარტი "სოციალური პასუხისმგებლობა"SA 8000;
- სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის ინსტიტუტმა 1999 წელს შეიმუშავა საერთაშორისო სტანდარტი AA 1000. სტანდარტის შემადგენლობაშია ინდიკატორები, რომლის მიხედვით შეიძლება ჩატარდეს სოციალური და ეთიკური აუდიტი.

სოციალური საქმიანობის სტანდარტიზაციას შეუდგა უამრავი ტნკ, მსხვილი კომპანია, რომლებიც დაიტერესებულნი არიან თავიანთი საქმიანი რეპუტაციის განმტკიცებაში, კლიენტურის ბაზის, ინვესტიციის მოზიდვაში, სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის დიალოგის გაღრმავებაში.

7.3 კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა: ტრანსნაციონალური კორპორაციები და განვითარებადი ქვეყნები. ტრანსნაციონალური კორპორაციების CSR-ს კონცეფციის საწინააღმდეგო არგუმენტები

ტნკ-ები სულ უფრო მეტად გვევლინება ამა თუ იმ ქვეყნის შემდგომი განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორად ეკონომიკურ კავშირურთიერთობათა საერთაშორისო სისტემაში.

მიმღები ქვეყნები (ქვეყნები, რომელშიც მოქმედებენ სათაო ფირმის ფილიალები და შვილობილი კომპანიები) ინვესტიციების ნაკადიდან მოგებულნი რჩებიან მრავალი ასპექტით. უცხოური კაპიტალის ფართო მოზიდვა ხელს უწყობს ქვეყანაში უმუშევრობის შემცირებას, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას. ქვეყანაში იმ პროდუქციის წარმოების ორგანიზებით, რომელიც ადრე შემოჰქონდათ, იმპორტის აუცილებლობა ისპობა. მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის მწარმოებელი და ძირითადად ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიები მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობენ ქვეყნის საგარეო-სავაჭრო პოზიციების განმტკიცებას.

ტნკ-ს საქმიანობა ადგილობრივი კომპანიების ადმინისტრაციას აიძულებს კორექტივები შეიტანოს ტექნოლოგიურ პროცესში, საწარმოო ურთიერთობების ჩამოყალიბებულ პრაქტიკაში, მეტი სახსრები გამოყონ მუშაკთა მომზადებასა და გადამზადებაზე, მეტი ყურადღება დაუთმონ პროდუქციის ხარისხს, მის დიზაინს, სამომხმარებლო თვისებებს. ხშირად უცხოურ ინვესტიციებს ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, პროდუქციის ახალი სახეობების გამოშვება, მენეჯმენტის ახალი სტილი, საზღვარგარეთული ბიზნესის პრაქტიკიდან საუკეთესო გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობა მოყვება.

აცნობიერებენ რა ტნკ-ების საქმიანობის დადებით შედეგებს მიმღები ქვეყნებისათვის, საერთაშორისო ორგანიზაციები პირდა-

პირ მოუწოდებენ განვითარებად ქვეყნებს მოიზიდონ ტნკ ტექნიკური მოდერნიზაციის განსახორციელებლად, ხოლო ამ ქვეყნების მთავრობები, თავის მხრივ, აქტიურად იბრძვიან ამისათვის, ერთმანეთთან კონკურირებით. მაგალითისათვის შეიძლება ამერიკული კომპანია „ჯენერალ მოტორსის“ გამოცდილება მოვიყვანოთ, რომელიც არჩევდა, თუ სად აეშენებინა ავტოსამშენებლო ქარხანა – ფილიპინებზე თუ ტაილანდში. სპეციალისტები უპირატესობას ტაილანდს ანიჭებდნენ, სადაც საავტომობილო ბაზარი უკეთ იყო განვითარებული. მაგრამ მშენებლობა საბოლოოდ ფილიპინებში გადაწყდა, ვინაიდან „ჯენერალ მოტორს“-ს მთელი რიგი საგადასახადო თუ საბაჟო შეღავათები შესთავაზეს, რომელიც ქარხნის მშენებლობას სწორედ ამ ქვეყანაში ასტიმულირებდა.

ტნკ-ს საქმიანობას დიდი სარგებლობა მოაქვს იმ ქვეყნებისთვისაც, საიდანაც საერთაშორისო ფირმებს კაპიტალი გააქვთ. რამდენადაც ტრანსნაციონალიზაცია ზრდის საშუალო მოგებას და მისი მიღების საიმედოობას, ტნკ-ს აქციათა მფლობელებს შეუძლიათ მაღალი და მდგრადი შემოსავლის იმედი იქონიონ.

ტნკ-ს საწარმოებში დასაქმებული მაღალკვალიფიცირებული მუშაკებისათვის დიდი სარგებლობა მოაქვს შრომის მსოფლიო ბაზრის ფორმირებას: გადადიან რა ქვეყნიდან ქვეყანაში, ისინი ახალ სამუშაო ადგილებს პოულობენ; და, რაც მთავარია, ტნკ-ს საქმიანობის შედეგად ხორციელდება ინსტიტუტების იმპორტი იმ „თამაშის წესებისა“ (შრომითი და ანტიმონოპოლიური საკანონმდებლო ნორმების, დაბეგვრის პრინციპების, კონტრაქტების დადების პრაქტიკის და ა.შ.), რომლებიც განვითარებულ ქვეყნებში ჩამოყალიბდა.

ტნკ-ბი აძლიერებენ კაპიტალის გამტანი ქვეყნების გავლენას მიმღებ ქვეყნებზე. მაგალითად, გერმანიის ფირმებმა 1990-იან წლებში თითქმის მთელი ჩეხური ბიზნესი დაიმორჩილეს, რის შედეგად, ზოგიერთი ექსპერტის აზრით, გერმანიამ ჩეხეთის

ეკონომიკაზე გაცილებით უფრო ეფექტიანი კონტროლი დაამყარა, ვიდრე 1938-44 წწ, როცა ჩეხოსლოვაკეთი ფაშისტური გერმანიის მიერ იქნა დაპყრობილი. ამის მსგავსად, მექსიკისა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნის ეკონომიკა ამერიკული კაპიტალის მიერ კონტროლდება.

ტნკ-ების საქმიანობის აქტიური საწარმოო, საინვესტიციო და სავაჭრო საქმიანობა ორი ფუნქციის განხორციელების საშუალებას იძლევა, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი მსოფლიო მეურნეობისათვის:

– ეკონომიკური ინტეგრაციის სტიმულირება;

– პროდუქციის წარმოებისა და განაწილების საერთაშორისო რეგულირება.

ტნკ ხელს უწყობს ეკონომიკურ ინტეგრაციას და მდგრად ეკონომიკურ კავშირებს ქმნის სხვადასხვა ქვეყნებს შორის. მათი მეშვეობით ეროვნული ეკონომიკების ერთიან მსოფლიო მეურნეობაში „ათქვეფა“ მიმდინარეობს, რის შედეგად, წმინდა ეკონომიკური საშუალებებით, ყოველგვარი ძალადობის გარეშე, სპონტანურად იქმნება გლობალური ეკონომიკა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტნკ-ების ფუნქციონირების დადებით მხარეებთან ერთად, ადგილი აქვს მათ ნეგატიურ ზეგავლენას როგორც იმ ქვეყნების ეკონომიკაზე, სადაც ისინი ფუნქციონირებენ, ისე ბაზირების (დონორი) ქვეყნის ეკონომიკაზე, ანუ იმ ქვეყნის ეკონომიკაზე, სადაც განლაგებულია მეთაური კომპანია.

აუცილებელია აღინიშნოს ტნკ-ების ზემოქმედების შემდეგი ძირითადი უარყოფითი ნიშნები მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე, რომელიც საფრთხეს უქმნის მათ ეროვნულ უსაფრთხოებას:

– მიმღები ქვეყნის კომპანიებზე შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში არაპერსპექტიული მიმართულებების თავსმოხვევის შესაძლებლობა, მიმღები ქვეყნის მოძველებული და ეკოლოგიურად საშიში ტექნოლოგიების განთავსების ადგილად გადაქცევის საშიშროება;

– უცხოური ფირმების მიერ მიმღები ქვეყნის სამრეწველო წარმოების და სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურების ყველაზე განვითარებული და პერსპექტიული სეგმენტების დაპყრობა;

– რისკების ზრდა საინვესტიციო და საწარმოო პროცესების განვითარებაში;

– სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შემცირება ტნკ-ების მიერ შიდა (ტრანსფერტული) ფასების გამოყენების შედეგად;

უამრავი ნაციონალური მთავრობა (განსაკუთრებით, მესამე სამყაროს ქვეყნებში) დაინტერესებულია თავიანთი ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის ამაღლებაში და სამამულო ბიზნესის სტიმულირებაში. ამისათვის მათ სურთ მსოფლიო მეურნეობაში ქვეყნის ჩამოყალიბებული სპეციალიზაციის შეცვლა, ან უკიდურეს შემთხვევაში, ტნკ-ების მოგებაში თავიანთი წილის გაზრდა. ფლობენ რა უზარმაზარ ფინანსურ შესაძლებლობებს, საერთაშორისო კორპორაციებს შეუძლიათ თავიანთი შემოსავლების ხელყოფის მცდელობის აღკვეთა ძალისმიერი მეთოდების ორგანიზების გზით დაწყებული ადგილობრივი პოლიტიკოსების მოსყიდვით და დამთავრებული მათთვის მიუღებელი მთავრობების წინააღმდეგ შეთქმულებების დაფინანსებითაც კი.

ტრანსნაციონალიზაცია კორპორაციებისათვის ეკონომიკურ რისკებს ამცირებს, მაგრამ ზრდის მათ მიმღები ქვეყნებისათვის. საქმე ისაა, რომ ტნკ-ებს ადვილად შეუძლიათ თავიანი კაპიტალის ქვეყნებს შორის გადაადგილება. ქვეყანაში არაჯანსაღი ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების შემთხვევაში, ტნკ-ებს შეუძლიათ თავიანთი კაპიტალის გატანა სხვა ქვეყნებში. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ვითარება იმ ქვეყანაში, საიდანაც ტნკ-ს თავისი კაპიტალი გააქვს, უფრო მძიმდება, ვინაიდან კაპიტალის მასობრივი ამოღება უმუშევრობას და სხვა ნეგატიურ მოვლენებს იწვევს.

მძლავრი ტნკ-ების საქმიანობა, რომელთა ეკონომიკური ძალაუფლება აჭარბებს მრავალი ქვეყნის პოტენციალს, თვისებრივად

ცვლის თვით მსოფლიო მეურნეობის მართვის სისტემას. თუ ჯერ კიდევ XX საუკუნის ნახევარში მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის მთავარი რეგულატორები ძლიერი ქვეყნის მთავრობები იყვნენ, XX საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა თავისებური „სამხელისუფლებიანობა“. ნაციონალური მთავრობების გარდა მსოფლიო-სამეურნეო ურთიერთობებზე ზეგავლენას სუპერფირმები –ტნკ-ები და ზესახელმწიფო ორგანიზაციები ახდენენ (ისეთი, როგორიცაა რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ა.შ.). სუვერენულ სახელმწიფოებს (მ.შ. საქართველოსაც) სულ უფრო უხდებათ ანგარიშის გაწევა მსოფლიო სამეურნეო ურთიერთობათა ამ ახალ სუბიექტებთან ჯერ ეკონომიკურ, შემდეგ კი პოლიტიკურ სფეროში.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის კორპორაციული ქცევის წესები?
2. განმარტეთ გაეროს გლობალური შეთანხმება (UN Global Compact) და გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი;
3. ჩამოთვალეთ ტნკ-ების ფუნქციონირების დადებითი და უარყოფითი მხარეები;
4. დაახასიათეთ ტრანსნაციონალური კორპორაციების სოციალური პასუხისმგებლობა.

თავი VIII. კორპორაციული გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა ევროკავშირში

8.1 გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა ევროკავშირში

2019 წლის 11 დეკემბერს ევროკომისიის მიერ მიღებულ იქნა კომუნიკაცია (COM/2019/640 final) - „ევროკავშირის მწვანე შეთანხმება“ (შემდგომში: მწვანე შეთანხმება). იგი წარმოადგენს განვითარების ახალ სტრატეგიას მდგრად ეკონომიკურ მოდელზე ევროკავშირის გადასვლისათვის, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ევროკავშირის კლიმატნეიტრალურობა 2050 წლისთვის. მწვანე შეთანხმება არის ევროკომისიის სტრატეგიის განუყოფელი ნაწილი გაეროს 2030 წლის დღის წესრიგისა და მდგრადი განვითარების მიზნების განსახორციელებლად. იგი ქმედითი ინსტრუმენტია პარიზის შეთანხმების მოთხოვნათა შესრულებისთვის. მწვანე შეთანხმება ევროკავშირის შიდა დოკუმენტია, მაგრამ ოფიციალურ დოკუმენტებში ნათქვამია, რომ მწვანე შეთანხმების მისწრაფებაა გადააქციოს არ მხოლოდ ევროკავშირი, არამედ მთლიანი ევროპა პირველ ნახშირბად ნეიტრალურ კონტინენტად. ევროკომისიის კომუნიკაციაში ევროპის მწვანე შეთანხმების შესახებ ნათქვამია, რომ მწვანე შეთანხმების მიზნები ვერ მიიღწევა მხოლოდ ევროკავშირის მოქმედებით. კლიმატის ცვლილებისა და ბიომრავალფეროვნების დაკარგვის ფაქტორები გლობალურია და არ შემოიფარგლება მხოლოდ ეროვნული საზღვრებით. ევროკავშირს შეუძლია გამოიყენოს თავისი გავლენა, გამოცდილება და ფინანსური რესურსი მეზობლებისა და პარტნიორების მობილიზებისთვის, რათა ისინი შეუერთდნენ ევროკავშირს მდგრადი განვითარებისკენ მიმავალ გზაზე. აღნიშნული ჩანაწერი, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ეხება ევროკავშირის უახლოეს მეზობლებს და პარტნიორებს, როგორიცაა მაგალითად საქართველო. ჩვენი ქვეყანა ევროკავშირთან დიდი ხანია დაკავშირებულია ევროპული

სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატით და რაც მთავარია ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერეს ასოცირების ხელშეკრულებას და იგი ძალაშია 2016 წლის 1 ივლისიდან. ასოცირების ხელშეკრულება პირველ რიგში გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან. მწვანე შეთანხმებამ მოითხოვა უპრეცენდენტო რაოდენობის ცვლილებები ევროკავშირის კანონმდებლობაში. ცვლილებები გულისხმობს როგორც ახალი საკანონმდებლო აქტების მიღებას, ისე ცვლილებებს არსებულ აქტებში. ზემოთ ხსენებული არსებული აქტებიდან რამოდენიმე ასახულია ასოცირების ხელშეკრულებაში, ამიტომ საქართველო ვალდებულია უშუალოდ ჩაერთოს მწვანე შეთახმების განხორციელებაში.

მოკლედ განვიხილოთ მწვანე შეთანხმების სამი ძირითადი მიზნის არსი:

- ნახშირბადნეიტრალურობა ანუ ნახშირორჟანგის სუფთა-ნულოვანი ემისია 2050 წლისთვის.

პირველ რიგში უნდა განიმარტოს, რომ ნახშირბადნეიტრალურობა ნიშნავს, რომ ქვეყანაში ნახშირორჟანგის ემისია და მისი შთანთქმა, სხვადასხვა ტექნოლოგიების გაუმჯობესებით და ბუნებრივი ეკოსისტემების მიერ, დაბალანსებულია ანუ ერთმანეთის ტოლია. ამ მიზნის მიღწევა დაგეგმილია 2050 წლისთვის. ამასთან, გარიგებას აქვს შუალედური მიზანი 2030 წლისთვის, ეს არის ემისიების შემცირება 55%-ით 1990 წელთან შედარებით. ეს მიზანი ძირითადად მიმართულია ენერგეტიკის სექტორისაკენ, რომელზეც მოდის ევროკავშირის სათბური გაზების ემისიის 75%. მწვანე შეთანხმება .წ. „ენერგო მიქს“-ში გათვალისწინებულია განახლებადი ენერგიის წილის მნიშვნელოვანი ზრდა. რა თქმა უნდა ნახშირბადნეიტრალურობისთვის ეს საკმარისი არ იქნება, ამიტომ შეთანხმება ითვალისწინებს ბუნებრივი ეკოსისტემების, განსაკუთრებით ტყეების, ნახშირორჟანგის შთანთქმის შესაძლებლობების გაზრდას მათი ხარის-

ხობრივი გაუმჯობესებისა და რაოდენობრივი ზრდის საშუალებით. ამის მისაღწევად, მწვანე შეთანხმების რეგულაციების პაკეტში მიღებულია ევროკავშირის სატყეო სტრატეგიის დოკუმენტი.

- განვითარების დამოუკიდებლობა რესურსების გამოყენების დონისგან. რა თქმა უნდა ზოგადად ეკონომიკის განვითარებას და წარმოების გაფართოებას ჭირდება მეტი ბუნებრივი თუ სხვა რესურსები. სამრეწველო განვითარების ადრეულ ეტაპზე წარმოების ზრდა და რესურსების გამოყენება თითქმის პირდაპირპროპორციული იყო. მიზანია შემცირდეს ეს დამოკიდებულება ე.ი. განვითარების ტემპი მნიშვნელოვნად უნდა უსწრებდეს რესურსების გამოყენების და შესაბამისად ემისიების ზრდის ტემპს. 1990 წლიდან 2018 წლამდე, სათბურის გაზების ემისია ევროკავშირში შემცირდა 23 პროცენტით, მაშინ როდესაც ეკონომიკის ზრდა იყო 61% ასეთი შეფარდების კიდევ უფრო გაღრმავება მოითხოვს სულ უფრო ახალი რესურსდამზოგი ტექნოლოგიების გამოყენებას და ხშირ შემთხვევაში ადამიანის, საზოგადოების ტრადიციული ცხოვრების წესის გადახედვას.

- ინკლუზიური და და სამართლიანი მწვანე განვითარება. მწვანე შეთანხმების ამბიციური მიზნების განხორციელება მოითხოვს უდიდეს ძალისხმევას და ფინანსურ რესურსებს. ცვლილებები ეკონომიკის სექტორში და საზოგადოების ცხოვრების წესის გადახედვა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ევროკავშირის წევრი ქვეყნებიც ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონეზე არიან. ამ მიზნის მისაღწევად და ყველა მოთამაშის ჩართულობის უზრუნველსაყოფად შეიქმნა „სამართლიანი გადასვლის მექანიზმი“, რომელიც ითვალისწინებს დაახლოებით 70 მილიარდი ევროს დახმარებას 2021-2027 წლებისთვის გარდამავალი პერიოდის ნეგატიური სოციო-ეკონომიკური გავლენების შესამცირებლად.

8.2 კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა ევროკავშირის უსაფრთხოებაზე

ევროკავშირის კლიმატური მიზნები 2030 და 2050 წლებისთვის. ევროკავშირის მწვანე შეთანხმების ცენტრალური ამოცანაა განსაზღვროს ის მიმართულებები, რომლთა საშუალებით, 2050 წელს, ევროკავშირი მიაღწევს კლიმატნეიტრალურობას. ამ მიზნის მიღწევისთვის, ევროკომისიამ შუალედურ მიზნად დაისახა 2030 წლისათვის შეამციროს სათბურის გაზების ემისიები 55 პროცენტით 1990 წელთან შედარებით. 2030 წლის ეს მიზანი ასახულია 2021 წლის ივნისში მიღებულ ევროკავშირის კლიმატური ამბიციის გაზრდა 2030 და 2050 წლებში მრეწველობის მობილიზება სუფთა და ცირკულარული ეკონომიკისთვის ეკოსისტემების და ბიომრავაფეროვნების შენარჩუნება და აღდგენა "ფერმიდან ჩანგალამდე": სამართლიანი, ჯანსაღი და ეკოლოგიურად სუფთა კვების სისტემის შემუშავება მშენებლობა და განახლება ენერგო და რესურსეფექტური გზით ნულოვანი დაბინძურება არატოქსიკური გარემოსთვის მდგრადი და ჭკვიანი მობილობისკენ გადასვლის დაჩქარება სუფთა, ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერგიის მიწოდება კლიმატის შესახებ ევროპულ კანონში, რომელიც ასევე მოიცავს ევროკავშირის მწვანე შეთანხმების 2050 წლის კლიმატნეიტრალურობის მიზანს.

კლიმატის ევროპული კანონი წარმოადგენს მწვანე შეთანხმების ქვაკუთხედს და სწორედ მან აქცია ევროკომისიის კომუნიკაცია მწვანე შეთანხმების შესახებ იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტად. კანონი მოითხოვს, რომ ევროკავშირის ყველა სექტორულმა პოლიტიკამ ხელი შეუწყოს ევროკავშირის მწვანე შეთანხმების მიზნების მიღწევას. შედეგად, ევროკომისიამ უნდა გადახედოს ევროკავშირის ყველა დაკავშირებულ რეგულაციას, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა

ევროკავშირის ემისიების შემცირების მიზნებთან. ეს ხანგრძლივი პროცესი უკვე დაწყებულია და ამ დროისათვის უკვე იქნა მიღებული მნიშვნელოვანი ცვლილებები არსებულ კანონმდებლობაში, შემუშავდა ახალი საკანონმდებლო აქტები და პოლიტიკის დოკუმენტები. ახალი რეგულაციების გათვალისწინებით ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა უნდა განაახლონ კლიმატის ცვლილებასთან და ენერგეტიკასთან დაკავშირებული თავიანთი გეგმები. კლიმატის კანონის პარალელურად მიღებული იქნა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აქტი: „ევროპის კლიმატის პაქტი“, რომლის მიზანია კანონის აღსრულებაში და კანონით გათვალისწინებული მიზნების პოპულარიზაციაში მოსახლეობის, კერძო სექტორის და სამოქალაქო საზოგადოებების ფართო ჩართვა და არა მარტო ევროკავშირის მასშტაბით, არამედ გლობალურად, რაც ჩვენი სამოქალაქო სექტორისთვის ფრიად საინტერესო უნდა იყოს. ევროკავშირის მეზობელ ქვეყნებს და ბევრ სხვა პატნიორ სახელმწიფოს არა აქვთ შესაძლებლობა და ამბიცია გაიზიარონ ევროკავშირს მწვანე შეთანხმების მიზნები და სტანდარტები, ამიტომ არსებობს ე.წ. „ნახშირბადის გაჟონვის“ საშიშროება, იმის გამო, რომ წარმოება ევროკავშირიდან გადავა სხვა ქვეყნებში, რომლთა სტანდარტები უფრო დაბალია, ან იმის გამო, რომ ევროკავშირში ნაწარმოები პროდუქცია ჩანაცვლდება იმპორტული ნახშირბადინტენსიური წარმოების პროდუქციით. თუ ეს მოხდა, გლობალური ემისიები არ შემცირდება და ეს ხელს შეუშლის ევროკავშირის ძალისხმევას მწვანე შეთანხმების მიზნების მისაღწევად. ამ შემთხვევაში,ნახშირბადის გაჟონვის რისკის შესამცირებლად ევროკომისიამ შეიმუშავას ე.წ. ნახშირბადის საზღვრის კორექტირების მექანიზმი შერჩეული სექტორებისთვის. ეს მექანიზმი უზრუნველყოფს იმპორტის ფასის უფრო ზუსტად ასახვას მათი ნახშირბადის შემცველობის მიხედვით.

8.3 გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის კონცეფციის რეალიზაციის პერსპექტივები: ევროკავშირის გამოცდილება საქართველოსთვის

მწვანე შეთანხმება და ევროკავშირის საპარტნიორო-სამეზობლო პოლიტიკა საქართველოსთან. ევროკომისიის კომუნიკაციაში ევროპის მწვანე შეთანხმების შესახებ ნათქვამია, რომ მწვანე შეთანხმება ვერ მიიღწევა მხოლოდ ევროკავშირის მოქმედებით. კლიმატის ცვლილებისა და ბიომრავალფეროვნების დაკარგვის ფაქტორები გლობალურია და არ შემოიფარგლება მხოლოდ ეროვნული საზღვრებით. ევროკავშირს შეუძლია გამოიყენოს თავისი გავლენა, გამოცდილება და ფინანსური რესურსი მეზობლებისა და პარტნიორების მობილიზებისთვის, რათა ისინი შეუერთდნენ მდგრადი განვითარების გზაზე. ევროკავშირი ეს თხოვნა უშუალოდ ეხება საქართველოს, რომელსაც ევროკავშირთან გააჩნია მჭიდრო პარტნიორობა, მრავალმხრივი და ორმხრივი კავშირები. გლობალურ დონეზე, მწვანე შეთანხმების მიზნებთან უშუალოდაა დაკავშირებული კლიმატის ცვლილების კონვენცია მისი სხვადასხვა მექანიზმებით თუ ანგარიშგების დოკუმენტებით. „პარიზის შეთანხმებაში", რომლის რატიფიცირება საქართველომ მოახდინა 2017 წელს, ევროკავშირი ლიდერის როლს ასრულებს და აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს კლიმატის კონვენციისა და პარიზის შეთანხმების მოთხოვნათა შესრულებაში. საქართველო არის ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყანა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში. განახლებულ აღმოსავლეთ პარტნიორობის დღის წესრიგში გარემოს დაცვა და კლიმატი ცვლილების საკითხები უკვე პრიორიტეტია. მწვანე შეთანხმებაში ევროკავშირი ხაზს უსვამს უშუალო მეზობლების მხარდაჭერას. ევროპისთვის ახალ სტრატეგიაზე გადასვლა სრულად ეფექტური იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირის უახლოესი

სამეზობლო ასევე მიიღებს ეფექტურ ზომებს. მიმდინარეობს მუშაობა დასავლეთ ბალკანეთის მწვანე დღის წესრიგზე. აღნიშნულია, რომ ევროკომისია ითვალისწინებს ძლიერ პარტნიორობას გარემოს, ენერგეტიკის და კლიმატის ცვლილებაში სამხრეთ სამეზობლოსთან და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან. ევროკავშირის და საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამ 2014 წლის 27 ივნისს (ძალაშია 2016 წლის 1 ივლისიდან), პარტნიორობა განსაკუთრებულ ეტაპზე გადაიყვანა. ასოცირების ხელშეკრულება ეხება თითქმის ყველა სექტორს და მისი ძირითადი მიზანია საქართველოს კანონმდებლობის მიახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ (4.4), ასოცირების ხელშეკრულება ხელს შეუწყობს გარემოს დაცვის სფეროში ევროპული სტანდარტების ეტაპობრივ დანერგვას, რაც მიზნად ისახავს უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებას, დაცვას, გაუმჯობესებასა და რეაბილიტაციას. მხარეები ვალდებულებას იღებენ, შეიმუშაონ ბუნების დაცვის ერთობლივი პროგრამები, უზრუნველყონ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და დაიცვან გარემო საწარმოო დაბინძურებისაგან. საკანონმდებლო დაახლოვება განხორციელდება გარემოს დაცვის ისეთ სექტორებში, როგორიცაა: ჰაერისა და წყლის ხარისხი, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვა, გარემოზე ზემოქმედების შეფასება და გარემოს სტრატეგიული შეფასება.

- კლიმატური ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით თანამშრომლობის გაღრმავებას. ამ მხრივ, საქართველო და ევროკავშირი განავითარებენ ნახშირბადის დაბალი შემცველობის ტექნოლოგიებს და ხელს შეუწყობენ მათ გამოყენებასა და გავრცელებას.

ევროკავშირის პროექტი „მხარდაჭერა ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმების გარემოსდაცვითი დებულებების განხორციელებაში“ დაეხმარა საქართველოს

გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის კანონმდებლობის შემუშავებაში, მოამზადა საზღვაო გარემოს ეროვნული სტრატეგიისა და მოქმედებათა პროგრამის სამუშაო ვერსია, ჩაატარა ტრენინგები ინსპექტორებისთვის და შეაფასა ჰაერის ხარისხის ასპექტები, აგრეთვე მოამზადა ზურმუხტის სამი ტერიტორიის მართვის გეგმა. პროექტის შედეგები საქართველოს ხელს შეუწყობს საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების გარემოსდაცვითი დებულებების შესრულებასა და ქვეყნის გარემოსდაცვითი სისტემის გაუმჯობესებას საქართველოს ბუნებისა და მოქალაქეების საკეთილდღეოდ. განვიხილოთ დაწვრილებით პროექტის შედეგები.

გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა. გარემოსათვის მიყენებული ზიანი უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკაზე არა მხოლოდ რემედიაციის ხარჯების ზრდის, არამედ ეკონომიკური შესაძლებლობების კლების თვალსაზრისით. გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა 'დამბინძურებელი იხდის' პრინციპს ემყარება. მისი მიზანია, იმ მომხმარებლებს, რომლებიც გარემოს არ აბინძურებენ, აარიდოს ისეთი ხარჯები, როგორიცაა, მაგალითად, მაღალი გადასახადები ან პირადი ზიანის ანაზღაურება. ევროკავშირში გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დირექტივა საკანონმდებლო სისტემის ნაწილს წარმოადგენს. ისეთ ქვეყნებში, სადაც მოქმედებს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის რეჟიმი, აღნიშნული ვალდებულების შესრულება სადაზღვევო კომპანიების მიერ შეთავაზებული პროდუქტებით არის შესაძლებელი. გარემოზე მნიშვნელოვანი ზიანის მიმყენებელი პირი 2022 წლის 1 ივლისიდან ვალდებული იქნება, რომ აღადგინოს დაბინძურებული გარემო პირვანდელ ან პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე. ამას ითვალისწინებს ახალი კანონი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ", რომელიც საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებიდან გამო-

მდინარე მომზადდა. ახალი კანონი ეფუძნება პრინციპს – „დამაბინძურებელი იხდის“.

საზღვაო გარემოს ეროვნული სტრატეგია და მოქმედებათა პროგრამა. ზღვის დაბინძურების დონე სწრაფი ტემპით იზრდება, რაც უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ზღვის ორგანიზმებსა და ეკოსისტემებზე. ზღვის დაბინძურება ასევე უარყოფითად აისახება ეკონომიკურ დარგებზე (როგორიცაა თევზჭერა და ტურიზმი) და ადამიანების ჯანმრთელობაზე. ზღვის დაბინძურება, კერძოდ წყლის მჟავიანობის დონის მატება და ევტროფიკაცია, წყალქვეშა ხმაური, პლასტმასის და სხვა ნარჩენების რაოდენობის ზრდა, ტოქსინების (პესტიციდების, ბიოციდების) მომატებული კონცენ-ტრაცია გამოწვეულია სამრეწველო, საპორტო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებით, საზღვაო ტრანსპორტირებით, ტურიზ-მით, საავტომობილო მოძრაობით, ჩამდინარე წყლებითა და დანაგვიანებით. დამაბინძურებლების დიდი ნაწილი ზღვებში მდინარეებიდან ხვდება. ევროკავშირის პროექტის ფარგლებში მომზადდა საზღვაო გარემოს ეროვნული სტრატეგია და მოქმედებათა პროგრამა, რომლის მიზანია შავი ზღვის გარემოს ხარისხის გაუმჯობესება ევროკავშირის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის პრინციპების შესაბამისად.

ჰაერის ხარისხი. აქროლადი ორგანული ნაერთები (აონ-ები) ჰაერის ერთ-ერთი ძირითადი დამაბინძურებელია. აონ-ების ატმოსფეროში გაფრქვევების მთავარი წყაროებია ბენზინის დისტრიბუცია და საღებავებში, ლაქებსა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაღებვის საშუალებებში გამხსნელების გამო-ყენება. აქროლადი ორგანული ნაერთები მზის სინათლეზე რეაქციაში შედის ჰაერში არსებულ ნივთიერებებთან და მიწისპირა ოზონს წარმოქმნის. აქროლადი ორგანული ნაერთები ჰაერის საშიში დამაბინძურებელია, რომელიც სმოგის წარმოქმნაშიც მონაწილეობს. აონ-ები იწვევს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ (ძირითადად სასუნთქი გზების და ალერგიულ) პრობლემებს და

წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ, ნახშირორჟანგზე (CO_2) ბევრად ძლიერ სათბურის აირს, რომელიც გლობალურ დათბობას იწვევს. აქროლადი ორგანული ნაერთები ზიანის მომტანია როგორც ეკოსისტემებისთვის, ასევე სოფლის მეურნეობისათვის. ამჟამად საქართველო საკუთარი კანონმდებლობის ევროკავშირის საღებავებისა და ბენზინის ორთქლის აღდგენის I ეტაპის დირექტივებთან ჰარმონიზაციის პროცესშია. ამ პროცესის მხარდასაჭერად, ევროკავშირის პროექტის ფარგლებში შეფასდა საქართველოს შესაძლებლობები ბენზინის დისტრიბუციის და საღებავების დარგებში აქროლადი ორგანული ნაერთების ემისიების კონტროლის თვალსაზრისით, აგრეთვე ჩატარდა ტრენინგები ინსპექტორებისათვის. გარდა ამისა, მომზადდა საქართველოს ჰაერის ხარისხის პოლიტიკის შეფასების ანგარიში, რომელშიც წარმოდგენილია ქვეყანაში ატმოსფერული ჰაერის,ჰაერის დამაბინძურებელი ნივთიერებებისა და დარგების მოკლე დახასიათება, აგრეთვე, შესაბამისი რეკომენდაციები საჭირო ქმედებებთან დაკავშირებით.

დაცული ტერიტორიების ზურმუხტის ქსელი. ‘ზურმუხტის ქსელი’ წარმოადგენს დაცული ტერიტორიების ქსელს, რომელიც ევროპის ველური ფლორის, ფაუნისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის მიზნით, ევროპის საბჭოს მიერ 1989 წელს, 1982 წლის ბერნის კონვენციის ფარგლებში შეიქმნა. ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები ბერნის კონვენციის ხელმომწერი მხარეები არიან. კონვენციის ფარგლებში საკუთარი ვალდებულებების შესრულების მიზნით, ევროკავშირმა შეიმუშავა ჰაბიტატების შესახებ დირექტივა და შექმნა Natura 2000-ის ქსელი. კონვენციის მხარეა საქართველოც და, შესაბამისად, მასაც აქვს საკუთარ ტერიტორიაზე ზურმუხტის ქსელის შექმნის ვალდებულება. საქართველოში უკვე ოფიციალურად განისაზღვრა ზურმუხტის 46 ტერიტორია, რომლებისთვისაც მართვის გეგმები უნდა მომზადდეს. ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით ჩატარდა სემინა-

რების სერია, მომზადდა მართვის პირველი სამი გეგმა და, აგრეთვე, ჩატარდა მონიტორინგისა და კონსერვაციის სამუშაოები.

მსხვილი კომპანიების გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა. ტნკ-ის საქმიანობას უკავშირდება მთელი რიგი ეკოლოგიური კატასტროფები - კანადის ეკოლოგიური კატასტროფა ონტარიოში 1970 წელს, მექსიკის ყურეში ნავთობის ჩაღვრა BP- ს ნავთობის პლატფორმაზე მომხდარი აფეთქების შედეგად 2010 წელს და მრავალი სხვ. ამასთან, უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო მეტი ტნკ ხდება კორპორაციული გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის (Corporate Environmental Responsibility (CER) მიმდევარი. მაგ., ბრიტანეთის მთავრობის მხარდაჭერით, BITC (Business in the Community) ყოველწლიურ ჯილდოებს გადასცემს იმ ბიზნეს კომპანიებს, რომლებიც წარმატებით ნერგავენ და ახორციელებენ თავიანთ ბიზნეს საქმიანობაში პასუხისმგებლიანი ბიზნესისა და საზოგადოებრივი ჩართულობის პრაქტიკას.[1] გარდა ამისა, წამ-ყვანი ტრანსნაციონალური კორპორაციები თავიანთ ვებ-გვერ-დებსა და ანგარიშებში ადგილს უთმობენ CER-ის კუთხით განხორცელებულ აქტივობებსა და სტრატეგიებს.

ასევე აღსანიშნავია კომპანიების წვლილი ეკოლოგიური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში. მაგ., ავეჯის კომპანია IKEA (შვედური ავეჯის, სამზარეულოსა და სახლის სხვადასხვა აქსესუარის მულტინაციონალური კომპანია და ლიდერი ავეჯით ვაჭრობის ბაზარზე 2008 წლიდან), რომელიც ცნობილია გზავნილით – „ნულოვანი ნარჩენები ნაგავსაყრელში“ – თვლის, რომ ფინანსური ეფექტიანობის მიღწევა შესაძლებელია ცირკუ-ლარული ეკონომიკის მოდელის დანერგვითა და გამოყენებით. აღნიშნული მოდელი ზრდის კომპანიის კომერციულ შესა-ძლებლობას და რაც მთავარია მდგრადს ხდის მას. IKEA ავეჯის დასამზადებლად საჭირო ხის თითქმის 50%-ს მდგრადი ტყეებიდან მოიპოვებს, ამასთანავე, მათ მიერ მოხმარებული ბამ-ბის 100% წარმოებულია ისეთ ფერმებში, რომლებიც მოიხმარენ

ნაკლებ წყალს, ენერგიას და ქიმიურ პესტიციდებს. შვედური კომპანია 700 000-ზე მეტ მზის პანელს ფლობს, რომლებიც მათ მაღაზიებს ენერგიით ამარაგებს. 2012 წელს IKEA-მ მიიღო სტრატეგია სახელწოდებით: People&Planet Positive, რომლის მიზანიც არის ერთობლივი ძალებით მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგის დანერგვით. აღნიშნული კომპანია აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ გრძელვადიანი მიზნების განხორციელება წარმოუდგენელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ პლანეტის მდგომარეობა ამის საშუალებას არ მოგვცემს. IKEA შთააგონებს მომხმარებლებს იცხოვრონ მდგრადად და ხელს უწყობს მათ ამ პროცესში. Better life for the people and communities - 2012 წელს მიღებული სტრატეგიის ერთ-ერთი მიზანი სწორედ საზოგადოების უკეთესი ცხოვრების შექმნას ემსახურება. თუმცა, ფაქტია, რომ ეს მცირედი ნაბიჯები ისეთი გიგანტური კორპორაციისთვის, როგორიც არის IKEA საკმარისი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ის ცდილობს ნახშირბადის ნაკვალევის შემცირებას, განხორციელებული ღონისძიებები არ არის საკმარისი კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შედეგების შესამცირებლად.

ბაზისბანკის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა. ბაზისბანკის, როგორც პასუხისმგებლობის მქონე კომპანიის მიზნები, ცდება დასახული ფინანსური ამოცანების ფარგლებს და ადამიანებისა და ქვეყნისთვის მეტი სარგებლის მოტანას უკავშირდება. ბანკის მხრიდან გარემოსა და სოციალური რისკების მართვა, ერთი მხრივ, მოიცავს თავად ბანკის მიერ მის ყოველდღიურ საქმიანობაში ბუნებრივი რესურსების ეფიციენტურ მოხმარებასა და ნარჩენების პასუხისმგებლიან მართვას, ხოლო მეორე მხრივ, პასუხისმგებლიანი დაფინანსების (Responsible Financing) პრინციპების ინტეგრირებას ბანკის საკრედიტო საქმიანობაში. პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპების დანერგვისა და ეფექტიანად აღსრულების მიზნით, 2018 წელს „ბაზისბანკმა“ მნიშვნე-

ლოვანი ცვლილებები შეიტანა გარემოსა და სოციალური რისკების მართვის საკუთარ პოლიტიკაში და შეიმუშავა Due Diligence-ის და E&S Risk Assessment (ეკოლოგიური და სოციალური რისკის შეფასების) პროცედურები. ბანკის მიერ ასევე დადგინდა გამონაკლისების სია (Exclusion List), რომლითაც ჩამოთვლილია იმ საქმიანობათა სია, რომლებსაც არ აფინანსებს ბანკი; ამგვარ გამონაკლისებს მიეკუთვნება საქმიანობები, რომლებიც რაღაც ფორმით შეიძლება უკავშირდებოდეს იარაღისა და საბრძოლო მასალების წარმოებას/ვაჭრობას, იძულებით და ბავშვთა შრომას, არალეგალურ ფარმაცევტულ პროდუქტებს, პესტიციდებისა და ჰერბიციდების განსაზღვრული ტიპების წარმოებას/ვაჭრობას, აზარტულ თამაშებსა და კაზინოებს და ა.შ. ზემოთ აღნიშნული დოკუმენტები ემყარება როგორც საქართველოს მოქმედ საკანონმდებლო ჩარჩოს, ასევე საუკეთესო პრაქტიკას და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების რეკომენდაციებს.

ეკოლოგიური და სოციალური რისკების შეფასების ფარგლებში, ყველა ტიპის ბიზნეს სესხი გადის სტანდარტულ პროცედურას, რომლის ფარგლებშიც ხდება პროექტის გადამოწმება გამონაკლისების სიაში. შემდეგ ეტაპზე კლიენტის მიერ მიწოდებულ მონაცემებზე და დოკუმენტებზე, ადგილზე ვიზიტის შედეგად გაკეთებულ შეფასებებსა და დამოუკიდებელი წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ხდება პოტენციური კლიენტის პასუხისმგებლობის და მის მიერ ეკოლოგიური და სოციალური რისკების მართვის ხარისხის შეფასება. შეფასებისთვის ბანკი იყენებს IFC's Environmental and Social Performance Standards. ბანკს ასევე შეუძლია კლიენტს დაუდგინოს კოვენანტები, რომლის მიზანიც იქნება კლიენტის ეკოლოგიური და სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდა (მაგალითად სახანძრო უსაფრთხოების სისტემის გამართვა; შრომის პირობების მოწესრიგება).

8.4 ბუნების კონსერვაცია საქართველოში

ბუნების კონსერვაცია არის ეკოსისტემების ბალანსის შენარ-ჩუნება. ბუნების დაცვა, ასევე ცნობილი როგორც კონსერვაციული ბიოლოგია ან გარემოს დაცვა, არის მრავალმხრივი სფეროსა და პრაქტიკის ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს ჩვენი პლანეტის ბუნებრივი ეკოსისტემების, სახეობების და მთლიანი ბიომრავალფეროვნების დაცვას, შენარჩუნებას და აღდგენას. მისი უპირველესი მიზანია შეინარჩუნოს ბუნებრივი სამყაროს წონას-წორობა და ჯანმრთელობა. ამასთანავე, ხაზი გაუსვას ადამიანის ისეთ საქმიანობებს, რომელებიც საფრთხეს უქმნიან გარემოს სიჯანსაღეს.

ბუნების დაცვის ძირითადი ასპექტები მოიცავს:

<u>ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება:</u> მრავალფეროვანი სახე-ობებისა და ეკოსისტემების კონსერვაცია სხვადასხვა ორგანიზ-მების გადარჩენისა და ეკოლოგიური ბალანსის შესანარჩუნებლად. ეს გულისხმობს გადაშენების პირას მყოფი სახეობების დაცვას, ჰაბიტატების შენარჩუნებას და სახეობების გადაშენების პრევენ-ციას.

<u>ჰაბიტატის აღდგენა:</u> დაზიანებული ან დეგრადირებული ბუნებრივი ჰაბიტატების აღდგენისა და რეაბილიტაციის ხელშე-წყობა შეიძლება მოიცავდეს ტყეების, ჭარბწყლიანი ტერიტორი-ების, გაუდაბნოებული მიწებისა აღდგენას ეკოსისტემების განახლების მიზნით, რომლებზეც უარყოფითად იმოქმედა ადა-მიანის საქმიანობამ და დეგრადაცია განიცადა.

<u>რესურსების მდგრადი მენეჯმენტი:</u> ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ხელშეწყობა, როგორიცაა ტყეები, მეთევ-ზეობა და წყლის რესურსები, რათა ეს ფასდაუდებელი რესურსები ამოწურვის ან შეუქცევადი ზიანის გარეშე ხელმისაწვდომი იყოს მომავალი თაობებისთვისაც.

ველური ბუნების დაცვა: ველური ბუნების პოპულაციების დაცვა და მართვა ზედმეტი ექსპლუატაციის, ჰაბიტატის დაკარგვისა და უკანონო ვაჭრობისაგან. ველური ბუნების დაცვა მოიცავს დაცული ტერიტორიების შექმნას, ნადირობისა და თევზაობის რეგულირებას და კონკრეტული სახეობების კონსერვაციის/აღდგენის პროგრამების განხორციელებას.

დაბინძურების კონტროლი: ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურების მინიმუმამდე შემცირება ეკოსისტემებისა და მათში მცხოვრები ორგანიზმების ჯანმრთელობის დასაცავად.

განათლება და ადვოკატირება: ბუნების დაცვის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება და იმ პრაქტიკების ადვოკატირება, რომელიც ხელს უწყობს გარემოს მდგრადობას. საზოგადოების ჩართულობა და განათლება წარმატებული კონსერვაციის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

სამართლებრივი ჩარჩოები: კანონებისა და რეგულაციების ამოქმედება და აღსრულება ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ბუნებრივი რესურსების, გადაშენების პირას მყოფი სახეობებისა და კრიტიკული ჰაბიტატების დასაცავად.

სამეცნიერო კვლევა: კვლევების ჩატარება აუცილებელია ეკოსისტემების შესასწავლად, ბიომრავალფეროვნებაში მიმდინარე ცვლილებების მონიტორინგისა და ეფექტური კონსერვაციის სტრატეგიების შემუშავების მიზნით. სამეცნიერო მონაცემები და მათი ანალიზი ფუნდამენტია მტკიცებულებებზე დაფუძნებული კონსერვაციისათვის.

საზოგადოების ჩართულობა: ადგილობრივი თემების ჩართვა აუცილებელია კონსერვაციის ინიციატივებში, რადგან ისინი ხშირად გადამწყვეტ როლს ასრულებენ ბუნებრივი რესურსებისა და ეკოსისტემების დაცვასა და შენარჩუნებაში.

საერთაშორისო თანამშრომლობა: მნიშვნელოვანია საზღვრებს მიღმა თანამშრომლობა გლობალური გარემოსდაცვითი გამოწვევების გადასაჭრელად, როგორიცაა კლიმატის ცვლილება და

ველური ბუნებით უკანონო ვაჭრობა. საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები, როგორიცაა ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენცია, ხელს უწყობს ასეთ თანამშრომლობას.

ბუნების დაცვა აუცილებელია ჩვენი პლანეტის ეკოსისტემების ჯანმრთელობისა და მდგრადობის შესანარჩუნებლად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ მომავალ თაობებს შეუძლიათ ისარგებლონ ბიომრავალფეროვნებისა და ბუნებრივი სამყაროს უპირატესობებით. ეს არის მრავალმხრივი მცდელობა, რომელიც მოითხოვს მთავრობების, ორგანიზაციების, თემებისა და ინდივიდების კოლექტიური ძალისხმევას, რათა გადაჭრას მრავალი გამოწვევა, რომელიც გამოწვეულია ადამიანის საქმიანობისა და გარემოს დეგრადაციის შედეგად.

ბიომრავალფეროვნება საქართველოში

კავკასიის რეგიონი აღიარებულია კრიტიკული ეკოსისტემის საპარტნიორო ფონდის მიერ ბიომრავალფეროვნების 36 ცხელი წერტილიდან ერთ-ერთად. რეგიონის გეოფიზიკური და კლიმატური მახასიათებლები იწვევს იმას რომ ჰაბიტატების ფართო სპექტრი შედარებით მცირე ფართობზე ყალიბდება.

საქართველო მოიცავს კავკასიის ეკო-რეგიონის მნიშვნელოვან ნაწილს და თავშესაფარს წარმოადგენს უნიკალური ველური სახეობებისთვის, რომლებიც შედგება ფლორისა და ფაუნის რელიქტური, ენდემური და იშვიათი ნიმუშებისგან.

საქართველოში ბუნების დაცვა რთული და მრავალმხრივი საკითხია. მთავრობა, არასამთავრობო ორგანიზაციები და ბიზნესები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს ქვეყნის ბუნებრივი რესურსების დაცვაში.

სამთავრობო სექტორი. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო არის ბუნების დაცვის წამყვანი სახელმწიფო სექტორი საქართველოში. სამინისტრო პასუხისმგებელია გარემოს დაცვის პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავებასა და განხორციელებაზე. ის ასევე მართავს უამრავ დაცულ ტერიტო-

რიას, მათ შორის ეროვნულ პარკებს, ნაკრძალებს და აღკვეთილებს.

დაცული ტერიტორიების ყოველდღიურ მართვაზე პასუხისმგებელია დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტო. სააგენტო მუშაობს ამ ტერიტორიების ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და მათი რესურსების მდგრადი გამოყენების ხელშეწყობაზე.

არასამთავრობო სექტორი.

საქართველოში უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს ბუნების დაცვის სფეროში. ყველაზე აქტიური არასამთავრობო ორგანიზაციების ნუსხა ასე გამოიყურება:

საზოგადოება ბუნების კონსერვაციისათვის-საბუკო

მწვანე ალტერნატივა

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი

სახეობათა კონსერვაციის ცენტრი ნაკრესი

ეს არასამთავრობო ორგანიზაციები მუშაობენ საქართველოს ბუნებრივი რესურსების დაცვაზე სხვადასხვა საშუალებებით, როგორიცაა ადვოკატირება, განათლება და კვლევა. ისინი ასევე უდიდეს როლს ასრულებენ გარემოსდაცვითი კანონებისა და რეგულაციების შესრულების მონიტორინგში.

ბიზნეს სექტორი. საქართველოში ბიზნესის მზარდი რაოდენობა ასევე დგამს ნაბიჯებს გარემოსდაცვითი საკითხების მოსაგვარებლად. ამ ბიზნესებიდან ზოგიერთი ახორციელებს მდგრად პრაქტიკას, როგორიცაა ნარჩენების და ენერგიის მოხმარების შემცირება. სხვები მხარს უჭერენ კონსერვაციის ინიციატივებს შემოწირულობებით ან მოხალისეობით.

საქართველოს ბუნებრივი რესურსების კონსერვაცია საერთო პასუხისმგებლობაა. მთავრობას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ბიზნესს და ინდივიდებს აქვთ თავისი როლი მომავალი

თაობებისთვის ქვეყნის ბუნებრივი სილამაზისა და ველური ბუნების დაცვაში.

ქვემოთ მოცემულია ველური ბუნების გამოწვევები და საფრთხეები საქართველოში:

სწრაფი ეკონომიკური განვითარება ზეწოლას ახდენს ქვეყნის ბუნებრივ რესურსებზე.

ტყის უკანონო ჭრა და ბრაკონიერობა კვლავ უდიდეს პრობლემად რჩება.

კლიმატის ცვლილება საფრთხეს უქმნის საქართველოს მრავალ ეკოსისტემას და ჰაბიტატების დეგრადაციას სახეობების დაკარგვამდე მივყავართ.

კერძო სექტორი და სოციალური პასუხისმგებლობა.

კერძო სექტორს კონსერვაციაში წვლილის შეტანა მდგრადი პრაქტიკისა და გარემოსდაცვითი ინიციატივების განვითარების მეშვეობით შეუძლია;

კერძო სექტორის ინიციატივები საქართველოში:

<u>თიბისი ბანკი:</u> თიბისი ბანკმა ჩართო გარემოსდაცვითი მდგრადობა თავის CSR საქმიანობაში, მათ შორის უპირატესია პროექტები, რომლებიც ორიენტირებულია განახლებად ენერგიაზე, ნარჩენების მართვასა და გარემოსდაცვით განათლებაზე.

<u>ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი (GWP):</u> GWP, წყალმომარაგების და ჩამდინარე წყლების გამწმენდის წამყვანმა კომპანიამ საქართველოში, დანერგა მდგრადი პრაქტიკა წყლის რესურსების დასაცავად და გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად. პრიორიტეტს ანიჭებენ წყლის ეფექტურ მენეჯმენტს, წყლის კონსერვაციის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიებს და ინვესტიციებს დებენ ჩამდინარე წყლების გამწმენდ ინფრასტრუქტურაში.

<u>ბორჯომი:</u> ბორჯომი, ცნობილი ქართული მინერალური წყლის ბრენდი, ყურადღებას უთმობს ბიზნესში გარემოსდაცვით მდგრადობას. მათ სხვადასხვა ინიციატივები განახორციელეს

წყლის ბუნებრივი წყაროების დასაცავად, მათ შორის ტყის აღდგენის და მდგრადი შეფუთვის პრაქტიკა.

ბარამბო: წამყვანი საკონდიტრო კომპანია, რომელთა საქმიანობაშიც ინტეგრირებულია გარემოსადმი ზრუნვა. საწარმოებში ენერგოეფექტური ღონისძიებების დანერგვითა და ნარჩენების პასუხისმგებლობით მართვით მხარს უჭერენ გარემოს დაცვას საქართველოში.

ჰაიდელბერგცემენტი: ჰაიდელბერგცემენტი მხარს უჭერს პროგრამას Spring Alive საქართველოში, რომელიც მიზნად ისახავს შთააგონოს და გააცნოს ბავშვებს მთელს აფრიკასა და ევრაზიაში ბუნების საოცრებებისა და ფრინველების მიგრაციის შესახებ. SpringAlive მარტივი, საერთაშორისო პროექტია. მისი ძირითადი საქმიანობაა რეალურ დროში, ინტერაქტიული დაკვირვების რუქის შექმნა. 2020 წელს საზოგადოება ბუნების კონსერვაციისათვის საბუკო-მ კომპანიის მხარდაჭერით ჩაატარა ორდღიანი საგაზაფხულო ბანაკი ჰაიდელბერგცემენტის ერთ-ერთ კარიერზე. სკოლის მოსწავლეებმა მოინახულეს აქტიური და არააქტიური კარიერები, გაეცნენ მათ შორის არსებულ განსხვავებას, დააკვირდნენ ბიომრავალფეროვნებას და განიხილეს აღდგენის პროცესი. მათ ჩაატარეს ექსპერიმენტები ნიადაგზე, ისწავლეს სხვადასხვა ტიპის ნიადაგის დიფერენცირება. ბანაკის პროგრამა არწივის ხეობაში ექსკურსიითა და ლეშიჭამია ფრინველებზე დაკვირვებით დასრულდა.

საკონტროლო კითხვები:

1. დაახასიათეთ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის მიმართულებები
2. რა იგულისხმება მწვანე ოფისში?
3. როგორია ევროკავშირში გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის თანამედროვე ტენდენციები?
4. რა საფრთხეს ქმნის კლიმატის ცვლილება? როგორია ევროკავშირის კლიმატური მიზნები 2030 და 2050 წლებისთვის?
5. რას ისახავს მიზნად მწვანე შეთანხმება?
6. როგორია ბუნების კონსერვაციაში სამთავრობო სექტორისა და ბიზნესის როლი საქართველოში?

თავი IX. სოციალური მეწარმეობა ევროკავშირში

9.1 სოციალური საწარმოს არსი და მოდელები

სოციალური საწარმო არის ორგანიზაცია, რომელიც იყენებს ბიზნესის მიდგომებს საზოგადოებრივი პრობლემების მოსაგვარებლად. გამომდინარე იქიდან, რომ სოციალური საწარმო სხვადასხვა თემში (იქნება ეს გეოგრაფიული თემი თუ ადამიანების ჯგუფი) არსებულ გამოწვევებს ბიზნეს მიდგომებით პასუხობენ, სოციალური საწარმოს გაგება სხვადასხვა კონტექსტში შესაძლოა სხვადასხვა იყოს. სხვანაირად, სოციალური საწარმო არის ბიზნესი: - რომელსაც აქვს საზოგადოებრივი ან სოციალური მიზნები, ხშირად სოციალური ინოვაციის მაღალი ხარისხით; - რომელშიც მოგება უმეტესწილად რეინვესტირდება აღნიშნული სოციალური და საზოგადოებრივი მიზნების მიღწევაში; - ორგანიზების ფორმა ან მფლობელობის სისტემა ასახავს საწარმოს მისიას, ეფუძნება დემოკრატიულ და თანამონაწილეობით პრინციპებს ან/და ფოკუსირებულია სოციალურ სამართლიანობაზე. მოკლედ რომ ვთქვათ, სოციალური საწარმო არის კომერციული ან არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს სოციალური სარგებლის მომტან ეკონომიკურ საქმიანობას.

ევროკავშირმა 2011 წელს მიიღო სოციალური მეწარმეობის გლობალური ინიციატივის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც სოციალური საწარმოების მეშვეობით ხდება სოციალური მიზნების შერწყმა სამეწარმეო მიდგომებთან. ეს ორგანიზაციები ფოკუსირდებიან სოციალური შედეგების მაქსიმიზაციაზე, გარემოსდაცვითი და სათემო მიზნების მიღწევაზე.

რაც შეეხება საქართველოში სოციალური საწარმოს გაგებას, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) სოციალურ საწარმოს განმარტავს, როგორც ორგანიზებულ სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც ემსახურება

სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფას, მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებას, აგრეთვე სოციალური მიზნების მიღწევას განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტის და გარემოს დაცვის სფეროებში".

განსხვავებით ჩვეულებრივი, მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული საწარმოსაგან სოციალურ საწარმოს აქვს ორმაგი მიზანი: ეკონომიკური და სოციალური, რომელთაგანაც სოციალური არის უმთავრესი. სოციალური საწარმოს შემთხვევაში ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა წარმოადგენს საშუალებას, უფრო ღირებული, სოციალური მიზნის მიღწევის პროცესში. აქედან გამომდინარე, მსგავი ტიპის ორგანიზაციების მოგება არ იზომება მხოლოდ ფინანსური მაჩვენებლებით და გაცილებით მნიშვნელოვანია მიღწეული სოციალური შედეგები.

სოციალურ საწარმოებს აქვთ კონკრეტული როლი საზოგადოებაში, რაც გულისხმობს იმას, რომ ისინი ორიენტირებულნი არიან სოციუმში არსებული გამოწვევების გადაწყვეტაზე. აღნიშნული გამოწვევები განზოგადებული სახით არის:

დასაქმების ხელშეწყობა - სამუშაო უნარების ასამაღლებელი საგანმანათლებლო მიზნები, შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობა;

სოციალური სერვისების მიწოდება - ჯანმრთელობა, ზრუნვა და სამედიცინო სერვისები, ხანდაზმულთა მოვლა-პატრონობა, შშმ მოზარდთა განვითარების შეფერხების აღმოჩენა და დროული ინტერვენცია, სამედიცინო მხარდაჭერა მოწყვლადი ჯგუფის წევრებს;

ეკონომიკური განვითარების და სამართლიანი ვაჭრობის ხელშეწყობა - შიდამიგრაციული პროცესების შეჩერება, თემის (სოფლის) განვითარების ხელშეწყობა, ქალაქებიდან მოშორებით მდებარე დასახლებების განვითარების და გაძლიერების უზრუნველყოფა, ნედლეულის მწარმოებლებისათვის სამართლიანი ვაჭრობის პრინციპით ანაზღაურება და ა.შ.;

საზოგადოებრივი ორგანიზაციების დამოუკიდებლობის ზრდის უზრუნველყოფა;

გარემოსდაცვა;

კულტურულ მიზნებზე ორიენტირება და სხვ

სოციალური საწარმოები განსხვავდებიან იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ინოვაციურ პროდუქტს ან სერვისს ქმნიან. არსებობენ ინოვაციური სოციალური საწარმოები და ტრადიციული სოციალური საწარმოები, რომლებიც არ ქმნიან ინოვაციურ პროდუქტს. მათ აერთიანებთ ის, რომ ისინი იქმნებიან კონკრეტული, საზოგადოებრივი, პრობლემების მოსაგვარებლად.

9.2 სოციალური საწარმო და საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების პარალელურად, სოციალური საწარმოების განვითარებამ უმნიშვნელოვანესი როლი შეიძლება ითამაშოს საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასა და ევროკავშირთან გაერთიანების გეზზეც.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით პირდაპირ არის აღიარებული საქართველოს ვალდებულება განავითაროს სამეწარმეო გარემო ყველა ტიპის ეკონომიკური აქტორისთვის, განსაკუთრებული აქცენტით მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე, რისთვისაც სახელმწიფომ უნდა განავითაროს ადმინისტრაციული და მარეგულირებელი ჩარჩო ევროკავშირის სტანდარტების, საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებისა და კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით.

ევროკავშირთან შეთანხმება ასევე ხაზს უსვამს სახელმწიფოს მხრიდან სამეწარმეო ინოვაციის წახალისებისა და განვითარების ვალდებულებას, მათ შორის, მხარდამჭერი ინსტრუმენტების, ეკონომიკის კლასტერული განვითარების მოდელე-

ბისა და სამეწარმეო სუბიექტებისთვის ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით.

თავად ევროკავშირის პოლიტიკაში სოციალური გამოწვევების მრავალფეროვნების ზრდასთან ერთად ყოველწლიურად უფრო და უფრო პრიორიტეტული ხდება სოციალური ეკონომიკის/სოციალური მეწარმეობის განვითარება და მათი მხარდამჭერი რეგიონული პოლიტიკის შექმნა.

ევროკომისიის პრეზიდენტმა 2019 წელს გასცა დავალება შექმნილიყო ევროპის სამოქმედო გეგმა სოციალური ეკონომიკისთვის, რომელიც გააძლიერებდა ევროპის მასშტაბით სოციალურ ინოვაციას. აღნიშნული სამოქმედო გეგმა 2021 წლის ბოლოსკენ დამტკიცდა და მისი დახმარებით ევროკომისიამ გაწერა ის ძირითადი მექანიზმები, რომლებიც აუცილებელია სოციალური ეკონომიკის შესაძლებლობების ოპტიმიზაციისთვის, განსაკუთრებით კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებული გამოწვევების ფონზე. მითითებული გეგმის შემუშავებამდეც, ევროკავშირის არაერთი პოლიტიკის დოკუმენტი შეიცავს მითითებებს სოციალური ეკონომიკისა და სოციალური საწარმოების განვითარების აუცილებლობაზე. ამ მიმართულებით განსაკუთრებულად ხაზგასასმელია, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც სოციალურ საწარმოებს განიხილავს მდგრადი განვითარების ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად და მათთვის შესაბამის მხარდამჭერ ინსტრუმენტებს ავითარებს.

ევროკავშირის მხრიდან სოციალური მეწარმეობისა და სოციალური ეკონომიკის მხარდაჭერისა და პრიორიტეტულობის მსგავსი გაცხადებული პოლიტიკა პირდაპირ უკავშირდება სოციალური საწარმოების როლს ევროკავშირის სოციალური უფლებების სვეტით დასახული 20 პრინციპის მიღწევაში, რამაც ევროკავშირში მცხოვრები ყველა პირისთვის ღირსეული, ინკლუზიური და შესაძლებლობებით სავსე

საცხოვრებელი გარემო უნდა შექმნას. ევროკავშირისთვის სოციალური მეწარმეობის მნიშვნელობის აღიარება და ამ საკითხის პრიორიტეტულობა კარგად გამოიხატება საქართველოსა და რეგიონში სოციალური მეწარმეობის განვითარების მიზნით სხვადასხვა პროექტების დაფინანსებისა და ამ სფეროში მზარდი ფინანსური მხარდაჭერითაც.

სოციალური მეწარმეობისთვის მიმზიდველი სამართლებრივი და ფინანსური გარემოს შექმნის, ასოცირების ხელშეკრულებით არსებული ვალდებულების მიღმა, მსგავსი ძლიერი აქტორების შექმნის მხარდაჭერა სწორედ უშუალოდ ქვეყნის ინტერესში შედის. სოციალური საწარმოები გარდამტეხი მხარდამჭერი აქტორები შეიძლება იყვნენ სახელმწიფოს მიერ ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აღებული სოციალური ვალდებულებების მიღწევაში და საქართველოს მოქალაქეთათვის ღირსეული საცხოვრებელი გარემოს შექმნაში. ლიტვაში, ფაქტობრივად, ნებისმიერ კომპანიას, რომელსაც აქვს სოციალური მიზნები (ისევე, როგორც ნებისმიერ არასამეწარმეო ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობასაც), შეუძლია განახორციელოს საქმიანობა, როგორც სოციალურმა საწარმომ. თუმცა, თუ სურს საგადახადო შეღავათების მიღება, მაშინ უნდა მოიპოვოს ე.წ. „WISE“ (სამუშაო ინტეგრაციის სოციალური საწარმო) სტატუსი.

9.3 სოციალური საწარმოების განვითარება ევროკავშირის ქვეყნებში

სოციალური მეწარმეები ერთობლივად მუშაობენ იმისათვის, რომ უზრუნველყონ მაქსიმალურად მაღალი სოციალური გავლენა, ეს კი არის ხანგრძლივი შრომა, რომლის საბოლოო შედეგი სოციალური სამართლიანობის კონცეფციის ჩარჩოს ფარგლებში ექცევა. სოციალური მეწარმეობა საშუალებას იძლე-

ოდა ყოველგვარი მასობრივი არეულობების გარეშე დაწყებულიყო სოციუმში არსებული პრობლემების მოგვარება უშუალოდ, სამეწარმეო მიდგომების გამოყენებით. აღნიშნული პროცესების ნათელი მაგალითია სოციალური მეწარმეობის განვითარების პირველი იმპულსები ევროპაში, კერძოდ იტალიაში, სადაც, სოციალური მეწარმეობა, როგორც ტერმინი, 1980 წელს გაჟღერდა და ეს კონცეფცია ცდილობდა მოხალისე ჯგუფების მიერ შემუშავებული ინოვაციური ინიციატივების ფორმალიზების საშუალებების შექმნას. აღნიშნულის დემონსტრირებისთვის შეგვიძლია მოვიხსენიოთ ერთ-ერთი პირველი ევროპული სოციალური საწარმო „სანპატრიანო“ (SanPatrignano).

სხვადასხვა ქვეყანაში სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემა განსხვავებული ფორმით ყალიბდებოდა და ვითარდებოდა, შესაბამისად, განსხვავებული პრაქტიკა და გამოცდილება დაგროვდა. აღნიშნული გამოწვეულია სოციალური პრობლემების მრავალფეროვნებით, რომლის გადაჭრაზეც არის ორიენტირებული თითოეული სოციალური საწარმო მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში.

ევროპის სახელმწიფოებს შორის იტალია პიონერი ქვეყანა იყო საკანონმდებლო ჩარჩოს მოწესრიგების თვალსაზრისით. 1991 წელს მიღებულ იქნა კანონი „სოციალური კოოპერატივების“ შესახებ. საინტერესოა ის ეკონომიკური საფუძვლები, რამაც იტალიაში სოციალური მეწარმეობის განვითარებას შეუწყო ხელი. 70-იანი წლების შემდგომ, ქვეყანაში გაიზარდა ქალთა მონაწილეობა დასაქმების ბაზარზე, ასევე, გაიზარდა ხანდაზმულთა რაოდენობა. ქვეყანა ისეთი გამოწვევების წინაშე დადგა, რაც დაკავშირებული იყო ე.წ. „პოსტმატერიალურ სიღარიბესთან“ (Post-materialistic Poverties). ტრადიციული მოდელი კი ვერ პასუხობდა ისეთ საზოგადოებრივ პრობლემებს, როგორებიცაა ფსიქიკურ დაავადებებთან დაკავშირებული სერვისების უზრუნველყოფის ნაკლებობა, მიუსაფარ და ნარკოდამო-

კიდებულ პირთა რაოდენობის ზრდა, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში პირთა დაუსაქმებლობის შედეგად მათი სამუშაო უნარების დაქვეითება და სხვ. უმუშევართა რაოდენობამ 70-ანი წლების 5%-იანი მაჩვენებლიდან 1990 წელს 12%-იან მაჩვენებელს მიაღწია. უკვე 1980-იანი წლებიდან, მკვიდრდება „სოციალური სოლიდარობის კოოპერატივის“ (Social Solidarity Co-operative) იურიდიული ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობის და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის სოციალური სერვისების მიწოდებას. 1991 წელს, სოციალური კოოპერატივების შესახებ „მიღებული კანონის ზემოქმედება იყო ძალიან დიდი. ამ კანონმა კომერციული საქმიანობის საშუალება მისცა არაკომერციულ ორგანიზაციებს, რასაც ისინი ადრეულ წლებში მოხალისეობრივად, მხოლოდ სურვილის შემთხვევაში აკეთებდნენ. ბევრი ასეთი ორგანიზაცია მუშაობდა ეგიდით “სოლიდარობა - სოციალური კოოპერატივები”, მაგრამ მათ არ ჰქონდათ კანონის, ლეგალური მხარდაჭერა. ლიეტუვაში ნებისმიერ კომპანიას, რომელსაც აქვს სოციალური მიზნები (ისევე, როგორც ნებისმიერ არასამეწარმეო ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობასაც), შეუძლია განახორციელოს საქმიანობა, როგორც სოციალურმა საწარმომ. თუმცა, თუ სურს საგადასახადო შეღავათების მიღება, მაშინ უნდა მოიპოვოს ე.წ. „WISE“ (სამუშაო ინტეგრაციის სოციალური საწარმო) სტატუსი. ლიეტუვის სოციალური მეწარმეობის ყველაზე პოპულარული სახეობებია:

- *სოციალური ტაქსი:* ესაა უნიკალური სერვისი, რომელიც ხელს უწყობს მოძრაობაშეზღუდული ადამიანების გადაყვანის უზრუნველყოფის ორგანიზებას ეკონომიკური და სოციალური დასაქმების ადგილებში (სამსახური, საავადმყოფო, უნივერსიტეტი, კინოთეატრი, მაღაზია, შეხვედრის ადგილი და სხვ.);

- *ღირსების სახლი:* განკუთვნილია იმისათვის, რათა უზრუნველყონ მარტოხელა და გაღატაკებული ხანშიშესული ადამია-

ნების ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ფინანსურად ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნა;

- *ქალაქის ლაბორატორია:* მეწარმეთა ჯგუფი, რომლებიც ქმნიან თანამედროვე, ეკომეგობრულ, სუფთა, საზოგადოებრივ საგანმანათლებლო ცენტრს «Miesto Laboratorija» საპიეგი პარკში, ანტაკალნინსის რაიონში, ვილნიუსში. აქ იქმნება „მწვანე“ ინიციატივები და პრაქტიკები, რომელთა გამოყენებასაც ადვილად შეძლებს თითოეული მოქალაქე. ამსტერდამის, კოპენჰაგენის, ბერლინის მაგალითების შთაგონებით მათ უნდათ საზოგადოებას გააცნონ ისინი და აზიარონ ცხოვრების მდგრად წესს, გარემოსა და ენერგეტიკული რესურსების შენარჩუნებას, აგრეთვე თანამედროვე მებაღეობას ქალაქის პირობებში. ორგანიზაციის წევრებს საერთო იდეა აერთიანებს - გარემოს დაცვა, ენერგიის ეფექტური გამოყენება, მდგრადი საზოგადოების შექმნა და სხვ.;

- *Early.lt Anksti.lt:* ეს არის პრაქტიკული დახმარება ოჯახებისთვის, სადაც ნაადრევად შობილი ჩვილები ჰყავთ. აქ ცდილობენ მათ შეუქმნან სათანადო მოვლისა და განვითარების პირობები;

- *საბავშვო ბუდე:* ჩვილ ბავშვთა ყუთი მაღალხარისხიანი და ეკომეგობრული პროდუქტებით. განკუთვნილია მათთვის, ვისაც არ გააჩნია ჩვილის მოვლის შესაფერისი პირობები;

- *ყველა ახალშობილი თანასწორია* გარდაიქმნა სოციალურ ბიზნესად, როდესაც ერთი ჩვილისთვის რაიმეს შეძენით, მეორე შენაძენი განკუთვნილია დედისთვის, რომელიც სოციალური რისკის ჯგუფს წარმოადგენს. ბავშვები იმსახურებენ გააჩნდეთ ცხოვრების ნორმალური პირობები, მიუხედავად იმისა, თუ როგორ ოჯახში დაიბადნენ;

- *კრეატიული „კრეატიული კუთხე 360°“* არის სოციალური ინიციატივა, რომელიც ავითარებს მდგრადი მოხმარების და მეორადი დიზაინის იდეებს, ზრუნავს რა უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნაზე. საგანმანათლებლო საქმიანობა

ხორციელდებოდა შემოქმედებითად, სხვადასხვა ღონისძიებებისა და აქტივობების ორგანიზების მეშვეობით. მეცადინეობის ძირითადი თემა - მეორადი დიზაინი, ანუ ნივთებს ეძლევა მეორე სიცოცხლე, ისინი მზადდება მეორადი ნედლეულისა და წარმოების ნარჩენებისაგან.

იტალიაში დაძრული სოციალური მეწარმეობის განვითარების ტალღა ევროპის სხვა ქვეყნებზეც აქტიურად გავრცელდა. ერთ-ერთ მაგალითად ასევე შეგვიძლია მოვიყვანოთ ესპანეთი. სოციალური მეწარმეობის საქმიანობის მსგავს აქტივობებს ესპანეთში სხვადასხვა ტიპის ფონდი თუ საზოგადოებრივი ინსტიტუტიციები მრავალი წლის განმავლობაში ახორციელებდნენ, თუმცა, 1990-იანი წლებიდან, ხელისუფლების პრიორიტეტების დღის წესრიგში, ქვეყანაში სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა დადგა, რადგან, ის მიიჩნეოდა როგორც უმუშევრობისა და სიღარიბის დაძლევის ეფექტური გზა.

9.4. სოციალური მეწარმეობა საქართველოში

საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარება 2009 წელს, სამი ორგანიზაციის კონსორციუმის მიერ ერთიანი პროექტის ფარგლებში დაიწყო, ეს ორგანიზაციებია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), ბრიტანეთის საბჭო (British Council) და ევროპის ფონდი (ყოფილი "ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი"). ამჟამად ქვეყანაში 150-ზე მეტი აქტიური სოციალური საწარმოა. CSRDG-ისა და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ, ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის "სოციალური მეწარმეობა - ინოვაციური მიდგომა სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტისთვის" ფარგლებში 2016 წელს დაფუძნდა სოციალურ საწარმოთა ალიანსი (SEA Georgia). სწორედ ალიანსი აკეთებს მოქმედი

სოციალური საწარმოების მოკვლევას ქვეყანაში. საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოების (ნაწილი) სია http://seageorgia.ge/social-enterprises/all-enterprises, ხელმისაწვდომია სოციალურ საწარმოთა ალიანსის ვებ-გვერდზე. საქმიანობის ტიპის მიხედვით, სოციალურ საწარმოთა 57% ქმნის გარკვეულ პროდუქციას, ხოლო 43% სერვისის მიმწოდებელია.

მასალები სოციალურ მეწარმეობაზე, გამოცემები სოციალური მეწარმეობის შესახებ საქართველოში არსებული კვლევები, სახელმძღვანელოები, პუბლიკაციები და სხვ., ასევე შესაძლებლობები ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირებისთვის ხელმისაწვდომია CSRDG ვებ-გვერდზე www.segeorgia.org, ასევე, სოციალურ საწარმოთა ალიანსის (SEA Georgia) ვებ-გვერდზე www.seageorgia.ge

მარგინალური ჯგუფის წევრების დასაქმებაზე და პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე, გარემოს დაბინძურების მაღალი დონე, ტრადიციული მოტივების და რეწვით ახალგაზრდების დაინტერესების ნაკლებობა, მოწყვლადი ჯგუფების მიერ წარმოებული პროდუქციის არაკონკურენტუნარიანობა, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების არაინტეგრირებულობა საზოგადოებაში ის პრობლემებია, რომელთა გადასაჭრელად საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოები აქტიურად და წარმატებულად ოპერირებენ ბაზარზე. სწორედ ამ მიმართულებების შესაბამისად განვითარდა საქართველოში სოციალური მეწარმეობა. საინტერესოა განვიხილოთ რამოდენიმე ინოვაციური სოციალური საწარმოს პრაქტიკული მაგალითი, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილი გამოწვევების ინოვაციურ გზებს სახავენ. სოციალური მეწარმეობა არ არის კონცენტრირებული ერთი ინდივიდის კეთილდღეობაზე, ის ორიენტირებულია საზოგადოების კონკრეტული ჯგუფის ან სათემო გაერთიანებისთვის მაქსიმალური შედეგის მიღწევაზე, მოწყვლადი ჯგუფის წევრების ეკონომიკურ გაძლიერებაზე,

სოციალური ცვლილებების მიღწევაზე

<u>სოციალური საწარმო „მწვანე საჩუქარი".</u> 4 ახალგაზრდისგან შემდგარმა გუნდმა 2015 წელს წამოიწყო საქველმოქმედო ინიციატივა - მაკულატურის შეგროვება და მისი გადაცვლა სახელმძღვანელოებში, რეგიონებში, დაცარიელებული სკოლის ბიბლიოთეკების შევსების მიზნით. ინიციატორთა ჯგუფის ე.წ. „მწვანე ჰობის" გარდაქმნა ორგანიზებულ საქმიანობად სოციალური მეწარმეობის შესახებ, ერთ-ერთი დონორი ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულმა ფინანსური მხარდაჭერის პროგრამამ განაპირობა. შედეგად, 2017 წელს, დაარსდა სოციალური საწარმო „მწვანე საჩუქარი", რომლის მისიაა „გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარების მიზნების ხელშეწყობა ნარჩენების მართვის პოლიტიკის გაძლიერებით, ინფორმირებულობის გაზრდითა და ნარჩენების მართვის კულტურის პოპულარიზაციით საზოგადოებაში". სოციალური საწარმოს ინოვაციურობა იმაში მდგომარეობს, რომ ის მომხმარებელს სთავაზობს ეკოდამზოგავ პროდუქციას, რომელიც შექმნილია გადამუშავებული ქაღალდისგან. უფრო კონკრეტულად, კონვერტებს, ქაღალდის ჩანთებს, საკანცელარიო მასალებს, შესაფუთ მასალებს და სხვ.

სოციალურ საწარმოს ჩვეულებრივი ბიზნეს-ოპერატორისგან სწორედ ის ფაქტი განასხვავებს, რომ ის ზრუნავს სოციალური შედეგების მიღწევაზე. „მწვანე საჩუქრის" სოციალური შედეგები იზომება იმის მიხედვით, თუ „შეგროვებული მაკულატურის გადამუშავებით რამდენი ხე, და მასთან ისეთი მნიშვნელოვანი რესურსები დაიზოგა, როგორებიც არის წყალი, ნავთობი, რამდენი რესურსი დაიზოგა ნაგავსაყრელზე (ანუ რამდენად ნაკლები მაკულატურა განთავსდა ნაგავსაყრელზე, ესეც ერთ - ერთი საზომი ერთეულია, როდესაც მაკულატურის გადამუშავების დადებით და პოზიტიურ მხარეებზე საუბრობენ).

საქმიანობის წამოწყება ა(ა)იპ იურიდიული ფორმის ფარ-

გლებში განაპირობა ერთ-ერთი დამფუძნებლის საზოგადოებრივ სექტორში მოღვაწეობის 10 წლიანმა გამოცდილებამ.

ასევე აღსანიშნავია ფაქტი, რომ ქაღალდის ნარჩენების შეგროვებით საქართველოში 4 მსხვილი ბიზნეს კომპანიაა დაკავებული, ისინი ეკონომიკური სტიმულების მეშვეობით ცდილობენ საზოგადოების წევრების დაინტერესებას, რომ შეაგროვონ ქაღალდის ნარჩენები და ამაში მიიღონ კონკრეტული ანაზღაურება, მიუხედავად ამ სტიმულებისა, როგორც კომპანიის წარმომადგენლები აღნიშნავენ, მათი საწარმოების ყოველწლიური დატვირთვა მხოლოდ 40%-ს აღწევს. „მწვანე საჩუქარმა“ კი 2 წლიანი არსებობის მანძილზე შეაგროვა 26 ტონამდე მაკულატურა და მათგან კი გადაამუშავა 20 ტონა, რომლისგანაც მიღებული ეკოდამზოგავი პროდუქტები ხელს უწყობენ ხეების მოჭრის ტენდენციის შეჩერებას, ნავთობისა და წყლის ამოწურვადი რესურსების გამოყენებას.

სოციალური საწარმო „ჩუ“. სოციალური საწარმო „ჩუს“ იდეა, ორი მეგობრის ისტორიას უკავშირდება, რომელთაგან ერთ-ერთი სმენის შეზღუდვის მქონე პირია. პრობლემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებაში არსებობს მეინსტრიმი, რომლის მიხედვითაც ამ ტიპის შეზღუდვების მქონე პირთათვის ჟესტური ენის შესწავლა, შეიძლება ითქვას, ქმნის გარკვეულ

უხერხულობებს. სწორედ ამიტომ, სმენის არმქონე პირთათვის ერთადერთ საკომუნიკაციო საშუალებად პირის ჟესტიკულაციის, პირის მოძრაობის ამოკითხვაღა რჩება. აღნიშნული სოციალური პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, ენთუზიასტმა დამფუძნებელმა 2018 წელს შექმნა სოციალური საწარმო „ჩუ“, რომლის მისიაა „სმენის შეზღუდვის მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა ჟესტური ენის პოპულარიზაციის გზით“. სოციალური საწარმოს ინოვაციურობა იმაში მდგომარეობს, რომ ის არის საქართველოში პირველი სამაგი-

დო, ჯგუფური თამაში, რომელიც აგებულია ძველი თამაშების პრინციპებზე და ხელს უწყობს ჟესტური ენის მარტივად დამახსოვრებას. საწარმო მომხმარებელს სთავაზობს ინსტრუქ-ტირებულ ბანქოს, რომელზეც სიტყვები გამოსახულია ჟესტური ენის მეშვეობით. საწარმოს დამფუძნებელი აღნიშნავს, რომ საწარმომ შექმნა „ისეთი პროდუქტი, რომელიც საზოგადოების-თვის არათუ სოციალური პრობლემის კუთხით იქნებოდა საინტერესო, არამედ თვითონ პროდუქტის სახით“, სწორედ აღნიშნულმა განაპირობა საწარმოს წარმატება, რადგანაც „ჩამო-ყალიბდა ისეთი მიდგომა, რომ საზოგადოებას მიაწოდო ის, რაც მისთვის არის საინტერესო. და მას უბრალოდ მოუწოდო, რომ მოდი ვითამაშოთ!“. რაც შეეხება სოციალურ შედეგებს, დამფუძნებლებისთვის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა რეგი-ონებში თემის შესახებ ცნობიერების ამაღლება, სადაც ამ კუთ-ხით გაცილებით რთული სიტუაციაა, ვიდრე დედაქალაქში. არსებობს კონკრეტული მაგალითები, როდესაც თამაშის მეშვე-ობით დაიმსხვრა საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეო-ტიპი ჟესტური ენის საჭიროების ნაკლებობის შესახებ და კონკრეტულმა ოჯახებმა დაინახეს თავიანთი წევრების ჟესტურ ენაზე განათლების ხელმისაწვდომობის ზრდის მნიშვნელობა. საქმიანობის ა(ა)იპ იურიდიული ფორმით წამოწყება განაპი-რობა ფინანსების მოზიდვის და სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართულობის მრავალფეროვანმა შესაძლებლობებმა.

განვითარების პოტენციალის მქონე, ინოვაციური სოცი-ალური საწარმო „ჩუ“ მთავარ მიზნად მომავალში ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებას ისახავს, რათა დაბალანსებულ იქნეს საწარმოს ბიზნეს და სოციალური საქმიანობები, პოპუ-ლარიზდეს ჟესტური ენა, გამარტივდეს კომუნიკაცია შეზღუ-დვის მქონე პირთათვის და განვითარდეს ინკლუზიური გარემო, რომელიც უზრუნველყოფს სოციუმის ყველა წევრის აქტიურ ჩართულობას საზოგადოებრივ პროცესებში, რათა არავინ დარჩეს მიღმა.

Social Impact Award (SIA) ახალგაზრდებისთვის. არის სოციალური მეწარმეობის მიმართულებით ყველაზე მასშტაბური სტუდენტური პროგრამა, რომელიც 18 ქვეყანაში (ავსტრია, ბოსნია-ჰერცოგოვინა, გერმანია, თურქეთი, უგანდა, უკრაინა, უნგრეთი, ხორვატია, კონგო, მონტენეგრო, საქართველო, სერბეთი, სომხეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, რუმინეთი, ჩეხეთი, ყაზახეთი) ერთობლივად ხორციელდება და ორიენტირებულია სტუდენ-ტების განათლებაზე სოციალური მეწარმეობის დარგში. პროგრამა ახალგაზრდებს სთავაზობს ათთვიან საგანმანათლებლო კურსს საკუთარი ბიზნეს იდეების განსახორციელებლად. პროგრამის ფარგლებში სტუდენტები გადიან მთელ პროცესს იდეის გენერირებიდან ბიზნეს გეგმის შედგენამდე, რაც მათ აძლევს შესაძლებლობას წამოიწყონ სოციალური ბიზნესი. Impact Hub თბილისმა პროგრამა SIA-ს განხორციელების ლიცენზია 2017 წელს მიიღო, და უკვე ხუთი წელია ახალგაზრდებს აძლევს შესაძლე-ბლობას წამოიწყონ სოციალური ბიზნესი. ამ ხნის განმავლობაში პროგრამაში საერთო ჯამში ჩაერთო 1200-ზე მეტი სტუდენტი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან; ინკუბაცია გაიარა 130-დე ახალგაზრდამ (40 გუნდი) და გამოვლინდა 20 გამარჯვებული გუნდი. ყველა პროექტი აქტუალურ სოციალურ პრობლემას ეხმაურება და მათი გადაჭრის ინოვაციურ გზებს გვთავაზობს. პროგრამა რამდენიმე ეტაპისგან შედგება და მოიცავს ვორქშოფებს თბილისსა და რეგიონებში. პროგრამის მეორე ეტაპზე, დამო-უკიდებელი ჟიურის მიერ შერჩეული ფინალისტი გუნდები გაივ-ლიან ორთვიან ინკუბაციას, სადაც ინდივიდუალური მენტორების დახმარებით გამართავენ ბიზნეს მოდელს, შეადგენენ ბიზნეს გეგმებს და მოემზადებიან ჟიურის წინაშე წარსადგენად. პრო-გრამის ბოლო ეტაპზე გამოვლინდება გამარჯვებული გუნდები, რომლებიც მიიღებენ ფინანსურ მხარდაჭერას ბიზნეს იდეების განსახორციელებლად და მონაწილეობას მიიღებენ SIA-ს საერთა-შორისო სამიტზე (იხილეთ https://georgia.socialimpactaward.net)

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის სოციალური საწარმო? რა მიზნებს ისახავს იგი?
2. განმარტეთ სოციალური საწარმოს მნიშვნელობა საქარ-თველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაში;
3. რა თავისებურებები ახასიათებს სოციალური საწარმოების განვითარებას ევროკავშირის ქვეყნებში?
4. დაახასიათეთ სოციალური მეწარმეობის განვითარების მიმართულებები საქართველოში;
5. რა მიზნებს ისახავს სოციალურ საწარმოთა ალიანსი (SEA Georgia)?
6. ჩამოთვალეთ სოციალური მეწარმეობის მაგალითები საქართველოში

თავი X. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა შშმ პირთა მიმართ: ევროკავშირის პოლიტიკა

10.1 ევროპის საბჭოს შეზღუდული შესაძლებლობების სტრატეგია

ევროპის საბჭოს ყველა სამართლებრივი სტანდარტი თანაბრად ვრცელდება ყველა პიროვნებაზე, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) მქონე პირებზე:

- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია წარმოადგენს ევროპის საბჭოსთვის ყველა ადამიანის უფლებების, მათ შორის შშმ პირთა უფლებების, დაცვასა და პოპულარიზაციაზე მუშაობის საფუძველს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მუშაობს პრეცენდენტული სამართალის ფორმატში და ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფოებისთვის მხარდაჭერით მათ მიერ შშმ პირთა ადამიანის უფლებების დაცვის საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების საქმეში.

- ევროპული სოციალური ქარტია მოიცავს კონკრეტულ უფლებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, კერძოდ, მუხლი 15 (შშმ პირთა უფლება ინდივიდუალური, სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოების ცხოვრებაში მონაწილეობის შესახებ) და მუხლი E (ქარტიის უფლებების უზრუნველყოფა ნებისმიერი მიზეზით დისკრიმინაციის გარეშე).

- სხვა იურიდიული ძალის მქონე სტანდარტები, რომლებიც განსაკუთრებით უკავშირდება შშმ პირების უფლებებს არის ევროპის საბჭოს კონვენციები: ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ (სტამბოლის კონვენცია); სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბავშვთა დაცვის შესახებ (ლანსატორის

კონვენცია) და ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ.

ამრიგად, ევროპის საბჭო მხარს უჭერს, იცავს და ახორციელებს ყველა ადამიანის, მათ შორის შშმ პირთა უფლებების იმპლემენტაციის მონიტორინგს. შშმ პირებს უფლება აქვთ ჰქონდეთ და ისარგებლონ სხვა ადამიანებთან ერთად თანაბარი პირობებით, სრულყოფილად ისარგებლონ ადამიანის უფლებებით, რომლებიც დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, ევროპის სოციალური ქარტიით, გაეროს კონვენცია შშმ პირთა უფლებების შესახებ და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით. ევროპის საბჭოს სტრატეგია შშმ პირთა უფლებების შესახებ **„ადამიანის უფლებები: რეალობა ყველასათვის“** ასახავს ორგანიზაციის პრიორიტეტებს 2017-2023 წლებისთვის. ევროპის საბჭოს შეზღუდული შესაძლებლობების სტრატეგია 2017-2023 მცდელობაა ერთად მოუყაროს თავი ყველა უფლებას სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მიმართულებით. იგი განსაზღვრავს ევროპის საბჭოს და მის წევრ სახელმწიფოთა ვალდებულებას, რომ შშმ ყველა პირის ცხოვრების რეალობად იქცეს უფლებებზე ხელმისაწვდომობა მიუხედავად მათი შეზღუდული შესაძლებლობის თავისებურებისა. აღნიშნული მოიცავს შშმ ბავშვებს და ახალგაზრდებს, სადაც უნდა იყვნენ ისინი და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, როგორც ეს მოთხოვნილია ევროპის საბჭოს ბავშვთა უფლებების სტრატეგიაში 2016-2021 და გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციაში (გაეროს კონვენცია შშმ პირთა უფლებების შესახებ, ევროპის საბჭოს სტრატეგია ბავშვთა უფლებებზე (2016-2021), გაეროს კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ)

სტრატეგიის საერთო მიზანია შშმ პირთა თანასწორობის, ღირსებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა კონკრეტულ სფეროებში, სადაც ევროპის საბჭოს შეუძლია

წვლილის შეტანა. ამისთვის საჭიროა მათი დამოუკიდებლობა, არჩევანის თავისუფლება, ცხოვრების და საზოგადოების ყველა სფეროში სრული და აქტიური მონაწილეობა. ამის მიღწევა შესაძლებელია ხუთი პრიორიტეტული მიმართულებით მუშაობისა და სხვადასხვა ღონისძიების განხორციელების შედეგად: თანასწორობა და დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემო, ცნობიერების ამაღლება, ხელმისაწვდომობა, თანასწორუფლებიანობა კანონის წინაშე, თავისუფლება ექსპლუატაციისგან, ძალადობისაგან და არასათანადო მოპყრობისაგან.

აქტივობები ასევე მიმართული იქნება ხუთი შემხვედრი თემის მიმართულებით: მონაწილეობა, თანამშრომლობა და კოორდინაცია, უნივერსალური დიზაინი და გონივრული მისადაგება, გენდერული თანასწორობის პერსპექტივა, მრავლობითი დისკრიმინაცია, განათლება და გადამზადება.

პრიორიტეტული სფეროები ემყარება რა, და ავითარებს ევროპის საბჭოს არსებულ სამუშაო პრინციპებს, დამატებით ღირებულებას სძენს სხვა რეგიონალურ და საერთაშორისო კონტექსტში, კერძოდ გაეროსა და ევროკავშირის მიერ შესრულებულ სამუშაოებს. ამასთან, ისინი მიზნად ისახავს ევროპის საბჭოს საქმიანობა შეზღუდული შესაძლებლობების კუთხით ორიენტირებული იყოს შედეგების ზრდასა და ხელშესახები შედეგების მიღწევაზე. როგორც პრიორიტეტული სფეროები, ასევე გადამკვეთი თემები ეფუძნება გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციას (UNCRPD) და შესაბამისად განსაკუთრებულ აქცენტებს აკეთებს ადამიანის უფლებების არსებული სტანდარტების იმპლემენტაციაზე. პრიორიტეტული სფეროების ინტერპრეტაცია და იმპლემენტაცია განხორციელდება გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის, გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის კომიტეტის ახლადშექმნილი ორგანოს გადაწყვეტილებების, გაიდლაინებისა და ზოგადი კომენტარების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განვითარე-

ბადი პრეცენდენტული სამართლის, სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის გადაწყვეტილებების და პოლიტიკის და ევროკავშირის დონეზე საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად.

გარდა ამისა, სოციალური პასუხისმგებლობის საერთაშორისო სტანდარტები, მათ შორის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც მიზნად ისახავს კერძო სექტორისა და ბიზნეს გაერთიანებების ჩართულობას ადამიანის უფლებათა იმპლემენტაციაში გაეროს გლობალური შეთანხმების/კომპაქტის და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების დარგის (SDGs) დონეზე, გამოყენებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საზოგადოებაში ჩართვის გასაუმჯობესებლად.

სტრატეგიის ბენეფიციარები არიან ევროპის საბჭოს 47 წევრ სახელმწიფოსა და მთლიანად საზოგადოებაში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. სტრატეგია უზრუნველყოფს მოქნილ პოლიტიკის ინსტრუმენტს და ჩარჩოს, რომელიც შეიძლება ადაპტირებული იყოს ეროვნულ დონეზე კონკრეტული მოვლენების, კანონმდებლობისა და პოლიტიკის გათვალისწინებით. წევრი სახელმწიფოების მთავრობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მჭიდრო თანამშრომლობით, რომლებიც წარმოდგენილები იქნებიან მათი ორგანიზაციების და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ, ხელს შეუწყობენ სტრატეგიის განხორციელებას ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე. ესენია: ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები, თანასწორობის ორგანოები, ომბუდსმენის ინსტიტუტები, სერვისის მიმწოდებლები და სამოქალაქო საზოგადოება.

10.2 კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა შშმ პირთა მიმართ საქართველოში

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი, რომელიც თანასწორობის უფლებას ეხება, ითვალისწინებს სახელმწიფოს ვალდებულებას შშმ პირთა უფლებების დაცვის კუთხით; კერძოდ, „სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის“.

გარდა ამისა, 2020 წლის 14 ივლისს მიღებულ იქნა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონის მიზანს წარმოადგენს შშმ პირთა სამართლებრივი მდგომარეობის მოწესრიგება, მათი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად საკანონმდებლო გარანტიების შექმნა და საქართველოს კანონმდებლობაში გაეროს კონვენციის ძირითადი პრინციპებისა და ღირებულებების ასახვა.

კანონი ეფუძნება გაეროს შშმ პირთა უფლებების შესახებ კონვენციას, რომლის რატიფიკაცია საქართველომ 2013 წელს მოახდინა; შშმ პირები ერთ-ერთ ყველაზე გარიყულ ჯგუფს მიეკუთვნებიან. ისინი დღემდე აწყდებიან სისტემურ დაბრკოლებებს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. მათ არ აქვთ შესაძლებლობა, სხვების თანასწორად ისარგებლონ კონსტიტუციით დაცული უფლებებით. ამასთან, პრაქტიკა აჩვენებს, რომ შშმ პირებისთვის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემად რჩება ხელმისაწვდომობა საჯარო სივრცეებზე, შენობა-ნაგებობებზე, ჯანდაცვის, საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებსა თუ სატრანსპორტო საშუალებებზე, საგანმანათლებლო და სახელმწიფო დაწესებულებებზე. აღნიშნული კი, მიუთითებს, რომ პრაქტიკაში არ ხდება ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი სტანდარტების გათვალისწინება. მთავრობამ მიიღო შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების

უზრუნველყოფის 2023 წლის სამთავრობო სამოქმედო გეგმა“. სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს შშმ პირთა უფლებები. ამ მიმართულებით, 2023 წლის სამოქმედო გეგმა სხვადასხვა ღონისძიებების გატარებას ითვალისწინებს: მათ შორის შშმ პირთა თანაბარი მონაწილეობის უზრუნველ-ყოფა სპორტულ, კულტურულ, რეკრეაციულ და გასართობ ღონისძიებებში.

აღსანიშნავია სოციალური მეწარმეების ძალისხმევა იმის-თვის, რომ ტურიზმი შესაძლებელი გახდეს შშმ ადამიანების-თვის (სტუდენტები, ბავშვთა სახლების კურსდამთავრებულები, მრავალშვილიანი ოჯახის წევრები, დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახები) ან განსაკუთრებულ ფიზიკური პირობებსა და ხელმისაწვდომ გარემოს საჭიროებენ (შშმ პირები). სოციალური მეწარმეები ზრდის სამოგზაურო მომსახურების ხელმისაწვდო-მობას სამეწარმეო მიდგომისა და ინოვაციური გადაწყვეტილე-ბების მეშვეობით. სოციალური მეწარმეების უმეტესობა, ბიზნეს პრობლემის გადასაჭრელად ერთდროულად მონაწილეობს შეღავათიანი სესხებისა და გრანტების კონკურსებში. ჯერ-ჯერობით საქართველოში არანაირი კანონი არ არსებობს ერთი-ანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისათვის სოცი-ალურ ტურიზმთან დაკავშირებით, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის მომხმარებლებს ამ სახეობის ტურიზმის მიწოდები-სათვის.

სოკარი მულტინაციონალური კომპანიაა, რომელიც 6 ქვეყა-ნაში ფუნქციონირებს. სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი ქართულ ბაზარზე 2006 წელს შემოვიდა. კომპანია სოციალურად აქტიურია და მრავალ საქველმოქმედო საქმიანობაშია ჩართული, მხარს უჭერს ქართულ სპორტს, კულტურულ ღონისძიებებსა და სხვა საინტერესო აქტივობებს, ახორციელებს შშმ პირების და ხანდაზ-მულების უფლებების რეალიზაციას. კომპანია 2019 წლიდან მხარს უჭერს პროექტს „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა“; პროექტის

ფარგლებში, ყოველწლიურად მრავალი სპორტული ღონისძიება და სპორტული ბანაკი იმართება. ბანაკში მონაწილეობას იღებენ საომარი მოქმედებების დროს დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეები, ვეტერანები, ცნობილი სახეები და რეგიონებში მცხოვრები შშმ პირები; კომპანიამ დაიწყო სადგურებზე არსებული სველი წერტილების ეტაპობრივი ადაპტაცია. 2019 წელს ავტობანზე მდებარე სადგურებთან არსებული საპირფარეშობის ნაწილი მოერგო შშმ პირთა საჭიროებებს.

2021 წელს "აჭარაბეთის" კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პლატფორმა „ინიციატივის" და "ახალგაზრდული მედია კავშირის" ორგანიზებით, პროექტის „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიას" ფარგლებში, შშმ პირთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით, ლისის ტბაზე გაიმართა ღონისძიება, სადაც სპორტულ აქტივობებთან ერთად კონცერტიც გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ყრუთა კავშირთან არსებული ანსამბლები, სპორტული ეტლით მოცეკვავეები და ქართული ესტრადის წარმომადგენლები. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს სამშვიდობო მისიებსა და სხვადასხვა საომარ მოქმედებაში დაჭრილ-დაშავებულმა სამხედრო მოსამსახურეებმა, ომის ვეტერანებმა, პარასპორტსმენებმა, შშმ პირებმა, აფხაზეთიდან დევნილებმა და საზოგადოებისთვის ცნობილმა სახეებმა. ღონისძიების მიზნად ისახავდა შშმ ადამიანების სოციალური იზოლაციის დაძლევას, საზოგადოებაში მათ მიმართ არსებული ნეგატიური სტერეოტიპების რღვევას და მათი რეალური შესაძლებლობების წარმოჩენას.

2022 წლის 23 ოქტომბერს, CSR-ის კვირეულის ფარგლებში, CSR კლუბისა და გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ორგანიზებით სასტუმრო ,,ქორთიარდ მარიოტში'' ქართულ ბაზარზე მოქმედმა 15-მა ორგანიზაციამ, ხელი მოაწერა შშმ პირების ხელშეწყობის შემდეგ პრინციპებს:

1. კომპანიის აღმასრულებელი რგოლის მიერ პოლიტიკის დონეზე და ყოველდღიურ საქმიანობაში შშმ პირების გაძლიერების მხარდამჭერი მიდგომის საჯაროდ დაფიქსირება;
2. შშმ პირთათვის დასაქმების ადგილის მისაწვდომობა;
3. შშმ პირთათვის კვალიფიკაციის ამაღლების და კარიერული წინსვლის შესაძლებლობის უზრუნველყოფა;
4. შშმ პირთათვის ღირსეული და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა;
5. კომპანიის სერვისებისა და პროდუქტების ადაპტირება შშმ პირთა საჭიროებებისადმი;
6. შშმ პირთა გაძლიერება ბაზარზე, მათი სამეწარმეო საქმიანობის მხარდაჭერითა და კომპანიის ღირებულებათა ჯაჭვში ინტეგრირებით;
7. შშმ პირთა განათლების ხელშეწყობა;
8. შშმ პირთა საზოგადოებაში ხილვადობის ხელშეწყობა.

2023 წლის 30 ივნისიდან 9 ივლისამდე CSR კვირეულის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა თემაზე „შშმ პირების პრობლემები საქართველოში და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის როლი“, რომელშიც „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კლუბის“ წევრებთან ერთად, შშმ პირების პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საქ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას.

სოციალური საწარმო „მუსთერაპიული ცენტრი“. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე საზოგადოებრივი ორგანიზაციის „მშობელთა ხიდის“ ბაზაზე, 2016 წელს შეიქმნა სოციალური საწარმო „მუსთერაპიული ცენტრი“, რომლის მისიაა „ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ალტერნატიულ მოდელზე

- მუსთერაპიულ სერვისზე - ხელმისაწვდომობის ზრდა და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა". რაც შეეხება ინოვაციურობის კომპონენტს, ზოგადად, მუსიკალური თერაპია მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა და ის წარმოადგენს „ფსიქოლოგიურ ინტერვენციას, რომელიც იყენებს მუსიკის ექსპრესიულ ელემენტებს, როგორც ურთიერთქმედების ძირითად საშუალებებს. მუსთერაპიული მომსახურება მოიცავს შემოქმედებით, თერაპიულ და პედაგოგიურ-აღმზრდელობით ინტეგრირებული მუშაობის ფორმებს". საქართველოში, მუსიკალური თერაპიის პირველი პრაქტიკა კი სწორედ „მშობელთა ხიდის" მეშვეობით დაინერგა და წარმოადგენს უნიკალურ მიმართულებას, რომელიც მრავალწლიანი სწავლების და პრაქტიკის შემდგომ, პირველად განხორციელდა საქართველოს მაგალითზე. სოციალური საწარმო მომხმარებელს სთავაზობს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოზარდის საჭიროებების შეფასებას და ინდივიდუალური აბილიტაციის გეგმის შედგენას, ასევე, საჭიროების შესაბამისად, თერაპიულ ინტერვენციას და მშობელთან და ბავშვებთან ინტეგრირებულ გაკვეთილებს. სოციალური შედეგების თვალსაზრისით, საწარმოს დაფუძნების შემდგომ 100-მდე ბავშვმა და მოზარდმა გაიუმჯობესა საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, საზოგადოებაში გაიზარდა მუსთერაპიული სერვისის ცნობადობა, მიღებული მოგება კი ინვესტირდება დამფუძნებელი ორგანიზაციის, „მშობელთა ხიდის" სოციალური პროექტების დაფინანსებას. ამ ეტაპზე საწარმო ფუნქციონირებს ა(ა)იპ იურიდიული ფორმის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის მინიჭებული ეკონომიკური აქტიურობის უფლების ფარგლებში. სოციალური საწარმოს აღნიშნული ფორმით ფუნქციონირების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი, სწორედ ზემოთმოყვანილი ფაქტია, რომ მოგება რეინვესტირდეს

დამფუძნებელი ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად. მოყვანილი მაგალითები ნათლად ასახავენ სოციალური საწარმოების მრავალფეროვნებას საქართველოში, ასევე, მათი განვითარების მიმართულებებს და სამომავლო, გაფართოების შესაძლებლობებს.

საკონტროლო კითხვები:

1. რა უფლებები ენიჭება საქ. კანონით „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ შშმ პირებს?
2. ჩამოთვალეთ გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მიერ დეკლარირებული რა შშმ პირების ხელშემწყობი პრინციპები;
3. მოიყვანეთ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მაგალითები შშმ პირთა მიმართ.

თავი XI. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ევროკავშირში COVID-19 ვირუსული ინფექციის პირობებში

11.1 კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა COVID-19 ვირუსთან ბრძოლის პირობებში

CSR როგორც ბიზნესწრეებისთვის, ასევე ფართო აუდიტორიისთვის ხშირი განხილვის საგანს წარმოადგენს. ეს თემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა როდესაც მსოფლიოს საერთო გამოწვევა - Covid-19-თან ბრძოლა მოუწია.

მთავრობები, რა თქმა უნდა, ვალდებულნი არიან, ყველაფერი გააკეთონ პანდემიასთან საბრძოლველად, ადამიანების გადასარჩენად და ამის პარალელურად, ეკონომიკის შესანარჩუნებლად. ეს მათი ძირითადი პასუხისმგებლობაა. თუმცა ამ პროცესმა აჩვენა, რომ მდგომარეობის გამოსასწორებლად მხოლოდ ოფიციალურად პასუხისმგებელი პირების ძალისხმევა არ კმარა. მაშინ, როდესაც კამპანია „დარჩი სახლში“ თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობა წინა პლანზე დააყენა, საინტერესოა, როგორია ბიზნესის როლი Covid-19-თან ბრძოლაში წინა პლანზე წამოიწია. საქართველოში კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შექმნილი სპეციალური ვებგვერდის – Stopcov.ge-ის თანახმად, პანდემიასთან ბრძოლის პროცესში მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოში მოქმედმა 170-მა კომპანიამ გამოავლინა. Covid-19-ის პრევენციისთვის შექმნილ ფონდში ჩარიცხული თანხების მოცულობა 131 მლნ ლარს აღემატება. ეს უდავოდ დასაფასებელი ნაბიჯია, თუმცა ქართულ კომპანიებს სოციალური პასუხისმგებლობა მხოლოდ ამ ფორმით არ გამოუხატავთ. მათგან საკმაოდ ბევრმა სოციალური პასუხისმგებლობა სხვა მხრივაც გამოავლინა – მათ შორის იყო, როგორც პროფილური აქტივობები (მაგალითად, ექიმების საწვავით ან

საკვებით მომარაგება; სესხების რესტრუქტურიზაცია და ა.შ.), ასევე არაპროფილური მიმართულებები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული კომპანიების მიერ განხორციელებულ სოციალური პასუხისმგებლობის პროექტებთან მიმართებით მომხმარებელთა მოლოდინი უმეტესად საქველმოქმედო პროექტებით შემოიფარგლება. ამას ემატება ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალური ფონიც, რის გამოც მომხმარებლები CSR აქტივობათა სასურველ მიმართულებად, პირველ რიგში, ქველმოქმედებას და უფრო კონკრეტულად, ისეთ ფაქიზ თემებს ასახელებენ, როგორიცაა ონკოპაციენტების მკურნალობის დაფინანსება, სოციალურად დაუცველი ოჯახების ან მიუსაფარი ბავშვების დახმარება. საზოგადოების მაღალი მგრძნობელობიდან და გადაუდებელი საჭიროებიდან გამომდინარე, ამავე კატეგორიას შეგვიძლია მივაკუთვნოთ კორონავირუსის პრევენციის ფონდში თანხის გადარიცხვაც.

თუმცა ცალკე უნდა გამოიყოს გრძელვადიანი ეფექტის მქონე კამპანიების აუცილებლობა ისეთ სფეროებში, რომლებიც უფრო დიდი სარგებლის მომტანი იქნება ქვეყნისა და საზოგადოებისთვის. ასეთად მიიჩნევა განათლების, ტექნოლოგიების და ეკონომიკის განვითარების კუთხით ინვესტირება. ქართულ რეალობაში ეკონომიკის განსაკუთრებით მგრძნობიარე მიმართულებებს წარმოადგენს ტურიზმი და სოფლის მეურნეობა. განვიხილოთ ქართული კომპანიების მიერ განხორციელებული სოციალური პასუხისმგებლობის პროექტები:

„ფილიპ მორის საქართველოს“ ინიციატივა, “Ubi Concordia, Ibi Victoria – ისტორიის შექმნის პროცესი პანდემიის პირობებში” – თანამშრომლებისა და მათი ოჯახების მხარდაჭერის მიზნით შეიქმნა, რადგან თანამშრომელთა კეთილდღეობა PMG-ს უმთავრესი პრიორიტეტია. სწორედ ამიტომ, პანდემიის პირველივე დღიდან კომპანიამ შეიმუშავა ინიციატივა, რომლის მიზანი სტრესის დაძლევა, ახალ რეალობასთან გამკლავება და გუნდის

მენტალური ჯანმრთელობის გაუმჯობესება იყო. პროექტი ოთხი კომპონენტისგან შედგებოდა: უსაფრთხოება, მენტალური კეთილ-დღეობა, მოტივაცია, მხარდაჭერა. კომპანიას ჰქონდა მიზანი შეექმნა ისეთი სივრცე, სადაც ყველა თანამშრომელს ექნებოდა უსაფრთხოების განცდა და იგრძნობდა კომპანიის მხარდაჭერას. მნიშვნელოვანია გადაწყვეტილება "გონივრულ სამუშაო" წესებს შესახებ, რაც ეხმარებოდა მათ, იდეალური ბალანსი შეენარჩუ-ნებინათ სამუშაოსა და ოჯახს შორის. „ფილიპ მორის ინთერ-ნეიშენალმა" (PMI) პანდემიის პერიოდში, ჩაატარა სხვადასხვა თემატიკისადმი მიძღვნილი ონლაინ სემინარები. გაიმართა რამდენიმე გლობალური სამიტი. მოეწყო "საზაფხულო ბანაკი" – თანამშრომელთა ბავშვებისთვის. განხორციელებული ინიციატი-ვის ეფექტურობაზე კი პანდემიის პერიოდში 22 ქულით გაუმ-ჯობესებული თანამშრომელთა ლოიალობის ინდექსი (Employer Net Promoter Score) მეტყველებს.

Rethink ანუ დაინახე ახლებურად - ბიზნესის მხარდაჭერის მოდელი ბიდიოსგან. კომპანია BDO საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი აუდიტორული და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანიაა. Covid 19-ის კრიზისის დაწყებიდან სულ რამდენიმე კვირაში, ბიზნესის მხარდასაჭერად, ბიდიომ ნაცნობი თემების ახლებურად დანახვის კამპანია Rethink-ი დაიწყო, რომლის მიზანი იყო სხვადასხვა სექტორში მოქმედ, განსხვავებული მასშტაბის კომპანიების დახმარება წარმატებით გადაეწყონ ახალ რეალობაში და სწორი ბიზნესსტრატეგიების შემუშავებაში. ბიდიომ საქარ-თველოში კონცეფციის ლოკალური ბაზრისთვის ადაპტირება განახორციელა, შეიმუშავა სპეციალური ვებგვერდი და კომპანიებს შესთავაზა ახალ რეალობაში ლავირების თავისი ხედვა. Rethink-ის კონცეფცია არის 3 ეტაპისგან შემდგარი მოდელი – რეაგირება, მდგრადობა და გარდასახვა – ეს არის ეტაპები, რომლებსაც ყველა კომპანია გაივლის კრიზისიდან გამოსვლის და ნორმალურ კალაპოტში დაბრუნებისთვის.

11.2 Covid-19-ის პანდემიის გავლენა კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაზე

კორონავირუსის (Covid-19) პანდემიის დაწყების შემდეგ მსოფლიომ, მათ შორის საქართველომ, დაიწყო ბრძოლა, ერთი მხრივ, მოქალაქეების ჯანმრთელობის და სიცოცხლის, ხოლო მეორე მხრივ, ქვეყნის ეკონომიკის გადასარჩენად. პანდემიით გამოწვეულ სირთულეებთან ბრძოლა მოითხოვდა მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსს, რაც განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკური შესაძლებლობის მქონე ქვეყნისთვის. კერძოდ, პანდემიის შედეგების შემსუბუქების მიზნით, აუცილებელი იყო ვირუსის შემაკავებელი ღონისძიებების განხორციელება და დამატებითი სამედიცინო რესურსის მობილიზება, მოქალაქეების სოციალური მხარდაჭერა, ბიზნესის გადარჩენა და ეკონომიკის ხელშეწყობა. 2020 წელს პანდემიის მიერ მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნით, საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავდა ანტიკრიზისული გეგმა, ხოლო ამ გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდა ცვლილებები. 2020 წლის ანტიკრიზისული ბიუჯეტით დაიგეგმა დამატებით 5.6 მლრდ ლარის მობილიზება, ხოლო უშუალოდ პანდემიასთან საბრძოლველად გასატარებელი ღონისძიებებისათვის განისაზღვრა 3.4 მლრდ ლარი. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI), ევროკავშირის (EU) მხარდაჭერით, განახორციელა პროექტი, „საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში და მას შემდეგ კოვიდ-19 თან დაკავშირებული ხარჯების და ადამიანის უფლებების დაცვის მონიტორინგი“. საქართველოში პანდემიის წინააღმდეგ მიმართული მოქმედებების ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, ინიციატივის ფარგლებში განხორციელდა Covid-19-თან დაკავშირებული საჯარო ფინანსების, საჯარო შესყიდვების, მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის შესრულების,

StopCov ფონდის ხარჯვისა და დონორთა დახმარების განაწილების მონიტორინგი. ეს დოკუმენტი წარმოადგენს პროექტის შემაჯამებელ ანგარიშს, რომელიც მიმოიხილავს, საქართველოს ხელისუფლების მიერ, 1 წლის განმავლობაში პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში განხორციელებული ანტიკრიზისული ღონისძიებების, მათი დაფინანსების წყაროების და გაწეული ხარჯების მონიტორინგის შედეგებს, ძირითად მიგნებებსა და გაცემულ რეკომენდაციებს. ქვეყანაში ვირუსის გავრცელების დაწყების (პირველი დადასტურებული შემთხვევა - 2020 წლის 26 თებერვალი), საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების (2020 წლის 21 მარტი) და ანტიკრიზისული გეგმის შემუშავების (2020 წლის 24 აპრილი ანტიკრიზისული გეგმის წარდგენა) თარიღების გათვალისწინებით, ანგარიშის მიზნებისთვის.

2020 წლის ივლისში გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის (UNGC) ყოველწლიურ საერთო კრებაზე წარდგენილ იქნა ქსელის და „სიდას“ 2020 წლის საქმიანობის ანგარიში. ღონისძიებაზე ასევე გაიმართა „სიდას“ და UNGC-ის მიერ ჩატარებული კვლევის „COVID-19-ის გავლენა კორპორაციულ პასუხისმგებლობაზე საქართველოში“ პრეზენტაცია. კვლევა მიზნად ისახავდა პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის გავლენის შეფასებას ბიზნესკომპანიების სოციალურ პასუხისმგებლობაზე. ამ მიზნით 1053 კომპანია (როგორც მსხვილი, ისე საშუალო და მცირე ზომის კომპანიები) შეფასდა.

კვლევის თანახმად, მიუხედავად პანდემიის გამოწვევებისა, კორპორაციული პასუხისმგებლობის კუთხით საქართველოში სიტუაცია მნიშვნელოვნად არ გაუარესებულა და გარკვეული პროგრესიც კი გამოიკვეთა. 2020 წელს რამდენიმე კომპანიამ კორპორაციულ პასუხისმგებლობას მეტი ყურადღება დაუთმო და ამ მიმართულებაზე ცალკე პასუხისმგებელი პირიც დანიშნა. კომპანიებმა უფრო აქტიურად დაიწყეს თანამშრომლობა გარე პარტნიორებთან (მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებთან).

თუ 2019 წელს კომპანიების მხოლოდ 28% აცხადებდა, რომ პარტნიორულ პროექტებში ჩაერთვებოდა, 2020 წელს ეს მაჩვენებელი 40%-მდე გაიზარდა. კომპანიების 70%-ს არ შეუცვლია სოციალური პასუხისმგებლობის პრიორიტეტები. მსხვილი ზომის კომპანიებში არ შეცვლილა არც კორპორაციული პასუხისმგებლობის ბიუჯეტები. საშუალო და მცირე ზომის კომპანიებში კი მთავარ საზრუნავად ბიზნესის გადარჩენა იქცდა და, შესაბამისად, კორპორაციული პასუხისმგებლობის კუთხით გამოყოფილი ბიუჯეტები მნიშვნელოვნად შემცირდა ან საერთოდ გაუქმდა. კომპანიების უმრავლესობისთვის პანდემიის დროს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა თანამშრომლების შენარჩუნება გახდა. გამოკითხული კომპანიების 14%-მა აღნიშნა, რომ თანამშრომლების გათავისუფლება მოუწიათ, 21%-მა ისინი უხელფასო შვებულებაში გაუშვა.

კომპანიების (ჯამში 110 კომპანია) სოციალური პასუხისმგებლობის პრიორიტეტების, ბიუჯეტებისა და საკონტაქტო პირების შესახებ ინფორმაციის მოძიება კი შესაძლებელია „სიდას“ და UNGC-ს მიერ EWMI ACCESS-ის დაფინანსებით შექმნილ მონაცემთა ბაზაში.

ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის'' ორგანიზებით ტარდება კონკურსი Meliora, რომელიც ეძღვნება კომპანიების მიერ Covid-19-თან საბრძოლველად განხორციელებულ პროექტებსა და ინიციატივებს. კონკურსი ჩატარდა შემდეგ კატეგორიებში: Covid-19-ის პერიოდში თანამშრომელთა მხარდაჭერა; პანდემიის პერიოდში მომხმარებელთა და მომწოდებელთა მხარდაჭერა; საზოგადოების მხარდაჭერა პანდემიისას; პანდემიის პერიოდში მცირე ბიზნესის და დაზარალებული სექტორის მხარდაჭერა. 2020 წლის Meliora-ს დაჯილდოვება გაიმართა ონლაინ სივრცეში, ჯილდო გაიცა შემდეგ კატეგორიებში: თანამშრომელთა, მომხმარებელთა და

მომწოდებელთა, საზოგადოებისა და მცირე ბიზნესისა და დაზარალებული სექტორის მხარდაჭერა. 2020 წელს გაიმარჯვა კომპანია ტერაბანკმა და Onesoft-მა მცირე ბიზნესისა და დაზარალებულის სექტორის მხარდაჭერაში. „ტერაბანკმა“ პანდემიის დაწყებისთანავე ჩაატარა კვლევა, რითაც გამოიკვეთა მისი კლიენტების საჭიროებები. პროექტის ფარგლებში, ბანკმა დაგეგმა დარეგისტრირებული 50 კლიენტისთვის გაეცა საჩუქრების რომელიც მორგებული იყო მათ საჭიროებებზე. სასაჩუქრე პაკეტებში შედის ლოგოსა და კორპორაციული სტილის, სოციალური მედიის არხებისა და ვებგვერდის მომზადება. პროექტის ფარგლებში მომზადდა: 10 ვებგვერდი ბიზნესკლიენტების საინფორმაციო და ვიზუალური მასალით; 16 ვებგვერდი ელექტრონული კომერციის მხაედაჭერით, ბიზნესკლიენტების საინფორმაციო და ვიზუალური მასალით; 25 ბიზნესის ფოტობანკი-პროფესიონალური ფოტოსესსია, დამუშავებული ფოტოები სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებში გამოსაყენებლად; 4 ბრენდბუქი და სახელის მოფიქრება ბიზნესკიენტებისთვის; 25 ბიზნესკლიენტებისთვის სოციალური მედიის მომსახურების გაწევა ფეისბუქის შექმნა/გამართვა, პოსტერების ტექსტისა და ვიზუალის შექმნა, სამომავლო კომუნიკაციის სტრატეგიის განსაზღვრა; ბიზნესის 18 წარმომადგენლისთვის ტრენინგების სერია ფეისბუქისა და ციფრული პლატფორმების მართვაზე; 10 სატელევიზიო სიუჟეტი ბიზნეს საქმიანობის შესახებ (Meliora, 2020)

მეორე კომპანია, რომელმაც გაიმარჯვა Covid-19 პანდემიის პერიოდში განხორციელებული კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობით არის კომპანია Onesoft, რომელიც აქტიურად მუშაობს კომპანიების პროგრამული გადაწყვეტების ხელმისაწვდომობის გაზრდაზე და ბიზნეს პროცესების მართვის განვითარებაზე. პანდემიის პერიოდში კომპანია მზად იყო დახმარებოდა მცირე და საშუალო ბიზნესს, რომ CSR-ის ფარგლებში, შეეთავაზებინა კომპანიებისთვის სრულიად უსასყიდლოდ ან

50%-იანი დაფინანსებით ერთიანი პროგრამა ERP standard-ი მენეჯერული და ბუღალტრული აღრიცხვისთვის. პრიორიტეტული იყო სამი სფერო, ესენია: პირველადი მომხმარების საგნების მწარმოებლები, საცალო/სადისტრიბუციო კომპანიების და საკვები პროდუქტების. ძირითადი პრობლემა მდგომარეობდა მიწოდების შეფერხებაში, პროდუქციის დეფიციტში, დისტანციურად მონაცემების დამუშავება, შესყიდვების არაეფექტურად მართვა და სხვა.

Onesoft-მა ამ პრობლემების მოსაგვარებლად ჯამში 12 კომპანიას სრულიად უსასყიდლოდ გადასცა პროგრამული ლიცენზიები, კომპანიებმა მიიღო 2000 დოლარის თანამედროვე ERP-სისტემა რითაც შესაძლებელი გახდა პროცესების ავტომატიზაცია და პრობლემებთან სრულიად გამკლავება. კიდეც ერთი კომპანია, რომელმაც გამოიჩინა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა პანდემიის პერიოდში ეს არის დასაქმების მაძიებელთა ონლაინ პლატფორმა „ჰირო“, ის აკავშირებს დასაქმების მაძიებლებსა და დამსაქმებლებს ერთმანეთთან, მან პანდემიის პერიოდში განახორციელა პროექტი, რაც მიზნად ისახავდა პანდემიის პერიოდში როგორც კომპანიების, ასევე სამსახურის გარეშე დარჩენილი ადამიანების მხარდაჭერას. კომპანიამ შესთავაზა 3 თვიანი უფასო მომსახურება, რაშიც შედიოდა საიტზე განცხადებების განთავსება, ასევე მედიაშიც ჩვენება, რადგან უფრო ხელმისაწვდომი ყოფილიყო ყველასთვის და ყველა სტარტაპერს ჩუქნიდა 3 თვიან უფასო მომსახურებას, პანდემიის პერიოდში შეიქმნა სპეციალური ბაზა დაზარალებული დასაქმებულებისთვის, ეს ბაზა პარტნიორი კომპანიებისთვისაც იყო ხელმისაწვდომი. ამ პროგრამით 300-ზე მეტმა კომპანიამ ისარგებლა. და მომსახურება მიიღო 2500 ზე მეტმა დასაქმების მაძიებელმა.

პანდემიის პერიოდში განხორციელებული CSR-ით გამოირჩეოდა ასევე „ბანკი ქართუ“ რომელმაც შეიძინა 4 მლნ სამედიცინო პირბადე და სრულიად უსასყიდლოდ გადასცა ჯანდაცვის

სფეროს. ასევე აღსანიშნავია თიბისი ბანკის საქმიანობა ამ მიმართულებით. თიბისი დაზღვევამ CSR-ის ფარგლებში, COVID-19-თან მებრძოლი ექიმებისათვის შექმნა 300 000-ლარიანი ფონდი, რითაც 80-ზე მეტ სამედიცინო პერსონალს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას ინფიცირებისთვის გადაეცა მატერიალური დახმარება.

11.3 ევროკავშირი საქართველოსთვის: საქართველოსთვის გაწეული მხარდაჭერა ანტი-COVID-19 წინააღმდეგ ბრძოლაში

ევროკავშირმა და ევროპის გუნდმა (Team Europe) Covid-19 პანდემიასთან ბრძოლაში საქართველოს დასახმარებლად უზრუნ-ველყვეს დაახლოებით 1.5 მლრდ ლარის მობილიზება, ახალი სახსრების მოზიდვისა და არსებულის გადანაწილების გზით. ამ თანხის თითქმის 2/3 გრანტის სახითაა წარმოდგენილი, დანარჩენი კი შეღავათიანი სესხის სახით. ეს ევროკავშირის მიერ მსოფლიოს ნებისმიერი უცხო ქვეყნისთვის ერთ სულ მოსახლეზე გაწეული დახმარების ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია, რაც უპრეცენდენტო კრიზისის დროს ევროკავშირის მიერ საქართვე-ლოსთვის გამოხატულ მტკიცე სოლიდარობას ადასტურებს. თითქმის 1 მლრდ ლარის ოდენობის ევროკავშირის დახმარება განკუთვნილი იყო: საქართველოს მთავრობის მიერ Covid-19-ის კრიზისის დასაძლევად მიმართული ძალისხმევის გასაძლიერე-ბლად და ასევე მოიცავდა ანტიკრიზისულ ეკონომიკურ გეგმას და რეგიონული/სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების ახალ პროგრამებს ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგრადობის უზრუნველსაყოფად.ევროკავშირის მხარდაჭერა მოიცავს კონკრეტულ ღონისძიებებს შემდეგ სფეროებში:

ჯანმრთელობის დაცვა. სამედიცინო აღჭურვილობის დაახ-ლოებით 2 მლნ ერთეული, მათ შორის სასუნთქი აპარატები, სამედიცინო პირბადეები და სპეციალური ტანსაცმელი საქართვე-

ლოს ლაბორატორიებისა და სამედიცინო დაწესებულებებისთვის, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით; ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებისთვის ტრენინგების ჩატარება და წვდომა Covid-19-ის შესახებ არსებულ რეგიონულ ინფორმაციაზე.

სოციალური სფერო. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა ევროკავშირის მიერ კრიზისის დრო მოსახლეობის ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის შშმ პირების, ოჯახური ძალადობის მსხვერპლების, ხანდაზმულების, ბავშვებისა და იძულებით გადაადგილებული პირების დასახმარებლად.

ეკონომიკის აღდგენა. 200 მლნ ლარზე მეტი ბიზნესებისთვის სესხებზე წვდომის ხელშეწყობისა და კონსულტაციების უზრუნველყოფის მიზნით. სესხები ხელმისაწვდომი იქნება ადგილობრივი ბანკებიდან ისეთი პარტნიორების დახმარებით, როგორიცაა ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW); 60 მლნ ლარზე მეტი მოცულობის ადგილობრივი მიზნობრივი გრანტები ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე ევროკავშირის პროექტების მეშვეობით, ეკონომიკური აქტივობის სტიმულირების მიზნით ისეთ სფეროებში, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, სოფლად ბიზნესის განვითარება და პროფესიული განათლება.

გარდა ამისა, მიმდინარე პროექტებისა და სხვა მექანიზმების საშუალებით ევროკავშირი უზრუნველყოფს პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე მიმართულ კონსულტაციებსა და გამოცდილების გაზიარებას, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ევროკავშირისა და ევროპის გუნდის მიზნობრივ დახმარებას. საქართველოს ასევე აქვს წვდომა ევროკავშირის რეგიონულ ფონდებზე საბრუნავი კაპიტალის, ვაჭრობის დაფინანსებისა და სესხების ტვირთის შემსუბუქების უზრუნველსაყოფად. ევროკავშირის მხარდაჭერა ექვემდებარება

სახელმწიფო ხარჯების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების, უფლებებზე დაფუძნებული მიდგომისა და გენდერული თანასწორობის პირობებს.

საკონტროლო კითხვები:

1. რამდენად ეფექტური იყო ბიზნეს სექტორი COVID-19 ვირუსთან ბრძოლაში?
2. რა გავლენა მოახდინა Covid-19 - ის პანდემიამ კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაზე?
3. ევროკავშირის საქართველოსთვის გაწეული მხარდაჭერა ანტი-COVID-19 წინააღმდეგ რა მიმართულებებით განხორციელდა?

თავი XII. ბიზნესის ეთიკა ევროკავშირში

12.1. ბიზნესის ეთიკის არსი, ეთიკის როლი ევროკავშირის ბიზნესში

ეთიკა ერთ-ერთი უძველესი თეორიული დისციპლინა, მისი კვლევის ობიექტი მორალია. ტერმინი „ეთიკა“ ზნეობრიობის მოძღვრების აღსანიშნავად გამოიყენა არისტოტელემ და განსაზღვრა, რომ იგი „გვეხმარება იმის შემეცნებაში, თუ რა უნდა ვაკეთოთ და რისგან შევიკავოთ თავი“.

ბიზნესის ეთიკა პროფესიონალური ეთიკის ერთ-ერთი ნაირსახეობაა - იგი ეთიკური პრინციპების გამოყენებაა საქმიან ცხოვრებაში. ამ კუთხით ბიზნესის ეთიკის კურსი წარმოადგენს ეთიკის თეორიის, ორგანიზაციული ქმედების, ეკონომიკის, სტრატეგიული დაგეგმვის, ფინანსების, აღრიცხვის, მარკეტინგის გაძღოლის ტრადიციული სწავლების სინთეზს. ის არ არის მორალური სტანდარტების უბრალო ნაკრები, არამედ ბიზნესში დასაქმებული ადამიანის წინაშე მდგარი პრობლემების ანალიზისა და გადაწყვეტის ინსტრუმენტს წარმოადგენს.

ბიზნესის ეთიკა როგორც მეცნიერების საგანი, XX საუკუნის 70-იან წლებში აშშ-ში ჩამოყალიბდა. ამ პერიოდში სამეცნიერო პრესასა და საქმიან სამყაროს შორის სულ უფრო მეტად იკვეთება ერთსულოვნება პროფესიონალ ბიზნესმენთა „ეთიკური ცნობიერების“ ამაღლების აუცილებლობის მხრივ. ზოგიერთი სპეციალისტი „საზოგადოების წინაშე კორპორაციების პასუხისმგებლობის“ ამაღლების აუცილებლობაზე მსჯელობს. ზოგიერთი კი ყურადღებას ამახვილებს კორუფციის გავრცელებულ შემთხვევებზე, როგორც სამთავრობო ბიუროკრატიის, ისე ფირმის (კორპორაციების) წარმომადგენლების მხრიდან.

XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ბიზნესის ეთიკა სპეციალისტების შესწავლის უმნიშვნელოვანესი საგანი გახდა - ამ

პერიოდში უამრავი წიგნი გამოიცა და აშშ-ს ბიზნესის სკოლების უმეტესობამ ის თავის სასწავლო პროგრამებში ჩართო.

ეთიკური ცნობიერების ხარისხის ამაღლების აუცილებლობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა თანამედროვე ბიზნესში მომხდარი ისტორიული ცვლილებების ფონზე: პირველი, კორპორაციულობის დონის ამაღლების, და მეორე, ინფორმაციული რევოლუციის ფონზე.

თანამედროვე ბიზნესის ორგანიზაციაში მეორე ისტორიული ცვლილება ინფორმაციულ რევოლუციას უკავშირდება. კომპიუტერული ტექნოლოგიების შექმნასთან ერთად ძირფესვიანად იცვლება ცხოვრება დედამიწაზე. მან გაცილებით მეტი ზეგავლენა მოახდინა საზოგადოებაზე, ვიდრე სამრეწველო რევოლუციამ (მე-XVIII საუკუნეში).

ბიზნესის თანამედროვე პროფესიონალები – ინფორმაციული ერის მთავარი იდეოლოგები პასუხისმგებელნი არიან ქცევის ეთიკური კანონების ცხოვრებაში გატარებაზე (ზოგჯერ მათ კომპიუტერულ ეთიკას, ქსელურ ეთიკას და ა.შ. უწოდებენ). ეს განაპირობებს კიდევაც მეწარმეთა მიერ ეთიკის შესწავლის აუცილებლობას.

როგორც აღვნიშნეთ, ბიზნესის ეთიკა არის სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც საქმიან ცხოვრებაში ეთიკური პრინციპების გამოყენებას შეისწავლის. ტრადიციულად ბიზნესის ეთიკას მაკროეთიკად და მიკროეთიკად ყოფენ. მაკროეთიკის ქვეშ იგულისხმება ბიზნესის ეთიკის ის ნაწილი, რომელიც მორალურ ურთიერთობათა სპეციფიკას განიხილავს როგორც საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურის მაკროსუბიექტებს შორის ურთიერთობას, მთლიანად კორპორაციებს, სახელმწიფოს და საზოგადოებას შორის, აგრეთვე, მის ნაწილებს შორის. მიკროეთიკა კი მოზნად ისახავს ფირმის (კორპორაციის) შიგნით, კორპორაციებს შორის და აქციების მფლობელებს შორის მორალურ ურთიერთობათა სპეციფიკის გამოკლევას.

მაკროსუბიექტთა შორის მორალურ ურთიერთობათა სისტემაში სპეციალისტები ორ დონეს გამოყოფენ: ჰორიზონტალურს და ვერტიკალურს. ჰორიზონტალურ დონეზე განიხილავენ მორალურ ურთიერთობებს ერთნაირი მახასიათებლების მქონე სუბიექტებს შორის, სხვადასხვა ფირმებს (კორპორაციებს) შორის, ვერტიკალურ დონეზე – მორალურ ურთიერთობებს სუბიექტებს შორის, რომლებსაც სხვადასხვა მახასიათებელი და თვისებები გააჩნიათ. მაგ., ურთიერთობები სახელმწიფოს და კორპორაციებს შორის, კორპორაციებსა და საზოგადოებას შორის, კორპორაციებსა და გარემოს შორის.

ადამიანების უმრავლესობა ეთიკურ გადაწყვეტილებებს მიკროდონეზე იღებს, ე.ი. როცა ადამიანი პასუხისმგებელია თავის ქმედებაზე და იღებს გადაწყვეტილებებს, რომელიც ეხება კოლეგებს ან მცირე დაჯგუფებას. მაგრამ ზოგიერთი ადამიანი ადრე თუ გვიან გადაწყვეტილებას იღებს მაკროდონეზე, მაგ., როდესაც უშუალოდ მონაწილეობს სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკის ფორმირებაში.

როგორც აღვნიშნეთ, ბიზნესის ეთიკა განიხილება როგორც ეთიკური პრინციპების გამოყენება კომპანიის საქმიანობაში. ეთიკური ქცევის მაღალი სტანდარტები მოითხოვს, რომ კომპანიამ პატიოსნება და მიუკერძოებლობა გამოიჩინოს ყველასთან, ვისთანაც კი ურთიერთობას ამყარებს. ბიზნესის ეთიკისადმი კომპანიის ერთგულების საზომი შეიძლება იყოს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა პროდუქციის უსაფრთხოება და ხარისხი, პატიოსნება თანამშრომლებთან და კონტრაგენტებთან ურთიერთობაში, მარკეტინგისა და სარეკლამო საქმიანობის კორექტული წარმართვა, კონფიდენციალური ინფორმაციის პირად მიზნებში არგამოყენება, საზოგადოებრივ ღონისძიებებში მონაწილეობა, კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობასა და ბიზნესის კანონსაწინააღმდეგო მეთოდების გამოყენებაზე უარის თქმა და ა. შ.

ამჟამად არც თუ იშვიათად, ევროკავშირის ქვეყნების კორ-

პორაციებში, ბიუროკრატიული ორგანიზაციული სტრუქტურების ზრდის კვალობაზე იკვეთება მათთვის დამახასიათებელი ტენ-დენცია, რომელიც იერარქიულად ზემდგომი პირისადმი უსიტყვო მორჩილებაში გამოიხატება. ეს ტენდენცია თრგუნავს პირად ინიციატივას, რაც უამრავ ეთიკურ პრობლემას უქმნის იმ პირებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან გადაწყვეტილებების მიღე-ბაზე. თავის მხრივ, ეს იწვევს ისეთ ვითარებას, როდესაც წესიერი და პატიოსანი ადამიანებიც კი უღირს საქციელს სჩადიან, თუმც კი შეიძლება ეს კორპორაციის საკეთილდღეოდ კეთდებოდეს. ამას-თან, აღსანიშნავია ისიც, რომ ეთიკურ საქციელს თითოეული ინ-დივიდისთვის თავისებური სპეციფიკა გააჩნია. მაგალითად, ზო-გიერთი ადამიანი, რომელიც ცარიელ ოთახში ფულს პოულობს, სწორად მიიჩნევს მის მითვისებას; ზოგს შეიძლება აზრად მოუ-ვიდეს მისი ჩაბარება დაკარგული ნივთების ბიუროში; ზოგიერთი კი მართებულად მიიჩნევს მის გამოყენებას საქველმოქმედო მიზნებისათვის. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული ინდივიდისათვის ქცევის ეთიკა განისაზღვრება მისი შეხედუ-ლებებისამებრ, ცნება "ეთიკური საქციელი" (ethical behavior) უმე-ტეს შემთხვევაში გულისხმობს ისეთ საქციელს, რომელიც თანხ-მობაშია საზოგადოდ აღიარებულ სოციალურ ნორმებთან; "არა-ეთიკური საქციელი" (unethicalbehavior) კი ეწინააღმდეგება საზო-გადოდ აღიარებულ სოციალურ ნორმებს. ინდივიდის ყოფაქცევის ეთიკა განისაზღვრება სხვადასხვა ფაქტორების ერთობლიობით (აღზრდა, გარემო, რელიგია, ქვეყანა).

დღეს ევროკავშირის ქვეყნების კომპანიებში ჩამოყალიბე-ბულია ბიზნესის ეთიკის საკუთარი კოდექსი, გარდა ამისა, ისინი ატარებენ სწავლების პროგრამებს, რათა მიღწეულ იქნეს თანა-მშრომლების მიერ საქმიანი ეთიკის მოთხოვნათა სწორი აღქმა.

ეთიკური რელატივიზმი. ეთიკური რელატივიზმის მიმდევ-რები ამტკიცებენ, რომ მორალის პრინციპები განისაზღვრება უწ. ყოვლისა იმ საზოგადოების მიერ, რომელშიც მათი ფორმირება

მოხდა. არ არსებობს აბსოლუტური ეთიკური სტანდარტი, კულ-ტურული კონტექსტის გარეშე. ქმედება, რომელიც ევროპულ ქვეყნებში მისაღებად ითვლება, ახლო აღმოსავლეთში შეიძლება მიუღებელი აღმოჩნდეს. კომპანიებისათვის, რომლებიც საქმია-ნობენ საერთაშორისო დონეზე, ეთიკური რელატივიზმი მეტად პრაქტიკული ფილოსოფიაა, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი კონკურირებენ მსოფლიო დონეზე კომპანიებთან, რომელთა ქვეყნის მორალური კოდექსები არსებითად განსხვა-ვებულია.

12.2. ბიზნესის კულტურის ტიპოლოგია

ბიზნესის კულტურა არის სუბიექტების მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების პრინციპების, წესების, მეთოდების ერთობლიობა ქვეყანაში (საზოგადოებაში) არსებული სამართლებ-რივი ნორმების (საკანონმდებლო, ნორმატიული აქტების), ეთი-კური და ზნეობრივი წესების, ცივილიზებული ბიზნესის განხორ-ციელებისას მოქმედების წესების შესაბამისად.

გამოკვლევები ადასტურებს, რომ ადამიანს უწევს კომპ-რომისზე წასვლა საკუთარ მორალურ სტანდარტებთან იმ ორგანი-ზაციაში არსებული პირობების ზეგავლენით, რომელშიც ისინი მუშაობენ. ამასთან, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ფასეულობათა ის სისტემა, რომელიც არეგულირებს ესთეთიკურ ურთიერთობებს მოცემულ ორგანიზაციებში და რომელსაც ბიზნესის (კორპორა-ციულ) ეთიკას უწოდებენ.

ბიზნესის (კორპორაციული) ეთიკა უნივერსალურისაგან განსხვავებით, განპირობებულია მოცემული ორგანიზაციის (კორ-პორაციის) საქმიანობის თავისებურებებით და მიზნებით, აგრეთვე ამ ორგანიზაციაში ქცევის ისტორიულად ჩამოყალიბებული სტერეოტიპებით. იგი უფრო ფართო ნორმატიული სისტემის ნა-წილს წარმოადგენს, რომელსაც ბიზნესის (კორპორაციულ) კულ-

ტურას უწოდებენ. ეს უკანასკნელი მოიცავს არა მხოლოდ ეთიკურ, არამედ სხვა ღირებულებებსაც, აგრეთვე ჩვეულებებს, რიტუალებს, სიმბოლოებს. ეს შეიძლება იყოს მითები, ისტორიები და ლეგენდები, რომელსაც იხსენებენ ორგანიზაციაში, მოვლენები, რომელთა საზეიმო აღნიშვნაა ტრადიციად ქცეული, მათთვის დამახასიათებელი რიტუალების არსებობა; ესა და მსგავსი ტიპის საკითხები განეკუთვნებიან ბიზნესის (კორპორაციულ) კულტურას.

ნებისმიერ ორგანიზაციაში (კორპორაციაში) არსებობს დაუწერელი წესები, ნორმები და ურთიერთმოლოდინები, რომლებიც ძლიერ გავლენას ახდენენ კოლექტივის ქცევაზე ორგანიზაციები, ცალკეული ადამიანების მსგავსად, ადგილი აქვს სხვადასხვა „მამოძრავებელ ძალებს“, დინება-ქვედინებებს, რომელსაც წარმართავს შიში, ტაბუ და ნაწილობრივ ქმედებების ირაციონალური მექანიზმები, რომელთა შესახებ ნაკლებად საუბრობენ და რომლებსაც ვერც კი აცნობიერებენ მუშაკები, განსაკუთრებით თუკი ისინი დიდი ხნის განმავლობაში მუშაობენ ორგანიზაციაში, მაგრამ სინამდვილეში მათ უდიდესი ზეგავლენა გააჩნია. არავის არ მოუვა აზრად, რომ მას შეუძლია რაღაც ისე არ გააკეთოს, როგორც ამას ადრე აკეთებდა.

ბიზნესის (კორპორაციული) კულტურის ტიპოლოგია შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად: საინვესტიციო კულტურა, სარფიანი გარიგებების კულტურა, ადმინისტრაციული კულტურა, ვაჭრობის კულტურა.

ა) ვაჭრობის კულტურა

ეს კულტურა, რომელსაც სწრაფი უკუკავშირი და შედარებით დაბალი რისკი ახასიათებს, ვითარდება უპ. ყოვლისა, სავაჭრო და გასაღების ორგანიზაციებში, საცალო ვაჭრობაში, ნაწილობრივ კომპიუტერების მწარმოებლებში, უძრავი ქონების გამყიდველ მაკლერებში და საფინანსო მაკლერებში, ავტომობილებით მოვაჭრეებში, აგრეთვე წვრილ საცალო ვაჭრობაში.

წარმატება დამოკიდებულია მყიდველებთან კონტაქტების რაოდენობაზე და გარიგებების ძიების ინტენსიურობაზე. თანამშრომლები - როგორც წესი, ახალგაზრდა, აქტიური ადამიანები არიან, რომლებიც არ ერიდებიან ექსპერიმენტებს. ისინი ბუნებით მეგობრულები არიან, დიდი სულიერი მოთხოვნილებების გარეშე, მაგრამ გარეგნულად მიმზიდველნი, ადამიანებთან ურთიერთობაში წარმატებით იყენებენ მჭერმეტყველებას და იუმორს. რამდენადაც მათ ხშირად პირისპირ კონტაქტი უწევთ მყიდველთან, მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კოლექტივის მხარდაჭერა. ვაჭრობის სფეროს მუშაკები ყველა მიმართულებით კარგად ერთვებიან კოლექტიურ თამაშში - ისინი სწრაფად იღებენ გადაწყვეტილებებს. „ანალიზის შედეგად მიღებული დამბლის“ ფენომენი არ შეიმჩნევა. ისინი ხალისიანად ნერგავენ პრაქტიკაში სიახლეებს, ამასთან აშკარად იკვეთება აქტიური მოქმედების დიდი სურვილი.

წარმატების საზომია რეალიზაციის მოცულობა და არა რისკი. ფინანსური სტიმულები ყოველთვის არ არის თანამშრომლებისათვის პირველხარისხოვანი, დიდად ფასობს წარმატებული გუნდის წევრობაც.

ნაკლოვანებები: რაოდენობა ჭარბობს ხარისხს; მოკლევადიან წარმატებაზე ორიენტირება; მუშაკები მეტ კავშირს გრძნობენ პირველ რიგში კოლექტივთან, ვიდრე ორგანიზაციასთან; ადგილი აქვს კადრების მაღალ დენადობას.

ბ) სარფიანი გარიგების კულტურა (სპეკულაციური კულტურა)

ამ კულტურას, რომელზედაც თავის კვალს ტოვებს წარმატებული თუ წარუმატებელი ორგანიზაციის სწრაფი უკუკავშირი და საშუალო და მაღალი ხარისხის საფინანსო რისკი, ადგილი აქვს ყველგან, სადაც გვხვდება ფასიანი ქაღალდები, საგადასახადო საშუალებებით, ნედლეულით და ა.შ. სარფიანი გარიგება. თუმცა ამ კულტურის ელემენტებს შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ

სფეროებშიც, როგორიცაა მოდა, კოსმეტიკა, პროფესიული სპორტი, რეკლამა და სარისკო ორგანიზაციების დაფინანსება. წარმოქმნილი შანსის სწრაფი გამოყენება – აი უმთავრესი სტრატეგია. აქ მოსწონთ სწრაფი გარიგებები და ფულის სწრაფი მიღება.

ძირითად მოტივს წარმოადგენს მაქსიმალურად სწრაფი მოგების მიღება, მაგრამ ჯილდო შეიძლება იყოს არა მხოლოდ ფულადი სახით. სპეკულაციური კულტურის სფეროში მოხერხებული თანამშრომლები მოგებულნი რჩებიან „ვარსკვლავებისა“ და პიროვნებების კულტის შექმნით.

გ) ადმინისტრაციული კულტურა

ადმინისტრაციული კულტურა რისკის დაბალი ხარისხის და ნელი უკუკავშირის ფონზე ვლინდება საზოგადოებრივ მომსახურეობაში, კარგად აწყობილ და მოწესრიგებულ დარგებში, მსხვილ ადმინისტრაციულ ფირმებში და ნაწილობრივ ბანკებში, დაზღვევის სისტემაში.

თანამშრომლები გამოირჩევიან დისციპლინით, სიფრთხილით, პედანტურობით. გადაწყვეტილება მიიღება გააზრებულად, მაგრამ მათ მისაღებად ხანგრძლივი დრო სჭირდებათ, ამასთან გადაწყვეტილება ყოველმხრივ დაზღვეულია. ადმინისტრაციული კულტურის სფეროში ურთიერთობა ხაზგასმული იერარქიულობით გამოირჩევა. თანამშრომელთა კოოპერირებულობას შეფარდებითი ხასიათი აქვს. ყურადღება ძირითადად ექცევა იმას, თუ როგორ გაკეთდეს და ნაკლებად – რა გაკეთდეს. ამგვარად წინა პლანზე დგას ფორმა, ხოლო შედეგი კი უკანა პლანზეა. კავშირი შედეგსა და ჯილდოს შორის თითქმის არ არსებობს. ასე მკაფიოდ გამოხატული ორიენტაცია შიდა პრობლემებზე ვლინდება შემდეგ ქმედებებში:

1. ყველა საკითხზე დგება ოქმი;

2. არსებობს დოკუმენტების შენახვის კარგად აწყობილი სისტემა, რაც შესაძლებლობას იძლევა აუცილებლობის შემთხვევაში დამტკიცდეს საკუთარი უდანაშაულობა;

3. პროცედურას მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე შედეგს;

4. შესრულებას ექვემდებარება ყველა განკარგულება, გონივრული და ნაკლებად გონივრული;

5. თანამშრომლები იზოლირებულ სამყაროში იმყოფებიან, სადაც ყველაზე უმნიშვნელო მოვლენის გადაფასება ხდება. კავშირი გარე სამყაროსთან წყდება. შედეგად იძაბება ურთიერთობა გარე სამყაროსთან იმის გამო, რომ გადაწყვეტილების ახსნა შეუძლებელი ხდება გარშემო მყოფთათვის;

6. თვითშეფასებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ტიტულებს – ისინი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფული.

დ) საინვესტიციო კულტურა

ვლინდება ნავთობის კომპანიებში, საინვესტიციო ბანკებში, მშენებლობაში, ნაწილობრივ ჯარში და წარმოების საშუალებების წარმოებაში. იგი ძირითადად ხასიათდება იმით, რომ აშკარად ორიენტირებულია მომავალზე და იმით, რომ დიდი რისკის პირობებში მსხვილ კაპიტალდაბანდებებს ახორციელებენ, ამასთან დიდხანს ვერ რწმუნდებიან თავიანთი გადაწყვეტილების სისწორეში. თანამშრომლები მუშაობენ საფუძვლიანად, წინდახედულად, მოთმინებით და დაჟინებით, რამდენადაც იძულებულნი არიან გადალახონ გაურკვევლობის ხანგრძლივი პერიოდი მინიმალური უკუკავშირის ან მისი სრული უქონლობის პირობებში. ის, ვინც ხელმძღვანელ თანამდებობაზეა, რისკავს არა მარტო კარიერით, არამედ საკუთარი საწარმოს მომავლით.

ხშირად ზემოდან მიღებული გადაწყვეტილებები საგულდაგულო შემოწმებას საჭიროებს. დიდი მნიშვნელობა აქვს გამოცდილებას, თუმცა ახალ იდეებსაც აქვს რეალიზაციის კარგი შანსები. ორგანიზაციებში, სადაც მიიღება გადაწყვეტილებები, სუფევს პატივისცემა ავტორიტეტის და პროფესიული ცოდნის მიმართ. აქ მხარის უჭერენ ერთხელ მიღებულ გადაწყვეტილებებს. თანამშრომლები ხშირად ურთიერთობენ და ყველაფერს დეტალურად განიხილავენ. ეს კულტურა ხელს უწყობს დიდ აღმო-

ჩენებს და მეცნიერების განვითარებას, მაგრამ ამავე დროს საკმაოდ ნელა მიმდინარეობს.

ეთიკა და ეთიკური პრობლემები საერთაშორისო კომპანიებში. კომპანიის სახელით მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიზანი მდგომარეობს ამ კომპანიის შემოსავლების დონის ამაღლებასა და დანახარჯთა მოცულობის შემცირებაში. უმეტეს შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება და კომპანიის ხელმძღვანელთა და პერსონალის ძალისხმევა ორიენტირებულია სოციალურად მისაღებ ქმედებებზე. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში ცალკეულ მუშაკთა და კომპანიის ქმედებები არსებითად სცილდება მისაღებ სოციალურ ნორმებს.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად მომრავლდა კომპანიის ან მათი სახელით მოქმედ პირთა მიუღებელი, არაეთიკური ქმედებები. მთელ მსოფლიოში საზოგადოებისა და საკანონმდებლო ორგანოების ყურადღება მიიპყრო საკმაოდ ცნობილი კომპანიების (Enron, WorldCom, Tyco, Arthur Andersen, Nestle, Royal Ahold NV) არაეთიკურმა ქმედებებმა. უოლსტრიტზე რამდენიმე ცნობილი საინვესტიციო ბანკის თანამშრომლები გაასამართლეს კომპანია-კლიენტების მოსალოდნელი შერწყმის შესახებ ინსაიდერის (insider) ინფორმაციის პირადი მიზნებისათვის გამოყენებისათვის; E.F. Hutton, მსხვილი საბროკერო ფირმა, გაკოტრდა მას შემდეგ, რაც იგი მხილებულ იქნა ბანკ-კლიენტების რამდენიმე მილიონი დოლარით მოტყუებაში.

12.3. ორგანიზაცია და მორალური სტანდარტები

სამსახურებრივი საქმიანობის პროცესში ხშირად ადგილი აქვს ისეთ ქმედებებს, რომელსაც არასოდეს სჩადიან ჩვეულებრივ, საყოფაცხოვრებო პირობებში. მაგალითად, უმრავლესობისთვის აბსოლუტურად მიუღებელია სხვისი ბინის გაქურდვა. და, თუმცა ზოგიერთ ადამიანს შეუძლია დაეშვას ამ დონემდე, მაგრამ ძალიან

შერცხვება, თუკი მას ამგვარ საქმიანობაზე გამოიჭერენ. მიუხედავად ამისა, ხშირად ადგილი აქვს ორგანიზაციის კუთვნილი მასალების პირადი ან ოჯახის წევრების საჭიროებისათვის გამოყენებას. ზოგიერთი არასწორი ქმედება ადამიანების მიერ კონკურენტულ საქმიან გარემოში მუშაობის შედეგია. ხშირად ორგანიზაციაში მუშაობა გვიბიძგებს ისეთი ქმედებისკენ, რასაც ჩეულებრივ პირობებში არასწორად მივიჩნევთ. მაგალითად, სხვისი შრომის შედეგების კრიტიკა იწვევს წყენას, რომელსაც ჩვეულებრივ პირობებში თავს ვარიდებთ. შეიძლება კრიტიკა, სხვისი ნაკლოვანების გარჩევა შედიოდეს სამსახურებრივ მოვალეობებში. ხშირად ორგანიზაციული და კონკურენტული ფაქტორების სიმბიოზს მივყავართ იქამდე, რომ ადამიანის ქცევას შეიძლება საეჭვო ეწოდოს. ჩვენ იძულებული ვხდებით დავმალოთ ზოგიერთი ფაქტი, ვეძებთ უპირატესობებს, ვაყენებთ ზიანს ან თვალს ვხუჭავთ ზიანზე, რომელიც სხვას მიაყენეს, ან ვჩუმდებით, როცა ვხედავთ სხვადასხვა უსამართლო ქმედებებს ადამიანების მიმართ.

ბიზნესის ეთიკის სფეროში მომუშავე ბევრი ცნობილი მკვლევარი წინასწარ ვარაუდობს, რომ სამსახურეობრივ სიტუაციებში უხეშად ირღვევა ჩვენი ქცევის ჩვეულებრივი, საზოგადოდ მიღებული ნორმები. ორგანიზაციაში, სადაც წვრილი დატაცება ჩვეულებრივი საქმეა, საკმაოდ რთულია თანამშრომლების ნორმალურ ქცევასა და ისეთ საეჭვო ქცევას შორის ზღვარის გავლება, როგორიცაა, მაგალითად, საქმიანი კონტაქტებისათვის განკუთვნილი ტელეფონით პირადი საუბრები, მუშაკთა კერძო მგზავრობა ორგანიზაციის ბიუჯეტის ხარჯზე და ა.შ. სწორედ ამიტომ, წვრილი ქურდობა ყველას საკმაოდ ტრივიალური ეჩვენება და მასთან ბრძოლა უხერხულად მიაჩნია. მაგრამ, როგორც კი იგი საყოველთაოდ ვრცელდება, საგრძნობლად რთულდება ბრძოლა მსგავს ქმედებებთან, რომლებიც მიყენებული ზიანის მიხედვით გაცილებით უფრო მძიმეა.

ბიზნესის თავისებურებაა გულგრილობა სხვა ადამიანების

დაზარალების შემთხვევაში, რაც უჩვეულოა სხვა პირობებისათვის. პროდუქცია, რომელიც იწარმოება და იყიდება მეწარმეების მიერ საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ხშირად საშიშია ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმთრელობისათვის. მაგრამ მეწარმეები და გამყიდველები არც კი ცდილობენ გააფრთხილონ პოტენციური მყიდველები მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, თუკი ამას კანონი არ აიძულებს. რეკლამა ხშირად გამოიყენება ადამიანებში უსაფრთხოების ილუზიის შექმნისთვის მავნე პროდუქციის გამოყენებისას, მაგ., როცა ხდება ჯანმრთელი, უდარდელად სიგარეტის მწეველი ახალგაზრდის რეკლამირება.

სხვა ადამიანების მიმართ ზიანის მიყენების შემთხვევაში გულგრილობა ხშირად ორგანიზაციის თანამშრომლებთან ურთიერთობის დროსაც ვლინდება. იმ ადამიანების მიმართ, რომელსაც ხსნიან სამსახურიდან, აქვეითებენ ან რომელსაც უმცირებენ ხელფასს, აღმასრულებელი პირის მხრიდან თანაგრძნობა უბრალოდ დაუშვებელი ფუფუნებაა. მორალური თვალსაზრისით სხვა ადამიანებისთვის ზიანის მიყენების უგელებელყოფას ჩვეულებრივ პირობებში არასწორს ვუწოდებთ. აქ შეიძლება გამოვიყენოთ ფრაზა სამსახურიდან მოხსნილი ადამიანის მიმართ: „მინდოდა დახმარება, მაგრამ... ბიზნესი ბიზნესია“.

სამუშაო პირობებში პირფერობა და ინტრიგები შეიძლება ჩაითვალოს „ადამიანებთან მუშაობის უნარად“. ჩვეულებრივ პირობებში, ადამიანი, რომელიც პირფერობით განაწყობს სხვა ადამიანებს თავის სასარგებლოდ, საკუთარი მიზნების მისაღწევად, ან ადამიანებს ერთმანეთის მიმართ უარყოფითად განაწყობს, ითვლება არაგულწრფელ ან დაუნდობელ ადამიანად. მაგრამ სამუშაო ადგილზე ლექსიკონი იცვლება. ნაცვლად იმისა, რომ ადამიანს უწოდონ პირფერი, მას უწოდებენ „მანევრირების უნარის მქონედ“, „დაუნდობლობას“ კი უბრალოდ „პრაქტიკულობას“ უწოდებენ.

ბიზნესის სამყაროში მსგავსი მოვლენების არსებობაზე არავინ

დაობს. მაგრამ არა მარტო „ბიზნესი მოგების გამო“ (როგორც ამ სამყაროს უწოდებენ საქმიანი ადამიანები) წარმოიშობა ამგვარი მოვლენები. ისინი ამა თუ იმ ხარისხით შეიმჩნევა ნებისმიერ ორგანიზაციაში. ის ფაქტი, რომ სამუშაო ადგილებზე ეთიკური სტანდარტები არსებითად განსხვავდება ჩვეულებრივ ცხოვრებაში საზოგადოებაში მიღებული სტანდარტებისაგან, განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა და ფართო საზოგადოების მონაპოვარი გახდა მას შემდეგ, რაც ჩატარდა ბიზნესის რამდენიმე ხელმძღვანელის გამოკითხვა. 1977 წლის გამომცემლობა Harward Business Review-ის მიერ ჩატარდა 1000-ზე მეტი ხელმძღვანელის გამოკითხვა, რომლის დროსაც, შვიდი გამოკითხულიდან ოთხმა განაცხადა, რომ შიდა კონფლიქტები აქვთ იმის გამო, თუ რას მოელიან მათგან როგორც ეფექტიანი მუშაკებისაგან, რომლებიც ზრუნავენ ფირმის მოგებაზე და რა მოეთხოვება მათ როგორც ეთიკურ ადამიანებს. როდესაც ისინი პასუხობდნენ შეკითხვას იმის შესახებ, რომ საყოველთაოდ მიღებულია თუ არა მათთან სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულების დროს ისეთი ქცევები, რომელთაც ისინი არაეთიკურად მიიჩნევდნენ, ორმა მესამედმა ამ კითხვაზე დადებითად უპასუხა. 1977 წელს გამოკითხულ იქნა კორპორაცია Pitney-Bowes-ის დაახლოებით 300 და კორპორაცია Uniroyal-ის 200 მენეჯერი. მათ დაუსვეს შეკითხვა იმის შესახებ, უწევთ თუ არა მათ საკუთარ ეთიკურ პრინციპებთან კომპრომისზე წასვლა კორპორაციული მიზნების მისაღწევად. კორპორაცია Pitney- Bowes-იდან ათიდან შვიდმა მენეჯერმა და კორპორაცია Uniroyal-იდან ათიდან ექვსმა მენეჯერმა უპასუხა, რომ მათ უწევთ ამგვარ კომპრომისზე წასვლა.

12.4. ორგანიზაციის ეთიკური დონის ამაღლების ღონისძიებები

ორგანიზაციები სხვადასხვა ღონისძიებებს მიმართავენ ხელმძღვანელების და რიგითი მუშაკების ქცევის ეთიკურობის ასამა-

ღლებლად. ასეთი ღონისძიებებია: ეთიკური ნორმატივების, ეთიკის რუქების შემუშავება, ეთიკის კომიტეტების შექმნა, სოციალური რევიზიების გატარება და ეთიკური ქცევების სწავლება.

ეთიკური ნორმატივები აღწერენ ზოგად ფასეულობათა და ეთიკის წესების სისტემას, რომლებიც, კორპორაციის აზრით, უნდა დაიცვან მისმა მუშაკებმა. ეთიკური ნორმატივები შემუშავდება კორპორაციის მიზნებიდან გამომდინარე ნორმალური ეთიკური ატმოსფეროს შექმნისა და ეთიკური რეკომენდაციების განსაზღვრისათვის გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.

ეთიკური ნორმატივებით, ჩვეულებრივ, იკრძალება ქრთამი, გამოძალვა, საჩუქრები, კონფლიქტი ინტერესთა შეჯახების საფუძველზე, კანონების დარღვევა მთლიანობაში, თაღლითობა, კომპანიის საიდუმლოებების გაცემა, ფირმის ინტერესების საზიანო კანონსაწინააღმდეგო ქმედებები. ჩვეულებრივ, კორპორაციებს ეთიკური ნორმები მუშაკებამდე დაჰყავთ ნაბეჭდი მასალებით, თუმცა ზოგიერთი ქმნის მუშა ჯგუფებს ეთიკური ნორმატივების დასაცავად.

ეთიკის კომიტეტები. ზოგიერთი კორპორაცია ქმნის ეთიკის მუდმივ კომიტეტს. ასეთი კომიტეტის თითქმის ყველა წევრი უმაღლესი დონის ხელმძღვანელია. ზოგიერთი ორგანიზაცია არ ქმნის ასეთ კომიტეტს, მაგრამ ქირაობს ბიზნესის ეთიკის სპეციალისტს, რომელსაც ეთიკის ადვოკატს უწოდებენ. ასეთი ადვოკატის როლია კორპორაციის ქმედებებთან დაკავშირებული ეთიკური ნორმების გამომუშავება, აგრეთვე ორგანიზაციის „სოციალური სინდისის“ ფუნქციის შესრულება.

ეთიკის რუქები– ეთიკური წესებისა და რეკომენდაციების ერთობლიობა, რომელიც აკონკრეტებს კორპორაციის ეთიკურ კოდექსს კომპანიის თითოეული მუშაკისათვის. იგი მოიცავს აგრეთვე ეთიკურ საკითხებზე კომპანიის კონსულტანტის ვინაობას და ტელეფონს. აღნიშნული მეთოდი აქტიურად გამოიყენება იაპონურ კომპანიებში.

სოციალური რევიზიები – მოწოდებულია კორპორაციის ქმედებების და პროგრამების რეალური ზეგავლენის შესახებ ანგარიშების შესადგენად. სოციალური რევიზიის მიმდევრები თვლიან, რომ ასეთი ტიპის ანგარიშები მეტყველებს კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის დონეზე.

ეთიკური ქცევების სწავლება. ამ დროს მუშაკებს აცნობენ ბიზნესის ეთიკას. ასევე ეთიკა, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა უნივერსიტეტებში, ეთიკის სწავლების კიდევ ერთი ფორმაა.

ბიზნესის მორალურ-ეთიკური ნორმები საუკუნეების მანძილზე მუშავდებოდა, მაგრამ ჩამოყალიბებული სახით უკანასკნელი ასი წლის მანძილზე არსებობს. ცივილიზებული ბიზნესის ეთიკური კოდექსი და მეწარმეთა მორალური სახე შემდეგნაირად შეიძლება იქნეს გადმოცემული: რწმენა საკუთარი შრომის სარგებლობაში როგორც საკუთარი თავისთვის ისე საზოგადოებისათვის; ბიზნესის რწმენა, მისი როგორც მიმზიდველი შემოქმედების აღქმა, ბიზნესთან როგორც ხელოვნებასთან დამოკიდებულება; კონკურენციის აუცილებლობის აღიარება და ამასთან ერთად თანამშრომლობისაკენ მისწრაფება; საკუთარი თავის როგორც პიროვნების და ნებისმიერი პიროვნების როგორც საკუთარი თავის პატივისცემა; ნებისმიერი საკუთრების, ხელისუფლების საზოგადოებრივი მოძრაობების, სოციალური წესრიგის კანონებისადმი პატივისცემა.

საკონტროლო კითხვები:

1. რას გულისხმობს ბიზნესის ეთიკა?
2. რა ადგილი უჭირავს ეთიკის საკითხებს ევროკავშირის ბიზნესში?
3. მოიყვანეთ ქართულ კომპანიებში არაეთიკური ქმედებების მაგალითები;
4. ჩამოთვალეთ ორგანიზაციის ეთიკური დონის ამაღლების ღონისძიებები.

თავი XIII. არასამთავრობო ორგანიზაციების და სამოქალაქო საზოგადოების როლი ევროკავშირის კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაში

13.1 საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი CSR აქტივობებში

პარტნიორობა არის ნებაყოფილობითი და თანამშრომლობითი ურთიერთობა სხვადასხვა მხარეთა/ ორგანიზაციათა შორის, რომლის ფარგლებშიც ყველა მონაწილე ერთად მუშაობს, რათა მიაღწიოს ერთიან მიზანს და იზიარებს რისკებს, პასუხისმგებლობას, რესურსებს, ცოდნასა და სარგებელს.

პარტნიორული პროექტები შეიძლება განახორციელონ ერთი და იმავე სექტორის ორგანიზაციებმა ან სხვადასხვა სექტორის ორგანიზაციებმა (მაგ., ბიზნეს კომპანიებმა, სამოქალაქო ორგანიზაციებმა, სამთავრობო უწყებებმა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებმა).

სექტორთაშორის პროექტებში ბიზნესის მონაწილეობა შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით, როგორც დაფინანსებით, ასევე მასალის, ნედლეულის, აღჭურვილობის ან ექსპერტიზის მიწოდებით ან პროექტის განხორციელებაში მონაწილეობით. მსგავსი პროექტები ხორციელდება შემდეგ სფეროებში: განათლება, ჯანდაცვა, დასაქმება, კულტურა, გარემოს დაცვა და ა.შ.

CSR-ის კონტექსტში სხვადასხვა სექტორებს შორის პარტნიორობას სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება. მისი აღმავლობა დაიწყო 80-იანი წლების ბოლოს, რაც მოჰყვა, ერთი მხრივ გლობალიზაციასა და მდგრადი განვითარების საკითხების წინ წამოწევას, ხოლო მეორე მხრივ, სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებასა და კერძო სექტორის ჩართულობის ზრდას მდგრადი განვითარების საკითხებში.

დასავლეთის ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ ქვეყნების წინაშე არსებული სოციალური, ეკონომიკური თუ ეკოლოგიური გამოწვევების დაძლევა გაცილებით ეფექტურია სხვადასხვა სექტორების რესურსების გაერთიანებით, ვიდრე ცალ-ცალკე.

სხვადასხვა სექტორებს შორის პარტნიორობა წარმოადგენს მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ერთ-ერთს შემადგენელ საკითხსაც. კერძოდ, გაეროს მიერ 2015 წელს მიღებული მდგრადი განვითარების მიზნების ერთ-ერთ მიზანს SDG 17 - თანამშრომლობა საერთო მიზნისთვის წარმოადგენს. რაც ხაზს უსვამს იმას, რომ სექტორებს შორის თანამშრომლობა მძლავრი ინსტრუმენტია მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში.

პარტნიორობის ფარგლებში, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ბიზნესებს საშუალება ეძლევათ გაცვალონ ექსპერტული ცოდნა და კოლაბორაცია განახორციელონ საერთო მიზნების გარშემო. მაგ., გარემოსდაცვითი ორგანიზაცია და ბიზნესი, რომლის პრიორიტეტი გარემოს დაცვაა თავისი საქმიანობის ზეგავლენიდან გამომდინარე, შესაძლოა ერთად ახორციელებდეს პარტნიორულ გარემოსდაცვით პროექტს;

საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ასევე შეუძლიათ ბიზნესს მიაწოდონ მნიშვნელოვანი ცოდნა, უკუკავშირი და გამოცდილებაზე დაფუძნებული ექსპერტული მოსაზრებები ბიზნეს საქმიანობაში ანტიკორუფციულ, შრომითი უფლებების დაცვის, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული, გენდერულად სენსიტიურ და სხვა მიდგომებსა და პრინციპებთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარება ევროკავშირში. სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ისტორია ევროკავშირში დაკავშირებულია სამოქალაქო საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ფორმასთან:

მრავალსაუკუნოვანი საქველმოქმედო საქმიანობები და მუშათა კლუბები მთელს ევროპაში;

Suffragettes- 19-ე საუკუნის ქალების მოძრაობა დიდ ბრიტანეთში არჩევნებში ხმის მიცემის უფლების მოსაპოვებლად,

პოლონეთის მე-19 საუკუნის თავისუფლების მოძრაობა და ახალი სოციალური მოძრაობები 1960-იანი წლებიდან მოყოლებული, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში

1975 წლიდან მოყოლებული ჰელსინკის საბოლოო აქტის შედეგად წარმოქმნილი ადამიანის და სამოქალაქო უფლებების დამცველი ჯგუფები.

ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნებში დღემდე მიდის დისკუსია, თუ ვინ მიუკუთვნება სამოქალაქო საზოგადოებას, მაგ: პოლიტიკური პარტიები, პროფესიული კავშირები და რელიგიური ორგანიზაცები. ამიტომ, ყველა ქვეყანას სხვადასხვა მიდგომა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში.

სამოქალაქო საზოგადოება არის სახელმწიფოსგან, ბიზნესისგან, ოჯახისგან დამოუკიდებელი ასოციაციები და ჯგუფები, რომლებიც გავლენას ახდენენ როგორც საზოგადოებაზე, ისე ხელისუფლებაზე. სამოქალაქო საზოგადოება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

საზოგადოების თითოეული წევრი თავისუფალია;

საზოგადოების ყველა წევრი თანასწორია;

ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ისტორიის საწყისად შეიძლება მიჩნეულ იქნეს 1879 წელი, როდესაც ილია ჭავჭავაძის თაოსნობით პირველი ქართული NGO (არასამთავრობო ორგანიზაცია) - ‘წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება’ დაარსდა. ორგანიზაციის მეშვეობით, საქართველოში ჩამოყალიბდა ეროვნული საგანმანათლებლო სისტემა: საქართველოს მთლიანი მასშტაბით გაიხსნა ათეულობით სკოლა, ბიბლიოთეკები და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები.

საქართველოს თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების ისტორია 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ იწ-

ყება, როდესაც აღმოცენება დაიწყო მცირერიცხოვანმა, რიგითი მოქალაქეებისგან შემდგარმა ორგანიზაციებმა, რომელთაც დღეს „საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უწოდებენ“. 2000-იან წლებში აღნიშნული ორგანიზაციები უკვე საკმაოდ განვითარდნენ და წარმატებულად ოპერირებდნენ ისეთ სფეროებში, როგორიცაა გარემოს დაცვა, ადამიანის უფლებების დაცვა და საგადასახადო პოლიტიკა. დღესდღეობით საქართველოში 1287 მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომლებიც სხვადასხვა საზოგადოებრივ პრობლემებზე მუშობენ აქედან 181 ორგანიზაცია გარემოსდაცვით საქმიანობას ეწევა.

პარტნიორობის მაგალითები საქართველოში. საქართველოში კერძო სექტორისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების პარტნიორობის მაგალითები სულ უფრო მეტად გვხვდება, თუმცა ამ მიმართულებით კიდევ ბევრია სამუშაო ორივე სექტორის მხრიდან.

საქართველოში კერძო სექტორსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლობის მაგალითები:

საქართველოს პრო ბონო ქსელი და პრო ბონო სერვისები.

საქართველოს პრო ბონო ქსელი წარმოადგენს საქართველოში მოქმედი იმ ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიების არაფორმალურ გაერთიანებას, რომელთაც სურთ საკუთარი ექსპერტიზისა და პროფესიული რესურსების გამოყენება საზოგადოების სასიკეთოდ.

პრო ბონო პროგრამები საშუალებას აძლევს კომპანიებს წვლილი შეიტანონ სოციალური და გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრაში ამ პრობლემებზე მომუშავე ორგანიზაციების გაძლიერებით, ხოლო სამოქალაქო ორგანიზაციებს - მიიღონ მაღალკვალიფიციური საექსპერტო დახმარება, რაც მათთვის, მეტწილად, მიუწვდომელია და გახდნენ უფრო ეფექტურები.

პრო ბონო ქსელის მეშვეობით კომპანიები საკუთარ ექსპერტიზასა და ინტელექტუალურ რესურსებს უსასყიდლოდ უზიარებენ სამოქალაქო ორგანიზაციებს და ამ გზით ეხმარებიან სა-

ზოგადოების იმ ჯგუფებს, რომელთა ინტერესებსაც ემსახურება ესა თუ ის სამოქალაქო ორგანიზაცია.

Qwerty-ს და ციფრული პლატფორმა Supergmiri.ge თანამშრომლობა. Supergmiri.ge არის ციფრული პლატფორმა, რომელიც ქველმოქმედების გრძელვადიან და გამჭვირვალე მოდელს გვთავაზობს. საქართველოს მასშტაბით, სუპერგმირის გუნდის წევრები აგროვებენ სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების ისტორიებს, არკვევენ მათ საჭიროებებს, ინტერესებს, შემდეგ აქვეყნებენ თითოეული ბავშვის პროფილს პლატფორმაზე და ეძებენ მისთვის დონორს – სუპერგმირს, რომელიც გაუწევს მას ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას. ყოველთვიურად თითოეული ბენეფიციარი იღებს გზავნილს, სადაც მოთავსებულია მისი ასაკის, ინტერესების, სურვილების შესაბამისი ნივთები, პროდუქტები და მომსახურების ვაუჩერები. პროექტის გუნდი მუშაობს საკომისიოს გარეშე, შემოსული შემოწირულების 100% ბენეფიციარებს ხმარდება.

სუპერგმირის უმთავრესი გამოწვევაა გრძელვადიანი ტექნიკური მხარდაჭერის საჭიროება, რასაც პლატფორმის რთული ფუნქციონალი მოითხოვს. სწორედ ამ მხარდაჭერის მიზნით QWERTY-ს გუნდმა გადაწყვიტა გამხდარიყო პროექტის პარტნიორი. კომპანიის დეველოპერებმა შექმნეს მძლავრი ავტომატიზებული პლატფორმა, რომლის მართვასაც მინიმალური ადამიანური რესურსი სჭირდება, რაც არსებითია სამი ადამიანისგან შემდგარი სუპერგმირის გუნდისთვის.

2022 წლის ბოლოს პლატფორმაზე 450 ბენეფიციარი და 330-ზე მეტი სუპერგმირი იყო რეგისტრირებული; შეგროვდა 900,000 ლარზე მეტი ოდენობის თანხა. პლატფორმის ახალმა ფუნქციურმა შესაძლებლობებმა დონორების კმაყოფილების ხარისხიც გაზარდა. ამჟამად მიმდინარეობს პლატფორმის ინგლისური ვერსიის შექმნა, რაც შესაძლებელს გახდის უცხოელი დონორების მოზიდვასაც.

ნატახტარი და საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ასოციაცია ჩვენი სახლი – საქართველოსთან“. ლიმონათის თითოეული გაყიდული ბოთლიდან რამდენიმე თეთრი ყოველწლიურად, დროის გარკვეულ პერიოდში, ირიცხება ფონდში. შეგროვებულ თანხას განკარგავს პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაცია „ასოციაცია ჩვენი სახლი – საქართველოსთან“ ერთად დაფუძნებული საკოორდინაციო საბჭო. კომპანია წინასწარ ავრცელებს ინფორმაციას ამ აქციის შესახებ, რათა წაახალისოს ქველმოქმედებაში საზოგადოების თანამონაწილეობა და გაზარდოს გაყიდვები.

„ნატახტარისა“ და საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ასოციაცია ჩვენი სახლი – საქართველო“ ძალისხმევით შემუშავდა ბენეფიციარების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მუშაობის მოქნილი სქემა, რომელიც, საჭიროებების მიხედვით სთავაზობს ახალგაზრდებს სამოქალაქო განათლებას, სოციალური უნარების განვითარებას, პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერებას, პროფესიულ კონსულტაციებს, პროფესიის/ხელობის დაუფლებას, სტაჟირებას და ა.შ. დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების პროცესში მოზარდების მაქსიმალურად ხელშესაწყობად ფონდი აქტიურად თანამშრომლობს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ბიზნესსექტორთან და თვითმმართველობებთან.

ბენეფიციარებს, რომლებსაც სისტემის დატოვების შემდეგ არსად აქვთ წასასვლელი, ფონდი სთავაზობს სასტიპენდიო პროგრამას ბინის ქირის, კვების და მგზავრობის ხარჯების დასაფარად.

2011 წლიდან დღემდე შეგროვებული 841,835 ლარით, ფონდი „ნატახტარი“ 500-ზე მეტი მოზარდსა და ახალგაზრდას დაეხმარა; მათგან 300 უკვე წარმატებით დასაქმდა, ხოლო 23 ბენეფიციარი ამჟამად სტუდენტია.

პროექტი „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა“

ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზო-

გადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“ მიზნად ისახავს გააძლიეროს სამოქალაქო საზოგადოება როგორც დამოუკიდებელი, მდგრადი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული აქტორი მთელი საქართველოს მასშტაბით.

პროექტს სამი კონკრეტული ამოცანა აქვს:

- საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების მდგრადი განვითარებისთვის საჭირო სამართლებრივი და ფინანსური გარემოს გაუმჯობესება, მათ შორის, სახელმწიფო დაფინანსების გამჭვირვალობა და არასახელმწიფო დაფინანსების გამრავალფეროვნება, ბიზნესის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კულტურის პოპულარიზაცია.

- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და მათ სამიზნე აუდიტორიას შორის კავშირების გამყარება, მათ შორის, სამოქალაქო ღირებულებების პოპულარიზაცია, საზოგადოების სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული საქმიანობის წახალისება.

- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება და სამოქალაქო სექტორის ინსტიტუციური გაძლიერება ქვეყნის მასშტაბით, განსაკუთრებით საჯარო პოლიტიკაზე ზედამხედველობისა და ადვოკატირების თვალსაზრისით.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - CSRDG, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

პროექტი ფარავს თბილისსა და 10 რეგიონს: იმერეთი, გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი, აჭარა, სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი. აღნიშნულ რეგიონებში, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებიდან შეირჩა რეგიონული

ჰაბები, რომლებიც თავის მხრივ, ხელს უწყობენ ინფორმაციის, გამოცდილებისა და შესაძლებლობების გაცვლას, უზრუნველ-ყოფენ პროექტის აქტივობების შესახებ რეგიონში ინფორმაციის გავრცელებას, წარმართავენ ადგილობრივ აქტორებთან (სამო-ქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, თვითმმართველობა, ადგილობრივი ბიზნესი, მედია, მოხალისეები, ახალგაზრდები და სხვ.) პროექტის საერთო ბიუჯეტია 6 მლნ ევრო. 2024 წლის ბოლომდე პროექტის ფარგლებში განხორციელდება 200-ზე მეტი სხვადასხვა სახის ღონისძიება და გაიცემა 1.8 მლნ ევროს საერთო მოცულობის 216 გრანტი.

"სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა" ემყარება ევრო-კავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის "სამოქალაქო საზო-გადოების განვითარების ინიციატივა" (CSSIGE 2017-2020) განხორ-ციელების პროცესში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას. პროექტის ოფიციალური ფეისბუქ გვერდი: Civil Society STAR Initiative.

13.2 გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები

არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაცია, ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა" დაარსდა 2000 წელს. ამჟამად ორგა-ნიზაციას ჰყავს 12 აქტიური წევრი და 10 თანამშრომელი. ორგა-ნიზაცია მიზნად ისახავს მდგრადი განვითარებისათვის ეკონო-მიკური და პოლიტიკური საფუძვლების შექმნის ხელშეწყობას; გარემოსდაცვით საქმიანობაში შესაბამისი სამთავრობო უწყებების, ბიზნესის წარმომადგენლების, სამეცნიერო ორგანიზაციებისა და ცალკეული პირების ჩართვის მხარდაჭერას; მდგრადი განვითა-რების, გარემოს კონსერვაციისა და აღდგენის ხელშემწყობი ფართო სოციალური ალიანსების შექმნას; ადგილობრივ ან ეროვ-ნულ დონეზე ლობირების გზით გარემოსდაცვითი და სოცია-ლური თვალსაზრისით დესტრუქციული პოლიტიკისა და პროექ-

ტების შეცვლას ან შეჩერებას და მისაღები ალტერნატივების ხელ-შეწყობას. ორგანიზაცია მიზნად ისახავს მდგრადი განვითარე-ბისათვის ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლების შექმნის ხელშეწყობას; გარემოსდაცვით საქმიანობაში შესაბამისი სამთავ-რობო უწყებების, ბიზნესის წარმომადგენლების, სამეცნიერო ორგანიზაციებისა და ცალკეული პირების ჩართვის მხარდაჭერას; მდგრადი განვითარების, გარემოს კონსერვაციისა და აღდგენის ხელშემწყობი ფართო სოციალური ალიანსების შექმნას; ადგი-ლობრივ ან ეროვნულ დონეზე ლობირების გზით გარემოსდაც-ვითი და სოციალური თვალსაზრისით დესტრუქციული პოლი-ტიკისა და პროექტების შეცვლას ან შეჩერებას და მისაღები ალტერნატივების ხელშეწყობას.

ნაკრესი - არაფორმალურად დაარსდა წელს, ხოლო წელს დარეგისტრირდა როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია სახელწოდებით გადაშენების პირას მყოფი სახეობების აღდგენის ცენტრი ნოეს კიდობანი“. მოგვიანებით კანონის მოთხოვნის შესაბაბამისად ცენტრი ხელახლა დარეგისტრირდა და სახელიც გადაერქვა როგორც სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო კვლე-ვითი ცენტრი ამდენად ნაკრესი“ არის რეგისტრირებული არასა-მეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი ცენტრის მისიაა ქვეყნის ბიომრავალფეროვნების დაცვის, შენარჩუნებისა და აღდ-გენის ხელშეწყობა; მისი საქმიანობა ეფუძნება სამეცნიერო კვლე-ვებს და ხორციელდება საქართველოს რეგიონებში ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების წახალისების, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისა და ბუნების დაცვით საქმიანობაში მათი ინტენსიური ჩართვის საშუალებით.

ნაკრესის მთავარი ამოცანებია:

საქართველოს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეო-ბებისა და ჰაბიტატების აღდგენა და კონსერვაცია;

ბუნებრივი ეკოსისტემების კონსერვაცია დაცული ტერიტო-რიებისა და სხვა ქსელების ეფექტურობის ამაღლების ხელშეწყობა;

ადამიანის ზემოქმედების, გაუდაბნოებით ან კლიმატის ცვლილებით დეგრადირებული ეკოსისტემების ეფექტური მართვის წახალისება;

ადამიანსა და ველურ ბუნებას შორის კონფლიქტის შემსუბუქება, სათანადო კვლევების, შედეგზე ორიენტირებული ქმედებების, ეფექტური შემარბილებელი ინსტრუმენტებისა და მექანიზმების დანერგვის საშუალებით;

ფართო საზოგადოებასა და ბიოლოგიური რესურსების მომხმარებლებზე ორიენტირებული ცნობიერების ამაღლებისა და გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო საქმიანობების განხორციელება;

სტრატეგიული გარემოსდაცვითი დოკუმენტებისა და შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავებაში მონაწილეობა.

CENN არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც იცავს გარემოს სამხრეთ კავკასიაში და ამით ხელს უწყობს რეგიონში მდგრად განვითარებას. ორგანიზაცია ეხმარება საზოგადოებრივ და კერძო სექტორს, მთავრობასა და ადგილობრივ თემებს მათ წინაშე არსებული გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარებაში, წარმატებული სოციალური აქტივობების განხორციელებასა და რესურსების ეფექტიან მართვაში. ამ პროცესში აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სექტორსა და ორგანიზაციასთან.

CENN-ის მისიის ნაწილია მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, რომელიც მრავალ ასპექტს მოიცავს, მათ შორის, გარემოს დაცვას, კლიმატის მედეგობას, ინკლუზიურ ზრდას, კარგ მმართველობას. ამის მისაღწევად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მულტისექტორულ თანამშრომლობას. CENN-ს კერძო სექტორთან მუშაობის მდიდარი გამოცდილება გააჩნია. ნარჩენების მართვის წინა პროგრამის ფარგლებში, USAID- ის დაფინანსებით დააარსდა საქართველოს ნარჩენების მართვის ასოციაცია, რომელიც თანამშრომლობის, ადვოკატირებისა და კოორდინაციის პლატფორმა გახდა. მულტისექტორული პარტნიორობის კიდევ ერთი მნიშვნე-

ლოვანი მაგალითია თანამშრომლობა ამერიკის სავაჭრო პალატასთან (AmCham). CENN-მა შექმნა AmCham-ის გარემოს დაცვის კომიტეტი და რეგულარულად ატარებს საკოორდინაციო შეხვედრებს, რათა განიხილონ გარემოსდაცვით საკითხებზე პოტენციური თანამშრომლობა.

მულტისექტორული მიდგომით განხორციელდა ბრიტანეთის საელჩოს მიერ მხარდაჭერილი სასურსათო ნარჩენების პროექტი, რომლის საჭიროება ბოლო პერიოდში განსაკუთრებით მწვავედ დადგა. დაარსდა მრავალდარგობრივი პლატფორმა – სურსათის დონაციის სამუშაო ჯგუფი, რომელიც კერძო სექტორისა და საქველმოქმედო ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტდა. დაიწყო სამთავრობო უწყებებთან დიალოგი, რომლის შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები არსებული რეალობის გათვალისწინებით. ზოგადად, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის კერძო სექტორთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია, რაც განაპირობებს უფრო ფართო მასშტაბის საკითხების დაფარვას, მდგრადობას და რესურსების გადანაწილებას.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის პარტნიორობა?
2. რა როლს ასრულებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები CSR აქტივობებში?
3. რამ განაპირობა სამოქალაქო საზოგადოების განვითარება ევროკავშირში?
4. რა გავლენას ახდენენ სამოქალაქო საზოგადოებები ხელისუფლებაზე? დაახასიათეთ CSR სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობა;
5. რას ისახავენ მიზნად გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები?

თავი XIV. ევროკავშირი საქართველოში

14.1 ევროკავშირის ორგანიზაციები საქართველოში

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში შეუიარაღებელი სამოქალაქო სადამკვირვებლო მისიაა. იგი ევროკავშირის მიერ 2008 წლის 15 სექტემბერს დაარსდა. 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ, ადგილზე სიტუაციის სტაბილიზაციის ხელშესაწყობად, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ 200-ზე მეტი სამოქალაქო დამკვირვებელი გამოიგზავნა. ისინი საქართველოსა და რუსეთის მიერ ევროკავშირის შუამავლობით ხელმოწერილ 12 აგვისტოს ექვსპუნქტიან შეთანხმებასა და 2008 წლის 8 სექტემბრის განხორციელების ზომების ხელშეკრულებასთან ყველა მხარის შესაბამისობში ყოფნას აკვირდებიან. მისიის მანდატი სტაბილიზაციას, ნორმალიზაციას, ნდობის აღდგენას და ასევე, ევროპული პოლიტიკის განმსაზღვრელი სტრუქტურების ინფორმირების მიზნით, ევროკავშირისათვის ანგარიშების წარდგენას მოიცავს, რაც რეგიონში ევროკავშირის სამომავლო ჩართულობას უწყობს ხელს.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გარდა, საქართველოში ევროკავშირის ორი ძირითადი დაწესებულება ფუნქციონირებს:

- ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში და საქართველოში კრიზისის საკითხებში;
- ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში

ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში არის ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის და ბრიუსელში მომუშავე ევროკომისიის წარმომადგენელი სტრუქტურა, რომელიც ქვეყანაში ევროკავშირისა და მისი მოქალაქეების წარმოდგენაში, კავშირებისა და პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

წარმომადგენლობის როლი არის საქართველოში ევროკავშირის წარმოდგენა, ევროკავშირის ღირებულებების პოპულარიზაცია და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების განმტკიცება. წარმომადგენლობა პასუხისმგებელია ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების ყველა მნიშვნელოვან სფეროზე (პოლიტიკა, ეკონომიკა, ვაჭრობა, ადამიანთა უფლებები), აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელ პარტნიორებთან ურთიერთობების დამყარება.

2023 წელს გამოქვეყნდა 2022 წლის ევროკავშირის ყოველწლიური ანგარიში მსოფლიოში ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის მდგომარეობის შესახებ ქვეყნების მიხედვით. (დოკუმენტის სრული ანგარიში იხილეთ ბმულზე: https://europa.eu/!VR8Njr, ანგარიშის ნაწილი, რომელიც საქართველოს შეეხება, იხილეთ 38-40-ე გვერდზე (ქართულ ენაზე)). დოკუმენტში საუბარია ევროკავშირის საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე.

ევროკავშირი საქართველოში სამუშაოდ ხელმძღვანელობს ასოცირების შესახებ შეთანხმებითა და ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის სფეროში ევროკავშირის სამოქმედო გეგმით 2020-2024 წლებისთვის. 2022 წელს ევროკავშირმა ყურადღება გაამახვილა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერებაზე, უთანასწორობის შემცირებაზე, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მხარდაჭერასა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებაზე, რომ მან თავისი სამოქალაქო უფლებების წინ წამოწევა და დაცვა შეძლოს. ევროკავშირი ადვოკატირებას უწევდა და ხელს უწყობდა ბავშვთა და შშმ პირთა უფლებების განხორციელებას, გენდერული თანასწორობის წინ წამოწევას და გენდერული და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას.

2022 წლის განმავლობაში ევროკავშირი ჩართული იყო რეგულარულ პოლიტიკურ დიალოგში საქართველოსთან, მათ შორის ადამიანის უფლებების საკითხებზე.

ევროკავშირმა მნიშვნელოვანი ძალისხმევა მიმართა საქართველოს წახალისების მიზნით, შეემუშავებინა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის. ეს მოიცავდა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში პრემიერ-მინისტრის მრჩეველთან რეგულარულ შეხვედრებს გაეროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, მათ შორის ევროკავშირის HumanRights4all პროგრამის ფარგლებში. მთავრობამ სტრატეგია მოიწონა ასოცირების საბჭოს სხდომის წინ და ის პარლამენტმა უნდა მიიღოს. დოკუმენტში საუბარია ევროკავშირის ფინანსურ ჩართულობაზეც.

„ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის კუთხით კვლავ მოწინავე პოზიციებზე იყო ადამიანის უფლებების სფეროში მასშტაბური პროგრამების განხორციელებისა და სისტემური საინფორმაციო - საგანმანათლებლო ღონისძიებების საშუალებით. ძირითადი დახმარება EU4Human Rights პროგრამის ფარგლებში განხორციელდა (11 მლნ ევრო). პროგრამის მიზანია ადამიანის უფლებების, მათ შორის უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვის გაძლიერება, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, სამართალდამცავ ორგანოებზე შიდა და გარე ზედამხედველობა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა, ბავშვის უფლებების დაცვა და ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერა.

2022 წლის განმავლობაში ევროკავშირის წარმომადგენლობა მხარს უჭერდა სამოქალაქო საზოგადოებას, როგორც კარგი მმართველობისა და სოციალურ-ეკონომიკური ზრდის მძლავრ გამტარებელს. დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ევროპული ინსტრუმენტის (EIDHR) ქვეყნის მიხედვით მხარდაჭერის სქემების (CBSS) ფარგლებში მიღებული გრანტებით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ახორციელებენ პროექტებს, რომლებიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: ეთნიკური უმცირესობების

სოციალური და ეკონომიკური უფლებები, შეზღუდული შესაძ-ლებლობის მქონე პირთა უფლებები, ჯანმრთელობის უფლება, სამუშაო ადგილზე გენდერული თანასწორობის წინ წამოწევა და ასევე თანაბარი, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები საქარ-თველოში.

ევროკავშირის ორმხრივ დახმარებას ამ სფეროში ავსებს ევრო-კავშირის მიმდინარე რეგიონული პროგრამა EU4Gender Equality აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის, 8 მლნ ევროს ოდენობის საერთო ბიუჯეტით. სასამართლო სისტემის რეფორ-მებს მხარს უჭერდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგ-რამა კარგი მმართველობისთვის PGG II, რომელსაც ევროპის საბ-ჭო ახორციელებს. საქართველოში განხორციელებული კომპონენ-ტები სასამართლოსა და სასამართლოს ადმინისტრირების, სტა-ტისტიკის შეგროვების, იუსტიციის უმაღლესი სკოლის, უზენაესი სასამართლოს, დამოუკიდებელ ინსპექტორის და სხვების მხარდა-ჭერას უზრუნველყოფდა, - ნათქვამია ანგარიშში.

ანგარიშის თანახმად, საქართველომ 2022 წლის განმავლო-ბაში მრავალმხრივი ჩართულობა გააგრძელა.

საქართველომ 2022 წლის განმავლობაში მრავალმხრივი ჩარ-თულობა გააგრძელა. იგი არჩეული იყო გაეროს ადამიანის უფლე-ბათა საბჭოს წევრად 2023-2025 წლებისთვის. 2022 წლის მარტში, ადამიანის უფლებათა საბჭომ მიიღო რეზოლუცია გაეროს ადამი-ანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მხრიდან ტექნიკური დახ-მარების გაგრძელების შესახებ, რომელიც მიმართულია ადამიანის უფლებების მდგომარეობაზე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგი-ონში/სამხრეთ ოსეთში. საქართველოს მიერ წარმოდგენილი რეზოლუციით, ადამიანის უფლებათა კომისარი სთხოვდა უმაღ-ლეს კომისარს წარმოედგინა განახლებული ინფორმაცია (ზეპირი მოხსენების სახით) და წერილობითი ანგარიში ორ თვითგამოც-ხადებულ რეგიონში ადამიანის უფლებების მდგომარეობასთან დაკავშირებულ მოვლენებთან მიმართებაში.

9 ივნისს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ კენჭისყრის საშუალებით მე-15-ჯერ მიიღო საქართველოს რეზოლუცია „აფხაზეთიდან (საქართველო) და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან (საქართველო) იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“.

წლის განმავლობაში საქართველოს საკითხი ასევე განიხილეს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა, რომელიც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების კონვენციის შესრულებას აკვირდება და რასობრივი დისკრიმინაციის აღკვეთის კომიტეტმა. საქართველოსთან ამ დიალოგების დროს გაეროს შესაბამისმა საკონვენციო ორგანოებმა გამოხატეს შეშფოთება საქართველოს თვითგამოცხადებულ რეგიონებში - აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ადამიანის უფლებების მდგომარეობასთან დაკავშირებით, მათ შორის სიცოცხლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების, გადაადგილების თავისუფლების დარღვევებთან დაკავშირებით და ასევე სხვა გამოწვევებთან მიმართებაში COVID-19 პანდემიის კონტექსტში“.

14.2. საქართველოს ევროპული პერსპექტივა[30]

2023 წლის 14 დეკემბერს საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიენიჭა.

ევროკავშირი უნიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობის, კეთილდღეობისა და თავისუფლების უზრუნველყოფას უფრო სამართლიან და უსაფრთხო სამყაროში. ევროკავშირი ეფუძნება ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა ადამიანის ღირსების, თავისუფლების, თანასწორობის, კანონის უზენაესობის პატივისცემა, აგრეთვე, ადამიანის უფლებების პატივისცემა. ეს ფასეულობები აერთიანებს ევროკავშირის 27 წევრ ქვეყანას რომელსაც ახასიათებს პლურა-

[30] გამოყენებულია https://infocenter.gov.ge/eu/european-union მასალები

ლიზმი, ტოლერანტობა, სამართლიანობა, სოლიდარობა და თანასწორობა მის 446 მლნ მოქალაქესთან მიმართებაში.

ევროკავშირში ერთიანი ვალუტა – ევრო მოქმედებს, რომელიც ქმნის ევროზონას, სადაც ევროკავშირის 19 სახელმწიფოა გაერთიანებული. ევროკავშირის ერთიანი ბაზრის ქვაკუთხედია საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ადამიანების თავისუფალი გადაადგილება, ცნობილი როგორც „ოთხი თავისუფლება“. მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) საქართველოს აძლევს საშუალებას ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. მეოთხე თავისუფლებას – ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას ხელს უწყობს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესი.

საქართველო, მისი ფასეულობებით, ყოველთვის იყო ევროპული ცივილიზაციის, მისი გეოგრაფიული, კულტურული და ისტორიული სივრცის განუყოფელი ნაწილი. საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე გააკეთა სტრატეგიული არჩევანი და ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია ქვეყნის განვითარების უპირობო მიმართულებად დაისახა. ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა მეოთხედ საუკუნეზე მეტს ითვლის და დღეს, ჩვენ უფრო ახლოს ვართ ევროკავშირთან, ვიდრე ოდესმე. საერთო ევროპულ სივრცეში ინტეგრაცია დღეს საქართველოს საგარეო პოლიტიკის უცვლელი ორიენტირია.

საქართველო ეტაპობრივად და თანმიმდევრულად უახლოვდება ევროკავშირს საერთო ევროპული ფასეულობებისა და პრინციპების დაცვით, საუკეთესო ევროპული სტანდარტებისა და ნორმების დანერგვით ყველა დარგში. დღეს, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები განსაკუთრებული დინამიურობით გამოირჩევა, რაც ჩვენი ქვეყნისთვის როგორც პოლიტიკური, ასევე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის მატარებელია. ბოლო წლების

მანძილზე, საქართველოს მთავრობის ძალისხმევის, განხორციელებული მდგრადი რეფორმებისა და ევროკავშირთან ინტენსიური და წარმატებული თანამშრომლობის შედეგად, მიღწეულ იქნა ისტორიული მნიშვნელობის შედეგები.

უპირველეს ყოვლისა, ხაზი უნდა გაესვას „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ხელმოწერას, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტის ჩათვლით, რამაც თვისობრივად ახალ ეტაპზე გადაიყვანა ევროკავშირთან ჩვენი ურთიერთობები და დასაბამი დაუდო ევროკავშირთან ჩვენი პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესს; საქართველო შეუერთდა ენერგეტიკულ გაერთიანებას, რაც ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებას უფრო გაამყარებს; საქართველოს მოქალაქეებისთვის შემოღებულ იქნა უვიზო რეჟიმი შენგენის სივრცეში, რაც მოსახლეობისთვის ყველაზე ხელშესახები შედეგია; ევროკავშირთან გვაქვს მაღალი დონის სტრატეგიული დიალოგი უსაფრთხოების საკითხებზე, სადაც განიხილება უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში არსებული საერთო გამოწვევები.

ასოცირების შეთანხმების წარმატებით განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ევროპული კუთვნილების გამყარების, ევროინტეგრაციის პროცესის შეუქცევადობისა და ევროპული პარტნიორების მხრიდან საქართველოს პოლიტიკური მხარდაჭერისათვის, მათ შორის ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ასოცირების შეთანხმება, პრაქტიკულად, საქართველოს მოდერნიზაციის სამოქმედო გეგმაა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროს ეხება. ევროინტეგრაციის პრიორიტეტები სრულ თანხვედრაშია საქართველოს მთავრობის რეფორმების გეგმებთან და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხედვასთან.

წარმატებით მიმდინარე რეფორმები ემსახურება ადამიანის უფლებების დაცვის განმტკიცებას, დემოკრატიის გაღრმავებას,

მეტ გამჭვირვალობას, ეფექტიან მმართველობას, უსაფრთხოებისა და რეგიონული თანამშრომლობის განმტკიცებას, მომხმარებელთა და საკუთრების უფლებების დაცვას, უკეთეს განათლებას, ჯან-დაცვას და ა.შ.

ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შეუქცევადობის გამყარების მიზნით ქვეყნის კონსტიტუციაში შე-ტანილი იქნა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც მიღებული უნდა იქნეს ყველა ზომა ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგ-რაციის უზრუნველსაყოფად.

საკონტროლო კითხვები:

1. ევროკავშირის რა ორგანიზაციები ფუნქციონირებს საქართველოში?
2. რა ფუნქციები ეკისრება ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში?
3. რა მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის ევროკავშირთან ინტეგრაციას?

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის“ https://www.asocireba.ge/show_article.php?id=30&id=30

2. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2014-2020 წლებისათვის http://gov.ge/files/428_51453_705840_Strategy-GEO(1).pdf

3. თაკალანძე ლ., კორპორაციული სოციალური პასუხის-მგებლობა და ეთიკა. ევროკავშირის გამოცდილება, დამხმარე სახელმძღვანელო, მე-2 შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2021 https://elibrary.sou.edu.ge/ge/books/korporatsiuli-sotsialuri-pasukhismgebloba-da-etika/895

4. თაკალანძე ლ., კორპორაციული სოციალური პასუხის-მგებლობა და ეთიკა. თბ.., გამომც., ინოვაცია, 2006

5. თაკალანძე ლ., ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა საერთაშორისო ბიზნესში, თბ., გამომც. უნივერსალი, 2016

6. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სახელ-მძღვანელო. 2012. https://pdfcoffee.com/qdownload/csr-masnual-final-pdf-reduced-and-protected--pdf-free.html

7. კაპანაძე ა. ეკო-მეგობრული კომპანიები. რომელთა მიზნებიც მოგების მაქსიმიზაციას სცილდება. 2021 https://www.sustainability.ge/eco-friendly-companies/

8. ნაჭყებია ლ. საზოგადოებრივი წნეხი, როგორც კორპო-რაციული გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ზრდის კატალი-ზატორი ტრანსნაციონალურ კორპორაციებში. 2020 https://www.sustainability.ge/cer-2/

9. მაკკორმიკი ჯ. ევროკავშირის პოლიტიკა, კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ., 2016

10. ორგანიზაციისათვის საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების წესის და რეესტრის წარმოების შესახებ https://csrgeorgia.com/ka/csr-in-georgia/public-policy?id=4

11. პაპავა ლ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2002 https://european-union.europa.eu/index_en

12. საქართველოს ევროპული პერსპექტივის გახსნა, 2018 https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/15302.pdf

13. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf

14. საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაცემული შემოწირულობის გამოქვითვა მოგების გადასახადიდან გზამკვლევი სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, თბ., 2013 https://csogeorgia.org/storage/app/uploads/public/5cd/c9b/315/5cdc9b31596df791976805.pdf

15. სოციალური მეწარმეობა, სოციალური საწარმოები და მათი ეკოსისტემა - ევროპული პრაქტიკის მიმოხილვა. სამაგიდო კვლევის ანგარიში, თბ., 2020 https://civilin.org/wp-content/uploads/2021/08/Social_Enterprises_and_their_Ecosystem.pdf

16. სოციალური მეწარმეობა https://ka.wikipedia.org/wiki/სოციალური_მეწარმეობა

17. ევროპის საბჭო შეზღუდული შესაძლებლობების სტრატეგია 2017–2018 https://rm.coe.int/disabilty-strategy-human-rights-a-reality-for-all-georgian-language/1680764a86

18. ევროკავშირი საქართველოსთვის, ერთად კოვიდის წინააღმდეგ https://eu4georgia.eu/ka/together-against-covid-19/

19. ევროკავშირის 2022 წლის ყოველწლიური ანგარიში მსოფლიოში ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის მდგომარეობის შესახებ ქვეყნების მიხედვით, https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/2022-წლის-ევროკავშირის-ყოველწლიური-

ანგარიში-მსოფლიოში-ადამიანის-უფლებებისა-და-დემოკრატიის_ka?mibextid=Zxz2cZ&s=221

20. ხოფერია ლ. 2011. კორპორაციული სოციალური პასუხის-მგებლობა და საჯარო სექტორის როლი. საქართველოს სტრატე-გიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი N[1] 120. http://eugeorgia.info/ka/article/579/qartuli-kompaniebi-agrdzeleben-csr-is-evropul-tradiciebs-saqartveloshi/

21. ხოფერია ლელა, კორპორაციული სოციალური პასუხის-მგებლობა და საჯარო სექტორის როლი (ანალიტიკური მიმო-ხილვა და რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას), თბილისი, 2012 https://csrgeorgia.com/uploads/publications/CSR_Public_sector.pdf

22. ხოფერია ლ., კორპორაციული სოციალური პასუხისმგე-ბლობის სახელმძღვანელო მცირე და საშუალო კომპანიებისათვის, თბ., 2018 https://csogeorgia.org/storage/app/uploads/public/5cd/c9b/b9a/5cdc9bb9af642992668335.pdf

23. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება https://tbilisi.gov.ge/ [უგ.12.10. 2021]

24. Debra, Johnson and Colin, Turner. (2016) European Business. The third edition

25. Aguilera, R., Rupp, D. & Ganapathi, J. 2007. Putting the S back in Corporate Social Responsibility: A Multilevel Theory of Social Change in Organizations. *Academy of Management Review*. 32 (3): 836– 863.

26. Arthaud-Day, M. L. 2005. Transnational Corporate Social Responsibility: A Tri-Dimensional Approach To International CSR Research. *Business Ethics Quarterly.* 15 (1):1-22.

27. Aupperle, K. E., Carroll, A. B. & Hatfield, J. D. 1985. An Empirical Examination of the Relationship between Corporate Social Responsibility and Profitability. *Academy of Management Journal*. 28 (2):. 446-463.

28. Baker, M. 2008. Arguments Against Corporate Social Responsibility - And Some Answers.*mallenbaker.net: Corporate Social Responsibility*.http://www.mallenbaker.net/csr/against.php [08.11.2011]

29. Bassen, A., Jastram, S. & Meyer, K. 2005. Corporate Social Responsibility: Eine

Begriffserläuterung. *Zeitschrift für Wirtschafts- und Unternehmensethik.* 6 (2): 231-236.

30. Brønn, P. S. & Vrioni, A. B. 2011. Corporate Social Responsibility and Cause-Related Marketing: an Overview. *International Journal of Advertising*. 20: 207–222.

31. Byus, K., Deis, D. & Ouyang, B. 2010. Doing Well by Doing Good: Corporate Social

Responsibility and Profitability. *Advanced Management Journal.* Winter. 198

32. Campbell, J. L. 2007. Why Would Corporations Behave in Socially Responsible Ways? An Institutional Theory of Corporate Social Responsibility. *Academy of Management Review.* 32 (3): 946–967.

33. Carroll, A. B. 1991. The Pyramid of Corporate Social Responsibility: Toward the Moral Management of Organizational Stakeholders. *Business Horizons.* July-August.

34. Carroll, A. B. 1999. Corporate Social Responsibility: Evolution of a Definitional Construct.*Business and Society*. 38 (3): 268 – 295, September.

35. Corporate Watch. Corporate Crimes. Pharmaceutical Industry: Sector Overview. *Corporate Watch*. London, UK. http://www.corporatewatch.org.uk/?lid=315 [11.11.2011]

36. Dahlsrud, A. 2006. How Corporate Social Responsibility is Defined: An Analysis of 37 Definitions. *Corporate Social Responsibility and Envitonmental Management*. 15 (1): 1-13.

37. Darsono, L. I. 2009. Corporate Social Responsibility and Marketing: What Works and What Doesn't. *Gadjah Mada International Journal of Business*. 11 (2): 275-293, May-August.

38. European Commission. 2001. Promoting a European Framework for Corporate Social Responsibility. *Green Paper. Brussels: European Commission*. http://eurlex.europa.eu/LexUriServ/site/en/com/2001/com2001_0366en01.pdf [13.11.2011]

39. European Commission. 2007. Corporate Social Responsibility. National Public Policies in the European Union. *Luxembourg: Office for*

Official Publications of the European Communities. http://www.lm.gov.lv/upload/darba_devejiem/ec_csr_national_policies_2007_en.pdf [13.11.2011] 201

40. European Commission. Definition of Corporate Social Responsibility. http://europa.eu/legislation_summaries/employment_and_social_policy/employment_rights_and_work_organisation/n26034_en.htm [12.11.2011]

41. Jennifer A. Zerk, Multinationals and Corporate Social Responsibility: Limitations and Opportunities in International Law (Cambridge University Press 2006.

42. Geva, A. 2008. Three Models of Corporate Social Responsibility: Interrelationships between Theory, Research, and Practice. *Business and Society Review*. 113 (1): 1–41.

43. JA Aragón-Correa, et al., 'The natural environmental strategies of international firms: old controversies and new evidence on performance and disclosure' (2016) 30 The Academy of Management Perspectives.

44. John Knox, Statement on Transnational Corporations and Environmental Harm (2014).

45. Kanji, G. K. & Chopra, P. K. 2010. Corporate Social Responsibility in a Global Economy.*Total Quality Management*. 21 (2): 119–143, February.

46. Milton Friedman, 'The Social Responsibility of Business is to Increase its Profits' (1970).

47. Private Sector Contribution to Georgia's 2020 Voluntary National Review on Sustainable Development Goals, Global Compact Network Georgia, 2020 https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/26446GCNG_Report_Private_Sector_Contribution_to_SDGs_in_Georgia.pdf

48. Focus CSR: The new communication of the EU commission on CSR and National CSR strategies and action plans – European sustainable Development network – 2011 http://eugeorgia.info/ka/article/579/qartuli-kompaniebi-agrdzeleben-csr-is-evropul-adiciebs-saqartveloshi/

49. Crane, Andy. (2003) Business Ethics: A European Perspective p.506

50. Corporate Social Responsibility: A European Perspective. By Ramon Muller at. Vol. 13 No.6 June 2013.Published with the support of the European Commission. The Jean Monnet/Robert Schuman Paper Series

51. EU Strategy on Corporate Social Responsibility. https://www.switchtogreen.eu/eu-strategy-on-corporate-social-responsibility/

52. Corporate Social Responsibility (CSR): EU and National Activities in Promoting CSR, Improving Environmental Standards in Business.

53. Theodore Metaxas, Maria Tsavdaridou, Social Responsibility in Europe: Denmark, Hungary and Greece Journal of Contemporary European Studies, http://dx.doi.org/10.1080/14782801003638679

ვებ-გვერდები:

www.asocireba.ge
www.csrgeorgia.com
www.csreurope.org
www.eiec.gov.ge
www.eugeorgia.info
www.sustainability.ge
www.vangoghlife.ru
www.myrights.gov.ge
www.matsne.gov.ge
www.economy.ge
www.sdgs.un.org
www.gov.ge
www.eur-lex.europa.eu
www.wikipedia.org
www.matsne.gov.ge
www.cenn.org
www.caucasusbarometer.org
http://csrblog.ge/category
https://www.sgp.ge/ge/csr/
https://eeu.edu.ge/portfolio/inclusive/

https://www.pinterest.com/pin/65302263326546226/
https://fortuna.ge/fortuna/post/acharabetma-shshm-pirebis-uflebebis-dacvis-dghestan-dakavshirebit-ghonisdzieba-gamarta
https://pia.ge/news/biznesi/liberti-sotsialuri-satsarmo-chu-s-mkhardamcheria
https://www.greens.ge/storage/publications/October2021/yY6fYirpZFij2rvG9fJC.pdf
https://idfi.ge/ge/monitoring_covid-
https://eu4georgia.eu/ka/together-against-covid-19/

სემინარული მეცადინეობები თემაზე:

თავი I. CSR-ის გლობალური ტენდენციები;

თავი II. არგუმენტები CSR-ის სასარგებლოდ და წინააღმდეგ. სიტუაციური ანალიზი თემაზე: CSR-ის ამერიკული და ევროპული მოდელი;

თავი III. CSR-ის განვითარება ევროკავშირში. სიტუაციური ანალიზი თემაზე: CSR და მდგრადი განვითარება, ევროკავშირის CSR ორგანიზაციები;

თავი IV. ევროკავშირთან საქართველოს ინტეგრაცია, CSR-ის განვითარების ეტაპები საქართველოში. დისკუსია - დებატები;

თავი V. CSR და სახელმწიფო: ურთიერთქმედება და ინსტრუმენტები;

თავი VI. CSR პრაქტიკა მცირე და საშუალო ბიზნესში: ევროკავშირის მაგალითი. სიტუაციური ანალიზი: CSR ქართულ კომპანიებში. დისკუსია - დებატები;

თავი VII. მსხვილი ბიზნესი და სოციალური პასუხისმგებლობა: თანამედროვე ტენდენციები. სიტუაციური ანალიზი: CSR ქართულ ბიზნესში. დისკუსია - დებატები;

თავი VIII. გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა ევროკავშირის ქვეყნებში და გამოცდილება საქართველოსთვის. სიტუაციური ანალიზი: კლიმატის ცვლილების გავლენა ევროკავშირის უსაფრთხოებაზე. დისკუსია - დებატები;

თავი IX. საქართველო-ევროკავშირი: სოციალური მეწარმეობა. სიტუაციური ანალიზი: სოციალური მეწარმეობის მაგალითები. დისკუსია - დებატები;

თავი X. საქართველო-ევროკავშირი: CSR და შშმ პირები, სიტუაციური ანალიზი, დისკუსია - დებატები;

თავი XI. საქართველო-ევროკავშირი: CSR ევროკავშირში COVID-19 ვირუსული ინფექციის პირობებში. დისკუსია - დებატები;

თავი XII. ბიზნესის ეთიკა და ორგანიზაციის მორალური სტანდარტები: ევროკავშირის გამოცდილება, სიტუაციური ანალიზი: ბიზნესის ეთიკა ქართულ კომპანიებში. დისკუსია - დებატები;

თავი XIII. არასამთავრობო ორგანიზაციების და სამოქალაქო საზოგადოების CSR (საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების კონტექსტში). სიტუაციური ანალიზი: საზოგადოებრივი ორგანიზაციები და CSR. დისკუსია - დებატები, ჯგუფში მუშაობა;

თავი XIV. ევროკავშირი საქართველოსთვის, სიტუაციური ანალიზი: ევროკავშირის ფინანსური დახმარებები.

ტესტები:

აირჩიეთ სწორი პასუხები

1. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR) არის:

ა) კომერციული საქმიანობა, რომლის მიზანია მოგების მიღება;

ბ) ფირმების სამეურნეო საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს შემოსავლის ან სოციალური ეფექტიანობის მიღებას;

გ) მოგების მაქსიმალიზაციისაკენ მიმართული საქმიანობა;

დ) ფირმების მიერ საზოგადოების კეთილდღეობისაკენ მიმართული საქმიანობა;

ე) კანონებისა და სახელმწიფოებრივი ნორმების დაცვა, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რა შეუძლია და რა არ შეუძლია გააკეთოს ორგანიზაციამ.

2. თეზისი – „საბოლოო ჯამში ის, ვინც ძალაუფლებას არ იყენებს ისე, როგორც ამას საზოგადოება თვლის საჭიროდ, კარგავს მას“, ეკუთვნის:

ა) ლი პრესტონს;

ბ) გ. ბოუენს;

გ) ლ. ბრაუნს;

დ) კ. დევისს;

ე) მ. ფრიდმენს;

3. დააჯგუფეთ CSR ძირითადი კრიტერიუმების (პასუხისმგებლობის დონე, შიდა და გარე მიმართულებები, ღია და ფარული ფორმები) მიხედვით:

ა) საქველმოქმედო საქმიანობა;

ბ) შრომის უსაფრთხოება;

გ) ფირმის ნებაყოფლობითი მონაწილეობა ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, რომელშიც დაინტერესებულია საზოგადოება;

დ) შრომის ანაზღაურების სტიმულირება;

ე) დაქირავებული მუშაკების ცხოვრების პირობების გაუმჯობესება;

ვ) ზრუნვა გარემოს დაცვაზე;

ზ) გადასახადების, შრომის ანაზღაურების დროული გადახდა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;

თ) ფირმების პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი ინსტიტუტების წინაშე შეთანხმებულია ფირმებთან ქვეყნის ოფიციალური სტრუქტურების მიერ;

ი) ურთიერთქმედება ადგილობრივ საზოგადოებრივ დაჯგუფებებთან და ხელისუფლებასთან.

4. CSR - ის სასარგებლოდ არსებული არგუმენტებია:

ა) მოგების მაქსიმიზაციის პრინციპის დარღვევა;

ბ) მორალური პასუხისმგებლობა სოციალურად პასუხისმგებელი ქმედებისათვის;

გ) დანახარჯები სოციალურ პასუხისმგებლობაზე;

დ) რესურსების არსებობა სოციალური პრობლემების გადაჭრაში დახმარების გასაწევად;

ე) ბიზნესისათვის ხელსაყრელი გრძელვადიანი პერსპექტივების შექმნა;

ვ) ყველა პასუხი სწორია.

5. დაინტერესებული პირები არიან:

ა) ნებისმიერი ჯგუფი ან პირი, რომელთაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფირმის საქმიანობაზე;

ბ) ფირმის მიერ დაქირავებული მუშაკები;

გ) სახელისუფლო ორგანოები;

დ) მყიდველთა ჯგუფები;

ე) ფინანსური ორგანოები;

ვ) ყველა პასუხი სწორია.

6. CSR - ის საბაზისო დონეს წარმოადგენს:

ა) დაქირავებული მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლება;

ბ) ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;

გ) ფართო საქველმოქმედო საქმიანობა;
დ) მუშაკებისათვის საცხოვრებელი ბინების მშენებლობა;
ე) მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება;
ვ) შრომის ანაზღაურების, გადასახადების დროული გადახდა;
ზ) ყველა პასუხი სწორია.

7. A სვეტის ყოველ ორგანიზაციას შეუსაბამეთ განმარტება B სვეტიდან:

A

ა) „ბიზნეს ლიდერების საერთაშორისო ფორუმი“;
ბ) საერთაშორისო ორგანიზაცია „ბიზნესი სოციალური პასუხისმგებლობისათვის“;
გ) „ბიზნესის მსოფლიო საბჭო მზარდი განვითარებისათვის“;
დ) „სისტემური ბიზნეს–ტექნოლოგიების ცენტრი „SATIO“

B

ა) CSR გულისხმობს კომერციული წარმატების მიღწევას ისეთი საშუალებებით, რომელიც იცავს ეთიკურ პრინციპებს და პატივისცემით ეპყრობა ადამიანებს, საზოგადოებას და გარემოს“;
ბ) CSR არის ბიზნესის ნებაყოფლობითი წვლილი საზოგადოების განვითარების სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ სფეროში, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული კომპანიის ძირითად საქმიანობასთან და სცილდება კანონით დადგენილ მინიმუმს“;
გ) CSR არის წვლილის შეტანა მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში, შრომით ურთიერთობებში მუშაკებთან, მათ ოჯახებთან, ადგილობრივ საზოგადოებრივ დაჯგუფებებთან და მთლიანად საზოგადოებასთან მათი ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად;
დ) CSR-ში იგულისხმება ბიზნესის ისეთი წარმართვა, რომელსაც საზოგადოებისათვის სარგებლობა მოაქვს და ხელს უწყობს სოციალურად, ეკონომიკურად და ეკოლოგიურად მდგრად

განვითარებას ბიზნესის საზოგადოებაზე პოზიტიური გავლენის მაქსიმიზაციისა და ნეგატიური გავლენის მინიმიზაციის გზით“.

8. იპოვეთ A სვეტში მოცემული ტერმინების შესაბამისი განმარტებები B სვეტში:

A

ა) კორპორაციის თანამშრომელთა დელეგირება;

ბ) სოციალურად პასუხისმგებელი რესტრუქტურიზაცია;

გ) ფულადი გრანტები;

B

ა) დახმარების ფორმა, რომელიც გაიწევა კორპორაციის მიერ სოციალური პროგრამების გასატარებლად ნატურალური ფორმით;

ბ) საფინანსო დახმარების ფორმა, რომელიც გამოიყოფა განათლების სფეროში სოციალური პროგრამების სარეალიზაციოდ და გამოყენებითი კვლევების ჩასატარებლად;

გ) კორპორაციის ინიციატივით განხორციელებული საქმიანობა გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირების მიზნით;

დ) კორპორაციის თანამშრომელთა ნებაყოფლობითი ჩართვა დახმარების მიმღებზე დროის, ცოდნის, ჩვევების, ინფორმაციის, კონტაქტების უსასყიდლო გადაცემის გზით;

ე) ფირმების რესტრუქტურიზაცია სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე;

ვ) კორპორაციის სოციალური პროგრამების შედეგების შეფასება და დაინტერესებულ პირებზე დაყვანა.

მეთოდოლოგიური რეკომენდაციები:

ბაკალავრების მომზადების ინფორმაციული უზრუნველყოფა ეფუძნება როგორც ტრადიციულ (საბიბლიოთეკო და საგამომცემლო), ისე უახლეს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, რაც შეესაბამება სასწავლო პროცესის ორგანიზაციის თანამედროვე მოთხოვნებს. ბაკალავრების მომზადება უზრუნველყოფილია თანამედროვე სამეცნიერო-საინფორმაციო ბაზით. სწავლის პროცესში ბაკალავრებს შეუძლიათ გამოიყენონ: ბიბლიოთეკის რესურსები, ინტერნეტ-წყაროები, მათ შორის ელექტრონული ცნობარები, ენციკლოპედიები, სახელმძღვანელოები, დისერტაციები და ავტორეფერატები.

დავალებები დამოუკიდებელი სამუშაოებისთვის:

1. კომპანიები, რომლებიც კორპორაციული სოციალური პასუ-ხისმგებლობის (CSR) აქტიური გამტარებლები არიან;
2. CSR-ის ევროპული მოდელი;
3. CSR ევროკავშირის ქვეყნებში (მაგ., გერმანიაში, საფრანგეთში და ა.შ.);
4. CSR-ის ევროკავშირის სტრატეგია;
5. CSR პრაქტიკა მცირე და საშუალო ზომის კომპანიებში;
6. ტნკ-ების CSR პრაქტიკა;
7. სახელმწიფოს როლი კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგე-ბლობაში;
8. CSR ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებაში;
9. CSR და მდგრადი განვითარება;
10. გარემოს დაბინძურების პრევენცია და შემცირება;
11. გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ევროკავშირის გამოცდილება საქართველოსთვის;
12. მწვანე შეთანხმება;
13. სოციალური საწარმოების მიზანი, თავისებურებები;
14. CSR და შშმ პირები;
15. ბიზნესის ეთიკა ევროკავშირში, ბიზნესის ეთიკა ქართულ კომპანიებში.



ლარისა თაკალანძე - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მენეჯმენტის მოდულის ხელმძღვანელი; მისი სამეცნიერო კვლევის სფეროებია: ბიზნესის ადმინისტრირების, ბიზნეს-მენეჯმენტის, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის, ბიზნესის გარემოსა და კონკურენტუნარიანობის, ორგანიზაციული კულტურის საკითხები; უკანასკნელ წლებში ჩართულია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ევროკავშირის გამოცდილების კვლევაში - მისი ავტორობით 2021 წელს გამოიცა დამხმარე სახელმძღვანელო ავტორი „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა: ევროკავშირის გამოცდილება“. ლარისა თაკალანძე არის ERASMUS+ პროგრამის ჟან მონეს მოდულის „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ევროკავშირში: გამოცდილება საქართველოსთვის“ მენეჯერი და აკადემიური ლიდერი (2022-2025), რომლის ფარგლებში მოამზადა და დანერგა ახალი სასწავლო კურსი „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ევროკავშირში”. ლ. თაკალანძე არის მრავალი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების მეცნიერ ხელმძღვანელი; საერთაშორისო და ეროვნული კონფერენციის, მრგვალი მაგიდის, სემინარის ორგანიზატორი, თანაორგანიზატორი, მოდერატორი ან/და სპიკერი.

Larisa Takalandze has extensive experience of working as a researcher and a Professor at Sokhumi State University (Faculty of Business and Social Sciences) for many years; She is Co-Director of the Bachelor and Master Programs in Business Administration; Her research interests include Corporate Social Responsibility, Business Environment, and Business Management in Georgia. She has been actively involved in CSR- European practice research in recent years, as evidenced by her scientific papers, textbooks, publications, reports. Her latest book is “Corporate Social Responsibility: EU's Experience”, Manual, Tbilisi, 2021. She is the Manager and Coordinator of the three-year Jean Monnet Module (ERASMUS+ program) “Corporate Social Responsibility in the European Union: Experience for Georgia” (2022-2025). Ms. Takalandze is the author of the new teaching course “CSR in the European Union” within the Jean Monnet Module. Larisa Takalandze is a Supervisor for the preparation of bachelor's, master's theses and PhD theses (3 PhD theses defended). Organizer, Co-organizer, Moderator and Speaker of round tables, debates, conferences, scientific seminars and workshops.